იაკობ მესხია, მირიან მურჯიკნელი

ეკონომიკური რეფორმა საქართველოში

(ანალიზი, მიმართულებები, პრობლემები)

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი
1996

65·9 (2Г)
338·24 (479·22)
ე 587

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საქართველოში გეგმიანი მეურნეობიდან საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლასთან დაკავშირებული თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხები. გაანალიზებულია რეფორმამდელი პერიოდის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, დასაბუთებულია ეკონომიკური გარდაქმნების ობიექტური აუცილებლობა, ნაჩვენებია რეფორმების მიმდინარეობის პლუსები და მინუსები. აგრეთვე განხილულია საქართველოში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სტრუქტურული გარდაქმნების თანამედროვე პრობლემები, სააღრიცხვო-სტატისტიკური საქმიანობის სრულყოფისა და საკონტროლო-აუდიტორული მომსახურების ფორმირების საკითხები.

განკუთვნილია ეკონომიკური რეფორმებით დაინტერესებული მკითხველის, სახელმწიფო მოხელეების, მეცნიერების, ასპირანტებისა და სტუდენტებისათვის.

რედაქტორი რევაზ კაკულია – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

რეცენზენტები: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რ. ბასარია
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვ. ზურაბიშვილი

В книге изучены теоретико-методологические и практические вопросы перехода Грузии от планового хозяйства к рыночным отношениям. Проанализировано экономическое и социальное положение дореформенного периода, обоснована объективная необходимость экономических преобразований, показаны плюсы и минусы хода реформ. В работе широко проанализированы современные проблемы макроэкономической стабилизации и структурных преобразований в Грузии, а также вопросы совершенствования учетно-статистической деятельности и формирования контрольно-аудиторского обслуживания.

Предназначена для интересующихся экономическими реформами, государственных служащих, ученых, а также для аспирантов и студентов.

Редактор **Реваз Какулия** – доктор экономических наук, профессор, академик Академии Экономических Наук Грузии

Рецензенты: д.э.н. профессор, член-корреспондент Академии Экономических Наук Грузии **Р. Басария**
д.э.н. профессор, член-корреспондент Академии Экономических Наук Грузии **В. Зурабишвили**

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1996

ე 0601000000
608(06)96

შინაარსი

ავტორებისაგან 5

თავი 1. **ეკონომიკური რეფორმების ობიექტური აუცილებლობა: სასტარტო დონე, ფაქტორები და პირობები, სოციალ-ეკონომიკური შედეგები** 7

1.1 რეფორმამდელი პერიოდის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა და ეკონომიკური გარდაქმნების ობიექტური აუცილებლობა 7

1.2 ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობის ანალიზი 26

1.3 ეკონომიკური რეფორმების ხელშემშლელი ფაქტორები და პირობები 44

1.4 რეფორმების პირველი ეტაპის ეკონომიკური და სოციალური შედეგები 54

1.5 ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების უგულებელყოფა, როგორც რეფორმის დამშუხრუჭებელი ფაქტორი 68

თავი 2. **საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის მაკროეკონომიკური პრობლემები საქართველოში** 79

2.1 საბაზრო ეკონომიკის მოდელები. საქართველოს არჩევანი. ფასების ლიბერალიზაცია და ინფლაცია 79

2.2 საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის ფორმირების პრობლემები 97

2.3 ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი 129

2.4 პრივატიზაცია და მისი რეალიზაციის მეთოდოლოგიურ-ორგანიზაციული პრობლემები 140

თავი 3. **საგეგმო, სააღრიცხვო, სტატისტიკური და საკონტროლო საქმიანობის ტრანსფორმაციის ძირითადი პრობლემები გარდამავალ პერიოდში** 156

3.1 ინდიკატიური დაგეგმვა საბაზრო ეკონომიკის პირობებში 156

3.2 აღრიცხვის სისტემის ტრანსფორმაციის ძირითადი მიმართულებანი 167

3.3 სტატისტიკის ტრანსფორმაციისა და ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ფორმირების პრობლემები 177

3.4 აუდიტი — საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის დემოკრატიული ფორმა 192

დასკვნის მაგიერ 204

რეზიუმე რუსულ ენაზე 210

ლიტერატურა 220

СОДЕРЖАНИЕ

ОТ АВТОРОВ 5

ГЛАВА 1. Объективная необходимость экономических реформ: стартовый уровень, факторы и условия, социально-экономические итоги 7

1.1 Социально-экономическое состояние дореформенного периода и объективная необходимость экономической перестройки 7

1.2 Анализ хода экономических реформ 26

1.3 Факторы и условия, мешающие экономическим реформам 44

1.4 Социально-экономические итоги первого этапа реформ..... 54

1.5 Игнорирование государственного регулирования экономики как сдерживающий фактор реформ 68

ГЛАВА 2. Макроэкономические проблемы перехода к рыночным отношениям в Грузии 79

2.1 Модели рыночной экономики. Выбор Грузии. Либерализация цен и инфляция 79

2.2 Проблемы формирования налогово-бюджетной политики 97

2.3 Основные направления денежно-кредитной политики 129

2.4 Приватизация и организационно-методологические проблемы ее реализации 140

ГЛАВА 3. Основные проблемы трансформации плановой, учетной, статистической и контрольной деятельности в переходном периоде 156

3.1 Индикативное планирование в условиях рыночной экономики 156

3.2 Основные направления трансформации учетной системы .. 167

3.3 Проблемы трансформации статистики и формирования системы национальных счетов 177

3.4 Аудит – демократическая форма финансово-экономического контроля 192

ВМЕСТО ЗАКЛЮЧЕНИЯ 204

РЕЗЮМЕ НА РУССКОМ ЯЗЫКЕ 210

ЛИТЕРАТУРА 220

ავტორებისაგან

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ რეფორმებზე მონოგრაფიული გამოკვლევა დღემდე არ გამოქვეყნებულა. წინამდებარე ნაშრომი ამ მიმართულებით პირველი, შედარებით კომპლექსური, მეცნიერული გამოცემაა. ბოლო წლებში ეკონომიკური დისკუსიებისა და ქვეყანაში რეფორმის მიმდინარეობა ფასდებოდა მხოლოდ პერიოდულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მასალებით, უმეტესად არაპროფესიონალების (არაეკონომისტების) მიერ. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, უმეტეს ეკონომიკურ ნაშრომებს პარტიული ამბიციებისა და ურთიერთდაპირისპირების კვალი აჩნია. ისინი ან მეტის-მეტად ოპოზიციურ-რადიკალური ხასიათისაა, ან კიდევ ზედმეტად მიკერძოებულად და ვარდისფრად წარმოაჩენენ ამა თუ იმ პერიოდში მმართველი ხელისუფლების მიერ გატარებულ ეკონომიკურ პოლიტიკას. ყოველივე ეს ბუნებრივია და ამაში საგანგაშო არაფერია, რადგან დღევანდელ პირობებში ეკონომიკა და პოლიტიკა ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. პოლიტიკა განსაზღვრავს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიულ კურსს და პირიქით, ეკონომიკა ზემოქმედებს ქვეყნის პოლიტიკური პლატფორმის ფორმირებაზე. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საქართველომ განიცადა ძირეული პოლიტიკური ტრანსფორმაცია: აღიდგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და მსოფლიო თანამეგობრობის სრულფასოვანი წევრი გახდა. ამ რევოლუციურ პროცესს თან ახლდა ქვეყნის შიდა პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ძვრები, მმართველი ხელისუფლების ხშირი მონაცვლეობა, პოლიტიკურ პლატფორმათა მწვავე ურთიერთდაპირისპირება და, შესაბამისად, საზოგადოებრივ შეხედულებათა პოლარიზაცია.

წინამდებარე ნაშრომის ავტორებს მონაწილეობა არ მიგვიღია არც ერთ პოლიტიკურ გაერთიანებასა თუ დაჯგუფებაში, რამაც საშუალება მოგვცა ყოველგვარი მიკერძოების გარეშე, დემოკრატიული პრინციპით, ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, პროფესიული და მეცნიერული სინდისის კარნახით პირუთვნელნი ვიყოთ აღნიშნული საკითხების კვლევის დროს. ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიულმა პროცესებმა საშუალება მოგვცა ჩვენი აზრის ასე დაუფარავი გამოხატვისა.

ნაშრომში დასაბუთებულია ეკონომიკური რეფორმის ობიექტური აუცილებლობა, გაანალიზებულია საქართველოში რეფორმამდელი პერი-

ოდის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა და ის საშინაო და საგარეო ფაქტორები და პირობები, რაც რეფორმის დაწყებას უძღვოდა. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია სახელმწიფოს როლზე ეკონომიკის მართვასა და რეგულირებაში. მკითხველი წიგნში გაეცნობა აგრეთვე ეკონომიკური რეფორმის იმ სტრატეგიასა და ტაქტიკას, რომლებსაც ცდილობდა გაეტარებინა ქვეყნის ხელისუფლება. ნაჩვენებია რეფორმების პირველი ნაბიჯების პლუსები და მინუსები, დღემდე გატარებული ეკონომიკური გარდაქმნების სოციალ-ეკონომიკური შედეგები. გამოკვლევაში დიდი ადგილი უკავია მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სტრუქტურული ცვლილებების პოლიტიკის ანალიზსა და შეფასებას. შესწავლილია ფასების ლიბერალიზაციასა და პრივატიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები, ინფლაციის წყაროები და მისი დაძლევის გზები, საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის ძირითადი ასპექტები, საგადასახადო სისტემის სრულყოფის გზები, ფულად-საკრედიტო სისტემის ტრანსფორმაციის საკითხები და სხვა აქტუალური საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები. ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი დღემდე ჩვენს ეკონომიკურ ლიტერატურაში თითქმის ხელუხლებელ ისეთ პრობლემებს, როგორიცაა ეკონომიკური სამსახურების ტრანსფორმაცია საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად. კერძოდ, შესწავლილია სააღრიცხვო საქმიანობის ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური სრულყოფის პრობლემები, სტატისტიკურ-ანგარიშგებითი საქმიანობის ეროვნულ ანგარიშთა საერთაშორისო სისტემაზე გადაყვანის საკითხები, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კონტროლისა და აუდიტის თანამედროვე დემოკრატიული ფორმებისა და მეთოდების დანერგვის პრობლემები.

გვინდა შევნიშნოთ, რომ ეკონომიკური გარდაქმნების უსწრაფესმა ტემპებმა და დინამიკურობამ, ავტორებს, მიუხედავად მათი დიდი ძალისხმევისა, საშუალება არ მისცა ნაშრომში ამომწურავად და ოპერატიულად აესახათ ის სარეფორმო ცვლილებები, რომლებსაც თითქმის ყოველდღიურად აქვს ადგილი. ნაშრომში ძირითადად ასახულია 1994 წლის პირველ ნახევრამდე გატარებული რეფორმები. ამის გამო იგი დაზღვეული არ იქნება ხარვეზებისაგან. ავტორები მადლიერების გრძნობით მიიღებენ მკითხველის საქმიან შენიშვნებსა და წინადადებებს.

თავი 1. ეკონომიკური რეფორმების ობიექტური აუცილებლობა: სასაყარტო დრო. ფაქტორები და პირობები. სოციალ-ეკონომიკური შედეგები

1.1. რეფორმამდელი პერიოდის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა და ეკონომიკური ბარდაქმნების ობიექტური აუცილებლობა

საქართველოში, ისევე როგორც სხვა სოციალისტური ორიენტაციის ქვეყნებში, ეკონომიკის განვითარებას საფუძვლად ედო ცენტრალიზებული დაგეგმვა. საყოველთაოდ იყო აღიარებული, რომ გეგმური ეკონომიკა არის ხომალდი, რომელიც ზუსტად ექვემდებარება მისი მეთაურის ბრძანებას და შეუფერხებლად მიდის აღებული კურსის შესაბამისად, ხოლო საბაზრო ეკონომიკა ითვლებოდა უმართავ ნავად, რომელიც მიჰყვება ქარისა და დინების მიმართულებას. ამასთან, გეგმიან მეურნეობაში დასაშვები იყო ცალკეული ჩავარდნები, მაგრამ, საერთო ჯამში, საზოგადოება კონტროლს უწევდა განვითარებას, ცენტრი აწარმოებდა რესურსების მანევრირებას, წარმართავდა მას პრიორიტეტულ სფეროებში და ამით უზრუნველყოფდა უპირატეს განვითარებას იქ, სადაც ეს, მისი აზრით აუცილებელი იყო. სინამდვილეში კი სოციალისტური დაგეგმვის პრინციპები შორს იყო ჰეშმარიტებისაგან. ადმინისტრაციული დაგეგმვა ვერ უზრუნველყოფდა ვერც მთავარ და ვერც მეორეხარისხოვან სახალხომეურნეობრივი პროპორციების დამყარებას. ზუსტი დირექტიული გეგმური დავალებების დაყვანა ცალკეულ საწარმოებამდე იყო ფიქცია, გეგმიანობის თამაში და იგი არ ასახავდა განვითარების რეალობას. დეტალურად შემუშავებული გეგმები მაინც არ სრულდებოდა, რადგან არ იყო უზრუნველყოფილი საჭირო რესურსებით და შრომითი მოტივაციით. და თუ მაინც სრულდებოდა, ეს მხოლოდ ქაღალდზე, საგეგმო სამსახურებისადმი მონურ მდგომარეობაში მყოფი სტატისტიკის ფალსიფიცირებული მეთოდოლოგიის წყალობით.

ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებში და მათ შორის საქართველოშიც სოციალ-ეკონომიკური სისტემა თანდათანობით უმართავი ხდებოდა: არც წარმოების, არც ფასებისა და ხელფასების დაგეგმვა არ იძლეოდა ჩამოყალიბებული კვლავწარმოების პროპორციებზე ზემოქმედების რეალურ შესაძლებლობას. სოციალიზმი ეს იყო სისტემა, რო-

მელშიც საგეგმო ორგანოები არსებობდა არა ეკონომიკისათვის, არამედ ეკონომიკა არსებობდა საგეგმო ორგანოებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ არ სრულდებოდა არც თეორია და არც კვარტალური გეგმები, რადგან წარმოების არარიტმული მუშაობა, ,,შაჲ შაბათობები", რომლებიც ხშირად კვარტალის ბოლოს ცხადდებოდა, რათა გეგმისათვის ,,ეშველათ", ვერც მოკლევადიანი და ვერც გრძელვადიანი გეგმები რეალიზაციას ვერ უზრუნველყოფდა. როგორც ანალიზი გვიჩვენებს, წლიურ გეგმურ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის სხვაობა საშუალოდ 40-50 % შეადგენდა, ხოლო ხუთწლიან გეგმებში — 15-20%.

დღეს უკვე ყველასათვის ცნობილია, რომ ფაქტობრივად არ შესრულებულა პირველი ხუთწლედის დავალებები. ასეთივე ბედი ეწია სხვა ხუთწლიან გეგმებსაც. ყოფილ სსრკ-ში 1933 წლის საგეგმო მაჩვენებლები რეალურად მხოლოდ 1950 წელს იქნა მიღწეული. მაგრამ გეგმურ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის დაშორიშორება განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა 70-80-იან წლებში, ხოლო ნატურალურ მაჩვენებლებში დაგეგმვის მაჩვენებელთა არსებითი გაუარესება 60-იანი წლებიდან დაიწყო. როგორც ჩანს, ეს ძირითადად დაკავშირებულია ეკონომიკაში საწარმოო კავშირების გართულებასთან, პროდუქციის სახეობათა რიცხვის ზრდასთან, რამაც მილიანობაში შეუძლებელი გახადა ტრადიციული დირექტიული დაგეგმვის მეთოდებით ეკონომიკის მართვა და რეგულირება. თუ ჯერ კიდევ 50-იან წლებში ეკონომიკა ძირითადად ეფუძნებოდა გარკვეულ პროდუქტთა შეზღუდულ რაოდენობას, 60-იანი წლებიდან მათი ნომენკლატურა არსებითად გაიზარდა, შრომის დანაწილება იმდენად გაღრმავდა, ხოლო დარგთაშორისი კავშირები იმდენად მრავალფეროვანი გახდა, რომ ცენტრი ფიზიკურად უძლური აღმოჩნდა დაეგეგმა აღნიშნული კავშირები და დაემყარებინა მათ შორის გარკვეული წონასწორობა.

შექმნილი რთული სიტუაციიდან გამოსვლის მიზნით 70-80-იან წლებში დიდი მნიშვნელობა მიეცა მსხვილი მიზნობრივი პროგრამების შემუშავებას, რასაც უფრო სარეკლამო ხასიათი ჰქონდა და რეალურად ისინი არ შესრულებულა. მაგალითად, 1982 წელს შედგა სასურსათო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა არსებით ძვრებს სურსათის წარმოების გადიდების მიმართულებით, მაგრამ რეალურად 1985 წლისათვის წარმოების მოცულობა, ნაცვლად გეგმური 20 პროცენტით გადიდებისა, შემცირდა 25 პროცენტით.

ამრიგად, ეკონომიკის ხომალდმა — დაგეგმვამ — პრაქტიკულად დაკარგა მართვის ფუნქცია. იგი აგრძელებდა ცურვას გაურკვეველი მიმართულებით, თუმცა ქვეყნის საგეგმო ორგანოები და მეთაურები ჯერ კიდევ იმედოვნებდნენ დირექტიული დაგეგმვის გზით ეკონომიკის მართ-

ვას და რეგულირებას. მაგრამ, როგორც ცხოვრებამ დაგვანახა, ეს იყო ფუჭი ილუზია და ისტორიის ჩარხმა ნელ-ნელა იწყო შემობრუნება.

ახლა კონკრეტულ სტატისტიკაზე დაყრდნობით შევეცდებით განვიხილოთ ეკონომიკური და სოციალური განვითარების მდგომარეობა საქართველოში უკანასკნელი (რეფორმამდელი) პერიოდის განმავლობაში, დავასაბუთოთ დირექტიული დაგეგმვის უპერსპექტივობა და მისი საბაზრო ურთიერთობებით შეცვლის ობიექტური აუცილებლობა. ამ მიზნით, კვლევის ობიექტად, მიზანშეწონილია დირექტიული დაგეგმვის ისტორიაში ბოლო ხუთწლედის – მეთორმეტე ხუთწლედის ძირითად მაჩვენებელთა ანალიზი.

ცხრილი № 1

საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი მაჩვენებლები (პროცენტობით წინა წელთან)[1]

	1985	1986	1987	1988	1989	1990
1	2	3	4	5	6	7
ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი	104,8	100,7	101,3	103,7	97,9	96,1
წარმოებული ეროვნული შემოსავალი	104,5	98,5	98,1	106,9	96,6	95,7
მატერიალური წარმოების სფეროს პროდუქცია	105,6	98,9	97,2	110,6	97,6	95,6
სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საწარმოო ფონდები	106,8	106,5	103,6	103,5	103,3	102,7
კაპიტალური დაბანდებანი	106,9	98,2	107,5	101,0	98,8	70,4
მოგება სახალხო მეურნეობაში	99,9	104,6	98,2	139,6	121,9	86,3
საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება	102,7	97,5	98,4	107,3	98,6	96,2
რეალური შემოსავალი ერთ სულზე	102,3	102,3	103,8	107,5	96,8	102,8

[1] ცხრილი მოღებულია საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის მასალების საფუძველზე.

საქართველოს[1] ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთორმეტე ხუთწლედის მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის სტაბილიზაციისათვის განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა თანდათანობით გაუარესდა და დაიძაბა კიდევაც. აღსანიშნავია, რომ ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოში (სსრკ-ს დავალებით) საფუძველი ეყრება ე. წ. „დაჩქარების კურსს" და ეკონომიკური რეფორმის" სოციალისტურ მოდელს.

საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკა 1985-1990 წლებისათვის ნაჩვენებია პირველ ცხრილში.

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, მეთორმეტე ხუთწლედში ადგილი ჰქონდა თითქმის ყველა მაკროეკონომიკურ-სინთეზური მაჩვენებლების გაუარესებას საქართველოში. გამონაკლისია მხოლოდ საწარმოო ფონტები და რეალური შემოსავალი ერთ სულზე გაანგარიშებით. თუ სიღრმისეულად განვიხილავთ ამ ორ მაჩვენებელს, დავრწმუნდებით, რომ მათ ზრდას ადგილი ჰქონდა მხოლოდ ღირებულებით მაჩვენებელში, რომელიც, ძირითადად, ფასების ზრდით იყო გამოწვეული, ხოლო ნატურალურ მაჩვენებელში შეინიშნებოდა ამ პარამეტრების შემცირების ტენდენცია.

მეთორმეტე ხუთწლედის მაჩვენებლების შედარება წინა მე-11 და მე-10 ხუთწლედებთან გვარწმუნებს იმაში, რომ რესპუბლიკაში ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუარესებას თანდათანობითი, ევოლუციური ხასიათი ჰქონდა. მაგალითად, რესპუბლიკის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი 1976-1980 წლებში გაიზარდა 6,9 პროცენტით, 1981-1985 წლებში — 4,8 პროცენტით, ხოლო 1986-1990 წლებში შემცირდა 0,1 პროცენტით. წარმოებული ეროვნული შემოსავლის ზრდამ შესაბამისი ხუთწლედების მიხედვით შეადგინა — 7,5, 5,0 და 0,8 პროცენტი, მრეწველობის პროდუქციის ზრდამ შესაბამისად — 7,0, 4,0 და 0,4 პროცენტი. სოფლის მეურნეობის პროდუქციისა — 4,4, 2,5 და -1,6 პროცენტი, კაპიტალური დაბანდების მატებამ — 7,3, 6,4 და -5,8 პროცენტი, საზოგადოებრივი შრომისნაყოფიერების მატების ტემპმა — 6,3, 3,7 და -0,6 პროცენტი და ა. შ. როგორც ვხედავთ, მე-11 ხუთწლედი შედარებით გაუარესებული მაჩვენებლებით ხასიათდება მე-10 ხუთწლედთან შედარებით, ხოლო მეთორმეტე ხუთწლედი აშკარად ჩამორჩება მე-11 ხუთწლედის მაჩვენებლებს. უფრო მეტიც, მეთორმეტე ხუთწლედში მატების ტემპები მეტწილად მინუსოვანი ნიშნით ხასიათდება, რაც ეკონომიკური განვითარების აშკარა სტაგნაციის მაჩვენებელია. ამასთან,

[1] ამ პარაგრაფში „საქართველოს სსრ"-ს ნაცვლად გამოყენებულია „საქართველოს".

აღსანიშნავია, რომ თუ მე-10 და მე-11 ხუთწლედების მაჩვენებლების მიხედვით საქართველო შედარებით მიუახლოვდა (თუმცა მაინც ჩამორჩებოდა) საშუალო საკავშირო დონეს, მე-12 ხუთწლედში საქართველოს ჩამორჩენამ აშკარა გამოკვეთილი სახე მიიღო.

თანდათანობით უარესდებოდა აგრეთვე გამოყენებული ეროვნული შემოსავლის სტრუქტურა. 1980 წელს მოხმარებაზე მოდიოდა მთელი გამოყენებული ეროვნული შემოსავლის 73,7 პროცენტი, ხოლო დაგროვებაზე — 26,3 პროცენტი. აღნიშნულმა მაჩვენებლებმა 1985 წლისათვის შესაბამისად შეადგინა 70,5 და 29,5 პროცენტი, 1990 წელს კი 86,9 და 13,1 პროცენტი. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში თანდათანობით მცირდებოდა გაფართოებული კვლავწარმოებისათვის საჭირო პოტენციალის დაგროვება, ეცემოდა კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის მაჩვენებელი, მცირდებოდა რეზერვებისა და დაგროვების ხვედრითი წილი, რაც, საბოლოო ჯამში ჩვენი რესპუბლიკის ინდუსტრიულად დასუსტების მიმანიშნებელი იყო.

მართალია, წინასარეფორმო პერიოდში ადგილი ჰქონდა სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით ძირითადი ფონდების ზრდას, მაგრამ იგი განპირობებული იყო ძირითადად ფასების მატებით, ხოლო ნატურალურ მაჩვენებლებში არსებითი ძვრები არ მომხდარა. 1980 წლისათვის რესპუბლიკაში ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულება შეადგენდა 16 მილიონ მანეთს. 1985 წლისათვის — 22 მილიონს, ხოლო 1990 წლისათვის — 27 მილიონს. როგორც ჩანს, ღირებულებით მაჩვენებლებშიც კი ძირითადი საწარმოო ფონდების ზრდის ტემპი თანდათანობით ეცემოდა. წინასარეფორმო პერიოდში ძირითადი არასაწარმოო ფონდების ღირებულება შესაბამისი წლებისათვის შეადგენდა 9,11 და 13 მილიონ მანეთს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ თანდათანობით უარესდებოდა ძირითადი ფონდების სტრუქტურა, სულ უფრო ნაკლებ ადგილს იჭერდა აქტიური ფონდები და იზრდებოდა პასიური ფონდების ხვედრითი წილი. ყოველივე ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ წინასარეფორმო პერიოდში საქართველოს ტექნიკური პოტენციალი ქვეითდებოდა და შესაბამისად ეცემოდა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა, მცირდებოდა ფონდუკუგების მაჩვენებელი. ამ უკანასკნელის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო პროპორციების დარღვევა ძირითადი საწარმოო ფონდების აქტიურ და პასიურ ნაწილებს შორის.

საანალიზო პერიოდში ადგილი ჰქონდა მრეწველობის პროდუქციის საერთო მოცულობის ზრდას (იხ. ცხრილი № 2), მაგრამ აქაც შეინიშნებოდა მისი თანდათანობითი შენელების ტენდენცია. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მთელი რიგი სახეობის პროდუქციის ღირებულების ზრდის ტემპი საგრძნობლად უსწრებდა წინ ნატურალურ გამოსახულებაში მისი მოცულობის ზრდის ტემპს. მაგალითად, რესპუბლიკაში 1990 წელს 1989

წელთან შედარებით გამოშვებულ იქნა 0,3 პროცენტით, ანუ 116 ათასი მანეთით მეტი ლითონმჭრელი ჩარხები, მაშინ როდესაც მათი ფიზიკური რაოდენობა 416 ერთეულით შემცირდა. ასეთი მაგალითების დასახელება შეიძლება მატერიალური წარმოების თითქმის ყველა დარგის მიხედვით. ღირებულებით მაჩვენებელში პროდუქციის ზრდის ტემპებს ძირითადად განაპირობებდა საბითუმო ფასების ზრდა. ამას კი ადგილი ჰქონდა თითქმის ყოველწლიურად, მიუხედავად იმისა, რომ პროდუქციის ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრები არ უმჯობესდებოდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მეტწილ შემთხვევაში ფასების მომატება (ხშირად ფარულად) ხდებოდა ახალი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების ეგიდით. რეალურად კი არაფერი იცვლებოდა. უფრო მეტიც, გახშირდა არასტანდარტული, წუნდებული პროდუქციის გამოშვება და მათი მეტი წილი გაუსაღებელი რჩებოდა. ასეთი მდგომარეობა განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო მსუბუქი მრეწველობის დარგში.

წინასარეფორმო პერიოდში პროდუქციის მოცულობის ტემპების დაცემით ხასიათდებოდა მრეწველობის ისეთი სტრატეგიული სფერო, როგორიცაა სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი. აღნიშნული კომპლექსის საერთო პროდუქციის ზრდის ტემპები სისტემატურად ეცემოდა 1980-1990 წლებში. მაგალითად, 1980 წელს რესპუბლიკაში წარმოებულ იქნა 14,7 მლრდ. კვტ. საათი ელექტროენერგია, ხოლო 1990 წელს უფრო ნაკლები — 14,2 მლრდ. კვტ. საათი. შესამჩნევად იკლო ქვანახშირის წარმოებამ. მისმა მოცულობამ შესაბამისად შეადგინა 1860 და 956 ათასი ტონა, ანუ 10 წელიწადში მისი წარმოების მოცულობა თითქმის გაანახევრდა. ნავთობის ამოღება 1980 წლის 3186 ათასი ტონიდან დაეცა 186 ათას ტონამდე 1990 წელს. რაც შეეხება ბენზინის, დიზელის საწვავის, მაზუთისა და სხვა ნავთობპროდუქტების წარმოებას, მათი მოცულობა 3-4-ჯერ შემცირდა მეათე და მეთერთმეტე ხუთწლედებში.

არც მეტალურგიულ კომპლექსში მომხდარა პოზიტიური ძვრები. ოდნავი ზრდის ტენდენცია შეიმჩნეოდა ფოლადის მილების წარმოებაში. რაც შეეხება თუჯის, ფოლადის, მზა ნაგლინის, შავი ლითონების ნაგლინის, მანგანუმის მადნის, ელექტროფერომანგანუმის წარმოების ნატურალურ მაჩვენებლებს, მათი მოცულობა 1990 წელს მეტ-ნაკლებად დაბალი იყო 1980 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან. უფრო მეტიც, ელექტრომანგანუმის წარმოების მოცულობა ამ პერიოდში განახევრდა და 1990 წელს შეადგინა 42,4 ათასი ტონა, ნაცვლად 88,6 ათასი ტონისა 1980 წელს.

მდგომარეობა თანდათანობით უარესდებოდა აგრეთვე რესპუბლიკის მანქანათმშენებლობის კომპლექსშიც. 1990 წელს 1980 წელთან შედარებით ნახევარჯერ და უფრო მეტად შემცირდა ლითონმჭრელი ჩარხების გამოშვება, ასევე მნიშვნელოვნად ნაკლები აწარმოეს ცვლადი დენის

ელექტროძრავები, კოშკურა ამწეები, ამწე ძრავები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები და ა. შ.

ცხრილი № 2

მრეწველობის პროდუქციის საერთო მოცულობის ზრდის ტემპები 1980-1990 წწ. [1]

	1980=100		1985=100				
	1985	1990	1986	1987	1988	1989	1990
მრეწველობა, მათ შორის	121	124	102	105	108	109	102
მძიმე მრეწველობა	129	134	104	108	112	109	104
სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი	79	59	97	95	87	82	74
ელექტროენერგეტიკა	98	99	102	102	102	111	101
სათბობი მრეწველობა	66	32	93	89	73	53	49
მეტალურგიული კომპლექსი	104	80	99	99	99	99	77
მანქანათმშენებლობის კომპლექსი	154	172	105	109	118	118	112
ქიმიური და ნავთობ-ქიმიური მრეწველობა	140	176	112	123	127	128	126
სატყეო, ხისდამამუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა	146	135	103	105	103	94	93
სამშენებლო მასალების მრეწველობა	132	139	108	113	115	110	106
მსუბუქი მრეწველობა	121	126	103	105	111	113	104
კვების მრეწველობა	115	115	100	102	104	106	99

რაც შეეხება რესპუბლიკის ქიმიურ კომპლექსს, აქ შეიმჩნეოდა გარკვეული ზრდის ტენდენცია. 1990 წელს 1980 წელთან შედარებით

[1] ცხრილი შეღგენილია საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის მასალების საფუძველზე.

მნიშვნელოვნად გაფართოვდა მინერალური სასუქების, ქიმიური ბოჭკოს, სინთეტიკური ამიაკისა და კაპროლაქტამის წარმოების მოცულობა, ხოლო სინთეტიკური სარეცხი საშუალებებისა და საპნის წარმოება შემცირდა და 1980 წლის 25,9 ათასი ტონიდან 1990 წელს შეადგინა 12,9 ათასი ტონა.

ასევე მდგომარეობა თანდათანობით უარესდებოდა მსუბუქ მრეწველობაში. შესამჩნევად დაეცა ნატურალურ მაჩვენებლებში აბრეშუმის ძაფის, ბამბის ნართის, ტრიკოტაჟის ნაწარმის, ფეხსაცმლის, ჭსოვილების წარმოების მოცულობა.

გაუარესების ტენდენციით ხასიათდებოდა რესპუბლიკის კვების მრეწველობის დარგი. შემცირდა შაქრის ფხვნილის, ხორცის, ძეხვეულის, კარაქის, ყველის, მინერალური წყლების, ლიქიორ-არყის ნაწარმის, ყურძნის ღვინისა და სხვა პროდუქტების წარმოების მოცულობა. ამასთანავე, გარკვეულწილად იზრდებოდა რძის, მცენარეული ზეთის, მარგარინის, საკონდიტრო ნაწარმის, ნატურალური ჩაის, უალკოჰოლო სასმელების, შამპანურის, კონიაკისა და ზოგიერთი სხვა პროდუქტების წარმოების მოცულობა. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული პროდუქტების წარმოება შედარებით მაღალი ტემპებით იზრდებოდა 1980-1985 წლებში, ხოლო შემდგომ 1986-1990 წლებში ზრდის ტემპები თანდათან ეცემოდა.

ამრიგად, როგორც ანალიზიდან ჩანს, წინასარეფორმო პერიოდში საქართველოს მრეწველობაში თანდათანობით იკვეთებოდა წარმოების მოცულობის შენელების ტენდენცია, თანაც მას უფრო აშკარა ხასიათი ჰქონდა მეთორმეტე ხუთწლედში. ყოველივე ამის მიზეზი იყო სახელშეკრულებო დისციპლინის მოშლა, ეკონომიკური კავშირების თანდათანობითი გართულება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შენელება, შრომითი მოტივაციის შესუსტება და, რაც მთავარია, თანდათანობით უფრო აშკარად იჩინა თავი სოციალისტური დირექტიული დაგეგმვის მანკიერმა მხარეებმა.

წინასარეფორმო ორ ხუთწლედში მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ისეთ უმსხვილეს დარგში, როგორიცაა სოფლის მეურნეობა (იხ. ცხრილი № 3). 1981-1985 წლებში, საშუალოდ წელიწადში, სოფლის მეურნეობაში წარმოებულ იქნა 3155,7 მილიონი მანეთის პროდუქცია, ხოლო 1986-1990 წლებში ამ მაჩვენებელმა შეადგინა 3096,2 მილიონი მანეთი. განსაკუთრებით იკლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებამ საზოგადოებრივ სექტორში (კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები), თუმცა მისი დაცემის ტენდენცია პირად დამხმარე მეურნეობებშიც აღინიშნებოდა.

ამასთან, რესპუბლიკის ხეხილის ბაღების 43%, ციტრუსების — 54%, ვენახების — 64% საზოგადოებრივ მეურნეობას ეკუთვნოდა, სადაც

კერძო სექტორთან შედარებით მოსავლიანობა 3-4-ჯერ უფრო დაბალი იყო.

ცხრილი № 3

სასოფლო-სამეურნეო კულტურების საერთო მოსავალი და მოსავლიანობა (ყველა კატეგორიის მეურნეობაში)[1]

	საერთო მოსავალი. ათასი ტონა		მოსავლიანობა ცენტნ/ჰა	
	1981-1985 საშუალოდ წელიწადში	1986-1990 საშუალოდ წელიწადში	1981-1985	1986-1990
მარცვლეული კულტურები	601,1	638,7	20,6	24,3
შაქრის ჭარხალი	102,1	45,0	423,0	328,4
მზესუმზირა	8,0	7,6	6,6	6,5
კარტოფილი	392,6	336,0	117,0	113,0
ბოსტნეული	589,8	576,9	144,0	134,2
ხილი და კენკრა	652,1	645,3	66,0	63,7
ყურძენი	786,9	629,5	66,9	59,3
ციტრუსები	289,6	259,8	204,3	156,4
ჩაის ფოთოლი	555,1	552,3	98,2	90,0

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობის შემცირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ნათესი ფართობის თანდათანობით შემცირება. მაგალითად, ყველა კატეგორიის მეურნეობაში 1980 წელს ნათესი ფართობი შეადგენდა 739,3 ათას ჰექტარს, ხოლო 1990 წლისათვის იგი შემცირდა 701,9 ათას ჰექტრამდე. ამ პერიოდში მცირდებოდა მარცვლეულის, ტექნიკური კულტურებისა და ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების ნათესი ფართობები, ხოლო გაიზარდა საკვები კულტურების ფართობის მოცულობა. განსაკუთრებით შესამჩნევი იყო ხილ-კენკროვანი ნარგავების, ვენახისა და ჩაის ნარგავთა ფართობის შემცირება.

[1] ცხრილი შეღებილია საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის მასალების საფუძველზე.

რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების შემცირების შესაბამისად კლებულობდა სახელმწიფო შესყიდვების მოცულობები. 1981-1985 წლებში საშუალოდ წელიწადში მემცენარეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვამ შეადგინა 136,8 ათასი ტონა, ხოლო 1986-1990 წლებში საშუალოდ წელიწადში აღნიშნული მაჩვენებელი შემცირდა 89,9 ათას ტონამდე.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გეგმების შეუსრულებლობის მიზეზი წინასარეფორმო პერიოდში ბუნებრივ არახელსაყრელ პირობებთან ერთად გამოწვეული იყო იმით, რომ სათანადო ყურადღება არ ექცეოდა კულტურების მოვლა-პატრონობას, სამუშაოები ტარდებოდა დაბალ აგროტექნიკურ დონეზე, მატულობდა დანაკარგების მოცულობა, მცირდებოდა სარწყავი მიწების ეფექტიანობა, არ ინერგებოდა პროგრამული აგროტექნიკური მეთოდები, მატულობდა პირუტყვის დაცემის მაჩვენებელი, მცირდებოდა მათი სულადობა საზოგადოებრივ და კერძო სექტორში. ამ პერიოდში დანერგილ არენდულ ურთიერთობათა ფორმებს სოფლის მეურნეობაში პოზიტიური შედეგები არ მოჰყოლია. ასევე არსებითი დადებითი ძვრები არ მოუხდენია აგროფირმებისა და აგროკომბინატების შექმნის პრაქტიკას. ყველაფერი ეს მიუთითებს იმაზე, რომ სოფლის მეურნეობაში დამკვიდრებულმა ურთიერთობებმა თავისი „დრო მოჭამა" და დადგა მათი არსებითი ტრანსფორმაციის პერიოდი.

წინასარეფორმო პერიოდში რესპუბლიკის კაპიტალურ მშენებლობაში მნიშვნელოვანი დადებითი ძვრები არ მომხდარა. მეთერთმეტე ხუთწლედში კაპიტალური დაბანდებისათვის გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 12313 მლნ მანეთი, ხოლო მეთორმეტე ხუთწლედში — 13832 მლნ. მანეთი. ამასთან, ბოლო ხუთწლედში საშუალოდ წელიწადში კაპიტალური დაბანდებების მოცულობას შემცირების ტენდენცია ახასიათებდა. მაგალითად, 1985 წელს მან შეადგინა 2825 მლნ. მანეთი, ხოლო 1990 წლისათვის იგი შემცირდა 2094 მლნ. მანეთამდე. ამ პერიოდში კაპიტალური დაბანდებები მცირდებოდა, როგორც სახელმწიფო და კოოპერატიულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, ასევე კოლმეურნეობებსა და მოსახლეობის კერძო სექტორებში (საკუთარი სახლებისა და ბინების მშენებლობა).

გარკვეულწილად გაუარესდა კაპიტალურ დაბანდებათა სტრუქტურა. მაგალითად, მანქანათმშენებლობის კომპლექსზე 1985 წელს მოდიოდა მთლიანად სახალხო მეურნეობაში გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებების 8,8 პროცენტი, ხოლო ამ მაჩვენებელმა 1990 წელს შეადგინა მხოლოდ 2,6 პროცენტი.

აღსანიშნავია, რომ 1985 წლიდან დაწყებული ამოქმედებული ძირითადი ფონდების მოცულობა აშკარა შემცირების ტენდენციით ხასიათ-

დებოდა. მაგალითად, 1985 წელს სახელმწიფო და კოოპერატიულ
საწარმოებისა და ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და მოსახლეო
ბის მიერ მოქმედებაში შეყვანილი ძირითადი ფონდების მოცულობა
შეადგენდა 2697 მილიონ მანეთს, ხოლო 1990 წლისათვის აღნიშნულმა
მაჩვენებელმა შეადგინა 1508 მილიონი მანეთი, მათ შორის სახელმწიფო
და კოოპერატიულ საწარმოებსა და ორგანიზაციებზე შესაბამისად მო
დიოდა 2447 და 1448 მლნ. მანეთი. ძირითადი ფონდების მოქმედებაში
შეყვანის შემცირების ტენდენციები გამოიკვეთა სახალხო მეურნეობის
თითქმის ყველა დარგში, მაგრამ მან განსაკუთრებული სახე მიიღო მან
ქანათმშენებლობაში (1985 წელს 267 მლნ. მანეთი, ხოლო 1990 წელს 48
მლნ. მანეთი).

მიუხედავად იმისა, რომ მეთორმეტე ხუთწლედში (1986-1990 წწ.
გეგმით გათვალისწინებული იყო კაპიტალურ დაბანდებათა კონცენ
ტრაციის ამაღლება, დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის შემ
ცირება, მოხდა პირიქით. ათვისებული კაპიტალური დაბანდებების სა
ალო ტემპმა მნიშვნელოვნად გადააჭარბა ძირითადი ფონდების მოქმედე
ბაში შეყვანის ტემპს, რის გამოც გაიზარდა დაუმთავრებელი მშენებლო
ბის მოცულობა, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა რესპუბლიკაში არსე
ბული მატერიალური და ფინანსური რესურსების დეფიციტი. რესპუბ
ლიკაში დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის ზრდა ძირითადად
გამოწვეული იყო მშენებლობის ნორმატიული ვადების დარღვევით
მშენებარე საწარმო ობიექტებისა და სიმძლავრეების სისტემატური ჩაუ
ბარებლობით. უნდა აღინიშნოს, რომ გეგმიანი მეურნეობის პირობებში
საქართველოში ადგილი ჰქონდა ისეთი მასშტაბის კაპიტალურ მშენე
ბლობას, რომელიც არ შეესაბამებოდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრე
სის მოთხოვნებს.

ამ პერიოდში არ გაუმჯობესებულა რესპუბლიკის ტრანსპორტისა და
კავშირგაბმულობის ეკონომიკური მაჩვენებლები. ყველა სახეობის
საერთო სარგებლობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვამ 1985 წელს შეად
გინა 70868, ხოლო 1990 წელს – 76614 მილიონი ტონა-კილომეტრი
ამასთან, აღნიშნულ პერიოდში ფაქტობრივი მაჩვენებელი აშკარად ჩა
მორჩებოდა საგეგმო დავალებებს. განსაკუთრებით გაუარესდა რკინიგზის
ტრანსპორტის მუშაობა. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მეთორმეტე
ხუთწლედში არც ერთ წელს არ შესრულებულა აღნიშნული ტრანს
პორტის მიერ ტვირთის გადაზიდვის დავალებები. ამის ძირითადი მიზეზი
იყო რკინიგზის ტექნიკურ-საექსპლოატაციო მაჩვენებლების გაუარესება
შესამჩნევად იმატა ტვირთბრუნვის მოცულობამ საავტომობილო და
მილსადენი ტრანსპორტის საშუალებით, ხოლო უმნიშვნელოდ ზრდის
ტენდენცია ჰქონდა საზღვაო და საავიაციო ტრანსპორტით ტვირთის
გადატანის მოცულობას. ასევე გაუარესდა მგზავრთბრუნვის მაჩვენებელი

რესპუბლიკის საერთო სარგებლობის ტრანსპორტის ცალკეული სახეების მიხედვით. 1985 წელს რკინიგზის ტრანსპორტით მგზავრთბრუნვის მაჩვენებელმა შეადგინა 3724 მილიონი მგზავრ-კილომეტრი, ხოლო 1990 წელს აღნიშნული მაჩვენებელი დაეცა 2481-მდე.

რესპუბლიკის კავშირგაბმულობის საწარმოებმა მე-12 ხუთწლედში სახალხო მეურნეობას და მოსახლეობას გაუწიეს შედარებით მეტი ღირებულების მომსახურება, მაგრამ საგეგმო მაჩვენებლები მაინც არ შესრულებულა.

ამრიგად, საქართველოს სახალხო მეურნეობის მატერიალური წარმოების დარგებში მე-11 და მე-12 ხუთწლედებში თანდათანობით თავი იჩინა კრიზისულმა მოვლენებმა, რასაც არ შეიძლებოდა არ მოჰყოლოდა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუარესება. ამ უკანასკნელს გარკვეულწილად არბილებდა რესპუბლიკაში პროდუქციის შემოტანის (იმპორტის) გარკვეული გადამეტება რესპუბლიკიდან მისი გატანის (ექსპორტის) მოცულობაზე (იხ. ცხრილი № 4).

რესპუბლიკის გარედან შემოჰქონდათ მეტალურგიული კომპლექსის ნედლეულის 70 პროცენტამდე, ქიმიური კომპლექსის — 95 პროცენტამდე, მოხმარებული ხე-ტყის — 95 პროცენტამდე, ცემენტის — 45 პროცენტამდე, ბამბის ბოჭკოს — 100 პროცენტი, სინთეზური ბოჭკოს — 90 პროცენტამდე, ტყავის ნედლეულის — 40 პროცენტამდე, ნავთობის — 95 პროცენტზე მეტი, მოხმარებული ელექტროენერგიის მეოთხედი, ბუნებრივი გაზის 100 პროცენტი და ა. შ.

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, საქართველოში პროდუქციის შემოტანა-გატანის სალდოს უარყოფითი შედეგი ჰქონდა სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა უმნიშვნელოვანესი დარგების მიხედვით. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ კვების მრეწველობა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ რესპუბლიკას გაცილებით მეტი შემოჰქონდა მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობისათვის საჭირო სტრატეგიული დანიშნულების პროდუქცია, ხოლო შემოტანასთან შედარებით მეტი გაჰქონდა კვების ის პროდუქტები, რომლებიც რესპუბლიკაში იწარმოებოდა და, რომლებსაც არ ჰქონდათ აუცილებელი სასიცოცხლო დანიშნულება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უკანასკნელ წლებში და განსკუთრებით მე-11 და მე-12 ხუთწლედებში რესპუბლიკიდან გატანასთან შედარებით შესამჩნევად მეტი შემოჰქონდათ კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონელი, ავეჯი, მაცივრები, ტელევიზორები, ფაიფურ-ჭაშანურის ნაწარმი და სხვ. ხოლო რაც შეეხება რადიომიმღებებს, სარეცხ მანქანებს, მსუბუქ ავტომობილებსა და სხვა ხანგრძლივი დანიშნულების პროდუქციას, ისინი რესპუბლიკაში არ იწარმოებოდა და

მოსახლეობის მოთხოვნილება „კმაყოფილდებოდა" მთლიანად შემოტანის (იმპორტის) ხარჯზე.

ცხრილი № 4

პროდუქციის შემოტანა და გატანა 1989 წელს (მლნ. მანეთი)[1]

	შემოტანა იმპორტის ჩათვლით	გატანა ექსპორტის ჩათვლით	სალდო= გატანა - შემოტანა +
1	2	3	4
მრეწველობა	6008,1	5789,3	-218,8
ელექტროენერგეტიკა	49,9	31,9	-18,0
ნავთობის და გაზის მრეწველობა	360,1	68,0	-292,1
ქვანახშირის მრეწველობა	17,7	7,0	-10,7
შავი მეტალურგია	443,3	375,6	-67,7
ფერადი მეტალურგია	106,6	47,5	-58,1
ქიმიური და სამთო ქიმიური მრეწველობა	548,8	343,4	-200,4
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	1522,0	869,4	-625,6
სატყეო, ხის დამმუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა	224,4	53,1	-191,3
საშენ მასალათა მრეწველობა	148,0	33,0	-115,0
მსუბუქი მრეწველობა	1287,2	1284,9	2,3
კვების მრეწველობა	1142,1	2572,9	1430,8
სოფლის მეურნეობის პროდუქცია	358,0	190,4	-167,6
მატერიალური წარმოების სხვა დარგები	102,9	104,4	1,6
მატერიალური წარმოება — სულ	6469,0	6084,2	-384,8

[1] ცხრილი მოღებულია საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის მასალების საფუძველზე.

სამწუხაროდ, საქართველოს სახალხო მეურნეობის სტრუქტურა ისეთნაირად იყო ჩამოყალიბებული, რომ რესპუბლიკას უხდებოდა ძირითადი სტრატეგიული დანიშნულების კვების პროდუქტების შემოტანა ყოფილ სსრკ-ს რესპუბლიკებიდან. ყოველწლიურად მარცვლის შემოტანა საშუალოდ შეადგენდა 1,5-1,8 მილიონ ტონას, აქედან სამი მეოთხედი შეადგენდა სასაქონლო მარცვალს, ხოლო დანარჩენი საფურაჟეს. ხორცის შემოტანის მოცულობა აღწევდა 75 ათას ტონას, ანუ მოხმარების თითქმის ნახევარს, შაქრისა — 260 ათას ტონას, რაც მთელი მოხმარების 90 პროცენტს შეადგენდა. ასევე დიდი რაოდენობით შემოდიოდა რძის ფხვნილი, მცენარეული ზეთი და ა. შ.

რესპუბლიკის ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა მოსახლეობის სოციალ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობაზე, თანდათანობით დაიწყო გაუარესება ცხოვრების დონის ძირითადმა მაჩვენებელმა. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოიხატა მოსახლეობის მიერ მოხმარებული კვების პროდუქტების შემცირებაში (იხ. ცხრილი № 5).

როგორც ცხრილიდან ჩანს, რეფორმამდელ ბოლო ხუთ წელიწადში ერთ სულ მოსახლეზე მნიშვნელოვნად იკლო კვების პროდუქტების მოხმარებამ. 1990 წელს ხორცისა და ხორცპროდუქტების მოხმარებამ შეადგინა 32 კგ, ნაცვლად რაციონალური ნორმით გათვალისწინებული 72 კილოგრამისა, რძის ნორმატიულთან ფაქტობრივი მოხმარების თანაფარდობამ შესაბამისად შეადგინა 350 და 273 კგ, კვერცხის — 135 და 241 ცალი, თევზისა და თევზის პროდუქტების — 5,1 და 13,0 კგ, მცენარეული ზეთის — 6,2 და 10,0 კგ, კარტოფილის — 24 და 61 კგ, ბოსტნეულისა და ბაღჩეულის — 33 და 135 კგ, ხილისა და კენკროვანის — 33 და 86 კგ, რაც შეეხება პურსა და პურპროდუქტებს, აქ შეინიშნებოდა საპირისპირო მდგომარეობა. სამედიცინო რაციონალური ნორმატივით გათვალისწინებული 130 კილოგრამის ნაცვლად ფაქტობრივმა მოხმარებამ 1985 წელს შეადგინა 190, ხოლო 1990 წელს — 138 კილოგრამი. ეს გამოწვეულია იმით, რომ მოსახლეობა სასიცოცხლოდ აუცილებელ კალორიას რესპუბლიკაში ძირითადად პურისა და პურპროდუქტების მოხმარების საფუძველზე იღებდა.

საანალიზო პერიოდში გარკვეულწილად უმჯობესდებოდა ხანგრძლივი მოხმარების საქონლით საქართველოს მოსახლეობის უზრუნველყოფა. მაგალითად, ყოველ 100 ოჯახზე გაანგარიშებით საათებით მოსახლეობის უზრუნველყოფამ 1980 და 1990 წლებისათვის შესაბამისად შეადგინა 481 და 502 ცალი, თუმცა რაციონალური ნორმა ყოველ 100 ოჯახზე შეადგენს 600 ცალს. რადიომიმღებებით უზრუნველყოფამ შესაბამისად შეადგინა 88 და 98 ცალი, ნორმა კი შეადგენს 160 ცალს. ტელევიზორებით უზრუნველყოფამ შესაბამისად — 79 და 112 ცალი (ნორმა —

160 ცალი), მაცივრებით – 90 და 95 ცალი (ნორმა – 149 ცალი), მსუბუქი ავტომობილებით – 19 და 31 (ნორმა – 50 ცალი).

იხ. ცხრილი № 5

კვების პროდუქტების მოხმარება (ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში, კგ)[1]

	1985	1986	1987	1988	1989	1990
ხორცი და ხორცპროდუქტები	47	47	47	50	46	32
რძე და რძის პროდუქტები	307	304	314	337	325	273
კვერცხი (ცალი)	148	159	161	162	160	135
თევზი და თევზის პროდუქტები	9,1	10,1	9,3	8,4	8,7	5,1
შაქარი	43,5	45,9	47,0	47,7	39,1	34,7
მცენარეული ზეთი	5,7	5,7	6,0	5,2	6,0	6,2
კარტოფილი	49	50	51	50	50	24
ბოსტნეული და ბაღჩეული	67	70	65	56	57	33
ხილი და კენკრა						
პური და პურპროდუქტები	190	190	187	184	184	138

ასევე იზრდებოდა მოსახლეობის უზრუნველყოფა სარეცხი მანქანებით, მაგნიტოფონებით, საკერავი მანქანებით, ელექტრომტვერსასრუტებითა და სხვა ხანგრძლივი მოხმარების საგნებით, მაგრამ ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა რაციონალურ ნორმებს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოსახლეობა მოკლებული იყო ისეთი საქონლის შეძენის შესაძლებლობას, როგორიცაა ვიდეომაგნიტოფონები, ელექტროფონები, პერსონალური კომპიუტერები, მიკროტალღიანი ღუმელები, ჭურჭლის სარეცხი მანქანები და სხვა თანამედროვე ხანგრძლივი მოხმარების საგნები.

[1] ცხრილი შეღებილია საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის მასალების საფუძველზე.

როგორც ჩანს, ხანგრძლივი მოხმარების საგნებით საქართველოს მოსახლეობის უზრუნველყოფის საქმეში დადებითი ძვრები შეინიშნებოდა 1980-1990 წლებისათვის. მაგრამ აქ საყურადღებოა ერთი მომენტი. კერძოდ ის, რომ აღნიშნული საგნებით მოსახლეობის უზრუნველყოფას უფრო მაღალი ტემპი ჰქონდა 1970-1980 წლებში, ვიდრე მომდევნო ათი წლის განმავლობაში. მაგალითად, 1970 წელს ყოველ 100 ოჯახზე გაანგარიშებით მოდიოდა 4 მსუბუქი ავტომობილი, 1980 წელს — 19, ხოლო 1990 წელს — 31. ასეთივე ზრდის შედარებით ნაკლები ტემპებია სხვა საჭონლით მოსახლეობის უზრუნველყოფაში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში სიტუაცია თანდათანობით უარესდებოდა.

ახლა მოკლედ „ჩავიხედოთ" სოციალური ინფრასტრუქტურის დარგებსა და სფეროებში.

1979 წელს საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა აღწერის მონაცემებით 5015 ათას კაცს შეადგენდა, ხოლო 1989 წელს — 5443 ათას კაცს, ანუ ამ პერიოდში მოსახლეობის რიცხოვნობა გაიზარდა 428 ათასი კაცით. 1970 წლის მოსახლეობის აღწერიდან 1979 წლის აღწერამდე კი საქართველოს მოსახლეობა გაიზარდა 675 ათასი კაცით. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ რეფორმამდელ პერიოდში საქართველოს მოსახლეობის ზრდა შემცირდა. მოსახლეობის მატების ტემპის შემცირება გამოწვეული იყო დაბადებულთა რიცხვის კლებით და გარდაცვლილთა რიცხვის გადიდებით. 1980 წლისათვის მოსახლეობის 1000 კაცზე გაანგარიშებით შობადობის კოეფიციენტი შეადგენდა 17,6 ერთეულს, ხოლო გარდაცვლილთა — 8,5 ერთეულს. 1990 წლისათვის ამ მაჩვენებლებმა შესაბამისად შეადგინა 16,7 დ 8,6 ერთეული. შესაბამისად ამ წლებისათვის მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტი შეადგენდა 9,1 და 8,1 ერთეულს. ანუ 10 წლის განმავლობაში აღნიშნული მაჩვენებელი 1 ერთეულით შემცირდა.

რეფორმამდელ პერიოდში რესპუბლიკაში შენელდა შრომითი რესურსების მატების ტემპი, რაც გამოწვეული იყო ძირითადად მოსახლეობის კვლავწარმოების ტემპის შემცირებით და რესპუბლიკიდან მოსახლეობის მიგრაციის ზრდით. 1980 წელს მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა საშუალო წლიური რიცხოვნობა შეადგენდა 2255 ათას კაცს, ხოლო 1990 წელს — 2308 ათას კაცს, ანუ მატებამ 10 წლის განმავლობაში მხოლოდ 53 ათასი კაცი შეადგინა, რაც საგრძნობლად ჩამორჩა წინა ათწლეულებში შესაბამისი მაჩვენებლის მატების ტემპს. სულ რესპუბლიკაში 1990 წელს შრომითი რესურსების რიცხოვნობამ შეადგინა 3212 ათასი კაცი. აქედან სახალხო მეურნეობაში დასაქმებული იყო 2689 ათასი კაცი, სახელმწიფო სექტორში მუშაობდა 2069 ათასი კაცი, კოლმეურნეობების სექტორში — 207 ათასი, პირად დამხმარე

მეურნეობაში — 206 ათასი, ინდივიდუალურ შრომით საქმიანობაში 5 ათასი და კოოპერატივებში (სრულ განაკვეთზე) — 84 ათასი კაცი.

საანალიზო პერიოდში შეინიშნებოდა მატერიალური წარმოების დარგებში დასაქმებულთა შემცირებისა და არასაწარმოო სფეროში დასაქმებულთა ზრდის ტენდენცია. მაგალითად, რესპუბლიკის მატერიალური წარმოების დარგებში დასაქმებულთა განაწილებამ 1980 წელს შეადგინა 70,5 პროცენტი, ხოლო 1990 წელს 68,6 პროცენტი, შესაბამისად არასაწარმოო სფეროში — 29,5 და 31,4 პროცენტი. თუ ვიმსჯელებთ გეგმიანი მეურნეობის პირობებში მიღებული სამუშაო ძალის დასაქმების კრიტერიუმებით, შეიძლება ითქვას, რომ რესპუბლიკა განიცდიდა შრომითი რესურსების შეზღუდვას და იგი განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობოდა რეგიონალურ ჭრილში. ფაქტობრივად რესპუბლიკაში ამ პერიოდშიც აშკარა იყო უმუშევრობა, რომელიც მეტწილად ფარულ ხასიათს ატარებდა და რის გამომზეურების საშუალებას მაშინდელი პოლიტიკური გარემო არ იძლეოდა. ფაქტობრივად რესპუბლიკის მთელ რიგ რეგიონებში შრომითი რესურსების დიდი რეზერვი იყო და იდგა მათი დასაქმების პრობლემა. ბოლო წლებში, დაწყებული 1985-1986 წლებიდან ამ პრობლემის გადაჭრაში გარკვეული დადებითი როლი შეასრულა შრომის კოოპერატიული ფორმების ჩამოყალიბებამ. 1990 წლისათვის რესპუბლიკაში ფუნქციონირებდა 6 ათასზე მეტი კოოპერატივი, სადაც დასაქმებული იყო 130 ათასზე მეტი კაცი.

ეკონომიკურ განვითარებაში შექმნილმა სიძნელეებმა, ბუნებრივია, თავისი ნეგატიური გავლენა იქონია სოციალური ინფრასტრუქტურის დარგების განვითარებაზე. მაგალითად, წინასარეფორმო პერიოდში არსებითი დადებითი ძვრები არ მომხდარა რესპუბლიკის განათლების სისტემაში. მე-11 და მე-12 ხუთწლედებში არ შესრულდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საექსპლოატაციოდ ჩაბარების გეგმური დავალებები. ანალოგიური მდგომარეობა იყო საბავშვო ბაგა-ბაღების მშენებლობაშიც. მართალია, განათლების ზოგად მაჩვენებლებს ზრდის ტენდენცია ჰქონდა, მაგრამ ხარისხი აშკარად მოიკოჭლებდა. იზრდებოდა სახალხო მეურნეობაში დასაქმებული უმაღლესი და სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა რაოდენობა, მაგრამ ეკონომიკის ეფექტიანობა საპირისპირო ხასიათს იღებდა.

მეთერთმეტე და მეთორმეტე ხუთწლედების განმავლობაში ქრონიკულ ჩამორჩენას ჰქონდა ადგილი საავადმყოფოებისა და ამბულატორია-პოლიკლინიკების მშენებლობაში. საავადმყოფოების რიცხვი 1985 წლის 435 ერთეულიდან 1990 წელს შემცირდა 422-მდე. ამ პერიოდში იზრდებოდა ყველა სპეციალობის ექიმების რიცხვი, ათას სულ მოსახლეზე ავადმყოფთა საწოლების რაოდენობას მატების ტენდენცია ჰქონდა.

თანდათანობით უარესდებოდა მეცნიერების, კულტურის, საყოფაცხოვრებო მომსახურების და სოციალური ინფრასტრუქტურის სხვა დარგების მდგომარეობა. აღნიშნული სფეროების სტატისტიკური ანალიზი მხოლოდ ზემოხსენებული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.[1]

აქვე მოკლედ შევეხებით ეკონომიკური და სოციალური დაქვეითების უმთავრეს მაკროეკონომიკურ პრობლემას. საქმე ისაა, რომ რეფორმამდელ პერიოდში აშკარა სახე მიიღო რესპუბლიკის ბიუჯეტის დეფიციტმა. ეს იყო ანარეკლი საერთო-საკავშირო ბიუჯეტში არსებული სიძნელეებისა, რადგან საქართველოს, ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტი პირდაპირპროპორციულად იყო მასთან კავშირში. ბიუჯეტის დეფიციტის ზრდას სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად ხელი შეუწყო იმდროინდელმა ანტიალკოჰოლურმა კომპანიამ და ნავთობზე ფასის დაცემამ. ამას დაემატა ხელფასების ზრდის შედეგად ბიუჯეტიდან დოტაციების გაცემის აუცილებლობაც. ამ დროს კი ფასები ძირითადად უცვლელი იყო, ხოლო ხელფასები და შესაბამისად პროდუქციის თვითღირებულება თანდათანობით იზრდებოდა. მოსახლეობის შემოსავლების გადიდებამ და ბიუჯეტის დეფიციტის გაღრმავებამ გამოიწვია პროდუქციასა და მომსახურებაზე მოსახლეობის მოთხოვნის სწრაფი ზრდა. ამავდროულად აშკარად გამოიკვეთა წარმოების მოცულობის შემცირება, რაც ძირითადად გამოწვეული იყო მისი უმთავრესი ფაქტორების გაუარესებით, იაფი ბუნებრივი რესურსების ამოწურვით, ძირითადი ფონდების მოძველებით, შრომის დისციპლინის შესუსტებით, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შენელებით და ა. შ.

მოთხოვნის სწრაფმა ზრდამ, ფიქსირებულმა საცალო ფასებმა და წარმოების სტაგნაციამ გამოიწვია პროდუქციასა და მომსახურებაზე დეფიციტის გაღრმავება. ამ პროცესს თან ახლდა დაგროვებისაკენ სწრაფვა. ეს კი თავის მხრივ განპირობებული იყო იმით, რომ საზოგადოებას არ ჰქონდა ფულადი დანაზოგის მსყიდველობითუნარიანობის შენარჩუნების რწმენა და ამის შედეგად საქონელს დაგროვების მიზნით იყენებდა. ცხადია, ამ პროცესმა კიდევ უფრო გააღრმავა ეკონომიკური კრიზისი.

საქართველოში დაწყებული სოციალ-ეკონომიკური კრიზისი არ იყო მოულოდნელი. წლების განმავლობაში თანდათანობით აქტიურ სახეს იღებდა მისი ხელშემწყობი ისეთი ძირითადი ფაქტორები, როგორიცაა სახალხო მეურნეობის არაეფექტური სტრუქტურა, ფასების დამახინჯებული პოლიტიკა, მაკროეკონომიკის დაუბალანსებლობა, სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური ფუნქციების შესუსტება და ა. შ.

---

[1] იხ. სტატ. კრებული – საქართველო ციფრებში 1990 წელს, თბილისი, 1991.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, საქართველოს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას რეფორმამდელ პერიოდში თანდათანობითი გაუარესების ტენდენცია ჰქონდა. ბუნებრივია, ამ მოვლენას სჭირდება სათანადო ახსნა-განმარტება. ჩვენი აზრით, განვითარების სტაგნაციის გლობალური მიზეზია ის პოლიტიკური და ეკონომიკური წყობა, რომელიც საქართველოს თავს მოეხვია ოქტომბრის რევოლუციის შედეგად. ზემოხსენებულ ეკონომიკურ დაქვეითებას არაფერი საერთო არა აქვს საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელ ციკლურ განვითარებასთან. საქართველოში ეკონომიკურმა დაქვეითებამ რეფორმამდელ პერიოდში მუდმივი, მყარი სახე მიიღო და მისი ძირითადი მიზეზი გეგმიანი მეურნეობის სისტემაში უნდა ვეძებოთ. სოციალისტურმა დირექტიულმა დაგეგმვამ ეკონომიკური სისტემა ამოაგდო თავისი ბუნებრივი განვითარების ტრაექტორიიდან. ეკონომიკა ვითარდებოდა ხელოვნურად, არათანაბრად, დისპროპორციულად.

ამასთან, რეფორმამდელი პერიოდის ბოლო წლებში დამკვიდრებულმა გეგმების კორექტირების პრაქტიკამ აშკარად დაუკარგა მას მაორგანიზებელი ძალა, რომელიც, ასე თუ ისე, მაინც შეინიშნებოდა ადრეულ წლებში. დღეს უკვე შეიძლება თამამად ითქვას, რომ საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების ცენტრიდან მართვა ნამდვილად შეუძლებელი იყო. ამან კი დღის წესრიგში დააყენა არსებული ეკონომიკური სისტემის რადიკალური ტრანსფორმაციის აუცილებლობა.

ამასთან, ჯერ კიდევ სოციალისტური სისტემის პირობებში აშკარა გახდა, რომ დაავადებულ ეკონომიკას სჭირდებოდა კომპლექსური მკურნალობა. ამისათვის საჭირო იყო დაავადების გამომწვევი დიაგნოზის დასმა. ეს დროც დადგა, 1990 წლისათვის უკვე ნათელი გახდა, რომ არსებული სისტემის ჩარჩოებში ეკონომიკის გაჯანსაღება შეუძლებელი იყო. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელი იყო დამკვიდრებული პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმაცია და მეურნეობრიობის გეგმიან პრინციპებზე უარის თქმა. ყოველივე ამის აღიარება დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, მაგრამ მაინც მოხდა ის, რაც მოსახდენი იყო. დაიშალა უზარმაზარი იმპერია — საბჭოთა კავშირი. საქართველომ და სხვა რესპუბლიკებმაც აღიდგინეს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. დაიწყო ქვეყნის დამოუკიდებლად მშენებლობის რთული და ხანგრძლივი პერიოდი. ეკონომიკაში, უპირველეს ყოვლისა, დადგა ამოცანა, თუ რომელი გზით უნდა წასულიყო ქვეყანა.

1.2. ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობის ანალიზი

წინასარეფორმო პერიოდის ანალიზისას ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ გეგმიანმა მეურნეობამ ვერ უზრუნველყო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება და 80-იანი წლებიდან თანდათანობით დაიწყო ეკონომიკური კრიზისი. აქედან გამომდინარე, ჯერ კიდევ სსრკ-ს არსებობის პირობებში, მთავრობა იძულებული გახდა, შექმნილი რთული ეკონომიკური მდგომარეობის შერბილების მიზნით, გარკვეული ნაბიჯი გადაედგა მეურნეობის მართვასა და რეგულირებაში ახალი საბაზრო მეთოდებისა და ფორმების დანერგვის მიმართულებით. ძირითადად ეს პროცესი 1990 წლიდან იწყება, თუმცა თავიდანვე იგი არ იყო კომპლექსურად გააზრებული. ყველაფერი დაიწყო ნაწილობრივი ლიბერალიზაციით, განსაკუთრებით კი ფასების ლიბერალიზაციით, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა ეკონომიკის დესტაბილიზაცია.

1990 წლისათვის საქართველო ჯერ კიდევ სსრკ-ს შემადგენლობაში იყო. ამიტომ, ბუნებრივია, ერთიან სახალხო მეურნეობრივ კომპლექსში მიმდინარე ეკონომიკური გარდაქმნები ჩვენს რესპუბლიკაშიც პოულობდა ასახვას. მოკლე პერიოდში მოხდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და ჩვენს ქვეყანას საშუალება მიეცა ავტონომიურად წარემართა ეკონომიკური გარდაქმნები. სამწუხაროდ, ეკონომიკურ კრიზისში მყოფ საქართველოში ეკონომიკური რეფორმები დაემთხვა ომს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის. ეს იყო უმძიმესი პერიოდი საქართველოს ისტორიაში. მსოფლიოში ძნელად თუ მოიძებნება ქვეყნები, რომლებშიც ერთდროულად მიმდინარეობდა ეკონომიკის ძირეული გარდაქმნა და ომი. ცნობილია, რომ ომის წარმოებას სჭირდება ძლიერი, ცენტრალიზებული ეკონომიკა, ხოლო საქართველოში ადგილი ჰქონდა პირუკუ პროცესებს — ეკონომიკის დასუსტებას და დეცენტრალიზაციას, სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის მართვისა და რეგულირების ბერკეტების დათმობას.

ასე თუ ისე, საქართველოში, ისევე როგორც სსრკ-ს ყოფილ რესპუბლიკებში, დაიწყო გეგმიანი მეურნეობის ნგრევისა და საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის რთული და მრავალწახნაგოვანი პროცესი. ამასთან, კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი იმას, რომ საქართველო, ვანსხვავებით სხვა პოსტსოციალისტური ქვეყნებისაგან, პოლიტიკურად, ეკონომიკურად და სოციალურად მოუმზადებელი შეხვდა ეკონომიკურ გარდაქმნებს. სრულიად გაუაზრებლად და ქაოსურად დაიწყო ძველი მეურნეობრივი წყობის ერთი ხელის მოსმით ნგრევა ისე, რომ არ მომზადებულა ახალი ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრებისათვის აუცილებელი თეორიული, მეთოდური და ორგანიზაციული წანამძღვრები. გარდა ამისა, საქართველოში ეკონომიკური რეფორმების

დამმუხრუჭებელი ფაქტორი იყო ქვეყნის დაბალი სასტარტო ეკონომიკური პოტენციალი, აგრეთვე არასწორი შიდაეკონომიკური სტრუქტურა, რის გამოც საქართველო უმთავრესი სტრატეგიული პროდუქტების მხრივ მთლიანად დამოკიდებული აღმოჩნდა გარე სამყაროზე, და განსაკუთრებით რუსეთსა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე. ამას დაემატა ჩვენს ქვეყანაში შექმნილი შინაომლილობა, საზოგადოების ურთიერთდაპირისპირებულ ნაწილებად დაყოფა და, როგორც ზემოთ აღინიშნა, ომი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად. ერთი სიტყვით, ეკონომიკურ რეფორმებს საქართველოში არ შეექმნა საჭირო პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო. იგი მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ცხოვრების ყველა სფეროში ღრმა კრიზისის ფონზე, რაც უდავოდ უარყოფით გავლენას ახდენს ეკონომიკური გარდაქმნების საბოლოო შედეგებზე.

მიუხედავად ყველა ობიექტური და სუბიექტური წინააღმდეგობებისა, ჩვენმა ქვეყანამ თავის თავზე აიღო ისტორიული უბედობით თავსმოხვეული სიდუხჭირე და საკუთარი სისხლისა და ოფლის ფასად გაბედულად დაადგა ცხოვრების ყველა სფეროში რეფორმისტულ კურსს და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი მშენებლობის ისტორიულ გზას.

როგორც უკვე ითქვა, სამეურნეო რეფორმების განსახორციელებლად საქართველოში არ ჩატარებულა რაიმე სერიოზული წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები. ძირითადად რეფორმებს საფუძვლად დაედო სხვადასხვა დროს ავტონომიურად, როგორც „მრგვალების" ხელისუფლების მიერ მიღებული ეკონომიკური ხასიათის სახელმწიფო კანონები, ასევე დროებითი მთავრობის, სახელმწიფო საბჭოს, პარლამენტისა და მთავრობის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტები, დადგენილებები და განკარგულებები.

ამასთანავე, საქართველოს ეკონომიკური რეფორმების განხორციელების საქმეში აქტიურ მეთოდურ და ორგანიზაციულ დახმარებას უწევდა და დღესაც უწევს საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და ევროგაერთიანება. გასაგებია, რომ მათი დახმარება სასარგებლოა, მაგრამ მას გარკვეულწილად თავისი უარყოფითი მხარეებიც გააჩნია, რაც იმაში გამოიხატება, რომ მათ მიერ ჩვენი ქვეყნისათვის შემუშავებული რეკომენდაციები და წინადადებები ძირითადად ანალოგიურია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა და რუსეთისათვის შემუშავებული მეთოდური მასალებისა და ნაკლებად ითვალისწინებს ჩვენი ქვეყნის შიგნით შექმნილ რთულ სოციალ-ეკონომიკურ თავისებურებებს და ეროვნულ ინტერესებს.

იმისათვის, რომ საქართველოში შეფასდეს ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობა, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა განისაზღვროს ის ამოსავალი თეორიულ-მეთოდოლოგიური რგოლი, რომელიც საფუძვლად

დაედო ეკონომიკურ გარდაქმნებს. აქ კი პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი რეფორმების თეორეტიკოსებსა და პრაქტიკოსებს არ დასჭირვებიათ დიდი შრომის გაწევა, რადგან რეფორმები დაიწყო პირდაპირ რუსული ვარიანტის სრული მიმბაძველობით. ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები რუსეთში ჩატარებული ეკონომიკური გარდაქმნების სრულ ანალოგიად შეიძლება ჩაითვალოს.

ამგვარ სარეფორმო პოლიტიკას ერთგვარი გამართლებაც გააჩნია, რაც ძირითადად იმაში გამოიხატება, რომ რეფორმების დაწყების დროს საქართველო სამანეთო სივრცეში იმყოფებოდა და მას არ ჰქონდა საკუთარი ეროვნული ვალუტა. ეს უკანასკნელი არ იძლეოდა საშუალებას საკუთარი ეროვნული ვარიანტით წარმართულიყო ეკონომიკური რეფორმები. მაგრამ არავითარი გამართლება არ მოეძებნება იმას, რომ ქართველმა რეფორმატორებმა, ვითომ ორიგინალობის თუ სხვა მიზნით, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის რუსული მოდელი დამახინჯებულად გამოიყენეს საქართველოს ეკონომიკურ სივრცეში, რაზედაც კონკრეტულად ქვემოთ გვექნება საუბარი.

რუსეთმა საკუთარ ეკონომიკურ გარდაქმნებს საფუძვლად დაუდო მონეტარული მოდელი, რაც გულისხმობდა ფინანსურ სტაბილიზაციას, ფასების ლიბერალიზაციას, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებას, მკაცრი საკრედიტო პოლიტიკის გატარებას, ზომიერი საგადასახადო სისტემის დანერგვას და სახელმწიფო ხარჯების შემცირებას. ამგვარი მიდგომა გამართლებულია იმ ქვეყნისათვის, რომელიც მდიდარია სტრატეგიული ნედლეულით და ენერგომატარებლებით, მაგრამ იმ რესპუბლიკებისათვის, რომლებიც მთლიანად დამოკიდებულნი არიან სხვა ქვეყნებზე, რეფორმების რუსული ვარიანტის პირდაპირი კოპირება არ იყო სწორი და ეს დაადასტურა კიდევაც განვლილმა პერიოდმა.

რასაკვირველია, რუსეთში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების უარყოფითი მხარეები შეუმჩნეველი არ დარჩენილა ქართველი რეფორმატორებისათვის. ამის ერთ-ერთი დასტურია ის, რომ 1992 წელს საქართველოს მთავრობის ეკონომიკური რეფორმების შტაბის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავდა ღონისძიებების მთელი პაკეტი, რომელიც ითვალისწინებდა სამანეთო სივრცეში მიმდინარე პროცესების უარყოფითი ზემოქმედებისაგან საქართველოს ეკონომიკის დაცვას, მაგრამ ჩვენი არაკომპეტენტურობის, არაორგანიზებულობის თუ სხვადასხვა მიზეზის გამო ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა.

დაიწყო რა საქართველოში ეკონომიკური რეფორმები „შოკური თერაპიის" მოდელით, იგი წარმოების სფეროს არ შეხებია. ძირითადი აქცენტი აღებულ იქნა მაკროეკონომიკურ და ფინანსურ სტაბილიზაციაზე. არადა ჩვენს ქვეყანას რეფორმების დაწყების თავდაპირველ ეტაპზე არც ავტონომიური მაკროეკონომიკა და არც ფინანსები გააჩნდა, ხოლო

სხვაზე დამოკიდებული ეკონომიკური ბერკეტებით და მეთოდებით რეალური გარდაქმნების გატარება პრაქტიკულად შეუძლებელია და ეს დაადასტურა კიდეც პრაქტიკამ.

პირველი თვალშისაცემი მასშტაბური ღონისძიება, რომელიც ჩვენს ქვეყანაში და სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებში ჩატარდა ეკონომიკური რეფორმების ლოზუნგით, იყო ფასების ლიბერალიზაცია (რასაც ჩვენთან ახლდა ვაჭრობის სრული ლიბერალიზაციაც). ამგვარმა გადაწყვეტილებამ შედარებით უკეთესი პირობები შეუქმნა ყოფილ ერთიან სახალხოსამეურნეო კომპლექსში ადრე შემავალ იმ ქვეყნებს, რომლებიც საგარეოეკონომიკური ურთიერთობების დადებითი სალდოთი ხასიათდებოდნენ და რომლებსაც გააჩნდათ ნედლეულისა და ენერგომატარებლების პოტენციალი. მათ დაიწყეს ამ სტრატეგიულ რესურსებზე ფასების მსოფლიო დონემდე მიახლოება, რამაც საქართველო უმძიმეს სიტუაციაში ჩააყენა. ფულადი ნიშნების უკმარისობისა და პროდუქციის გადაადგილებაში შექმნილი სირთულეების გამო საქართველოს არ შეეძლო ხელფასების მაღალი ტემპებით ზრდა და შესაბამისად სამამულო წარმოების პროდუქციაზე მაღალი ფასების დაწესება, რის შედეგად ადგილი ჰქონდა ჩვენი იაფფასიანი პროდუქციის გადადინებას რუსეთისა და სამანეთო სივრცის სხვა ქვეყნებში. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს რესპუბლიკაში რეფორმების საწყის ეტაპზე არაკომპეტენტური საფინანსო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარების გამო ვერ მოხერხდა სამანეთო სივრცეში მყოფი ქვეყნების კაპიტალის მოზიდვა.

ფასების განთავისუფლებას არ მოჰყოლია შოკური ეფექტი მწარმოებლისათვის. ფასების მატება მოხდა წარმოებით ურთიერთობათა მთელ ჯაჭვზე და ამ მოვლენამ განსაკუთრებული სახე მიიღო იქ, სადაც საბოლოო პროდუქტის გამოშვება ხდება. ფასების დაწესების თავისუფლება მკაცრი დეფიციტის პირობებში და ეკონომიკის სხვა სფეროების გარდაქმნის გარეშე იყო უაღრესად დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური შეცდომა. ამან გამოიწვია ის, რომ მეწარმეებმა დაკარგეს სურვილი წარმოების მთელი დატვირთვით მუშაობისა, რადგან ფასების მანიპულაციით მათ შეექმნათ მაღალი მოგების მიღების შესაძლებლობა. მეორე დიდი შეცდომა, რომელიც დაშვებულ იქნა ამ მომენტში, იმაში მდგომარეობს, რომ ფასების ლიბერალიზაციამდე უნდა დაწყებულიყო პრივატიზაციის პროცესი და არა პირიქით. საბოლოო ჯამში ამ გაუაზრებელმა გადაწყვეტილებამ შექმნა მთელი არმია კომერსანტგადამყიდველებისა და მათ ხელში აღმოჩნდა სახელმწიფო სექტორში წარმოებული მთელი პროდუქცია. ამან კი შექმნა ფასების სპირალისებური ზრდის ტენდენცია, რომლის შეჩერება დეფიციტის პირობებში შეუძლებელი იყო. ამით სახელმწიფომ დაკარგა ეკონომიკაზე რეგულირების უმნიშვნელოვანესი ბერკეტი და იგი შორიდან მეთვა-

ლყურის როლში აღმოჩნდა. დღევანდელ პირობებში კი ფასების საბოლოო ლიბერალიზაცია ობიექტური აუცილებლობაა და მას ალტერნატივა არა აქვს.

ერთადერთი მატერიალური წარმოების დარგი, სადაც ადგილი ჰქონდა გარდაქმნების მცდელობას, ეს იყო სოფლის მეურნეობა. 1992 წელს, სამჯერ, სხვადასხვა დროს, მიღებულ იქნა სამთავრობო დადგენილებები მიწის რეფორმების შესახებ. მთავარი ამოცანა, რომელიც უნდა გადაეწყვიტა რეფორმას, გულისხმობდა მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთების შევსებას და შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადების მოცულობის ზრდას. ჩანაფიქრი სწორი იყო, რამდენადაც, როგორც ცნობილია, კერძო სექტორში მოსავლიანობა 4-5-ჯერ მეტია საზოგადოებრივ სექტორთან შედარებით. რეფორმების შედეგად მოსახლეობას კერძო საკუთრებაში გადაეცა დამატებით 342 ათასი ჰა მიწა, ანუ 1,5-ჯერ მეტი, ვიდრე მათ რეფორმამდე ჰქონდათ.

სამწუხაროდ, მიწის რეფორმის პირველი შედეგები არასახარბიელო აღმოჩნდა. ამაზე მეტყველებს ოფიციალური სტატისტიკა და ჩვენი ქვეყნის სასურსათო ბაზარი. მიწის რეფორმის წარუმატებლობას თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები აქვს. სუბიექტური ფაქტორებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ მიწის რეფორმა ჩატარდა შესაბამისი ორგანიზაციული და მეთოდური წანამძღვრების შემუშავების გარეშე. არ ჩატარებულა მიწის აღრიცხვა და პასპორტიზაცია, არ განსაზღვრულა მიწის ფასი და გადასახადის მოცულობა. რეგიონებში მიწის ნაკვეთების გაცემისას ადგილი ჰქონდა ადგილობრივი კომისიების თვითნებობას და უპასუხისმგებლობას, რაც ძირითადად გამოიხატებოდა პირადი შეხედულებებით მიწის ფართობის განაწილებაში. აგრეთვე ადგილი ჰქონდა მოსახლეობის მიერ სახელმწიფო საცდელი, სანერგე და მეთესლეობის გენოფონდებისათვის განკუთვნილი ნაკვეთების მიტაცებას, კონფლიქტებს სოფლებს შორის საზღვრების დადგენისა და სამემკვიდრეო მიწის ნაკვეთების განაწილების დროს. მოუგვარებელი დარჩა მნიშვნელოვანი ხასიათის რიგი ორგანიზაციული საკითხები. რეფორმის ფონდში არ გადაცემულა მიწები შავიზღვისპირა სამკილომეტრიან ზოლში, აფხაზთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, სამაჩაბლოსა და მთელ რიგ რაიონებში. მკაფიოდ არაა დადგენილი სახელმწიფო საზღვრები მეზობელ ქვეყნებთან და ა. შ. ცხადია, ზემოხსენებულმა ფაქტორებმა უარყოფითი როლი შეასრულა მიწის რეფორმის ეკონომიკურ შედეგებზე. მაგრამ წარუმატებლობის მთავარი მიზეზი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკის, შხამქიმიკატების, საწვავის, ტრანსპორტის და ა. შ. დეფიციტია. ეს კი, თავის მხრივ, რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური დესტაბილიზაციით იყო გამოწვეული. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა 1993 წლის 16 იან-

ვარს მიიღო დადგენილება „სასოფლო-სამეურნეო მიწების რეფორმის მიმდინარეობის შესახებ", რომლის ცხოვრებაში გატარება სოფლის მეურნეობის დარგში ეკონომიკური ეფექტიანობის მიღწევის საწინდარი უნდა ყოფილიყო. თუმცა, სამწუხაროდ, დღემდე ამ დადგენილების რეალური შედეგები არ იგრძნობა.

ეკონომიკური რეფორმები არსებითად არ შეხებია კაპიტალური მშენებლობის დარგს. ბოლო წლებში თითქმის მთლიანად ჩაიშალა უმნიშვნელოვანესი ობიექტების საექსპლოატაციოდ ჩაბარების პროგრამა. მშენებლობაში მკვეთრად გაუარესდა წარმოების ორგანიზაცია, მოიშალა დისციპლინა, განადგურდა და განიავდა ტექნიკა. ასეთივე მდგომარეობაა ტრანსპორტზეც. პრივატიზაციის ლოზუნგით საზოგადოებრივი ტრანსპორტის დიდი ნაწილი მითვისებული და დატაცებულია. მოიშალა რკინიგზის, ტრანსპორტის მუშაობა. მცირდება ტვირთბრუნვისა და მგზავრთა გადაყვანის მოცულობა. მძიმე სიტუაცია შეიქმნა კავშირგაბმულობაშიც. მიმდინარე წლის განვლილი პერიოდის სტატისტიკა მეტყველებს, რომ მშენებლობისა და ტრანსპორტის კომპლექსში კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდა.

არასაწარმოო სფეროს დარგი, სადაც გარკვეული რეფორმა გატარდა, საბინაო მეურნეობაა, თუმცა ეს ღონისძიებაც არ იყო სათანადოდ გააზრებული. ბინების პრივატიზაცია მაშინდელი ხელისუფლების პოლიტიკური დივიდენდის მოპოვებით უფრო იყო ნასაზრდოები, ვიდრე ეკონომიკური და სოციალური ასპექტებით. დღეს ზუსტად არავინ იცის, რა შედეგები მოუტანა ამ ღონისძიებამ საზოგადოებას. ერთი კი ცხადია, მრავალი ბინის მფლობელსა და საქმოსანს გამდიდრების კიდევ ერთი წყარო გაუჩნდათ. ამასთან, ვერ მოხერხდა ბინების პრივატიზაციის სოციალ-ეკონომიკური შედეგების პროგნოზირება. ჩვენი აზრით, ეს ღონისძიება ნაჩქარევი და სათანადოდ გაუაზრებელი იყო. ნორმატივზე ზემოთ საბინაო ფართობის სახელმწიფოსაგან შესყიდვა არსებითად ხელს შეუწყობდა კრიზისული ბიუჯეტის გაჯანსაღებასა და მწვავე სოციალური პრობლემების გადაჭრას.

მატერიალური წარმოების დარგების ჩავარდნამ, ბუნებრივია, ვერ შექმნა საჭირო ეკონომიკური გარემო სოციალური ინფრასტრუქტურის დარგებში სარეფორმო სამუშაოებისათვის. მართალია, მიღებულ იქნა სამთავრობო გადაწყვეტილება თავისუფალი ვაჭრობის პრინციპების დასამკვიდრებლად, მაგრამ მან არსებითი პოზიტიური გავლენა ვერ მოახდინა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში. კომერციამ სპეკულაციის სახე მიიღო. ბიზნესმა ძირითადად ყიდვა-გაყიდვის სფეროში გადაინაცვლა. გაიზარდა არასახელმწიფოებრივი გზით საქონლის იმპორტი და ექსპორტი, რის შედეგად სავალუტო ამონაგების თითქმის მთელი მოცულობა დარჩა ეკონომიკის

„ჩრდილოვან" სექტორში, რომელიც არ მონაწილეობს საქართველოს ეკონომიკის აღდგენაში. დიდი რაოდენობის კაპიტალი, ფულადი და ნივთიერი ფორმით, გაედინება რესპუბლიკის გარეთ.

1992 წელს დროებითი მთავრობის მიერ მაკროეკონომიკური რეფორმების გატარების მიზნით მიღებულ იქნა დოკუმენტი — „საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური რეფორმების ძირითადი მიმართულებანი", რომლის პირველი ეტაპი განკუთვნილი იყო წინასაარჩევნო პერიოდისათვის და ითვალისწინებდა ეკონომიკური დაქვეითების პროცესის შეჩერებას, მართვის ინსტიტუციონალური და სამართლებრივი საფუძვლების შექმნას და სამეურნეო ცხოვრებაში ორგანიზაციული წესრიგის დამყარებას. ამ დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების მხოლოდ მცირე ნაწილი იქნა პრაქტიკულად რეალიზებული. მიღებულ იქნა ზოგიერთი ნორმატიული აქტი საბაზრო ურთიერთობათა დასამყარებლად, გადაიდგა რეალური ნაბიჯები საქართველოს ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკურ პროცესში ჩართვისათვის და სხვ. ამასთან, განუხორციელებელი დარჩა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები. ვერ დამყარდა სათანადო წესრიგი მოსახლეობის სასიცოცხლო დანიშნულების პროდუქტებზე ფასების სახელმწიფო რეგულირების საქმეში, ვერ უზრუნველყვეს რესპუბლიკა საჭირო რაოდენობის ფულადი ნიშნებით, ვერ მოხერხდა დროულად პრივატიზაციის დაწყება, ვერ შემუშავდა ეროვნული ფულის დაბეჭდვის ტექნიკური და მეთოდური წანამძღვრები, ვერ ჩატარდა საჭირო სამუშაოები საფინანსო-საბანკო სისტემის რეორგანიზაციის მიმართულებით, ვერ განხორციელდა სათანადო ტემპებით ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ათვისების სამუშაოები, საჭირო ყურადღების გარეშე დარჩა მოსახლეობის პროფესიული გადამზადების სისტემა და ა. შ. ყოველივე ზემოთქმულის მიზეზების ძებნა ძნელი არაა. მთავარი მათ შორის მაინც რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური დესტაბილიზაცია და მასობრივი უწესრიგობა იყო.

მეორე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც მიღებულ იქნა 1992 წელს მაკროეკონომიკური პოლიტიკის დარგში, იყო საწარმოთა პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამა. იგი ითვალისწინებდა 1992-1993 წლებში სავალდებულო წესით იმ საწარმოთა და ობიექტთა პრივატიზაციას, რომლებიც ყველაზე მეტ ზეგავლენას ახდენენ საბაზრო სტრუქტურების ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებაზე, აგრეთვე იმათი, რომლებიც არაეფექტიანი მუშაობით ხელს უშლიან ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანას. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით დაპირებული სამუშაოები არ შესრულებულა, რაც ძირითადად იმის შედეგია, რომ დროულად არ მომზადდა პრივატიზაციისათვის საჭირო საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები. ამის მიზეზი კი, ჩვენი აზრით, ისაა რომ, თავიდანვე არ იქნა სწორი კონცეფცია ჩადებული პრივატიზაციის პოლიტიკაში.

შეუძლებელი იყო პრივატიზაციის ხელოვნური, მექანიკური დაჩქარება ამიტომ პრივატიზაციის პირველმა ეტაპმა სპონტანური ხასიათი მიიღო, იგი თითქმის არალეგალური გზით წარიმართა და მასში მონაწილეობა მიიღო ძირითადად სახელმწიფო-ნომენკლატურულმა, ბიუროკრატიულმა აპარატმა, რომელმაც მაქსიმალურად გამოიყენა თავისი პრივილეგირებული მდგომარეობა, ქვეყანაში შექმნილი არასტაბილური სიტუაცია და ფარულად „მიისაკუთრა" სახელმწიფო ქონება. მრავალ სახელმწიფო სტრუქტურას ფორმალურად შეეცვალა დასახელება, მოინათლნენ კონცერნებად, ასოციაციებად და ა. შ.

1994 წლის პირველ ნახევარში საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის, მინისტრთა კაბინეტისა და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ერთობლივი მუშაობით დაიხვეწა და გამარტივდა ადრე მიღებული პრივატიზაციის ორგანიზაციული და სამართლებრივი დოკუმენტები. წინა პლანზე წამოიწია საპრივატიზაციო ობიექტებში მომუშავეთა ინტერესების დაცვამ, განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიექცა პრივატიზაციის შემდგომ პერიოდში ობიექტის ეფექტიან მუშაობას, მისი საქმიანობის მიზანმიმართულ სახელმწიფოებრივ რეგულირებასა და მართვის ეკონომიკური და სამართლებრივი ბერკეტების გამოყენებას. დღეისათვის შემუშავებულია საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა, შედგენილია მათი განსახელმწიფოებრიობის გრაფიკი და მომზადებულია ყველა მეთოდური მასალა პრივატიზაციის კვალიფიციურად ჩატარებისათვის. შედგენილია შესაბამისი, საპრივატიზაციო კომისიები, რომელთა საქმიან და კვალიფიციურ მუშაობაზე დიდადაა დამოკიდებული პრივატიზაციისა და, საერთოდ, ეკონომიკური გარდაქმნების პერსპექტივა.

1994 წლის ოქტომბრისათვის რესპუბლიკაში პრივატიზებულია 1529 ობიექტი, რეგისტრირებულია 330-მდე სააქციო საზოგადოება. ჩამოყალიბებულია პრივატიზაციის სპეციალიზებული (საბარათო) საინვესტიციო ფონდები, მიმდინარეობს მოსახლეობაზე ვაუჩერების გაცემა. როგორც ჩანს, ამ ბოლო დროს, პრივატიზაციის მიმართულებით გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი მეთოდური და ორგანიზებული პრობლემაა გადასაწყვეტი.

რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1993 წელს შემუშავდა და მიღებულ იქნა „საქართველოს რესპუბლიკაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების საშუალოვადიანი პროგრამა", რომელიც წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადაყვანის შედარებით სრულყოფილ დოკუმენტს. მასში ობიექტურად და დაუფარავადაა შეფასებული ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, გამოვლენილია რეფორმების განხორციელებისას წარმოქმნილი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები, გაანალიზებულია მაკროეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, შემუშავებულია ეკონომიკის

სტრუქტურული გარდაქმნებისა და სისტემატური ცვლილებების კონცეფტუალური წინადადებანი. ამასთან, დოკუმენტი მთელი რიგი ნაკლოვანებებითაც ხასიათდება. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ „პროგრამით" ნავარაუდევი იყო ქვეყნის კრიზისიდან 1-2 წელიწადში გამოყვანა, რაც, რა თქმა უნდა, არარეალური იყო და ეს განვლილმა პერიოდმაც დაადასტურა. რეფორმების ვადების განსაზღვრისას არ იყო გათვალისწინებული მაკროეკონომიკური მოვლენების შინაგანი ბუნება, მათი ინერციულ-გენეტიკური ხასიათი, ევოლუციურობა დინამიკასა და განვითარებაში. „პროგრამაში" სათანადო ასახვა ვერ პოვა ისეთმა მტკივნეულმა პრობლემებმა, როგორიცაა აღრიცხვის, ფინანსური კონტროლისა და სტატისტიკური ანგარიშგების აღდგენა-სრულყოფა, კადრების კვალიფიკაციის ამაღლება-გადამზადება და სხვ.

ეკონომიკური რეფორმების სრულყოფის მიმართულებით წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს 1993 წლის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატიური დაგეგმვის შესახებ". ეს რეფორმების სტრატეგიის ერთგვარი შემობრუნების მომასწავებელი დოკუმენტია. მომავალში ამ დადგენილების თანახმად სახელმწიფო ჩაერევა ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, როგორიცაა სოციალ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიისა და სტრუქტურული პოლიტიკის განსაზღვრა, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი სექტორის რეგულირება, მოსახლეობის სოციალური დაცვა და სახელმწიფო რეზერვების ფორმირება, ეკონომიკური პროცესების ანალიზი და პროგნოზირება, მატერიალური ნაკადების მოძრაობაში ოპტიმალურობის მიღწევა, საბიუჯეტო ასიგნებათა რაციონალური განაწილება, საფინანსო რესურსების რეგულირება და ა. შ.

ინდიკატიური დაგეგმვის ფარგლებშივე უნდა შედგეს რესპუბლიკის სოციალ-ეკონომიკური განვითარების ინერციულ-გენეტიკური და ნორმატიულ-აქტიური პროგნოზები, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი გახდება განვითარების აუცილებელი (სასურველი) ტრაექტორიების განსაზღვრა და დადგინდება ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, მათი რეალიზაციის გზები და საშუალებები. ინდიკატიური დაგეგმვის საშუალებით მოწესრიგდება ინფორმაცია კერძო სექტორის საწარმოო საქმიანობის შესახებ, და პირიქით, კერძო სექტორს მიეწოდება ინფორმაცია სახელმწიფო სექტორის შესაძლებლობებისა და საქმიანობის შესახებ, რითაც მოხდება საკუთრების სხვადასხვა ფორმაზე დაფუძნებული სამეურნეო სუბიექტთა საქმიანობის კოორდინაცია და რეგულირება.

რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს დაევალა ინდიკატიური გეგმების შემუშავების

ხელმძღვანელობისა და კოორდინაციის სამუშაოები. ამ კომპლექსურ სამუშაოში აქტიურად უნდა ჩაებას სხვა სამინისტროები და უწყებები, საწარმოები და ორგანიზაციები მათი საკუთრების ფორმების მიუხედავად, ამ სამუშაოს სჭირდება მეთოდური და ორგანიზაციული უზრუნველყოფა. საწყის ეტაპზე კი საჭიროა ინდიკატიური დაგეგმვის მეცნიერულად დასაბუთებული თეორიული საფუძვლების შემუშავება.

ასევე 1993 წელს შემუშავებულ იქნა სამთავრობო დოკუმენტი „საქართველოს რესპუბლიკის სოციალ-ეკონომიკური განვითარების პრინციპების შესახებ", რომელშიც ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე მოცემულია უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული მიმართულებები, შემუშავებულია ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის კონცეპტუალური საფუძვლები. დოკუმენტს წითელ ზოლად გასდევს სოციალ-ეკონომიკური პროცესების მართვაში სისტემური, კომპლექსური მიდგომის მოთხოვნა, რითაც უნდა იქნეს მიღწეული მაკროეკონომიკის, სეგმენტური, რეგიონული ეკონომიკისა და მიკროეკონომიკის ურთიერთშეხამებული და ოპტიმალური ფუნქციონირება. ასეთი მიდგომა წინგადადგმული ნაბიჯია, რადგან სხვა დანარჩენ სამთავრობო დოკუმენტებში აქცენტი ძირითადად აღებული იყო მხოლოდ მაკროეკონომიკაზე და სათანადო ყურადღების მიღმა რჩებოდა ეკონომიკის სხვა სფეროები.

„პრინციპებში" გამოკვეთილია შემდეგი ძირითადი პრობლემები: 1. ორიენტაცია აღებულია ისეთი საბაზრო ეკონომიკისაკენ, რომელიც დაეფუძნება საკუთრების შერეულ ფორმებს; 2. კურსი აღებულია მკაცრი საბიუჯეტო პოლიტიკისაკენ; 3. ინფლაციის შერბილების მიზნით საჭიროდაა მიჩნეული მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება და ფულის ემისიის შეჩერება; 4. საჭიროდაა მიჩნეული ისეთი სტრუქტურული ძვრების ჩატარება, რომლითაც ეროვნულ ეკონომიკაში მიღწეული იქნება კომპლექსურობა და მისი ავტონომიური ფუნქციონირების შესაძლებლობა; 5. ეკონომიკის მართვასა და რეგულირებაში სახელმწიფო როლის სათანადო დონეზე შენარჩუნება.

ამასთანავე, „პრინციპების" პროექტისათვის, ჩვენი აზრით, დამახასიათებელია მთელი რიგი არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები. სათანადო დონეზე არაა გამოკვეთილი „პრინციპების" მიზანი და ამოცანები, განუსაზღვრელია მათი რეალიზაციისთვის საჭირო ვადები, არაა გათვალისწინებული კადრების პროფესიონალიზმის პრობლემა, სათანადო ყურადღება არ ექცევა საფინანსო კონტროლის, აღრიცხვის და სტატისტიკური ანგარიშების საკითხებს, უყურადღებოდაა დატოვებული ინოვაციური პოლიტიკა, არაა სრულყოფილი საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის საკითხები, და ა. შ.

სამწუხაროდ, „პრინციპები" სათანადო ყურადღების მიღმა დარჩა მმართველი ხელისუფლების მიერ და იგი, შეიძლება ითქვას, თანდათანო-

ბით მივიწყებას მიეცა, თუმცა მასში მოყვანილი ზოგიერთი პრინციპული ხასიათის წინადადებები და რეკომენდაციები ცხოვრებაში რეალურად ფეხს მაინც იკიდებს.

რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ 1994 წელს შემუშავდა „საქართველოს რესპუბლიკაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის და სისტემური ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამა". იგი წარმოადგენს 1993 წელს მიღებული ანალოგიური დოკუმენტის ახალ, გადამუშავებულ ვარიანტს. ვინაიდან პროგრამის პირველი ვარიანტით გათვალისწინებული ღონისძიებები ვერ შესრულდა ქვეყანაში შექმნილი საომარი და კრიმინოგენული ვითარების გამო, საჭირო გახდა მასში კორექტივების შეტანა და საფუძვლიანი გადამუშავება. აღნიშნულ დოკუმენტში საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების რეკომენდაციათა საფუძველზე შემუშავებულია მაკროეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი, სტრუქტურული და სისტემური ცვლილებების მეთოდური და ორგანიზაციული საფუძვლები, სოციალური პოლიტიკის მიმდინარე და პერსპექტიული რეგულირების წინადადებები და რეკომენდაციები. რესპუბლიკაში შემუშავებულ სარეფორმო დოკუმენტებს შორის „ანტიკრიზისული პროგრამა" ყველაზე უფრო რეალურად ასახავს რესპუბლიკაში შექმნილ პოლიტიკურ და სოციალ-ეკონომიკურ სიტუაციას და სახავს კრიზისის დაძლევის კონკრეტულ გზებსა და მიმართულებებს.

უკანასკნელ 2-3 წლიწადში საქართველოში ეკონომიკური რეფორმების სრულყოფის პრობლემებზე არაერთი საყურადღებო წინადადებები და რეკომენდაციები შემუშავდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და სხვა ეკონომიკური ავტორიტეტული ინსტიტუტების მიერ. განსაკუთრებით დიდი შრომა გასწია ამ მიმართულებით საერთაშორისო სავალუტო ფონდმა. ამ ორგანიზაციის მისიათა თავდაპირველ რეკომენდაციებზე არ შევჩერდებით, რადგან ისინი თავის დროზე ვერ (არ) შესრულდა, რის გამოც გარკვეულ პერიოდში საერთაშორისო ორგანიზაციებმა თითქმის გაწყვიტეს კავშირი ჩვენს რესპუბლიკასთან.

საქართველოს მეთაურის ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელობასთან მისი შეხვედრის შემდეგ, საქართველოს 1994 წლის გაზაფხულზე, ეწვია სავალუტო ფონდის რიგით მეოთხე მისია, რომლის მიერ მომზადდა სადისკუსიო-საკონსულტაციო მემორანდუმი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანისა და საფინანსო-საკრედიტო სისტემის სრულყოფის მიმართულებით. განსხვავებით წინა მემორანდუმებისაგან, ეს უკანასკნელი ლაკონიური, საქმიანი და კონკრეტული დოკუმენტია, რომელშიც წარმოდგენილია 115 წინადადება.

საგალუტო ფონდის აღნიშნულ მისიას, ჩვენი აზრით, სწორად აქვს დაფიქსირებული საქართველოში ეკონომიკური კრიზისის გამომწვევი ძირითადი ფაქტორები, მაგალითად, ეკონომიკური კავშირების მოშლა, ომები, ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტი და პასიური საკრედიტო პოლიტიკა. ამასთან, ცხადია, რომ მისიას საქართველოს ეკონომიკის არასიღრმისეული ცოდნის გამო არ შეეძლო გამოეკვლინა კრიზისის გამომწვევი სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორები. მისიამ, დააფიქსირა რა საქართველოში ჩატარებული ეკონომიკური რეფორმების ზოგიერთი პოზიტიური მხარეები, ხაზი გაუსვა ეკონომიკური გარდაქმნების არაკომპლექსურობასა და არათანამიმდევრობას. მან საინტერესოდ ჩამოაყალიბა საქართველოში ეკონომიკური რეფორმების რეალიზაციის იერარქია, სადაც პირველ ადგილზეა დაყენებული თვიური ინფლაციის ერთნიშნა ციფრამდე დაყვანის აუცილებლობა, წარმოების დაცემის შეჩერება, ფინანსების გაჯანსაღება და ნაკლებად უზრუნველყოფილი მოსახლეობის სოციალური დაცვა.

დოკუმენტში წინა პლანზეა წამოწეული საბიუჯეტო პოლიტიკის რადიკალურად შეცვლის ამოცანა. ეს ნაკარნახევია იმით, რომ მისიის გაანგარიშებით 1993 წლისათვის საქართველოში სახელმწიფოს შემოსავალი მისი გასავლის მხოლოდ 6% შეადგენდა, რაც, უდავოდ, ძალზე საგანგაშო მაჩვენებელია. ამიტომ ნომერ პირველ ამოცანად მიჩნეულია ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება. ბიუჯეტის შემოსავლების გადიდების მიზნით მისიას მიაჩნია გადასახადების გადიდება (დამატებულ ღირებულებაზე 20%-მდე, საბაჟო ტარიფის – 12%-მდე, ბენზინზე აქციზის – 15%-მდე), რაც აშკარად ეწინააღმდეგება რესპუბლიკის პარლამენტის მიერ მიღებულ საგადასახადო კანონების მოთხოვნებს. უნდა აღვნიშნოთ. რომ ამ სტრიქონების ავტორები არაერთხელ გამოსულან აღნიშნული კანონების არასრულყოფილების შესახებ. მიგვაჩნია, რომ ამ მხრივ საგალუტო ფონდის რეკომენდაცია საყურადღებო და ანგარიშგასაწევია. აღნიშნული რეკომენდაციები 1995 წელს დაინერგა პრაქტიკაში. რაც შეეხება ბიუჯეტის გასავლების ნაწილს, აქ მისიამ საჭიროდ ჩათვალა პურზე, ელექტროენერგიასა და გაზზე სუბსიდიების მკვეთრი შემცირება, რაც ჩვენი აზრით, მისაღები იყო, რადგან ბიუჯეტის გასავლების თითქმის ნახევარი ამ პროდუქტების ფასსხვაობის დასაფარავად მიდიოდა და შესაბამისად ამძაფრებდა ინფლაციურ პროცესს. ამასთან, ჩვენი აზრით, ამ ღონისძიებათა გატარება მიზანშეწონილი იყო თანდათანობით, იტეგრაციის გზით და არა ერთბაშად, რათა მას ხელი არ შეეშალა ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის.

ზემოხსენებულ მისიას ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების მიზნით გადაუდებელ ამოცანად მიაჩნია სახელმწიფო საწარმოებისათვის საბიუჯეტო დაფინანსების შეწყვეტა და სახელმწიფო შეკვეთაზე სრული უარის

თქმა. რასაკვირველია, ეს ღონისძიებები პოზიტიურად იმოქმედებს ინფლაციურ პროცესებზე. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს ეკონომიკაში შექმნილი მწვავე კრიზისული სიტუაცია ჯერჯერობით ამის შესაძლებლობებს არ იძლევა. ამიტომ უფრო მიზანშეწონილია საუბარი ეკონომიკის საბიუჯეტო დაფინანსების არა მთლიანად შეწყვეტაზე, არამედ მის მნიშვნელოვან შემცირებასა და ეფექტიანობის ზრდაზე. რაც შეეხება სახელმწიფო შეკვეთას, იგი მისი ახალი საბაზრო შინაარსით ძალაში უნდა დარჩეს.

საველუტო ფონდის მეოთხე მისიის რჩევებიდან, ფულად-საკრედიტო სფეროში, ყურადსაღებია კრედიტების სანახევროდ მაინც პუქციონების წესით გაცემის პრაქტიკის დამკვიდრება, სარეზერვო მოთხოვნების აუცილებელი გატარება ყველა ბანკის მიმართ და მათი განაკვეთების დიფერენციაცია ადგილობრივ და უცხოურ ვალუტაში, ახალი ბანკების გახსნაზე დროებითი ლიცენზიების გაცემის შეჩერება და სხვ. განსაკუთრებით საყურადღებოა რეკომენდაცია საპროცენტო განაკვეთის დარეგულირების შესახებ. ჩვენში წესად დამკვიდრდა ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდნა. ჯერ იყო და ძალზე დაბალი პროცენტებით გაიცემოდა სესხი, შემდგომ მოხდა მათი ზედმეტად გაბერვა, რამაც გამოიწვია კაპიტალის დაბანდება სწრაფად მომგებიან დარგებში (ვაჭრობა, მომსახურება) და მოახდინა წარმოების იგნორირება. ამიტომაც დღის წესრიგში დგება ისეთი ოპტიმალური საპროცენტო განაკვეთის ფორმირების აუცილებლობა, რომელიც სტიმულს მისცემს წარმოების განვითარებას.

მისიამ საყურადღებო კონკრეტული წინადადებები წამოაყენა აგრეთვე ფასების, ხელფასების, პრივატიზაციის, სოციალური პოლიტიკის დარგებში. ამასთან, მისიის მიერ შემუშავებული მემორანდუმი ჩვენი აზრით, უნაკლო დოკუმენტი როდია. რიგი საკითხებისა სადისკუსიოა და ფრთხილ მიდგომას საჭიროებს.

შეიძლება ითქვას, რომ 1994 წლის მეორე ნახევრიდან საქართველოში რადიკალური ეკონომიკური რეფორმა დაიწყო. შედგენილია 12-თვიანი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ფასების დიდმასშტაბიან რეფორმას (ლიბერალიზაციას), ბიუჯეტის დეფიციტის საბანკო დაფინანსების შეწყვეტას, სახელმწიფო მმართველობითი აპარატის შემცირებას, ხელფასის ინდექსაციის გადასინჯვას ბიუჯეტის სასარგებლოდ და სხვ.

დაიწყო პროგრამის პრაქტიკული რეალიზაცია. 1994 წლის სექტემბრიდან დარეგულირდა ფასები პურზე, გაზზე, ელექტროენერგიასა და შიდასაქალაქო ტრანსპორტზე, რათა მათ მაქსიმალურად ასახონ წარმოებისა და განაწილების ღირებულება. განხორციელდა ხელფასების რეორგანიზაცია ისე, რომ გაიზარდა ფულადი ნომინალური შემოსავალი და დაეცა რეალური შემოსავლის დონე. ამასთან, მოხდა ხელფასის შე-

მოსავლებს შორის სხვაობის (კვალიფიკაციის შესაბამისად) მკვეთრი შემცირება. იწყება საბიუჯეტო პოლიტიკის ფართომასშტაბიანი ტრანსფორმაცია. საწარმოებს გაუუქმდათ ყველა სუბსიდია და ტრანსფერი, ჩატარდა სამუშაოები საგადასახადო შემოსულობათა გადიდების მიმართულებით, აგრეთვე კუპონებით ნაღდ და უნაღდო ანგარიშსწორებას შორის არსებული სხვაობის სალიკვიდაციოდ. პროგრამა ითვალისწინებს ასევე ეროვნული ბანკის საკუთარი წმინდა შინაგანი აქტივების ზრდის შეზღუდვას, ოვერდრაფტის მიხედვით კრედიტების ავტომატური გაცემის შეჩერებასა და ა. შ. გარდა ზემოხსენებულისა, გათვალისწინებულია მთელი რიგი ღონისძიებები სისტემურ გარდაქმნათა სრულყოფის მიმართულებით.

სამთავრობო პროგნოზი ცხადი და ცალსახაა. გატარებული ღონისძიებების შედეგად პროგრამის დაძლევისათვის (12 თვე) ინფლაციის თვიური ტემპები უნდა შემცირდეს ერთნიშნა რიცხვამდე. ჩვენი აზრით, აღებული კურსი სწორია. მიგვაჩნია, რომ ამ მიმართულებით რეფორმებმა დააგვიანა. მაგრამ, ამასთანავე, არის ნიუანსები, რომლებიც სიღრმისეულად არაა გააზრებული და რომელთა სოციალ-ეკონომიკური შედეგები შეიძლება არ აღმოჩნდეს ეფექტური.

ცნობილია, რომ ყოველ ეკონომიკურ რეფორმას პირველ ხანებში თან სდევს წარმოების მოცულობის დაცემა და მისგან გამომდინარე მთელი რიგი უარყოფითი კატაკლიზმები. ასეთ პირობებში ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს და აამოქმედოს მოსალონდელი არასასურველი ტენდენციების საწინააღმდეგო, მასტაბილიზებელი ღონისძიებები. მანამდე კი საჭიროა კომპლექსური პროგნოზების და შესაბამისი მიზნობრივი პროგრამების შედგენა. ამ მიმართულებით ჩატარებული სამუშაოები არასაკმარისია და დიდი ძალისხმევაა საჭირო, რათა წარმოების დაცემის პროცესმა არ შეარბილოს ანტიინფლაციურ სარეფორმო ღონისძიებათა ეფექტურობა.

საყურადღებოა კიდევ ერთი მომენტი. სარეფორმო პროგრამის თანახმად ფასების ლიბერალიზაციის პარალელურად ტარდება ხელფასების „მოწესრიგების" ღონისძიებანი. დასამალი როდია, რომ ხელფასების პოლიტიკა ამ შემთხვევაში მშრომელთა საზიანოდ და ბიუჯეტის სასარგებლოდ ტარდება. ფასები სტრატეგიულ პროდუქტებზე იზრდება 5-7 ათასჯერ, ხოლო ხელფასების — 15-20-ჯერ. ასეთი დიდი დაშორიშორება ფასებისა და ხელფასების ზრდის ტემპებს შორის წარმოშობს ახალ მწვავე პრობლემებს. ჯერ ერთი, პატიოსნად მშრომელთა და სოციალურად დაუცველთა ეკონომიკური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. ეს აშკარაა, რადგან მინიმალური სასიცოცხლო კალათის ღირებულება რამდენჯერმე აღემატება საშუალო ხელფასის სიდიდეს. ეჭვს გარეშეა, რომ დადგება მოსახლეობის დიდი ნაწილის (პენსიონერები, ინვალიდები,

უმუშევრები, ბიუჯეტური დაფინანსების მუშაკები და სხვ.) ფიზიკურად გადარჩენის პრობლემა. მეორე, პროგნოზებით მოსალოდნელია, რომ ფულადი შემოსავალი, უპირველეს ყოვლისა, მოხმარდება პურის შეძენას და სატრანსპორტო მომსახურებას, რის გამოც დღის წესრიგში მწვავედ დადგება კომუნალურ და სხვა მომსახურებაზე გადაუხდელობის პრობლემა. მსგავსად რუსეთის და სხვა ქვეყნებისა (სადაც ასეთ დიდ სხვაობას არ ჰქონია ადგილი ფასებსა და ხელფასებს შორის) არაა გამორიცხული ენერგორესურსების მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის წარმოიშვას გლობალური გადაუხდელობის პრობლემა.

თავის მხრივ, ხელისუფლება იძულებული გახდება არგადამხდელთა მიმართ მკაცრი ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული ღონისძიებები გაატაროს (ენერგომატარებლების იძულებით გამორთვა, ეკონომიკური და ადმინისტრაციული სანქციების გატარება და ა. შ.). ყოველივე ეს, რასაკვირველია, სასიკეთოდ არ იმოქმედებს საზოგადოებრივ სტაბილურობაზე. ვფიქრობთ, რომ აქედან გამოსავალი უნდა გამოიძებნოს. ჩვენი აზრით, უფრო მიზანშეწონილი იქნება ხელფასებისა და სხვა გასაცემლების დონის კორექტირება მათი გადიდების მიმართულებით. ხელფასებისა და ფასების მიმართებასთან კავშირში კიდევ არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემები წამოიჭრება მომავალში. მინიმალური და მაქსიმალური ხელფასის ერთმანეთთან მეტისმეტად დაახლოება პერსპექტივაში კვალიფიციური კადრების დაუინტერესებლობის და საქმისადმი გულის აცრუების მიზეზი შეიძლება გახდეს. უფრო მეტიც, არაა გამორიცხული, ამ პრობლემამ აიძულოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები მიატოვონ მათთვის საინტერესო საქმე და მიმართონ უფრო „სარფიან", არაპრესტიჟულ საქმიანობას. ამ მხრივ, ჩვენი აზრით, აუცილებელია უახლოეს მომავალში შრომის ანაზღაურების ბადისა და კოეფიციენტების გადასინჯვა. თუ ხელფასმა არ მიიღო მასტიმულირებელი ფუნქცია, დღის წესრიგში დადგება სარეფორმო გადაწყვეტილებათა პრაქტიკაში გატარებისა და პატიოსან და კვალიფიციურ შემსრულებელთა პრობლემა.

საქართველში ეკონომიკური რეფორმების სტრატეგიისა და ტაქტიკის ფორმირებაში უთუოდ დიდი ადგილი განეკუთვნება 1994 წლის შემოდგომაზე რესპუბლიკის მთავრობის მიერ შემუშავებულ დოკუმენტს „განცხადება ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ".[1] აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის სპეციალისტებთან ერთად და ითვალისწინებს ერთწლიან პერიოდს, რომლის დროსაც ნავარაუდევია მყარი პირობების შექმნა ეკონომიკური აღმავლობის დაწყებისათვის. აღნიშნულ პროგრამას სამი ძირითადი მიზანი

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 20-21 ოქტომბერი, 1994.

გააჩნია: საპროგრამო პერიოდის დამლევისათვის ინფლაციის თვიური ინდექსის 1 პროცენტამდე შემცირება; საქართველოს ეროვნული ბანკის ერთობლივი რეზერვების განმტკიცება; წარმოების დაცემის შეჩერება. ამასთანავე, პროგრამა ითვალისწინებს საგადასახადო-საბიუჯეტო უწყებების ინსტიტუციონალური სტრუქტურის სრულყოფას; ეროვნული ბანკის მოდერნიზაციას, სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაციას მისი მნიშვნელოვანი შემცირების გზით, სახელმწიფო შეკვეთების სისტემის ეტაპობრივ შეზღუდვას, სოციალური დაცვის სისტემის შექმნასა და ა. შ.

საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის ხაზით ერთწლიანი პროგრამის მიხედვით ნავარაუდევია სახელმწიფო საქმიანობის საბანკო დაფინანსების მინიმუმამდე დაყვანა, საბიუჯეტო სუბსიდიების გაუქმება და ყველა ხარჯის შემცირება, ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდა საგადასახადო პოლიტიკის რაციონალიზაციის გზით. აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად მთავრობამ 1994 წლის 7 სექტემბრიდან გაზარდა ყველა საშინაო ფასი გაზსა და ელექტროენერგიაზე, ხოლო ამავე წლის 17 სექტემბრიდან — პურზე. ასევე მინიმუმამდე იქნა დაყვანილი საზოგადოებრივი ტრანსპორტის სუბსიდირება ბიუჯეტის ხარჯზე, ხოლო პროგრამის ბოლო პერიოდისათვის გათვალისწინებულია მისი სრული გაუქმება. ხელფასის სისტემის ტრანსფორმაცია მოხდა ისე, რომ მინიმალური და მაქსიმალური ხელფასი არსებითად დაუახლოვდა ერთმანეთს. ერთწლიანი პროგრამით მკაცრი კონტროლი დაწესდა ხარჯებზე. მომზადდა იმ ხარჯების მუხლების ნუსხა, რომელიც უნდა შემცირდეს დაფინანსების დაგეგმილი მოცულობის უკმარისობის შემთხვევაში. ასევე გაიზარდა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის წყაროები. 1994 წლის 1 ნოემბრიდან დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი გაიზარდა 14-დან 20 პროცენტამდე. საბაჟო გადასახადი გაიზარდა 2-დან 12 პროცენტამდე, ბენზინზე აქციზი გაიზარდა 10-დან 15 პროცენტამდე. გაუქმდა გადასახადი პროდუქციაზე იმ ქვეყნებიდან, რომლებიც არ შედიან დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში. პროგრამის თანახმად ნავარაუდევია ადრე დაწესებული საგადასახადო შეღავათების გაუქმება, ეპჩრობისათვის გადასახადების განაკვეთის ინდექსირება ინფლაციის შესაბამისად, ჯარიმების გაზრდა საფინანსო და სამეურნეო კანონმდებლობათა დარღვევისათვის. მთავრობას განზრახული აქვს თავისი ვადაგასული საშინაო ვალი გადააქციოს უპროცენტო ობლიგაციებად. აგრეთვე გახსნას სახაზინო სამსახური (ეს უკანასკნელი უკვე ფუნქციონირებს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან).

აღნიშნული ერთწლიანი პროგრამით ფულად-საკრედიტო პოლიტიკის დარგში გათვალისწინებულია მთელი რიგი ღონისძიებების ჩატარება. გაუქმდა შეზღუდვა დეპოზიტების ნაღდ ფულად კონვერტაციაზე, აგრეთვე ბანკების ავტომატური უფლება თავიანთი საკორესპონდენტო

ანგარიშების მიხედვით ოვერდრაფტებზე. გათვალისწინებულია ეროვნული ბანკის სარეზერვო ფულის მატების შეზღუდვა, ეროვნული ბანკის სარეზერვო მოთხოვნის დაცვის გამკაცრება, ეროვნული ვალუტის შემოღებისათვის ტექნიკური სამუშაოების დაჩქარება.

პროგრამა საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის დარგში ითვალისწინებს უცხოური ვალუტის აუქციონების უფრო ხშირად ჩატარებას, კლირინგული შეთანხმებების ეტაპობრივ გაუქმებას, ლიცენზირების მოთხოვნის თანდათანობით შერბილებას, 8-პროცენტიანი საექსპორტო გადასახადების გაუქმებას, უცხოურ ვალუტაზე ამონაგების 32-პროცენტიანი აუცილებლად გაყიდვის წესის გაუქმებას. 1995 წლის ბოლოსათვის გათვალისწინებულია მთავრობის მიერ ურთიერთობათა დარეგულირება უცხოელ კრედიტორებთან ისე, რომ მიაღწიოს დაგროვილ ვადაგასულ დავალიანებათა რესტრუქტურიზაციას შეღავათიანი პირობებით, მოიზიდოს საერთაშორისო თანამეგობრობის რესურსები.

პროგრამით გათვალისწინებულია მთელი რიგი ღონისძიებების გატარება სტრუქტურული რეფორმების დარგში, რომელთა მიზანია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემსუბუქება, ეკონომიკური ზრდის მტკიცე საფუძვლის უზრუნველყოფა, უცხოელი ინვესტორებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. ამ მიზნების სარეალიზაციოდ ნავარაუდევია მთავრობის ჩარევის შემცირება ეკონომიკურ საქმიანობაში, ვაჭრობის რეფორმა, პრივატიზაციის დაჩქარება, საწარმოთა რეორგანიზაცია, ეფექტიანი ინსტიტუციური და სამართლებრივი ვითარების შექმნა. დაგეგმილი იყო აგრეთვე 1995 წლის მარტისათვის მოქმედი შუზღუდვების მოხსნა მიწის გაყიდვასა და საკუთრებაში გადაცემაზე. განზრახულია მცირე და დიდი პრივატიზაციის დაჩქარება, მოსახლეობისათვის ვაუჩერების გაცემა, რაც დააჩქარებს დიდი საწარმოების აქციონირების პროცესს. სახელმწიფოებრივი საქმიანობის რაციონალიზაციის მიზნით მოხდება სახელმწიფო აპარატის რეორგანიზაცია, რომელიც ითვალისწინებს შტატების შემცირებას 30 პროცენტით. 1995 წლისათვის სახელმწიფო შეკვეთის სისტემა გაუქმდება და ყველა სახელმწიფო შესყიდვა მოხდება საბაზრო პრინციპების სრული შესაბამისობით, მოხდება აღრიცხვისა და სტატისტიკის რეორგანიზაცია და სრულყოფა.

როგორც ვხედავთ, საქართველოში ეკონომიკურ რეფორმას უკვე აქვს ისტორია, რომელიც შეიძლება გარკვეულ განზოგადებას დაექვემდებაროს. ჩვენი აზრით, ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობის პროცესი შეიძლება პირობითად დაიყოს რამდენიმე პერიოდად. ჯერ კიდევ სოციალისტური წყობის დროს წამოწყებული ეკონომიკური გარდაქმნების და დაჩქარებული ზრდის კომპანიის პროცესს შეიძლება ვუწოდოთ გარდაქმნების ილუზიური პერიოდი. იგი მოიცავს დაახლოებით

1983-1990 წლებს. ამ დროის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა გზების გამონახვას არსებული წესწყობილების შესანარჩუნებლად და იძულებული შეიქმნა მთელ რიგ დათმობებზე წასულიყო. მაგრამ გატარებული სარეფორმო გადაწყვეტილებანი მარცხით დამთავრდა, რადგან ილუზია იყო სოციალიზმის პირობებში საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა. შემდეგი პერიოდია 1990 წლიდან 1994 წლის პირველ ნახევრამდე, რომელსაც შეიძლება ეწოდოს გარდაქმნების რიტორიკულ-ლოზუნგური ან კიდევ კონსერვატორული პერიოდი. ეს დრო საქართველოს ისტორიაში შევა, როგორც ნგრევისა და განადგურების პერიოდი. „მრგვალების" მიერ დაწყებული ლოზუნგური რეფორმა კვლავაც ლოზუნგის ფორმაში გააგრძელა ახალმა ხელისუფლებამ. დაახლოებით 1994 წლის მეორე ნახევრიდან საქართველოში იწყება ეკონომიკური რეფორმების ისეთი პერიოდი, რომელიც ძირითადად საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ სარეფორმო მოდელებს ეფუძნება. ამ პერიოდს, რომლის ხანგრძლივობის ვადა წინასწარ ძნელი დასადგენია, დღეისათვის შეიძლება ეწოდოს რეფორმების თერაპიული პერიოდი, რადგან ჩვენი ეკონომიკის გაჯანსაღების იმედი ჯერჯერობით უცხოეთზეა დამოკიდებული.

ამრიგად, უკანასკნელი 3-4 წლის განმავლობაში საქართველოში, ასე თუ ისე, მაინც გადაიდგა გარკვეული მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული ნაბიჯები ეკონომიკის საბაზრო რელსებზე გადაყვანის მიმართულებით. ხელისუფლების მიერ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან ერთად შემუშავებულია არაერთი საპროგრამო დოკუმენტი ეკონომიკური რეფორმების საკითხებზე. ნაწილი დასახული ღონისძიებებისა რეალიზებულია პრაქტიკაში, მეორე ნაწილი განუხორციელებელი დარჩა რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, რომელთა ანალიზი, შეფასება და განზოგადება, ჩვენი აზრით, აუცილებელია მომავალში სარეფორმო სამუშაოთა ოპერატიული რეალიზაციისათვის.

1.3. ეკონომიკური რეფორმების ხელშემშლელი ფაქტორები და პირობები

საქართველოში ეკონომიკური გარდაქმნების მიმართულებით დღემდე გატარებულ ღონისძიებებს აქვს თავისი პლუსები და მინუსები. შეიძლება ითქვას, რომ მთავარი პოზიტიური მხარე, რომელიც გამოიკვეთა ჩატარებული რეფორმებით, მდგომარეობს მოსახლეობის ფსიქოლოგიის გარდაქმნაში. გეგმიანი ეკონომიკის პირობებში მოსახლეობის ყველა ფენას, ასე თუ ისე, გარანტირებული ჰქონდა სასიცოცხლო მინიმუმი და შესაბამისად არ იყო დაინტერესება მაქსიმალურად მიმართულიყო მათი ფიზიკური და სულიერი პოტენციალი საზოგადოებრივი პროდუქტის შესაქმნელად. დამკვიდრებული წარმოების წესი არ აძლევდა სტიმულს ადამიანს გამოევლინა თავისი მაქსიმალური შესაძლებლობანი. მას შემდეგ, რაც გეგმიანი მეურნეობა დაინგრა და დაიწყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი, საზოგადოების ყველა ფენამ იგრძნო, რომ საჭიროა მათი ძალისხმევის მიმართვა საბაზრო ურთიერთობებში ჩასართველად, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში დღის წესრიგში დგება მათი ფიზიკური გადარჩენის პრობლემა. აქ საუბარია შრომისუნარიან მოსახლეობაზე. შესაბამისად მოსახლეობის ერთმა ნაწილმა გამოავლინა საოცარი უნარი და მიდრეკილება მეწარმეობრივი და კომერციული საქმიანობისადმი. სხვა საკითხია, რომ მათ არ შეექმნათ შესაბამისი ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო, მაგრამ მომავალში ამ პრობლემათა გადაწყვეტის კვალდაკვალ ქვეყანას ეყოლება მეწარმეობით დაინტერესებულ ადამიანთა საკმაოდ დიდი არმია, რაც საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის მყარი გარანტიაა. რაც შეეხება არაშრომისუნარიან მოსახლეობას — პენსიონრებს, ინვალიდებს, აგრეთვე მოსწავლე-ახალგაზრდობას და ა. შ მათში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ამ რთულმა პროცესმა შედარებით მეტი შეშფოთება და უკმაყოფილება გამოიწვია. ასეა თუ ისე, საზოგადოება ნელა, მაგრამ მაინც ეჩვევა ეკონომიკური გარდაქმნების ახალ კანონზომიერებებს და ეძებს გზებსა და მეთოდებს, რომ გამონახოს საკუთარი ადგილი. ეს უდავოდ ეკონომიკური გარდაქმნების პოზიტიურ მხარედ ითვლება.

ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, ამ ეტაპზე, ეკონომიკურმა რეფორმამ სასურველი სოციალ-ეკონომიკური შედეგები ვერ მოიტანა. ქვეყანაში გამეფდა ეკონომიკური კრიზისი და ქაოსი. იბადება ბუნებრივი კითხვა: რა ობიექტურმა და სუბიექტურმა მიზეზებმა განაპირობა ეკონომიკური კრიზისი და რა ფაქტორები უშლის ხელს ეკონომიკური რეფორმების ნორმალურად წარმართვას?

მართალია, ძნელია ეკონომიკური კრიზისის გამომწვევი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებისა და პირობების რაოდენობრივი გამოსახვა

და მათი იერარქიულობის პრინციპით დალაგება, მაგრამ ჩვენ შევეცდებით იმ ძირითადი მომენტების ლოგიკურ დასაბუთებას, რომლებიც ამუხრუჭებს ეკონომიკურ განვითარებას. ამასთან, ჩვენი აზრით, შესაძლებელია ერთმანეთისაგან გარკვეულწილად გამოცალკევდეს რეფორმის ხელშემშლელი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები, თუმცა ისინი ხშირ შემთხვევაში ერთმანეთშია გადაჯაჭვული და ურთიერთგანპირობებულია. მაგრამ გარკვევით შეიძლება ერთმანეთისაგან გამოცალკევდეს შეცდომები, რომლებიც დაშვებულ იქნა ეკონომიკური რეფორმების სტრატეგიაში, მათი ძირითადი მიმართულების განსაზღვრაში, და შეცდომები, რომლებმაც თავი იჩინეს ტაქტიკური ღონისძიებების ფორმირებისა და რეალიზაციის დროს. ასეთი მიდგომა მიზანშეწონილია იმის გამო, რომ მომავალში რეფორმების დროს თავიდან ავიცილოთ ის ფაქტორები, რომლებმაც ხელი შეუშალეს ეკონომიკურ გარდაქმნებს.

საქართველოში სოციალ-ეკონომიკური კრიზისის გამომწვევ და საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის დამმუხრუჭებელ მიზეზებს შორის უნდა გამოიყოს შემდეგი:

1. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საქართველოსათვის მისაღები მოდელის შერჩევის პრობლემა. ისტორიულად საბაზრო ეკონომიკის ორი მოდელია ცნობილი. პირველია კეინსიანური ტიპის საბაზრო მოდელები, რომლის თანახმად პრიორიტეტი ენიჭება წარმოების სფეროს, ეკონომიკის სახელმწიფოებრივ რეგულირებას. მეორე მოდელი ცნობილია მონეტარული თეორიიდან გამომდინარე, რომელიც ძირითადად მაკროეკონომიკის, ფინანსებისა და ფულად-საკრედიტო სისტემის რეგულირებაზეა დაფუძნებული. პირველი ორიენტირებულია ეკონომიკის ევოლუციური, ინერციულ-გენეტიკური გარდაქმნისაკენ, ხოლო მეორე გულისხმობს ახალ ეკონომიკურ ურთიერთობათა რევოლუციურ, ნახტომისებრ რეგულირებას. პრაქტიკაში დღეისათვის ორივე მოდელი გვხვდება. თითოეულ მათგანს აქვს თავისი უარყოფითი და დადებითი მხარეები. ამიტომ ამა თუ იმ ქვეყნისათვის საბაზრო მოდელის შერჩევისას უთუოდ უნდა გამახვილდეს ყურადღება იმაზე, თუ რამდენადაა შესაძლებელი ქვეყნის რეალური სიტუაციისათვის ზემოხსენებული საბაზრო მოდელების მორგება. იმ ქვეყანაში, სადაც სასტარტო ეკონომიკური ბაზა შედარებით ძლიერია და შერეული ეკონომიკის ფუნქციონირების გარკვეული ტრადიციები არსებობს, უფრო ეფექტურად მიიჩნევენ მონეტარიზმის თეორიაზე დაფუძნებული საბაზრო მოდელების გამოყენებას. ხოლო დაბალი სასტარტო დონის ქვეყნები, სადაც წარმოება დაცემის ტემპებით ხასიათდება და ქვეყნის ეკონომიკა ძირითადად შემოტანილ რესურსებზეა დაფუძნებული, უფრო მიზანშეწონილად თვლიან ეკონომიკური რეფორმების დაწყებას წარმოე-

ბის პროცესიდან. ეს პრინციპული საკითხია, რადგან სწორი სტრატეგიის არჩევა გადამწყვეტ როლს თამაშობს ეკონომიკის ' - პილიზაციასა და აღორძინებაში.

სამწუხაროდ, საქართველოში ისე განვითარდა პოლიტიკური მოვლენები, რომ ეკონომიკური გარდაქმნების სტრატეგიის შერჩევაზე (თუმცა ეს ჩვენზე ნაკლებად იყო დამოკიდებული) ფიქრის დროც კი არ დარჩა. ამიტომ გამოყენებულ იქნა ის საბაზრო მოდელი, რომელიც რუსეთმა საკუთარი ქვეყნისათვის აარჩია. როგორც ცნობილია, რუსეთი დაადგა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ე. წ. „შოკური თერაპიის" მოდელს, რომელმაც ყველაზე კლასიკური განვითარება, ამ ბოლო პერიოდში პოლონეთში მიიღო. რუსეთი მდიდარი რესურსებისა და დიდი საწარმოო პოტენციალის ქვეყანაა და მის ეკონომიკას, ასე თუ ისე, შედარებით მაინც შეუძლია ავტონომიური ფუნქციონირება. ამიტომ მათ მიერ შერჩეული მიდგომის უარყოფითი „ეფექტების" ნიველირება რუსეთს გარკვეულწილად საკუთარი ძალებით შეუძლია (ამჟამად რუსეთშიც იჩინა თავი კრიტიკამ შერჩეული მოდელის ოპტიმალურობის თვალსაზრისით და ხშირ შემთხვევაში იგი მცდარად არის შეფასებული), ხოლო საქართველოს და მის მსგავს ქვეყნებს, რომლებიც ძირითადად შემოტანილ ნედლეულზე და ენერგორესურსებზეა დაფუძნებული, როგორც უკვე განვლილმა პერიოდმა დაგვანახა, რევოლუციური, შოკური გზით ახალი ეკონომიკის დაჩქარებული ტემპით შექმნა არ შეუძლია. ჩვენი ქვეყნისათვის ყველაზე მისაღები ვარიანტი იყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის იმ მოდელის გამოყენება, რომელიც დაფუძნებულია განვითარების ევოლუციურ, თანდათანობით ტრაექტორიაზე და რომელშიც სახელმწიფოს როლი ეკონომიკის მართვაში არაა უგულებელყოფილი.

ამჟამად რეფორმების აღებული კურსის სტრატეგიული შეცვლა შეუძლებელია. საჭიროა მთელი ძალისხმევის წარმართვა, რათა შესაძლებლობის ფარგლებში შესრულდეს საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და სხვა კომპეტენტური ორგანიზაციების რეკომენდაციები, რათა ჩვენმა ქვეყანამ დროულად მიიღოს საჭირო საკრედიტო და ჰუმანიტარული დახმარება სახალხო მეურნეობის ასამუშავებლად.

2. იმპერიის დაშლის შედეგად ეკონომიკური კავშირების რღვევა. საქართველო ვიდი ათეული წლის მანძილზე ორგანულად იყო ინტეგრირებული სსრკ-ს ერთიან სახალხომეურნეობრივ კომპლექსში, საიდანაც რესპუბლიკა ძირითადად იღებდა სტრატეგიული დანიშნულების ნედლეულსა და ენერგომატარებლებს. საქართველოს სხვა რესპუბლიკებიდან შემოჰქონდა ნავთობის — 96%, ბუნებრივი გაზის — 100%, შავი ლითონების ნაგლინისა და ფოლადის მილების — 93%, ხე-ტყის — 80%, ხორცის — 40%, რძის — 75%, მარცვლეულის — 90%, შაქრის — 98%. რასაკვირველია, რესპუბლიკას გაჰქონდა სხვა ქვეყნებში და განსაკუთრე-

ბით ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში ჩაი, კონიაკი, ღვინო, ციტრუსები, მანგანუმი, ქიმიური პროდუქცია და სხვ. მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე არაა შეფასებული და ერთმანეთთან შეწონასწორებული რესპუბლიკაში შემოტანილი და რესპუბლიკიდან გატანილი პროდუქცია. აქ საუბარია არა მათ მოცულობასა და ღირებულებაზე (თუმცა საქართველო ძირითადად უარყოფითი საბალანსო სალდოთი ხასიათდებოდა მთელი რიგი წლების განმავლობაში), არამედ გატანილ-შემოტანილი პროდუქტების სტრატეგიულობის ხარისხზე. საერთოდ, მსოფლიო პრაქტიკაში სტრატეგიულ პროდუქტებად მიჩნეულია ის სახეობანი, რომლებზეც დამოკიდებულია ეკონომიკისა და მოსახლეობის სიცოცხლისუნარიანობის ფუნქციონირება, თუ ამ მხრივ მიეუდგებით შემოტანილ-გატანილ პროდუქტებს, დავინახავთ, რომ საქართველოს ძირითადად შემოაქვს სტრატეგიული პროდუქტები, რომელთა გარეშე შეუძლებელია ჩვენი მეურნეობის წარმართვა და მოსახლეობისათვის საჭირო სურსათის მიწოდება. ამასთან, გაგვაქვს არასტრატეგიული პროდუქტი, რომელთა გარეშე ეკონომიკას და მოსახლეობას არსებობა მაინც შეუძლია. მაგალითისათვის მოვიყვანთ, რომ პურის გარეშე არსებობა შეუძლებელია, ხოლო კონიაკი ადამიანის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისათვის აუცილებელი პროდუქტი არაა.. ამიტომ როდესაც ვამბობთ, რომ რესპუბლიკის სტრატეგიული პროდუქტებია ჩაი, ღვინო, თამბაქო და ა. შ. კლასიკური გაგებით ეს ასე არაა. ეს პროდუქტები ჩვენთვისაა სტრატეგიული, რადგან ისინი წარმოადგენენ რეალურად სტრატეგიული პროდუქტების (ხორბალი, გაზი, ნავთობი და ა. შ.) შემოტანის ან ბარტერული გაცვლის ობიექტს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს ინიციატივით (პოლიტიკური თუ ეკონომიკური თავისუფლების მოტივით) ტრადიციული ეკონომიკური კავშირების გაწყვეტა იყო უდიდესი შეცდომა.

3. ეკონომიკური გარდაქმნებისათვის საზოგადოების ფსიქოლოგიური მოუმზადებლობა. გეგმიანი მეურნეობის პირობებში საზოგადოებას გარანტირებული ჰქონდა სასიცოცხლო მინიმუმი. ამასთან, მოსახლეობა, საბჭოთა აგიტაციის მეშვეობით, ერთგვარად შეჩვეული იყო დამკვიდრებულ ეკონომიკურ ურთიერთობას. ამჯერად კი ყოველგვარი წინასწარი იდეოლოგიური ზემოქმედების გარეშე საზოგადოება უცბად დადგა ფაქტის წინაშე.. ერთი ხელის მოსმით დაინგრა ყოველივე მიღწეული და დაიწყო ახალ ეკონომიკურ ურთიერთობაზე გადასვლის პროცესი. ამან საზოგადოების ერთ ნაწილში და განსაკუთრებით კი სოციალურად ნაკლებად დაცულ ფენებში შიში გამოიწვია. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირველ ეტაპზე იგი ყოველგვარი ეკონომიკური გაჭირვების პანაცეად გამოცხადდა და არ იქნა გაცნობიერებული, რომ ბაზარს თა-

ვის დადებით მხარეებთან ერთად გააჩნია მთელი რიგი უარყოფითი თვისებები. სამწუხაროდ, საზოგადოების ერთი ნაწილი დღესაც არაა მომზადებული ფსიქოლოგიურად საბაზრო პირობებში ცხოვრებისათვის. რეფორმების პირველი ეტაპის ჩავარდნამ კიდევ უფრო გაზარდა სწრაფვა ძველისაკენ, გეგმიანი მეურნეობის აღორძინებისაკენ, რაც შედეგია იმისა, რომ მოსახლეობაში არ მიმდინარეობს მეცნიერული ახსნა-განმარტებითი სამუშაოები საბაზრო ურთიერთობათა ავკარგიანობაზე. ყოველივე ეს ერთგვარად აფერხებს წინსვლას და ყველა შრომისუნარიანი მოსახლეობის საბაზრო-მეწარმეობრივ ურთიერთობებში ჩაბმას.

4. სახელმწიფოს როლის იგნორირება ეკონომიკის რეგულირებასა და მართვაში. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საწყის ეტაპზე (და დღესაც) ბაზრის არსი სწორად არ იქნა გაგებული. ბევრს მიაჩნია, რომ ბაზარი თვითრეგულირებადია და ეკონომიკური პროცესების მართვაში სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს. ამგვარმა მცდარმა შეხედულებამ დიდი ზიანი მიაყენა (და აყენებს) ქვეყანას. სინამდვილეში მსოფლიოს ყველა საბაზრო ქვეყანაში მეტ-ნაკლებად სახელმწიფოს ეკუთვნის ეკონომიკის მარეგულირებელი როლი, რასაც ის ახერხებს სხვადასხვა ადმინისტრაციული და ეკონომიკური ბერკეტის კომპლექსური გამოყენებით, უპირველეს ყოვლისა კი, საფინანსო-საკრედიტო, საგადასახადო, სავალუტო, ფასწარმოქმნისა და სხვა მაკროეკონომიკური ბერკეტების საშუალებით. ამასთანავე, მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საბაზრო ეკონომიკის დასარეგულირებლად საჭიროა დაგეგმვის მექანიზმის გამოყენება, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად იწოდება (ინდიკატიური, ეკონომიკური, პროგრამულ-მიზნობრივი, სტრატეგიული დაგეგმვა და ა. შ.). იმ შემთხვევაში, როდესაც ამა თუ იმ ქვეყანაში კრიზისი იჩენს თავს, ინფლაცია მატულობს და უმუშევრობა იზრდება, ეკონომიკის მართვის ბერკეტებს სახელმწიფო მეტწილად საკუთარ ხელში იღებს, ხოლო როდესაც მიიღწევა შედარებითი სტაბილიზაცია, მეტი გასაქანი ეძლევა თავისუფალ საბაზრო სექტორს. ჩვენთან ყველაფერი პირიქით მოხდა. ქვეყანაში მძიმე კრიზისისა და პოლიტიკური შინააშლილობის დროს სახელმწიფომ ხელიდან გაუშვა ეკონომიკური რეგულირების ყველა ბერკეტი და ამის შესაბამისად საზოგადოებაში სრულმა ქაოსმა დაისადგურა.

5. ეკონომიკური გარდაქმნებისათვის საკანონმდებლო ბაზის მოუმზადებლობა. ამა თუ იმ ქვეყანაში დამკვიდრებული წარმოების წესის სრულყოფისათვის, უპირველეს ყოვლისა, გამოიყენება საკანონმდებლო გადაწყვეტილებანი, რომლებსაც ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების ორგანო ღებულობს. საქართველოში რეალურად გვაქვს საქმე არსებული წარმოების წესის რადიკალურ ტრანსფორმაციასთან, უფრო სწორად,

ახალი, ჩვენთვის დღემდე უცნობი წარმოების წესის დამკვიდრებასთან, რაც, ბუნებრივია, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების მომზადებას მოითხოვს.

უნდა აღინიშნოს, რომ რეფორმების საკანონმდებლო უზრუნველყოფის მხრივ პარლამენტის მუშაობა არადამაკმაყოფილებელია. დღემდე არაა მიღებული მთელი რიგი ეკონომიკური ხასიათის კანონები, რის გამოც კიდევ უფრო ღრმავდება განუკითხაობა სახალხო მეურნეობაში.

6. კადრების არაკომპეტენტურობა. სამწუხაროდ, კადრების „პროფესიონალიზმის" კრიტერიუმით გამოყენება ცხოვრებაში რეალურად ვერ გატარდა. ჯერ კიდევ ძალაშია კადრების არასწორად შერჩევის პრაქტიკა. ხელმძღვანელ მუშაკთა ერთმა ნაწილმა არათუ შეისწავლა ახალი საბაზრო ეკონომიკის კანონები, არამედ ძველი ტრადიციული მართვის მეთოდებსაც კი არ იცნობს, რის გამოც მთელ რიგ რთულ ეკონომიკურ უბნებზე მდგომარეობა კიდევ უფრო იძაბება. განსაკუთრებით გაუფასურდა ეკონომიკური ცოდნა. არცთუ იშვიათად, მაღალ თანამდებობებზე ინიშნებიან არაპროფესიონალები, რომელთაც აკლიათ მასშტაბური ხედვა და ეკონომიკურ მოვლენათა გლობალური ანალიზის უნარი. უფრო რთული მდგომარეობაა მართვის საშუალო რგოლებში. საქმე იმაშია, რომ ადრე დაგროვილი ცოდნა, რომელიც ეფუძნებოდა სოციალისტური წარმოების წესს, ამორტიზებული აღმოჩნდა, ხოლო ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტებისათვის ახალი ცოდნის მიღების სახელმწიფო მექანიზმი მოშლილია.

7. არასპეციალისტთა ჩარევა ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში. ბოლო 4-5 წლის განმავლობაში ეკონომიკური რეფორმა მოდური თემა გახდა. გარდა წამყვანი ეკონომისტებისა, მასზე წერენ და ხმამაღლა საუბრობენ სხვა დარგის სპეციალისტები — მწერლები, ხელოვნების მუშაკები, ჟურნალისტები და ა. შ. ყველას აქვს საკუთარი „კომპეტენტური" აზრი რეფორმების სრულყოფის საკითხებზე. განსაკუთრებით აქტიურობენ პოლიტიკური პარტიები და საპარლამენტო ფრაქციები, როცა საკითხი შეეხება რთულ და მკვეთრად გამოხატულ სპეციფიკურ ეკონომიკურ პრობლემებს. ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების და ქვეყნის საბაზრო ურთიერთობებზე გადაყვანის ძირეული პრობლემების გადაწყვეტა უნდა მივანდოთ პროფესიონალებს, ამ საქმის პრაქტიკის და თეორიის მცოდნე მუშაკებს, ეკონომისტებს და იურისტებს, ბიზნესმენებს და ა. შ. ეკონომიკა საზოგადოებრივი საქმიანობის მეტად რთული და მრავალწახნაგოვანი უბანია და იგი ღრმა თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ გამოცდილებას მოითხოვს.

8. არასწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება. როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში ეკონომიკური რეფორმებისათვის გამოყენებულ იქნა რუსული მოდელი, რომელიც, თავის მხრივ, „შოკური

თერაპიის" ცნობილ მიდგომას ეფუძნებოდა. ვიმეორებთ, რომ ასეთი გზის არჩევა იძულებითი იყო, რადგან ჩვენი ქვეყანა იმყოფებოდა სამანეთო სივრცეში და მას საწყის ეტაპზე არ შეეძლო ავტონომიური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება და შესაბამისად რეფორმების სხვა მიმართულებით წარმართვა. მაგრამ, საქართველომ, რომელიც თითქმის ზუსტად იმეორებდა (თუმცა დაგვიანებით) რუსული რეფორმების ყველა ნიუანსს, უცბად მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც ეწინააღმდეგებოდა არა მარტო რუსულ მოდელს, არამედ, საერთოდ, ნორმალურ ეკონომიკურ ქცევას. საუბარია ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე, რომელიც რუსული მოდელით მკაცრ მიდგომას ითვალისწინებდა, ხოლო ქართული ვარიანტით არჩეულ იქნა ზელიბერალური მიდგომა. საქართველოში სხვადასხვა მოტივით და მეტწილად ,,გამოზამთრების" ლოზუნგით დაიწყო ,,ჰაერიდან აღებული" მილიარდობით კრედიტების გაცემა, რაც აშკარად ეწინააღმდეგებოდა აღებულ სარეფორმო კურსს.

აღნიშნული მიმართულებიდან გადახვევამ რუსეთი გააღიზიანა და მან საქართველოს მიმართ მიიღო მკაცრი სანქციები და შეწყვიტა ფულის ნიშნების გამოყოფა. საქართველოს არასწორმა პოზიციამ ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში მიგვიყვანა იქამდე, რომ რუსეთმა დროზე ადრე ,,გამორგვაგდო" სამანეთო სივრციდან. ამას მოჰყვა ქართული კუპონის სასწრაფოდ დაბეჭდვა. რასაკვირველია, ეროვნული ვალუტის შემოსაღებად ჩვენი ქვეყანა მზად არ იყო. წარმოების ტემპები ეცემოდა, მიწოდება-მოთხოვნას შორის უზარმაზარი განსხვავება არსებობდა, არ იყო შექმნილი სავალუტო რეზერვი და ა. შ. ყოველივე ამან სწრაფად გაუხსნა გზა ინფლაციური პროცესების დაჩქარებას. მაგრამ ყველაზე უფრო დამანგრეველი აღმოჩნდა ლიბერალური საკრედიტო პოლიტიკის გაღრმავება და ფულით ვაჭრობის ჩრდილოვანი ბაზრის ფორმირება, რამაც ინფლაცია ჰიპერინფლაციაში გადაზარდა. სამწუხაროდ, დამღუპველ ლიბერალურ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას დამცველები აღმოუჩნდა ხელისუფლების ზოგიერთ წრეებში, თუმცა შემდგომ პერიოდში მდგომარეობა ამ მიმართულებით თანდათანობით გამოსწორდა.

9. არასწორი საგადასახადო პოლიტიკა. საბაზრო ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკის უცოდინარობამ და ამ საქმეში არაკომპეტენტურმა მიდგომამ შექმნა აზრი იმის შესახებ, თითქოს საბაზრო ურთიერთობებზე ეკონომიკის გადაყვანის დამმუხრუჭებელ ფაქტორს შეადგენს მკაცრი საგადასახადო პოლიტიკა. ეს თეზისი აღებულ იქნა სრულფასოვანი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების პრაქტიკიდან, სადაც ლიბერალური ბეგარა წარმოების ზრდის მნიშვნელოვან სტიმულატორს წარმოადგენს. საქართველოში კი, რომელიც შორს დგას სრულფასოვანი საბაზრო ურთიერთობებიდან, უცხოეთის გამოცდილების ექსპერტიზის გარეშე მექანიკური დანერგვა მხოლოდ ზიანის მომტანია. ეს პრაქტიკა-

მაც დაადასტურა. რესპუბლიკის ეროვნული ბიუჯეტის შემოსავლის ფორმირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს – დამატებულ ღირებულებაზე გადასახადის განახევრებამ წარმოების აღორძინებასა და განვითარებას ხელი ვერ შეუწყო. სამაგიეროდ, მან უფრო დეფიციტური და ღარიბი გახადა ეროვნული ბიუჯეტი.

გარდამავალ პერიოდში, ვიდრე ეკონომიკა კრიზისულ სიტუაციაშია და წარმოების საშუალებები სახელმწიფო საკუთრებაშია, მიზანშეწონილია ისეთი საგადასახადო პოლიტიკის გატარება, რომელიც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს ქვეყნის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის საჭირო დონემდე ფორმირებას, და მეორე მხრივ, იმავდროულად ხელს არ შეუშლის სამეწარმეო ინიციატივის აქტივიზაციას. უფრო სწორად, საჭიროა ლიბერალური და მკაცრი საგადასახადო პოლიტიკის მიჯნაზე ისეთი ზომიერი საგადასახადო სისტემის ფორმირება, რომელიც შექმნის საჭირო ეკონომიკურ გარემოს მეურნეობის კრიზისიდან გამოყვანისა და სტაბილიზაციისათვის. დღევანდელ პირობებში ამ ორი ალტერნატიული საგადასახადო პოლიტიკიდან ერთის ცალსახად გატარება ქვეყნისათვის არ შეიძლება ეფექტური იყოს.

კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისათვის საგადასახადო განაკვეთების მეტისმეტი შემცირება მხოლოდ საზიანოა ეროვნული ეკონომიკის ინტერესებისათვის და იგი ვიწრო ჯგუფური ინტერესების გამომხატველია. აქ არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკებიდან ამ ბოლო დრომდე საქართველოში ყველაზე დაბალი იყო საგადასახადო განაკვეთები და ისიც, იმ პირობებში, როდესაც საქართველო თითქმის ყველაზე მწვავე ეკონომიკურ კრიზისში იმყოფება. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები საქართველოში საგადასახადო სისტემას ზედმეტად ლიბერალურად მიიჩნევენ და გვირჩევენ მის უფრო გამკაცრებას. ამ მიმართულებით ბოლო პერიოდში მდგომარეობას გაუმჯობესების ტენდენცია აქვს.

10. ეროვნული მეცნიერული პოტენციალის იგნორირება. ეკონომიკური კრიზისის გაღრმავებასა და სამეურნეო რეფორმების ჩატარების გაჭიანურებაში გარკვეული „ბრალი" მიუძღვის მეცნიერებას და მათ შორის განსაკუთრებით ეკონომიკურ მეცნიერებას. უდავოა, რომ ეკონომიკური მეცნიერება მოუმზადებელი შეხვდა საბაზრო ურთიერთობათა მოთხოვნებს. მაგრამ რესპუბლიკაში საკმაოდ პროგრესული ეკონომიკურ-მეცნიერული პოტენციალია, რომლის გამოყენება ეკონომიკურ გარდაქმნათა იდეოლოგიურ უზრუნველყოფაში უთუოდ დიდი ეფექტს მოგვცემდა. სამწუხაროდ, პროგრესულად მოაზროვნე მეცნიერები ყურადღების მიღმა დარჩნენ, ხოლო არენაზე, ცალკეული გამონაკლისების გარდა, პოლიტიკურ დივიდენდებს გამოკიდებული მეც-

ნიერ-ეკონომისტები გამოვიდნენ, რომელთა პოპულარობა მიტინგებსა და საგაზეთო სტატიებზე იყო დაფუძნებული.

რესპუბლიკის მმართველ წრეებში ჩამოყალიბებულია არასწორი აზრი ეკონომიკური მეცნიერული პოტენციალის შესახებ, რის გამოც ძირითადი კურსი აღებულია ექსპერტთა მოზიდვაზე მსოფლიო სავალუტო ფონდიდან, ევროგაერთიანებიდან და სხვა ორგანიზაციებისა და ქვეყნებიდან. რასაკვირველია, მათი რჩევები და რეკომენდაციები სასარგებლოა, მაგრამ რეალიზაცია უნდა განხორციელდეს მკაცრი ექსპერტიზისა და ფილტრაციის შემდგომ. ეს განპირობებულია იმით, რომ მათი ცოდნა და გამოცდილება დაგროვილია სრულფასოვანი საბაზრო ეკონომიკის პირობებში, რაც მათ საშუალებას ვერ მისცემს ღრმად ჩასწვდნენ ჩვენ გარდამავალ ეტაპზე მყოფ ეკონომიკის შინაარსს. ვფიქრობთ, რომ ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი იქნებოდა რესპუბლიკის წამყვანი მეცნიერ-ეკონომისტებისაგან შეიქმნას საკონსულტაციო საბჭო მთავრობის დონეზე, რომელიც თავის თავზე აიღებდა სამეურნეო რეფორმის პოლიტიკის ფორმირებისა და პროგნოზირების მეცნიერულ უზრუნველყოფას.

11. საფინანსო-სამეურნეო კონტროლის, აღრიცხვისა და სტატისტიკური ანგარიშგების მოშლა. ჩვენთან რეფორმების საწყის ეტაპზე ჩამოყალიდა სპეციალისტებისა და ხელისუფლების არასწორი შეხედულება სამეურნეო კონტროლზე. საბაზრო ეკონომიკის პირობებში კურსი აღებულ იქნა კონტროლის ფუნქციების შესუსტებისაკენ.

ამის გამო სახელმწიფომ ფაქტობრივად დაკარგა საკუთრების მართვისა და კონტროლის უფლებები, რამაც მიგვიყვანა სახელმწიფო ქონების დატაცებასა და განიავებადმე. არადა, საზღვარგარეთის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საფინანსო-სამეურნეო კონტროლი საბაზრო ურთიერთობათა ორგანული შემადგენელი ნაწილია და მისი შესუსტება ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის მეტად საშიშია. საკუთრების მრავალფეროვნება დღის წესრიგში აყენებს სახელმწიფო კონტროლის პარალელურად არასახელმწიფო სააუდიტო კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობას, რასაც საქართველოში, სამწუხაროდ, შესაბამისი გასაქანი არ მიეცა.

ამავე დროს, სრულიად მოიშალა საბუღალტრო აღრიცხვა, მისმა მექანიკურმა გამარტივებამ და საბალანსო ანგარიშგების მოშლამ სრული ქაოსი და განუკითხაობა შეიტანა სახელმწიფო ბუღალტერიაში. დღეისათვის უმძიმესი მდგომარეობაა სტატისტიკის სფეროშიც. არათუ კომერციული სექტორი, არამედ სახელმწიფო საწარმოები და დაწესებულებები გაურბიან სტატისტიკურ ანგარიშგებას. სახელმწიფო და რეგიონულ დონეზე შეწყდა საანალიზო, მიმოხილვითი მოხსენებითი ბარათების მომზადების პრაქტიკა. რესპუბლიკური სტატისტიკა სა-

თანადოდ ვერ ფლობს ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ზუსტ ინფორმაციას.

12. დაპირისპირება საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის. განვლილი პერიოდის მანძილზე კონფრონტაციულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ ერთმანეთთან რესპუბლიკის პარლამენტი და მინისტრთა კაბინეტი. არ არის მკაცრად გამიჯნული მათი უფლება-მოვალეობანი. ადგილი აქვს მეურნეობრივი დესტაბილიზაციის მიზეზების ურთიერთგადაბრალებას. სუსტია მომთხოვნელობა, კანონისადმი უპატივცემლობა, რის გამოც ზარალდება სახალხო მეურნეობა და საზოგადოება.

13. საომარი მოქმედებანი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად. სამოქალაქო კონფლიქტები. საქართველოში გეგმიანი მეურნეობის რღვევა და საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა დაემთხვა საომარ მოქმედებებს, ერთი მხრივ, წარმოებულს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად და, მეორე მხრივ, სამოქალაქო შეიარაღებულ კონფლიქტებს. ბუნებრივია, ამ პერიოდში ხელისუფლების მთელი საქმიანობა მიმართული იყო აღნიშნული კონფლიქტების დაძლევისაკენ და სამეურნეო გარდაქმნებს საჭირო ყურადღება არ ექცეოდა. გარდა ამისა, ომი, როგორც ცნობილია, მოითხოვს დიდ ფინანსურ და მატერიალურ სახსრებს, რაც მძიმე ტვირთად დააწვა ისედაც კრიზისში მყოფ ქვეყანას.

14. კრიმინოგენური სიტუაციის გამწვავება, ყაჩაღობა, საბოტაჟი, ჭურდობა და ა. შ. პოლიტიკურ დაპირისპირების შუქზე ქვეყანაში აღმოცენდა მრავალი სხვადასხვა შეიარაღებული დაჯგუფება. ამას, თავის მხრივ, ომმაც შეუწყო ხელი. შექმნილი მძიმე სიტუაციის გამო ხელისუფლებას არ ჰქონდა საშუალება მიეღო მკაცრი ზომები კანონიერების დასამყარებლად. ამის გამო ქვეყანაში იმძლავრეს კრიმინალურმა ძალებმა, ეკონომიკა ტყვეობაში აღმოჩნდა. მასიური სახე მიიღო სახელმწიფო ქონების დატაცებამ, განსაკუთრებით პრივატიზაციის ლოზუნგით. ადგილი ჰქონდა პოლიტიკურ შეხედულებათა დაპირისპირების ნიადაგზე საბოტაჟის შემთხვევებს. ყველაფერმა ამან გარკვეულწილად შეაფერხა ეკონომიკური გარდაქმნები, გააუარესა პოლიტიკური გარემო უცხოურ ინვესტორთა მოსაზიდად.

გარდა ზემოაღნიშნულისა, არის კიდევ მთელი რიგი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები, რომლებიც ამუხრუჭებენ ეკონომიკურ რეფორმებს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ 1994 წლის მეორე ნახევრიდან ეკონომიკური რეფორმების ხელშემშლელმა მთელმა რიგმა ფაქტორებმა შესუსტება იწყო, იკვეთება შედარებით უკეთესი პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური გარემო სამეურნეო რეფორმათა უფრო ოპტიმალურად და მიზანმიმართულად წარმართვისათვის.

I.4.რეფორმების პირველი ეტაპის ეკონომიკური და სოციალური შედეგები

ეკონომიკური რეფორმების საწყისი ეტაპი განსაკუთრებით უმძიმესი აღმოჩნდა საქართველოს სახალხო მეურნეობის ისტორიაში. მდგომარეობა გაუარესდა მეურნეობის თითქმის ყველა სფეროში. 1992 წელს 1991 წელთან შედარებით მთლიანმა შიდა პროდუქტმა შეადგინა 60 პროცენტი, წარმოებულმა ეროვნულმა შემოსავალმა — 55, ხოლო სამრეწველო პროდუქციის (სამუშაოს მომსახურების) მოცულობამ შესადარ საბითუმო ფასებში დაახლოებით — 54 პროცენტი. წარმოებული ეროვნული შემოსავლის 45 პროცენტით და მთლიანი შიდა პროდუქტის 40 პროცენტით შემცირება განპირობებული იყო წარმოების ტემპების დაცემით მრეწველობაში დაახლოებით — 48, სოფლის მეურნეობაში — 32, მშენებლობაში — 25 პროცენტით.

1991-1992 წლებში დაწყებული ეკონომიკის მოშლა კიდევ უფრო გაღრმავდა 1993 წელს, გრძელდებოდა წარმოების დაცემა ეკონომიკის ყველა დარგში, ხოლო მშენებლობამ საერთოდ შეწყვიტა ფუნქციონირება.

საქართველოში წარმოებული წმინდა მატერიალური პროდუქტის დინამიკა 1989-1993 წლებისათვის ნაჩვენებია მე-6 ცხრილში. როგორც ანალიზიდან ჩანს, ამ პერიოდში მატერიალური პროდუქტის წარმოების მოცულობა ყოველწლიურად ეცემოდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. განსაკუთრებით კი მძიმე აღმოჩნდა 1992, 1993 და 1994 წლები.

წმინდა მატერიალური პროდუქტის მოცულობა 1990 წელს შემცირდა 1989 წელთან შედარებით 4,8 პროცენტით, ხოლო 1993 წელს 1992 წელთან მიმართებაში — 40 პროცენტით. მრეწველობაში შესაბამისად შემცირებამ შეადგინა 7 და 21 პროცენტი, მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში — 24 და 42 პროცენტი, მშენებლობაში — 2 და 95 პროცენტი, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში — 2 და 30 პროცენტი, ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში — 1 და 71 პროცენტი, მატერიალური წარმოების სხვა დარგებში — 61 და 11 პროცენტი. აქედან ნათლად ჩანს, რომ ეკონომიკური გარდაქმნების განვლილ ეტაპზე კრიზისი თანდათანობით ღრმავდებოდა და მან 1993-1994 წლებისათვის კატასტროფული სახე მიიღო.

საყურადღებოა, რომ ეკონომიკური რეფორმების განვლილ პერიოდში სერიოზული ტრანსფორმაცია განიცადა მატერიალური პროდუქტის წარმოების სტრუქტურამ. მაგალითად, თუ 1989 წელს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის დარგებში წარმოებული წმინდა პროდუქტის ხვედრითი წილი მთლიანად ქვეყანაში წარმოებული ამ მაჩვენებლის 20 პროცენტს შეადგენდა, 1993 წლისათვის იგი გაიზარდა 46 პროცენტამდე.

მრეწველობაში არსებითი ძვრები არ მომხდარა (შესაბამისად 44 და 43 პროცენტი). რაც შეეხება მშენებლობას, მისი ხვედრითი წილი 1993 წელს შეადგენდა 1,2 პროცენტს, ნაცვლად 14,6 პროცენტისა 1989 წელს. ასევე დაეცა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების დარგებში წარმოებული წმინდა მატერიალური პროდუქტის ხვედრითი წილი. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ რესპუბლიკის ეკონომიკა გარდამავალ პერიოდში უპირატესად მიმართული იყო აგრარული სექტორისაკენ და ტრადიციული სამრეწველო დარგები განიცდიდა დაქვეითებას.

ცხრილი № 6

წარმოებული წმინდა მატერიალური პროდუქტის დინამიკა საქართველოში

(მილიონ მანეთებში 1990 წლის შასებით)[1]

სექტორები	1989	1990	1991	1992	1993
1	2	3	4	5	6
წმინდა მატერიალური პროდუქტი	12408	10866	8633	4948	3011
მიწათმოქმედება და მეცხოველეობა	2501	4046	3616	2379	1390
მრეწველობა	5421	3800	2874	1630	1287
მშენებლობა	1807	1194	765	497	37
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	565	532	351	146	102
ვაჭრობა და საზოგადოებრივი კვება	748	613	518	111	32
მატერიალური წარმოების სხვა დარგები	1361	681	509	185	163

გარდამავალ პერიოდში არსებითი ცვლილებები განიცადა წმინდა მატერიალური პროდუქტის გამოყენების სტრუქტურამ. თუ 1989 წელს მთლიანად წარმოებული მატერიალური პროდუქტიდან მოხმარებაზე მოდიოდა 80 პროცენტი და დაგროვებაზე 17 პროცენტი, 1993 წელს წარმოებული მთელი პროდუქტი (100%) წარიმართა მოხმარებაზე,

[1] ცხრილი შეღგენილია საერთაშორისო საველუტო ფონდისა და საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის მასალების საფუძველზე.

ხოლო დაგროვება მინუსოვანი ნიშნით იქნა წარმოდგენილი. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ რეფორმების საწყის ეტაპზე საქართველოს ეკონომიკამ საერთოდ ვერ შეძლო წარმოების გაფართოებისა და განვითარებისათვის უმნიშვნელო რაოდენობის ეკონომიკური პოტენციალის შექმნა და დაგროვება. რასაკვირველია, აღნიშნული სიტუაცია უარყოფით გავლენას მოახდენს ქვეყნის ეკონომიკის შემდგომ გაჯანსაღებაზე.

ქვეყნის ინდუსტრიული პოტენციის მკვეთრ შესუსტებაზე მიუთითებს აგრეთვე ძირითად ფონდებში ინვესტიციების შემცირების არნახული ტენდენცია. ქვეყნის სახალხო მეურნეობაში 1989 წელს ძირითად ფონდებში ინვესტიცია შემცირდა 1,2 პროცენტით, 1990 წელს — 14,4, 1991 წელს — 47,3 და 1992 წელს — 61,6 პროცენტით. ცვლილებები მატერიალური წარმოების სფეროში შესაბამისი წლების მიხედვით პროცენტებში შეადგენდა — 5,2; — 13,0; — 68,8; — 67,1 პროცენტს; ხოლო არასაწარმოო სფეროში — 7,3; — 17,2; — 4,4; — 58,0 პროცენტს. ამრიგად, როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური სფერო აღნიშნულ პერიოდში არ იესებოდა ახალი ძირითადი ფონდებით და ადგილი ჰქონდა მხოლოდ არსებულის მწყობრიდან გასვლას. საყურადღებოა ისიც, რომ უარყოფითი ტენდენცია მიიღო ძირითად ფონდებში ინვესტიციების სტრუქტურამ. მაგალითად, თუ 1989 წელს მატერიალური წარმოების სფეროში ძირითად ფონდებში ინვესტიციებმა პროცენტულად მთელ სახალხო მეურნეობასთან შეადგინა 65,5 პროცენტი, 1992 წლისათვის იგი შემცირდა 33,8 პროცენტამდე, ხოლო არასაწარმოო სფეროში შესაბამისად შეადგინა 34,5 და 66,2 პროცენტი. ყოველივე ეს ერთხელ კიდევ მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნულ პერიოდში ქვეყნის საწარმოო პოტენციალი მეტწილად მატერიალური წარმოების სფეროში ეცემოდა, რაც თავის უარყოფით შედეგებს უთუოდ გამოავლენს შემდგომ წლებში, თუ ამ მიმართულებით არ იქნა გადამჭრელი ზომები მიღებული.

საქართველოში მრეწველობა სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს მსხვილ დარგს შეადგენს. სამწუხაროდ, რეფორმების პირველ ეტაპზე აღნიშნული დარგი თითქმის მთლიანად მოიშალა (იხ. ცხრილში № 7).

გარდამავალ პერიოდში მრეწველობაში წამყვანი როლი ეჭირა სახელმწიფო სექტორს. მასში დასაქმებული იყო შრომითი რესურსების დაახლოებით 18 პროცენტი. სახელმწიფო ამ პერიოდში მრეწველობის პროდუქციის გამოშვების სტიმულირების მიზნით საწარმოებს გარკვეულ შეღავათებს უწევდა, აძლევდა სუბსიდიებს გაზისა და ელექტროენერგიის მოხმარების ხაზით. თუმცა ქვეყანაში შექმნილი რთული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გამო, მრავალმა საწარმომ ვერ უზრუნველყო პროდუქციის გამოშვება. ამან თავის მხრივ ჩაშალა ორმხრივი კლირინგული შეთანხმებები, რომლებიც ძირითადად ენერგო-

მატარებლების იმპორტის ნატურალური ანაზღაურების მიზნით იყო დადებული. ამის შედეგად ბოლო წლებში საქართველომ ვერ გადაიხადა უცხოური ვალები, განსაკუთრებით თურქმენეთიდან გაზის მოწოდების შედეგად დაგროვილი ვალი.

ცხრილი № 7

სამრეწველო პროდუქციის ძირითადი სახეების წარმოება [1]

დარგები / წლები	1989	1990	1991	1992	1993
1	2	3	4	5	6
ელექტროენერგია (მლრდ. კვტ.ს)	15,8	14,2	13,4	11,5	9,7
ქვანახშირი (ათ. ტ.)	1152,0	956,0	698,0	181,0	82,2
ნავთობი (ათ. ტ.)	185,0	186,0	180,9	125,0	88,0
თუჯი (ათ. ტ.)	665,8	624,8	500,8	242,3	4,3
ფოლადი (ათ. ტ.)	1429,0	1316,0	966,5	532,0	228,9
მარგანეცის მადანი (ათ. ტ.)	1650,0	1252,6	491,0	292,5	37,9
ელექტროფერომანგანუმი (ათ. ტ.)	84,0	42,4	55,2	24,8	-
ცელადი დენის ელექტროძრავები (ათ. კვტ.)	88,0	70,0	23,7	6,6	-
ჩარხები (ცალებში)	1984,0	1565,0	1417,0	1001,0	348,0
მინერალური სასუქი (ათ. ტ.)	155,0	130,0	134,5	76,6	62,9
სინთეზური ბოჭკო და ძაფი (ათ. ტ.)	37,6	32,3	20,0	4,5	8,6
აზბესტის ფილები და შიფერი (მლნ. ცალი)	35,4	26,4	12,6	9,9	-
ტელევიზორი (ათასი ცალი)	63,2	50,0	39,2	8,0	0,9
ფეხსაცმელი (მლნ. წყვილი)	16,5	13,2	12,2	2,6	1,4
ქსოვილი (მლნ. კვ. მ.)	123,1	110,3	66,5	31,4	16,6
შაქარი (ათ. ტ.)	32,0	33,8	11,3	2,0	-

[1] ცხრილი შეღებილია საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტისა და საერთაშორისო საფალუტო ფონდის მასალების საფუძველზე.

დარგები / წლები	1989	1990	1991	1992	1993
1	2	3	4	5	6
ხორცი (ათ. ტ.)	98,2	69,7	31,2	5,3	0,7
რძის პროდუქტები (რძეზე გადაანგარიშებით)	257,0	250,0	151,6	23,7	19,3
მცენარეული ზეთი (ათ. ტ.)	9,3	13,8	7,4	0,1	0,5
ჩაი ნატურალური (ათ. ტ)	140,0	120,0	89,2	30,2	13,9
მინერალური წყალი (მლნ. 0,5 ბოთლი)	243,0	223,0	158,6	61,0	27,8
ყურძნის ღვინო (ათ. დეკალიტრი)	17339,0	16283,0	12616,0	5574,0	5205,0
კონიაკი (ათ. დეკალიტრი)	18080,0	18143,0	13841,0	9085,0	5376,0
შამპანური (ათ. დეკალიტრი)	2278,0	2165,0	1460,0	796,0	745,0

1994 წელს 1993 წელთან შედარებით მრეწველობის პროდუქციის მოცულობა შესადარ ფასებში შემცირდა დაახლოებით 40 პროცენტით. 1994 წლის დონე უტოლდებოდა 1958 წლის წარმოების დონეს. 1994 წელს საერთოდ არ უმუშავია რესპუბლიკის ტერიტორიაზე 311 სამრეწველო საწარმოს (აფხაზეთის რეგიონის გარდა). მათ შორის 1993 წლიდან არ მუშაობდა 166, ამასთანავე, 1994 წელს 1993 წელთან შედარებით 100 უმნიშვნელოვანესი სახეობის პროდუქციიდან წარმოების ზრდა აღინიშნა 5 სახეობის მიხედვით, ხოლო პროდუქციის გამოშვება შემცირდა 89 სახეობის მიხედვით, 6 სახეობის პროდუქცია საერთოდ არ წარმოებულა.

ენერგომატარებლების დეფიციტის გარდა მრეწველობის დაცემის ძირითად ფაქტორს წარმოადგენს ნედლეულის, მასალების და მაკომპლექტებელი მოწყობილობების დეფიციტი. ადრე არსებული ტრადიციული კავშირების არაგონივრულმა მოშლამ დიდი ზიანი მიაყენა ქვეყანას და განსაკუთრებით მრეწველობას. ამას დაემატა ისიც, რომ ძირითადი ფონდები მწყობრიდან გამოვიდა და მისი შეცვლა სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო შეუძლებელი გახდა. ასევე მოიშალა საწარმო ინფრასტრუქტურა და ყოველივე ამის შედეგად ბევრი საწარმო დაიხურა ან მუშაობდა უმნიშვნელო სიმძლავრით. ჩვენი აზრით, მრეწველობა ენერგეტიკასთან ერთად უნდა გახდეს მომავალში ქვეყნის უმთავრესი საზრუნავი ობიექტი. დღეისათვის, ასე თუ ისე, შენარჩუნებულია ძირითადი სამრეწველო ობიექტები. მათი ენერგომატარებლებით, საჭირო მასალებით, ნედლეულითა და მუშახელით უზრუნველყოფა

გარდამავალ პერიოდში სახელმწიფომ მთლიანად კერძო სექტორს არ უნდა მიანდოს. მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი ძალას მოიკრებს, სახელმწიფო შედარებით ნაკლებად უნდა ჩაერიოს მრეწველობის მართვისა და რეგულირების საქმეში.

გარდამავალ პერიოდში მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდა სახალხო მეურნეობის ისეთი მსხვილი დარგი როგორიც სოფლის მეურნეობაა. სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ძირითად სახეობათა წარმოების მაჩვენებლები მოცემულია მე-8 ცხრილში.

ცხრილი № 8

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ძირითად სახეობათა წარმოება[1]

(ათას. ტონა)

	1989	1990	1991	1992	1993
1	2	3	4	5	6
მარცვლეული	474,7	666,3	574,3	503,4	440,0
შაქრის ჭარხალი	39,3	30,6	17,8	24,0	14,6
მზესუმზირა	2,6	7,7	6,9	7,3	7,7
კარტოფილი	332,4	293,8	254,3	210,8	190,0
ბოსტნეული	515,4	443,2	356,3	308,3	270,0
ხილი და კენკროვანი	604,8	591,2	400,2	336,8	184,0
ყურძენი	514,1	691,0	518,1	328,4	157,0
ციტრუსები	94,2	283,1	201,8	138,1	69,0
ჩაი (ნედლეული)	497,5	501,7	436,9	212,3	135,5
ხორცი	178,8	170,3	137,2	113,4	82,6
კვერცხი (მლნ. ცალი)	800,8	762,2	638,1	297,3	138,0
რძე	711,4	659,4	562,3	469,6	393,9

როგორც ცხრილიდან ჩანს, უკანასკნელ წლებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მკვეთრ დაცემას ადგილი ჰქონდა თითქმის ყველა სახეობის მიხედვით. ამ პერიოდში სოფლის მეურნეობაში

[1] ცხრილი შედგენილია საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის მასალების საფუძველზე.

დასაქმებული იყო ქვეყნის მთელი შრომითი რესურსების 32 პროცენტი. მართალია, მიწის გარკვეული რეფორმები ჩატარდა, მაგრამ მას არსებითი დადებითი შედეგები არ მოჰყოლია. თუმცა უნდა ითქვას, რომ აღრეც და გარდამავალ პერიოდშიც სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში დიდ როლს თამაშობდა კერძო სექტორი. დღეისათვის ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე საბითუმო ფასები თავისუფალია. თუმცა ჯერჯერობით პურზე სამომხმარებლო ფასი გარკვეულ კონტროლს ექვემდებარება. საერთაშორისო სავალუტო ფონდის სპეციალისტთა აზრით, აღნიშნული მდგომარეობა საქართველოში ხელს უშლის მარცვლეულის წარმოების მოცულობის ზრდას.

როგორც მე-8 ცხრილიდან ჩანს, გარდამავალ პერიოდში განსაკუთრებით შემცირდა ხილისა და კენკროვანის დამზადება, აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქციის მოცულობა. წარმოების ასეთი შემცირება ძირითადად აიხსნება თესლის, სასუქებისა და პესტიციდების ნაკლებობით, სათესი ფართობების შემცირებით, ტრანსპორტის მუშაობაში სერიოზული შეფერხებებით და, რა თქმა უნდა, ქვეყანაში არსებული არასტაბილური მდგომარეობით. ამასთანავე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადებაზე სერიოზული გავლენა იქონია იმ გარემოებამ, რომ სათადარიგო ნაწილების, მოწყობილობების უქონლობის გამო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა არ იყო გამოყენებული და მთელი რიგი მეურნეობები გადავიდა ხელით მუშაობაზე, განსაკუთრებით მთიან რაიონებში. ყოველივე ზემოთქმულის შედეგად რესპუბლიკაში ბოლო წლებში შესამჩნევად დაეცა მოსავლიანობა. ამას ისიც დაემატა, რომ უტრანსპორტობისა და სხვა გარემოებათა გამო მოწეული მოსავლის საკმაო ნაწილი ვერ აიღეს და პლანტაციებში დარჩა.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ბოლო წლებში სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვა სახელმწიფო და კერძო სექტორიდან. მაგალითად, 1993 წელს მარცვლეულის სახელმწიფო შესყიდვამ შეადგინა 2,7 პროცენტი, ნაცვლად 4,1 პროცენტისა 1989 წელს. კარტოფილის შესყიდვამ შესაბამის წლებში შეადგინა 1,9 და 41,4 პროცენტი, ბოსტნეულის — 6,4 და 50,8 პროცენტი, ხილის — 1,6 და 62,9, ციტრუსების — 25,7 და 82,1, ხორცის — 4,6 და 64,4, რძის — 4,0 და 40,3 პროცენტი და ა. შ. ყველა სახეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვა 5 პროცენტულ პუნქტზე დაბლა დაეცა გარდა ჩაის, ყურძნისა და ციტრუსებისა. ეს ძირითადად გამოწვეული იყო იმით, რომ სახელმწიფომ დროზე ადრე მართვის ბერკეტების ხელიდან გაშვების გამო ვერ მოახერხა ბიუჯეტში სახსრების აკუმულირება და შესაბამისად იგი არაგადახდისუნარიანი გახადა.

არასახარბიელო შედეგებით დაამთავრა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ 1994 წელი. მარცვლეულის სახელმწიფოსათვის მიწოდების დავალება შესრულდა მხოლოდ 3 პროცენტით, ბოსტნეულის — 2 პროცენტით, ყურძნის — 7 პროცენტით, ჩაის ხარისხოვანი ფოთლის — 30 პროცენტით, პირუტყვისა და ფრინველის — 4 პროცენტით, რძისა — 8 პროცენტით, კვერცხის — 13 პროცენტით და ა. შ.

საქართველოში ეკონომიკური გარდაქმნების შედეგები გაცილებით უფრო უმტკივნეულო იქნებოდა ქვეყნის ენერგორესურსებით უზრუნველყოფის პირობებში. ცნობილია, რომ საქართველო ადრეულ პერიოდში, როდესაც იგი ყოფილი სსრკ-ს ერთიანი სახალხომეურნეობრივი კომპლექსის შემადგენლობაში იმყოფებოდა, ენერგომატარებლების იმპორტიორი რესპუბლიკა იყო. უკანასკნელ წლებში საქართველოში როგორც ენერგიის შიდა წარმოება, ასევე მისი შემოტანა მნიშვნელოვნად შემცირდა, რამაც მისი მწვავე დეფიციტი შექმნა. პრაქტიკულად დღეისათვის ქვეყანაში ენერგიის მთელი მოთხოვნილება გაზზე და ნავთობპროდუქტებზე იმპორტის ხარჯზე იფარება.

სათბობ-ენერგეტიკული ბალანსის ძირითადი მაჩვენებლები მოცემულია მე-9 ცხრილში.

ცხრილი № 9

სათბობ-ენერგეტიკული ბალანსის ძირითადი მაჩვენებლები[1]

	1990	1991	1992	1993
1	2	3	4	5
ბუნებრივი გაზი (მლრდ. კუბ. მ.)				
საკუთარი წარმოება	60	45	38	22
იმპორტი	5480	4581	4826	4265
ნავთობი (ათას. ტ.)				
საკუთარი წარმოება	286	181	125	88
იმპორტი	2279	2740	305	211
მაზუთი				
იმპორტი	2743	1652	261	122
დიზელის საწვავი				

[1] ცხრილი შეტანილია საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის მასალების საფუძველზე.

	1990	1991	1992	1993
1	2	3	4	5
იმპორტი	465	184	99	90
ბენზინი				
იმპორტი	691	420	64	40
ქვანახშირი				
საკუთარი მოპოვება	956	698	187	82
იმპორტი	660	242	2	77
ელექტროენერგია (მლნ. კვ. ს)				
საკუთარი წარმოება	14240	13376	11520	9748
იმპორტი	4499	3849	1547	1050
ხე-ტყე (ათას. კუბ. მ.)				
საკუთარი წარმოება	187	124	235	250

საქართველოში ენერგომატარებლების დეფიციტმა აიძულა საწარმოები, ორგანიზაციები და მოსახლეობა შეემცირებინათ მოხმარება. მაგალითად, ბუნებრივი გაზი რესპუბლიკამ 1990 წელს მოიხმარა 2531 მილიონი კუბამეტრი, ხოლო ამ მაჩვენებელმა 1993 წელს შეადგინა 1925 კუბამეტრი. ამასთან, ქვანახშირის მოხმარებაში კი პირიქით შეინიშნება. 1990 წელს მოხმარებულ იქნა 74 ათასი ტონა, ხოლო 1993 წელს — 109 მილიონი ტონა. ასეთივე მდგომარეობაა ხე-ტყის მოხმარების საქმეში. ყოველივე ეს გამოწვეულია იმით, რომ თანდათანობით გართულდა ენერგომატარებლების იმპორტირება და შესაბამისად კურსი აღებულ იქნა ენერგიის საკუთარი წარმოების მოცულობის გაზრდაზე.

დღეისათვის საქართველოში, მიუხედავად რამდენიმე მცირე და საშუალო ჰიდროელექტროსადგურების პრივატიზაციისა, ელექტროენერგიის წარმოებაში მონოპოლიური მდგომარეობა უკავია სახელმწიფო სექტორს. უკანასკნელ წლებში ელექტროენერგიის წარმოების შემცირების ტენდენცია კვლავ გრძელდება. თუ 1992 წელს გამოშვებულ იქნა 11,5 მილიარდი კვტ. საათი ელექტროენერგია, 1993 წელს მან შეადგინა მხოლოდ 9,8 მილიარდი კვტ. საათი, ანუ 1990 წლის წარმოების 68 პროცენტი. 1994 წელს წარმოებულ იქნა 6,8 მლრდ. კვტ. საათი ელექტროენერგია, რაც 1993 წლის დონის 68,8 პროცენტს შეადგენს. ამასთანავე, თანდათანობით მცირდება ელექტროენერგიის იმპორტი და იგი

1990 წლის მაჩვენებლის მხოლოდ 20-25 პროცენტს შეადგენს. საქართველო ელექტროენერგიის იმპორტს ძირითადად ეწევა რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან. თურქეთს საფასურად საქართველო აწვდის შემხვედრ პროდუქციას. საქართველო თურქეთიდან ზამთრის პერიოდში მოწოდებული ელექტროენერგიის ნაწილს ფარავს ამ ქვეყანაში ზაფხულობით ელექტროენერგიის ექსპორტით. უნდა აღინიშნოს, რომ გარდამავალ პერიოდში საქართველო განიცდიდა და დღესაც განიცდის ელექტროენერგიის დიდ დეფიციტს, რაც აფერხებს წარმოების განვითარებას და ხელს უწყობს სოციალური დაძაბულობის გაღრმავებას.

ენერგიის დეფიციტის გაღრმავებას საქართველოში ხელს უწყობს ისიც, რომ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში შემცირდა ქვანახშირისა და ნავთობის მოპოვება. 1993 წლისათვის ქვანახშირის მოპოვება შემცირდა 82 ათას ტონამდე, რაც 1985 წლის მოპოვების მხოლოდ 5 პროცენტს შეადგენს. ასეთი მცირე მოცულობით ქვანახშირის მოპოვებას განაპირობებს ძირითადად ის, რომ საბადოები გაღარიბდა, დარჩენილი ქვანახშირი დაბალი ხარისხისაა, აგრეთვე ბოლო წლებში შემცირდა და შეწყდა ინვესტიციები ახალი საბადოების ასათვისებლად. რაც შეეხება ნავთობს, მისი მოპოვება 1992 წელს შეადგენდა 125 ათას ტონას, 1993 წელს 88 ათას ტონას, ანუ 1985 წლის მოპოვების მხოლოდ 16 პროცენტს. ამჟამად საქართველოში ნავთობის საძიებო სამუშაოებს აწარმოებს უცხოეთის ფირმები. წინასწარი მონაცემებით პროგნოზები ოპტიმისტურია.

გარდამავალ პერიოდში მძიმე სიტუაცია შეიქმნა რესპუბლიკის კაპიტალური მშენებლობის დარგში. სამშენებლო კომპლექსის საქმიანობა მეტად რთულ და დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა. სამშენებლო ობიექტები მუდმივად განიცდის ნედლეულისა და საშენი მასალების მწვავე ნაკლებობას, ენერგომატარებლების დეფიციტს. გაუარესდა წარმოების ორგანიზაცია, მოიშალა დისციპლინა. ამის გამო დარგი საგრძნობლად ჩამორჩა. ჩაიშალა უმნიშვნელოვანესი ობიექტების საექსპლოატაციოდ ჩაბარების პროგრამები.

1991-1994 წლებში რესპუბლიკის სამშენებლო კომპლექსში ადგილი ჰქონდა სტაგნაციის პროცესს. რესპუბლიკის მშენებლებს ფინანსური და მატერიალური რესურსების მწვავე დეფიციტის პირობებში უხდებოდათ საქმიანობა. მთელი რიგი მიზეზების გამო დღემდე ვერ მოხერხდა კაპიტალური მშენებლობის ობიექტების დასაფინანსებლად სახსრების მობილიზაცია და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. დაფინანსების გარეშეა დარჩენილი განათლების, ჯანდაცვის, კომუნალური მეურნეობისა და სხვა სოციალური და საწარმოო ინფრასტრუქტურის მთელი რიგი ობიექტები, სტიქიით დაზარალებული, მიწისძვრით და საომარი მოქმედებების შედეგად დანგრეული სახლები, ენერგეტიკის ობიექტები, გზები, ხიდები

და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტები. აღსანიშნავია, რომ 1995 წლის პირველი ნახევრიდან, უცხოური კრედიტების ათვისების შედეგად დაიწყო გარკვეული სამუშაოები გზების, ენერგეტიკისა და სხვა სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტების შესაკეთებლად.

კრიზისულ სიტუაციაში აღმოჩნდა რესპუბლიკის ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა.

1992 წელს საერთო სარგებლობის რკინიგზის ტრანსპორტით გადატანილ იქნა 2,6-ჯერ ნაკლები ტვირთი 1991 წლის მაჩვენებელთან შედარებით, ასევე გადაყვანილ იქნა 32,4%-ით ნაკლები მგზავრი. ელექტროენერგიის დეფიციტის, საომარი მოქმედებებისა და არასტაბილური მდგომარეობის გამო 1991-1994 წლებში სისტემატური ხასიათი მიიღო რკინიგზის სისტემაში შეფერხებებმა, მოძრაობის გრაფიკის შეჩერებამ, მარშრუტების მოხსნამ და ა. შ.

1993 წელს რკინიგზის ტრანსპორტით გადატანილ იქნა 30,9 პროცენტით ნაკლები ტვირთი 1992 წელთან შედარებით, ხოლო 1994 წელს 48,7 პროცენტით ნაკლები 1993 წელთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ რკინიგზის ტრანსპორტით 1993 წელს წინა წელთან შედარებით 7,7 პროცენტით ნაკლები მგზავრი იქნა გადაყვანილი, ხოლო 1994 წელს 1993 წელთან შედარებით 35 პროცენტით მეტი.

საანალიზო პერიოდში თანდათანობით უარესდებოდა საავტომობილო, საჰაერო, საზღვაო და მილსადენი ტრანსპორტის ეკონომიკური მაჩვენებლები.

რთული მდგომარეობა შეიქმნა რესპუბლიკის კავშირგაბმულობაში. განსაკუთრებით მძიმე იყო 1991-1993 წლები. 1994-1995 წლებში კავშირგაბმულობის დარგში შეიმჩნეოდა გარკვეული გაუმჯობესების ტენდენცია, რაც ძირითადად განპირობებულია მომსახურებაზე ტარიფების გაზრდით და უცხოური კრედიტების დაბანდებით აღნიშნულ დარგში.

ეკონომიკური გარდაქმნების შედეგად სტრუქტურული ცვლილებების, საგადასახადო-საბიუჯეტო და საბანკო სფეროში მომხდარი ძვრების შესახებ წიგნის მომდევნო თავებში გვექნება საუბარი. ამჯერად კი განვიხილოთ ეკონომიკური რეფორმების შედეგად სოციალურ სფეროში შექმნილი სიტუაცია.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ყველა ქვეყანაში ეკონომიკური გარდაქმნები პირველ ეტაპზე მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუარესებას იწვევს. ეს გარდაუვალი პროცესია და ამას ვერც საქართველოს მოსახლეობა, რაც არ უნდა დახვეწილი სარეფორმო მოდელები და პროგრამები შემუშავებულიყო, მაინც ვერ ასცდებოდა. მაგრამ არც იმის დამალვა შეიძლება, რომ რეფორმებისადმი უფრო გონივრული და კომპლექსური მიდგომის შემთხვევაში, მისი სოციალური შედეგები შედარებით უმტკივნეულო იქნებოდა.

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების შედეგები ყველაზე მკაფიოდ მოსახლეობის ცხოვრების დონეში აისახა. რესპუბლიკაში 1992 წლამდე საშუალო ხელფასი აღემატებოდა მინიმალური სამომხმარებლო კალათის ღირებულებას. რეფორმების ფასების ლიბერალიზაციის დაწყებამ და შედეგად ინფლაციის მაღალმა ტემპებმა მდგომარეობა მკვეთრად შეცვალა. 1992 წელს საშუალო ხელფასი მინიმალური კალათის ღირებულების მხოლოდ 45 პროცენტს ფარავდა. აღნიშნული სიტუაცია გამოიწვია საშუალო ხელფასის დაახლოებით 5-ჯერ და სამომხმარებლო ფასების 8-ჯერ გაზრდამ. 1993 წელს ამ თანაფარდობამ შესაბამისად შეადგინა 18 და 113, რის გამოც უკვე ამ დროისათვის ხელფასმა დაკარგა თავისი ადრინდელი ფუნქცია და იგი სიმბოლური გახდა. 1994 წლის ბოლოსათვის საშუალო ხელფასი ფარავდა მინიმალური სამომხმარებლო კალათის მხოლოდ ერთ მეექვსედს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკური რეფორმების შედეგად მოსახლეობის თითქმის 90 პროცენტი სიღატაკის ზღვარზე აღმოჩნდა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ საბიუჯეტო ორგანიზაციის მუშაკები. კერძო სექტორში მომუშავეთა შემოსავლები შედარებით მაღალია.

არსებითად შეიცვალა მოსახლეობის ხარჯების სტრუქტურა. ამჟამად შემოსავლების უმეტესი ნაწილი (დაახლოებით 70-80%) კვებაზე იხარჯება. ამასთან, კვების რაციონში სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს პური და შესაბამისად მცირდება სხვა კალორიული პროდუქტების ხვედრითი წილი, რაც მოსახლეობის ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს. მოსახლეობის გარკვეული ნაწილი სასიცოცხლოდ აუცილებელ კალორიას ვერ ღებულობს, თუმცა ბოლო პერიოდში გარკვეული გაუმჯობესება შეინიშნება ამ მიმართულებით.

გეგმიანი მეურნეობის მსხვრევამ და საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ უარყოფითი გავლენა მოახდინა მოსახლეობის დასაქმების დონეზე. 1994 წლისათვის რესპუბლიკაში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობა დაახლოებით 2 მილიონ კაცს შეადგენდა. ოფიციალური სტატისტიკით ამ პერიოდისათვის მეურნეობის სხვადასხვა სექტორში დასაქმებული იყო 1,9 მილიონი კაცი, ხოლო 70 ათასი კაცი რეგისტრირებული იყო როგორც დაუსაქმებელი. აღნიშნული ციფრი შორსაა ჭეშმარიტებისაგან, რადგან რესპუბლიკაში უკანასკნელ წლებში ფართოდ მოიკიდა ფეხი ფარულმა უმუშევრობამ. საწარმოების და ორგანიზაციების უდიდესი ნაწილი, განსაკუთრებით მრეწველობასა და მშენებლობაში გაჩერებული იყო ნედლეულისა და ენერგომატარებლების დეფიციტის გამო. მუშებისა და მოსამსახურეების 70-80 პროცენტი უვადო უხელფასო შვებულებაში იმყოფებოდა, რამაც ფარულ უმუშევართა უზარმაზარი არმია შექმნა ქვეყანაში. ამან, რასაკვირველია,

უარყოფითი გავლენა იქონია კრიმინოგენურ სიტუაციაზე. ფართოდ მოიკიდა ფეხი ყაჩაღობამ, ქურდობამ, სახელმწიფო და კერძო ქონების უკანონოდ მითვისებამ და ა. შ. უმუშევართა რიცხვის ზრდა გამოიწვია არა მხოლოდ სამუშაო ადგილების შეკვეცამ, არამედ იმანაც, რომ ხელფასმა მისი არნახული სიმცირის გამო დაკარგა მასტიმულირებელი როლი და მუშა-მოსამსახურეთა საკმაოდ დიდმა ნაწილმა თავი დაანება თავის სპეციალობით მუშაობას და „ქუჩაში გავიდა" ოჯახის სარჩენად.

უნდა აღინიშნოს, რომ ვიდრე არ ამუშავდება მატერიალური და არამატერიალური სფეროს დარგები, ვიდრე არ შეიქმნება ქვეყანაში ახალი სამუშაო ადგილების გახსნის შესაძლებლობა, უმუშევრობის დონე კიდევ უფრო გაიზრდება და აღნიშნული პრობლემა ერთ-ერთი მტკივნეული და ძნელად გადასაწყვეტი იქნება უახლოესი მომავლისათვის.

გარდამავალ პერიოდში გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა მოსახლეობის დემოგრაფიულმა მდგომარეობამ. ქვეყანაში შექმნილმა მძიმე ეკონომიკურმა კრიზისმა და არასტაბილურობამ უარყოფითი გავლენა მოახდინა მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდაზე. 1990 წლიდან დაიწყო მოსახლეობის შემცირების პროცესი, რომელიც დღესაც გრძელდება. ეს გამოწვეულია, როგორც ბუნებრივი მატების შემცირებით, ასევე მიგრაციული ნაკადების გაზრდით. დაუზუსტებელი მონაცემებით რესპუბლიკიდან ყოველწლიურად გადის სხვა ქვეყნებში მუდმივ საცხოვრებლად და დროებით სამუშაოდ 100 ათასამდე კაცი. ამ ბოლო წლებში საქართველოში მოსახლეობის ბუნებრივი მატება არ აღემატება 8-10 ათას კაცს წელიწადში, რაც დამახასიათებელი იყო 30-იანი წლების საქართველოსათვის, როდესაც მოსახლეობის რიცხოვნობა დღევანდელის მხოლოდ ნახევარს შეადგენდა. დემოგრაფიულ კრიზისს აღრმავებს აგრეთვე სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის გაუარესება. მოსახლეობის დაბერების გამო მცირდება ახალგაზრდობის ხვედრითი წილი. იგი 1970 წლის 32 პროცენტიდან 26 პროცენტამდე შემცირდა 1990 წელს.

საქართველოში მოსახლეობის ბუნებრივი მატების შემცირების ერთერთი არსებითი ხასიათის მიზეზია ქორწინებათა რიცხვის შემცირება. 1990 წელთან შედარებით 1994 წელს ქორწინებათა რიცხვი შემცირდა 34 პროცენტით. სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებასთან ერთად ქორწინებათა რიცხვის შემცირების მიზეზია ისიც, რომ ქვეყნის მოსახლეობის ნაწილი (აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან) დროებით გადაადგილებულია თავიანთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან და არა აქვთ ქორწინებისათვის საჭირო სოციალ-ეკონომიკური გარემო შექმნილი.

ეკონომიკურმა რეფორმებმა გარკვეულწილად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა სოციალური ინფრასტრუქტურის ისეთი დარგები, როგორიცაა განათლება, მეცნიერება, კულტურა, ჯანმრთელობის დაცვა და ა. შ. აღ-

ნიშნულ დარგებში შექმნილი სიტუაციის სტატისტიკურ დახასიათებას ხელს უშლის ინფორმაციული ვაკუუმი, თუმცა სოციალურ ინფრასტრუქტურაში მდგომარეობის არსებითი გაუარესება დიდ მეცნიერულ მტკიცებას არ საჭიროებს.

ამრიგად, ეკონომიკური რეფორმების დღემდე განვლილი ეტაპის ანალიზი გვარწმუნებს მისი სოციალ-ეკონომიკური შედეგების არაეფექტურობაში. ჩვენი აზრით, აქ საგანგაშო არაფერია. ასეთი სიტუაცია მოსალოდნელიც იყო. მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, რომ ეკონომიკურ რეფორმებს საწყის ეტაპზე თან ახლავს სიტუაციის გამწვავება, სოციალური დაძაბულობის ზრდა და ა. შ. სხვა საკითხია, რამდენად შეიძლებოდა რეფორმის სოციალ-ეკონომიკური უარყოფითი შედეგების შერბილება, რამდენად სწორად იყო შერჩეული რეფორმების მოდელი. ასეა თუ ისე, რეფორმების საწყის ეტაპზე ეკონომიკური ზრდის სწრაფად მიღწევა მაინც შეუძლებელი იყო. თუმცა გამორიცხული როდია, სხვა სარეფორმო მოდელების რეალიზაციისას სოციალ-ეკონომიკური შედეგები უფრო ეფექტური ყოფილიყო. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ეკონომიკურ რეფორმებს ,,ბედმა არ გაუღიმა'' და იგი დაემთხვა ომს ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად, პოლიტიკურ არასტაბილურობას და ა. შ. საერთოდ კი, ცნობილია, რომ ომი და რეფორმა ერთმანეთთან შეუთავსებელია.

1.5. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების უზრუნველყოფა, როგორც რეფორმების დამმუხრუჭებელი ფაქტორი

თავისუფალ კონკურენციაზე დაფუძნებულ საბაზრო მექანიზმს გააჩნია მრავალი დადებითი მხარე, მაგრამ მისი შესაძლებლობები უსაზღვრო როდია. ყველა ქვეყანაში არსებობს ისეთი სფეროები, სადაც თავისუფალ კონკურენციას არ შეუძლია პრობლემის გადაწყვეტა და აუცილებელია სახელმწიფოს ჩარევა. ასეთ უბნებს განეკუთვნება ეროვნული თავდაცვა, სახელმწიფო მმართველობა, კომუნიკაციები, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, ვაქცინირება, სასმელი წყლის გაწმენდა და ა. შ. ამ უბნებზე სახელმწიფოს ჩარევის გარეშე საქმიანობის წარმართვა შეუძლებელია.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სახელმწიფოს ჩარევა აუცილებელია ფულის მიმოქცევის ორგანიზაციის საქმეში, შემოსავლების გადანაწილებაში, დასაქმების პრობლემების გადაწყვეტაში, მონოპოლიზმსა და ინფლაციის პრობლემის გადაჭრაში, ფუნდამენტური მეცნიერების განვითარებაში, რეგიონული პოლიტიკის გატარებაში, მსოფლიო ეკონომიკაში ეროვნული ინტერესების რეალიზაციაში და ა. შ.

ამრიგად, სახელმწიფო ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირების განუყოფელი სუბიექტია. ისტორიამ დაადასტურა, რომ სახელმწიფო პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით ერევა ქვეყნის ეკონომიკის მართვასა და რეგულირებაში. სოციალიზმის პირობებში სახელმწიფო ეკონომიკის მართვას აწარმოებს ცენტრალიზებული დაგეგმვის, საბიუჯეტო დაფინანსების და ადმინისტრაციული მეთოდების გამოყენებით. კაპიტალიზმის პირობებში კი ეკონომიკის რეგულირებისათვის სახელმწიფოს მიერ გამოიყენება სამართლებრივი რეგულატორები და ეკონომიკური ბერკეტები. პირველის მეშვეობით სახელმწიფო ადგენს საბაზრო ურთიერთობათა „თამაშის წესებს", ხოლო მეორით — საბაზრო მექანიზმის ამოქმედებას, ასტიმულირებს ან ამუხრუჭებს მეწარმეთა საქმიან ეკონომიკურ აქტივობას. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება შეუძლებელია რაღაც „ჯადოსნური ჯოხით", რომელსაც შეუძლია ავტომატურად მოხსნას ამა თუ იმ ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური სიძნელეები. ძალიან ბევრია დამოკიდებული ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ფორმებზე, მეთოდებზე, ხარისხსა და მათ შესაბამისობაზე კონკრეტული ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ თავისებურებებთან. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ არ არსებობს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ერთიანი საერთაშორისო სტანდარტი და სხვისი გამოცდილების ბრმად გადმოღება (კოპირება) მხოლოდ ზიანის მომტანია.

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების თეორიის ფუძემდებელია ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი დკეინსი. მის მიერ 1936 წელს გამოცემულ ნაშრომში „ფულის, პროცენტისა და დასაქმების ზოგადი თეორია" დასაბუთებულია საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობა და პრაქტიკული მნიშვნელობა. ამით მან უარყო მანამდე გაბატონებული კლასიკური თეორია, რომლის თანახმად საბაზრო მექანიზმი ავტომატურად უზრუნველყოფს მიწოდება-მოთხოვნის წონასწორობას და გამორიცხავს ხანგრძლივი დროით წარმოების დაცემას, ინფლაციას, უმუშევრობას. კეინსის თეორიის თანახმად, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მთავარი ინსტრუმენტია ფისკალური პოლიტიკა, ძირითად ობიექტს კი შეადგენს ინვესტიციური რესურსები და საპროცენტო განაკვეთები.

ეკონომიკის რეგულირების კეინსისეული მოდელი დიდხანს დომინირებდა ეკონომიკურ თეორიაში, მაგრამ 70-იანი წლებიდან საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში წარმოშობილმა შრომისნაყოფიერების დაცემისა და ინფლაციური პროცესების გაძლიერების ტენდენციამ წარმოშვა ალტერნატიული მაკროეკონომიკური კონცეფცია, რომელიც დღეისათვის ძირთადად მონეტარული თეორიითაა ცნობილი. კეინსისეული და მონეტარული შეხედულებების არსებითი განსხვავება შეინიშნება ეკონომიკის შინაგანი სტაბილურობის საკითხებში. მონეტარისტები თვლიან, რომ ფული თამაშობს გადამწყვეტ როლს ეკონომიკის ფუნქციონირებაში და საბაზრო კონკურენცია უზრუნველყოფს მაღალ მაკროეკონომიკურ სტაბილურობას, ხოლო სახელმწიფო რეგულირება მხოლოდ აძლიერებს დისპროპორციას ეკონომიკაში, ხელს უწყობს ეკონომიკურ არასტაბილურობას. წინააღმდეგობრივია აგრეთვე კეინსიანელების და მონეტარისტების შეხედულება კერძო და სახელმწიფო სექტორებზე. მონეტარისტების აზრით, სახელმწიფო სექტორი უნდა იყოს რაც შეიძლება მცირე და ფართო ასპარეზი კერძო მეწარმეობას უნდა მიეცეს.

ისტორიამ ცხადყო, რომ როგორც კეინსისეულ ასევე მონეტარისტულ მიდგომას თავისი დადებითი შედეგები მოაქვს ამა თუ იმ ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური სპეციფიკურობებიდან გამომდინარე. ამასთან, პრაქტიკამ ისიც დაამტკიცა, რომ ბაზარი ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკის ეფექტიანი განვითარების შენარჩუნებას. მისი შესაძლებლობები შეზღუდულია გარკვეულწილად იმითაც, რომ სრულყოფილი ბაზარი არსებობს მხოლოდ თეორიულად, ხოლო პრაქტიკაში ყოველთვის ჩნდება წინააღმდეგობები და სირთულეები ამა თუ იმ ქვეყნის შინაგანი თავისებურებებიდან გამომდინარე, რომლის გადაწყვეტა სახელმწიფოს ფუნქციას შეადგენს.

პოსტსოციალისტური ქვეყნებისათვის ზემოხსენებული ორი მოდელიდან ერთ-ერთის შერჩევისას მაქსიმალურად უნდა იქნეს შეფასებული

ამათ თუ იმ ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სასტარტო ეკონომიკური და პოლიტიკური გარემოებები. რეალურად მათთვის ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული სიტუაცია ყალიბდება, ვინაიდან წლების განმავლობაში დამკვიდრებული იყო კაპიტალისტური ბაზრისაგან განსხვავებული ეკონომიკური ურთიერთობანი. ამ ქვეყნებში ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობა ნაკარნახევია არა იმდენად არარსებული ბაზრის საკომპენსაციოდ, არამედ კვლაფწარმოების პროცესის შენარჩუნებისა და საბაზრო ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად. ამას ემატება ფსიქოლოგიური ფაქტორებიც. საზოგადოებრივი საკუთრების იდეოლოგიის თანახმად მოსახლეობას წლების განმავლობაში უსასყიდლოდ ჰქონდა ისეთი ინდივიდუალური ფასეულობანი, როგორიცაა საცხოვრებელი ბინები, სამედიცინო და საგანმანათლებლო მომსახურება და ა. შ. საბაზრო ეკონომიკაზე ერთი ხელის მოსმით გადასვლამ ძირეულად შეცვალა განაწილების ძველი პრინციპი, რამაც მოსახლეობაში მძიმე ფსიქოლოგიური შოკი გამოიწვია და შესაბამისად წარმოშვა ნოსტალგია ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის შენარჩუნების სასარგებლოდ.

კონსერვატიული მიდგომით ეკონომიკის მართვის სახელმწიფო სტრუქტურების დემონტაჟი უარყოფითი პროცესია და მას მიეწერება წარმოების დაცემისა და ეკონომიკური დესტაბილიზაციის დღევანდელი მდგომარეობა, რეფორმისტული მიდგომით კი ძველი ეკონომიკური მართვის მექანიზმის ნგრევა ნორმალური და დადებითი პროცესია, ამ დროს ხდება ბაზრის მიერ სახელმწიფოს გამოდევნა-შეცილება და საბოლოოდ ლიბერალური ეკონომიკური სისტემის ფორმირება, რომელსაც განვითარების დიდი პოტენციალი აქვს. აღნიშნული ორი თვისებრივად განსხვავებული შეფასება დაფუძნებულია შესაბამისად კეინისისეულ და მონეტარულ იდეოლოგიებზე, მაგრამ მათ მაინც აქვთ საერთო კრიტერიუმები, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ნებისმიერ იდეოლოგიაზე დაფუძნებულ ქვეყანაში სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირების აუცილებლობას.

პოსტსოციალისტურ პერიოდში, ჩანასახოვან მდგომარეობაში მყოფი ბაზრის არაეფექტურობის გამო, მეტად რთულია სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების მკაცრად განსაზღვრა. ამ პერიოდში ეკონომიკაზე სახელმწიფოს ზეგავლენის ხარისხი დამოკიდებულია მართვის დაძალებითი მეთოდის გამოყენების შესაძლებლობებზე (საკანონმდებლო და ადმინისტრაციული მოწყობა) სახელმწიფოს კონტროლს დაქვემდებარებული რესურსების მოცულობაზე (სახელმწიფოს საკუთრება) და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკისადმი საზოგადოებრივი მხარდაჭერის სიმჭიდროვეზე. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური დაძალების მეთოდები დემოკრატიული ეკონომიკური წყობის პი-

რობებშიც გამოიყენება. საპარლამენტო კენჭისყრით მიღებული ეკონომიკური კანონები, მართალია, ზღუდავს აღმასრულებელი ხელისუფლების თვითნებობას, მაგრამ უთუოდ შეიცავს ადმინისტრირებისა და დაძალების ბერკეტებს. ამასთან, ეკონომიკური დაძალება სახელმწიფოს მხრიდან პოსტსოციალისტურ პერიოდში თავის შინაარსს თვისებრივად იცვლის. თუ ადრე მისი ძირითადი ფორმა იყო სახელმწიფო გეგმა, რომელიც არ გამოხატავდა წარმოების ინტერესებს, ამჟამად ძალაში რჩება დაძალების მთელი რიგი ბერკეტები (გადასახადები, პროცენტები და ა. შ.), რომლითაც ადრინდელი ადმინისტრაციული ბერკეტები ეკონომიკური რეგულირების შინაარსს იღებს.

პოსტსოციალისტურ პერიოდში იქმნება ისეთი მდგომარეობა, როდესაც სახელმწიფოს უკვე აღარ შეუძლია დაეყრდნოს ეკონომიკის მართვის ძველ ტრადიციულ მეთოდებს, ხოლო ახალი საბაზრო იდეოლოგიის შესატყვისი ბერკეტები არაა შემუშავებული. თუმცა პრაქტიკულად ამ წინააღმდეგობისაგან გამოსავლის პოვნა მაინცაა შესაძლებელი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მრავალმა სახელმწიფომ, რომლებიც ახლა ინდუსტრიულად მაღალგანვითარებულნი არიან, გააძლიერეს მათი როლი ეკონომიკაში და, ამასთან ერთად, უზრუნველყვეს დემოკრატიული ეკონომიკის მშენებლობა. გაუაზრებელმა ბრძოლამ სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირების წინააღმდეგ არც ერთ ქვეყანას არ მოუტანა წარმატებები. სოციალიზმის დროს ადგილი ჰქონდა ეკონომიკაში სახელმწიფოს ზედმეტად ჩარევას, ხოლო საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს ჩარევის არე მნიშვნელოვნად იზღუდება და შესაბამისად იცვლება ეკონომიკური ფუნქციები, თუმცა მათ შორის არის ისეთებიც, რომლებიც ერთიანია გეგმიან და საბაზრო ურთიერთობათა პირობებში.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში სახელმწიფომ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ ხელში უნდა აიღოს ისეთი ეკონომიკური ფუნქციები, როგორიცაა: ეკონომიკის სამართლებრივი ბაზის შექმნა; მაკროეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მიზნებისა და პრიორიტეტების განსაზღვრა; სოციალური ფასეულობის მართვა (დასაქმების უზრუნველყოფა); მეწარმეობრივი საქმიანობის რეგულირება (ლიბერალიზაცია, პრივატიზაცია, ანტიინფლაციური ღონისძიებების შემუშავება და ა. შ.) კონკურენციული გარემოს შექმნა, მისი გაფართოება და დაცვა; რესურსების სამართლიანი განაწილება და გადანაწილება; საზოგადოებრივ-საკომუნიკაციო სისტემების მუშაობის უზრუნველყოფა და სხვ. საქართველოს სინამდვილეში დღეისათვის ამ ფუნქციებიდან ბოლომდე თითქმის არც ერთი არ სრულდება. ჭიანურდება საკანონმდებლო ბაზის შემუშავება, არასტაბილურია სახელშეკრულებო ურთიერთობანი, ბაზარი არ ენდობა სახელმწიფოს, არაა მიღწეული საფინანსო და საწარმო სტაბილიზაცია, ლიბერალიზაცია, პრივატიზაცია.

ეკონომიკურ ცხოვრებას მეტწილად სტიქიური, არაორგანიზებული ხასიათი აქვს.

სახელმწიფოს ეკონომიკურ ფუნქციებს შორის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკურ ურთიერთობათა სამართლებრივი ბაზის შექმნას. მისი საშუალებით ხდება ბაზრის მონაწილეთა ურთიერთშეთანხმება, მეწარმეობრივი გარანტიის უზრუნველყოფა. სუსტი სამართლებრივი ბაზის პირობებში ბაზრის მონაწილეები ვერ ახერხებენ კანონიერ შეთანხმებას, არ დებენ განსაკუთრებით გრძელვადიან ხელშეკრულებებს, მეტწილად ადგილი აქვს საქონელთა მიმდინარე გაცვლის პროცესებს და რაც ყველაზე მთავარია არ ხერხდება უცხოურ ინვესტორთა მოზიდვა. საქართველოში ცნობილი მიზეზების გამო დროულად ვერ მოხერხდა ეკონომიკის სამართლებრივი, სრულყოფილი ბაზის ჩამოყალიბება, რის გამოც ქვეყანაში გამეფდა მოკლევადიანი, სპეკულაციური ხასიათის ეკონომიკური ურთიერთობანი და ბაზარმა მიიღო ქაოსური სახე.

პრინციპულად ახალი ნორმატიულ-სამართლებრივი ეკონომიკური ბაზის შექმნის პროცესმა, ჯერ ერთი, უნდა მოახდინოს საქართველოს სამეურნეო კანონმდებლობათა მაქსიმალურად მიახლოება და უნიფიკაცია უცხოეთის წამყვანი ქვეყნების შესაბამის კანონმდებლობასთან, ხოლო მეორეც მათში მაქსიმალურად უნდა აისახოს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური თავისებურებანი. ყოველად დაუშვებელია ისეთი ტიპური კანონების დამკვიდრება, რომლებიც არ ასახავენ ჩვენს ეროვნულ თავისებურებებსა და სინამდვილეს. ზემოხსენებული პირობების დაცვა საშუალებას მოგვცემს, ერთი მხრივ, მოხდეს საქართველოს ეკონომიკის ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკაში და, მეორე მხრივ, უზრუნველყოფილი იქნეს ქვეყნის საშინაო ეკონომიკის სტაბილიზაცია და აღორძინება. ამასთან, ბუნებრივია, რომ ქვეყანაში მიმდინარე რადიკალური ეკონომიკური რეფორმები აუცილებელს გახდის სამეურნეო კანონების პერიოდულად შესწორებას და გადასინჯვას.

სახელმწიფოს ეკონომიკურ ფუნქციებს შორის მნიშვნელოვან როლს თამაშობს აგრეთვე მაკროეკონომიკური განვითარების მიზნებისა და პრიორიტეტების განსაზღვრა, რომელიც ძირითადად ხორციელდება სოციალ-ეკონომიკური ინდიკატიური გეგმების შედგენისა და მიზნობრივი სახალხომეურნეობრივი პროგრამირების გზით. ინდიკატიური გეგმა სარეკომენდაციო-ორიენტირებადი ხასიათის დოკუმენტია, რომელიც მიზნის მიღწევის ხერხებით პრინციპულად განსხვავდება დირექტიული დაგეგმვისაგან. მისი მაჩვენებლები გამოხატავს სახელმწიფოს სოციალ-ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად მიზნებსა და პრიორიტეტებს. ამ გეგმის ცენტრალური რგოლია მიზნობრივი პროგრამები, რომლებიც დგება ქვეყნის აქტუალურ პრობლემებზე და მათ გადასაჭრელად პრი-

ორიტეტული წესით წარიმართება შეზღუდული მატერიალური და ფინანსური რესურსები. ინდიკატიური გეგმის სტრუქტურამ უნდა გამოხატოს ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარების ზოგადი კონტურები, მაკროეკონომიკური სტრატეგია, ეკონომიკური ზრდის ტემპები, ინფლაციის დონე, უმუშევრობა, კაპიტალის ინვესტირების მიმართულებები, სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებები და ა. შ.

მართალია, საქართველოში ჩატარდა სერიოზული მუშაობა რესპუბლიკის სოციალ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატიური გეგმის (1994-1995 წლებისათვის) შესადგენად, მაგრამ ჯეროვნად არ მიმდინარეობს მუშაობა დარგთაშორისი მიზნობრივი პროგრამების შედგენის საქმეში. ამასთანავე, დღემდე სრულყოფილად არაა შემუშავებული ინდიკატიური გეგმის შესრულების შეფასების მეთოდური და ორგანიზაციული ინსტრუმენტარი. ეკონომიკის დღევანდელი ქაოსური მდგომარეობა დღის წესრიგში აყენებს ინდიკატიური გეგმისა და სხვა პროგრამული დოკუმენტების ინფორმაციულ და მეთოდურ განახლება-კორექტირების აუცილებლობას, რაც მეტად გართულებულია სტატისტიკური, სააღრიცხვო და სხვა ინფორმაციული სისტემების სრული მოშლის გამო.

სახელმწიფოს ეკონომიკურ ფუნქციებს შორის ცალკე უნდა აღინიშნოს აგრეთვე მეწარმეობრივი საქმიანობის რეგულირების შესახებ. ეს რთული პრობლემაა და, თავის მხრივ, მოიცავს ფასების ლიბერალიზაციას, პრივატიზაციას, ანტიინფლაციურ ღონისძიებებს და სხვა, რაც მხოლოდ სახელმწიფომ უნდა დაარეგულიროს.

დღეს საქართველოში ეკონომიკური რეფორმა რეალობაა და მან აშკარად შეუქცევადი ხასიათი მიიღო. ამის საფუძველს იძლევა, უპირველეს ყოვლისა, ფასების ლიბერალიზაცია, რომელიც აუცილებელი პირობაა საბაზრო წონასწორობისა და მიწოდება-მოთხოვნას შორის რაციონალური თანაფარდობის დამყარებისათვის.

საქართველოს დღევანდელ პირობებში ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების სისტემაში დიდი ადგილი უჭირავს ანტიინფლაციურ ღონისძიებებს. გამომდინარე მსოფლიო გამოცდილებიდან, ამ მხრივ არსებობს ორი გზა — ფულის რეფორმის ჩატარება და ძვირი ფულის პოლიტიკის (ფულადი რესურსების შეზღუდვა) გატარება. მიუხედავად იმისა, რომ ომისშემდგომ პერიოდში ინფლაციის დაძლევის მიზნით ევროპის 24-მა ქვეყანამ ჩაატარა ფულის რეფორმა და მეტ-ნაკლებად გარკვეულ შედეგებს მიაღწია, თანამედროვე ეტაპზე საქართველოს პირობებში ამ მოდელის გამოყენება სარისკოდაა მიჩნეული. საქმე ისაა, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში ზედიზედ ოთხი წლის განმავლობაში კრიზისი გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო ვერ ხერხდება წარმოების დაცემის შეჩერება და სტაბილიზაციის მიღწევა ეკონომიკაში.

დღემდე სახელმწიფომ საქართველოში ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლის მეორე გზა – ფულადი რესურსების შეზღუდვის პოლიტიკა აირჩია, რაც მონეტარიზმის კონცეფციას და საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციებს ეფუძნება. ამ 12-თვიანი პროგრამით გათვალისწინებულია ფასების დიდმასშტაბიანი რეფორმები (ლიბერალიზაცია), ბიუჯეტის დეფიციტის საბანკო დაფინანსების შეწყვეტა, სახელმწიფო მმართველობითი აპარატის შემცირება, ხელფასის ინდექსაციის გადასინჯვა ბიუჯეტის სასარგებლოდ და ა. შ. ამ მიმართულებით აქტიურად მიმდინარეობს პრაქტიკული მუშაობა. როგორც უკვე აღინიშნა, 1994 წლის სექტემბრიდან მოხდა ფასების ლიბერალიზაცია პურზე, გაზზე, ელექტროენერგიასა და შიდასაქალაქო ტრანსპორტზე ისეთნაირად, რომ ფასებმა მთლიანად უნდა ასახოს წარმოებისა და განაწილების ღირებულება.

განხორციელდა ხელფასების რეორგანიზაცია ისე, რომ გაიზარდა ფულადი ნომინალური შემოსავალი და დაეცა რეალური შემოსაელის დონე. ამასთან, მოხდა ხელფასის შემოსავლებს შორის სხვაობის (კვალიფიკაციათა შესაბამისად) მკვეთრი შემცირება. სახელმწიფო შეუდგა საბიუჯეტო პოლიტიკის ტრანსფორმაციას. საწარმოებს გაუუქმდათ ყველა სუბსიდია და ტრანსფერტი, მიმდინარეობს სამუშაოები საგადასახადო შემოსულობათა გადიდების მიმართულებით, გატარდა ღონისძიებები კუპონებით ნაღდ და უნაღდო ანგარიშსწორებას შორის არსებულ სხვაობათა სალიკვიდაციოდ, ტარდება ეროვნული ბანკის საკუთარი წმინდა შინაგანი აქტივების ზრდის შეზღუდვა, ოვერდრაფტის მიხედვით კრედიტების ავტომატურად გაცემის შეჩერება და ა. შ.

ამ და სხვა სარეფორმო ღონისძიებათა გატარების შედეგად მოსალოდნელი სამთავრობო პროგნოზები შეიძლება მოკლედ შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: პროგრამის დაძლევისათვის (12 თვე) ინფლაციის თვიური ტემპის შემცირება ერთნიშნა რიცხვამდე. ამასთან, უნდა ითქვას, რომ, ამ ოპტიმისტური შუალედური პროგნოზის ფორმირებისას. ჩვენი აზრით, არ იქნა სათანადო დონეზე შეფასებული და გათვალისწინებული ის ავტონომიური და ლოკალური პროგნოზები, რომლებიც ზემოხსენებული მიზნობრივი პროგნოზის რეალურ ხდომილებაზე ეპკის შეტანის საბაბს იძლევა.

რა თქმა უნდა, ძვირი ფულის პოლიტიკით შესაძლებელია ინფლაციის მოთოკვა, მაგრამ ამ პროცესს თან უნდა ახლდეს წარმოების დაცემის საწინააღმდეგო ფაქტორების ამოქმედება. სხვა შემთხვევაში ძირითადი შედეგი მიღწეული იქნება, ინფლაცია დროებით დაიძლევა, საერთაშორისო ორგანიზაციები სესხებს გასცემენ და წარმოების აუმოკმედებლობის შემთხვევაში ინფლაციის სპირალი კვლავ დაიწყებს დახვევას. ვფიქრობთ, სათანადო ანალიზისა და შესწავლის მიღმა დარჩა ისეთი

საკითხები, როგორიცაა: წარმოების დაცემისა და ტექნოლოგიური ციკლების გაწყვეტის, გადაუხდელობის პრობლემები, რომლებიც უთუოდ მოჰყვება ამ ღონისძიებებს, აგრეთვე მოსახლეობის დიდი ნაწილის ფიზიკურად გადარჩენის პრობლემა. ბოლომდე არაა გააზრებული სოციალური დაცვის საკითხი; ჩრდილოვანი ეკონომიკის გაძლიერების, კრიმინოგენული (ქურდობა, მექრთამეობა, ყაჩაღობა) სიტუაციის გამწვავების, ხელისუფლებისადმი მოსახლეობის ნაწილის ოპოზიციურად განდგომის პრობლემა და ა. შ. დღის წესრიგში უთუოდ დადგება აგრეთვე სარეფორმო გადაწყვეტილებათა პატიოსნად, ოპერატიულად და კვალიფიციურად შემსრულებელთა პრობლემა.

სახელმწიფოს მიერ ფასების სრული ლიბერალიზაცია აუცილებელი იყო, პირიქით, ეს ღონისძიება დაგვიანებითაც დაიწყო. მაგრამ ვფიქრობთ, რომ მას შედარებით ნაკლებად მტკივნეული ხასიათი ექნებოდა, თუ ის გატარდებოდა ეტაპობრივად (ორ ეტაპად მაინც).

ამრიგად, ვეთანხმებით რა ფასების ლიბერალიზაციის აუცილებლობის კონცეფციას, არასწორად მიგვაჩნია, მისი რეალიზაციის მიმდინარე გზები და ფორმები. კერძოდ, ფასების ერთი ხელის მოსმით და არა იტეგრაციული გზით გაშვებამ გამოიწვია ისედაც დაცემული წარმოების კიდევ უფრო დაცემა. ამან კი, თავის მხრივ, გაზარდა დეფიციტი, დაარღვია ტექნოლოგიური კავშირები და გამოიწვია მთელი რიგი დარგებისა და წარმოებების გაჩერება. ეკონომიკის სრული მოშლისა და წარმოების სტაბილიზაციის პრობლემები სახელმწიფოს აიძულებს საბაზრო რეგულირების პარალელურად მომავალში გამოიყენოს მართვის ადმინისტრაციული მეთოდები. ეს აუცილებელი გახდება მაშინ, როდესაც ფასების ერთბაშად ლიბერალიზაციის შედეგად ქვეყნის წინაშე დადგება არგადახდების პრობლემა. ეს კი მიგვიყვანს არა მხოლოდ რიგი წარმოებების გაკოტრებამდე, არამედ მომუშავე საწარმოების მიმართ ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარების (ენერგომატარებლების გამოთიშვა, ფინანსური სანქციები, ხელმძღვანელის ადმინისტრაციული წესით დასჯა და ა. შ.) აუცილებლობამდე. პროგნოზები გვიჩვენებს, რომ რაც უფრო ძლიერი იქნება წარმოების მოცულობის შემცირება ფასების ლიბერალიზაციის შედეგად, მით უფრო საჭირო გახდება კორექტივების შეტანა (გადახვევა) აღებული ფულად-საკრედიტო და ფინანსური პოლიტიკიდან. ამის მაგალითად რუსეთიც გამოდგება, სადაც თავიდან აღებული მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა შესაბრილებელი გახდა წარმოების მკვეთრად დაცემის გამო, თუმცა ამ ღონისძიებასაც არ მოჰყოლია არსებითი ხასიათის შედეგები.

ასევე შინაგანად წინააღმდეგობრივია სახელმწიფოს ფუნქციები პრივატიზაციის, დეცენტრალიზაციის და კონკურენციული გარემოს შექმნის სფეროებში. ეს ფუნქციები ძირითადად ავტონომიურად და მოუწესრი-

გებლად სრულდება. ბაზრის სუბიექტები დამოუკიდებლად, სახელმწიფოს კანონიერი ნებართვის გარეშე ისაკუთრებენ უფლებებს. ცნობილია, რომ ეკონომიკის ლიბერალიზაცია სახელმწიფოს დასუსტების მძლავრი ბერკეტია. სახელმწიფოს დასუსტება საქართველოში კი დაიწყო ჯერ კიდევ რეფორმების გამოცხადებამდე, როდესაც საფუძველი ჩაეყარა ნომენკლატურულ-ფარულ პრივატიზაციას. მაგრამ დღევანდელ პირობებში კი, როდესაც ასე თუ ისე, კანონიერი სახე მიიღო ქონების განსახელმწიფოებრიობამ, მთელი რიგი მსხვილი საწარმოები პრივატიზაციის საკუთარ კანონებს იგონებს და თავისებურად „არემონტებს" ოფიციალურ დოკუმენტებსა და ნორმატიულ აქტებს. ასევე იქცევა ადგილობრივი მართვის ორგანოები. სამწუხაროდ, სახელმწიფოს არ ძალუძს წინ აღუდგეს ამგვარ ეკონომიკურ ეგოიზმს.

ცენტრალური ხელისუფლებისაგან საჭირო კონტროლის გარეშე მიმდინარე ლიბერალიზაცია, პრივატიზაცია და დეცენტრალიზაცია ყოველთვის კონფრონტაციულ ხასიათს ატარებს, რადგან უფლებებისა და პასუხისმგებლობის კანონიერი განაწილების მაკონტროლებელი არავინ არაა. ბაზარი, რომელიც სახელმწიფოს ჩარევის გარეშე სტიქიურად აღმოცენდება, თავისთავად „ველური" ხასიათისაა, სადაც ქცევის წესები ყალიბდება არა ხელშეკრულებათა საფუძველზე, არამედ ძალის გამოყენებით.

ამასთან, პოსტსოციალისტურ პერიოდში სახელმწიფო აღმოჩნდა რთული ორმაგი სიტუაციის წინაშე. იგი იძულებული გახდა თავისივე ხელით დაენგრია ის ზემონოპოლიური სტრუქტურა, რომელიც ჯერ კიდევ სოციალისტური ეკონომიკის დროს დამკვიდრდა. ბაზარი ამ სტრუქტურას ვერ დაანგრევს და ვერც დაანგრია, რამაც მიგვიყვანა კიდეც არასრულყოფილი ბიუროკრატიული ბაზრის ჩამოყალიბებამდე, რომელიც მჭიდროდაა გადაჯაჭვული სახელმწიფოებრივ სტრუქტურებთან და კორუფციის ჭაობში იფლობა. ცივილიზებული ბაზარი რომ გვქონდეს, საჭიროა სახელმწიფომ გაატაროს არა მხოლოდ საკანონმდებლო და ორგანიზაციული ცვლილებები (ძველი სტრუქტურების ლიკვიდაცია-რეორგანიზაცია, ანტიმონოპოლიური საკანონმდებლო ბაზის შემუშავება და ა. შ.), არამედ უნდა მოახდინოს ეკონომიკური რეფორმების არათუ თეორიული საფუძვლების შემუშავება, არამედ პრაქტიკული რეალიზაცია.

ცხადია, პოსტსოციალისტურ პერიოდში სახელმწიფოს გაორებული მდგომარეობა მისგან მოითხოვს რადიკალური ღონისძიებების გატარებას. მან თვით უნდა დაამსხვრიოს თავისი არასაბაზრო ძლიერი სტრუქტურები და შექმნას მისადმი კონკურენტულ-ოპოზიციული საბაზრო ინსტიტუტები. ყოველივე ეს გარკვეულწილად ეწინააღმდეგება სახელმწიფოებრივი სტრუქტურებისა და ჩინოვნიკების საკუთარ ინტერესებს,

რომლის გამოც ძირითადად ფერხდება ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარება.

პოსტსოციალისტურ პერიოდში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს მიერ რესურსების გადანაწილების ფუნქციას. ამის გარეშე შეუძლებელი ხდება ეკონომიკის სტრუქტურული გადაწყობა, საბაზრო ეკონომიკის გაწონასწორება. ახლად წარმოშობილ ბაზარს არ შეუძლია სწრაფად და პოზიტიურად შეცვალოს აღწარმოებითი პროცესები, ამიტომ გარდამავალ პერიოდში გადანაწილების ფუნქცია ბაზართან ერთად სახელმწიფომ უნდა გაინაწილოს მანამ, სანამ დამყარდება ცივილიზებული მიწოდება-მოთხოვნის წონასწორობა. თუმცა სახელმწიფოს გადანაწილების ფუნქცია თავის აქტუალობას სრულყოფილი საბაზრო ურთიერთობის პირობებშიც არ დაკარგავს.

როგორც აღვნიშნეთ, ეკონომიკური რეფორმების შედეგები პოსტსოციალისტურ ქვეყნებში დამოკიდებულია იმაზე, თუ რეგულირების როგორ გზას, ლიბერალურსა თუ სახელმწიფოებრიეს, ავირჩევთ. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ჩამოყალიბებული წინასაბაზრო პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური გარემოებანი საწყის ეტაპზე უპირატესობას სახელმწიფოებრივ გზას ანიჭებს. კრიზისის პერიოდში, და განსაკუთრებით კი პოლიტიკურად და სოციალურად დესტაბილიზებულ ქვეყანაში, ისე როგორც არასოდეს, იზრდება სახელმწიფოს როლი. კრიზისისა და მისი თანმდევი მოვლენების ლიკვიდაცია მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია.

ამრიგად, პოსტსოციალისტურ პერიოდში სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები რთული და წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. ამ მრავალრიცხოვანი ფუნქციებიდან უმთავრესის ამორჩევა და წინა პლანზე წამოწევა უნდა განხორციელდეს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისა და ეკონომიკური სიტუაციების მაქსიმალური გათვალისწინებით. ცხადია, ეკონომიკური ფუნქციების შესრულება სახელმწიფოს მიერ დაკავშირებული იქნება როგორც წინააღმდეგობრივ კომპრომისებთან, ასევე რადიკალური უკომპრომისო გადაწყვეტილებების მიღებასთან.

ნებისმიერ ქვეყანაში სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც ხელს შეუშლიან საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრებასა და განვითარებას, ბაზარზე გავლენა უნდა მოახდინოს ძირითადად ეკონომიკური მეთოდებით, ამასთან, ეკონომიკურმა რეგულატორებმა არ უნდა შეცვალოს ან შეასუსტოს საბაზრო სტიმულები. სახელმწიფო იყენებს რა ეკონომიკურ რეგულატორებს, ვალდებულია მუდმივად აკონტროლოს მათი დანერგვის შედეგად მიღებული დადებითი და უარყოფითი შედეგები და პასუხი აგოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე. ამასთან, ეკონომიკის სახელმწიფოს მიერ რეგულირების მეთოდებისა და ფორმების შერჩევისას აუ-

ცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნული სპეციფიკა, რომელიც საგრძნობ გავლენას ახდენს ეკონომიკურ საქმიანობაზე. მაკროეკონომიკური და სტრუქტურული პოლიტიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების საკითხებზე უფრო დაწვრილებით საუბარი იქნება წიგნის მომდევნო თავებში.

თავი 2. საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის მაკროეკონომიკური პრობლემები საქართველოში

2.1.საბაზრო ეკონომიკის მოდელები. საქართველოს არჩევანი. ფასების ლიბერალიზაცია და ინფლაცია

საბაზრო ეკონომიკის თეორიასა და პრაქტიკას დიდი ხნის ისტორია აქვს. რის შესახებაც მოსაზრებები ჯერ კიდევ ძველი საბერძნეთის მოაზროვნეთა ნაშრომებში გვხვდება. მართალია, ამ პერიოდში მოსახლეობა ძირითადად ჩაკეტილ, ნატურალურ მეურნეობას მისდევდა, მაგრამ მაინც ადგილი ჰქონდა ყიდვა-გაყიდვას. ჯერ კიდევ პლატონმა წამოაყენა იდეა, რომლის თანახმადაც გაცვლის. პროცესში ხდება ყველა საქონლის ურთიერთგატოლება. არისტოტელემ კი დაიწყო ძიება იმ უცნობი სუბსტანციისა, რომელიც საქონელთა შეთანაზომვას ემსახურება. ის აღნიშნავდა, რომ საქონელთა გაცვლა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გარკვეული პროპორცია და ეს უკანასკნელი უნდა ეყრდნობოდეს რაღაც საფუძველს. თუმცა მისი არსი მან ვერ ახსნა. აღნიშნული კითხვა უპასუხოდ დარჩა მრავალი საუკუნის განმავლობაში.

მერკანტილიზმის ეპოქაში (მე-15 საუკუნე), როდესაც საფუძველი ჩაეყარა მოძღვრებას ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ, გარკვეულწილად წინ წამოიწია ბაზრის თეორიამ. მერკანტილიზმის ადრეულ პერიოდში შეიქმნა ე. წ. ,,ფულადი ბალანსის'' თეორია, რომლის თანახმად სახელმწიფოს ძლიერება ფულადი სიმდიდრის ზრდაში გამოიხატებოდა. შემდგომში გვიანდელი მერკანტილიზმის დროს წინა პლანზე დადგა აქტიური სავაჭრო ბალანსის ფორმირების აუცილებლობა (ქვეყანაში შემოზიდული პროდუქციის მოცულობაზე გაზიდული პროდუქციის გადაჭარბება). ადრეული და გვიანდელი მერკანტილიზმის მთავარი ორიენტირი იყო მიმოქცევის სფერო, როგორც სიმდიდრის მთავარი წყარო, რომელიც ძვირფასი ლითონებისა და ფულის დაგროვებაში გამოიხატებოდა. მერკანტილისტთა მოძღვრებაში ყურადსაღებია დებულება საქონელგაცვლაში სახელმწიფოს აქტიური როლის შესახებ.

მე-18 საუკუნეში გაჩნდა მერკანტილიზმის საპირისპირო მოძღვრება ფიზიოკრატიზმის სახით, რომლის ფუძემდებელი იყო ფ. კენე. მათ. მერკანტილისტებისაგან განსხვავებით, ეკონომიკური ანალიზის სფეროდ გამოჰყვეს მატერიალური წარმოება – სოფლის მეურნეობა – სა-

ზოგადოების სიმდიდრის უმთავრესი წყარო. ბაზრის თეორიაში ფიზიოკრატებმა შემოიტანეს მოძღვრება ეკვივალენტური გაცვლის შესახებ. ამასთან, მათ აჩვენეს, რომ საქონელი მიმოიქცევა წინასწარ მოცემული ფასით, რომელიც დამოკიდებულია იმაზე, იშვიათია თუ ჭარბი იგი. ფიზიოკრატები თავისუფალ კონკურენციას თვლიდნენ ეკონომიკური პროცესების რეგულატორად.

შემდგომი ეტაპი ბაზრის თეორიის განვითარებაში იყო ა. სმიტის მოძღვრება, რომლის თანახმად საზოგადოებისა და კერძო ინტერესების ურთიერთმოქმედება იქნება ოპტიმალური, თუ სახელმწიფო არ ჩაერევა ამ პროცესში, ანუ ა. სმიტის აზრით, ეკონომიკის მარეგულირებელი ფუნქციის როლს ასრულებს რაღაც „უხილავი ხელი". ამით იგი კატეგორიულად უარყოფდა მერკანტილისტთა მოძღვრებას ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების შესახებ (აქტიური სავაჭრო ბალანსის მისაღწევად) და მხარს უჭერდა ფიზიოკრატთა თავისუფალი ეკონომიკური ურთიერთობის მოძღვრებას. ა. სმიტის შემოქმედება შემდგომში განავითარა უ. სეიმ. მის მიერ შემუშავებული თეორიის თანახმად, საბაზრო ურთიერთობები ვითარდება სპონტანურად და გამორიცხავს ყოველგვარ გარე ზემოქმედებას ეკონომიკურ სისტემაზე. ამ თეორიის თანახმად წარმოება თვით წარმოშობს მოთხოვნას და შესაბამისად საბაზრო ურთიერთობათა პირობებში არ ექნება ადგილი არც ჭარბწარმოებას და არც უმუშევრობას. ეს დებულება ისტორიამ არ დაადასტურა.

ბაზრის ფენომენი არც კ. მარქსს დაუტოვებია უყურადღებოდ. იგი განიხილავდა რა „კაპიტალში" თავისუფალ კონკურენციას, როგორც კაპიტალისტური წარმოების სტიქიური რეგულირების მექანიზმს, გამოჰყოფდა შიდადარგობრივ და დარგთაშორის კონკურენციას. შიდადარგობრივი კონკურენციის შესწავლით მან აჩვენა, როგორ გარდაიქმნება საქონლის ინდივიდუალური ღირებულება საბაზრო ღირებულებად.

დარგთაშორისი კონკურენციის ანალიზის შედეგად იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კაპიტალი განაპირობებს მიწოდებას და მოთხოვნას შორის ისეთ თანაფარდობას, რომ წარმოების სხვადასხვა სფეროში იქმნება ერთი და იგივე საშუალო მოგება და ამის შედეგად ღირებულება გარდაიქმნება წარმოების ფასად. საბაზრო ეკონომიკის სხვა მკვლევარებისაგან განსხვავებით, რომლებიც თვლიდნენ საბაზრო ძალების სპონტანურ განვითარებას ეკონომიკის ფუნქციონირების ერთ-ერთ მართებულ მიმართულებად, კ. მარქსმა აჩვენა, რომ მოგების მაღალი ნორმის მიღებისაკენ გამოდევნება ძირს უთხრის ეკონომიკის ფუნქციონირებას და იწვევს კრიზისს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კ. მარქსი არ უარყოფდა საბაზრო ძალების როლს ეკონომიკის განვითარებაში.

ბაზრის თეორიაში ცნობილია აგრეთვე ზღვრული სიდიდეების მარჟინალისტური კონცეფცია და ფასების სუბიექტურ-ფსიქოლოგიური თეორია (კ. მენგერი, დ. ჯევონსი, ლ. ვალრასი). ამ თეორიის თანახმად საქონლის ფასი განისაზღვრება მასზე მოთხოვნის მნიშვნელობის შესაბამისად. მარჟინალიზმის თეორიის ცენტრალური ფიგურაა რაციონალური მომხმარებელი, რომელიც ცდილობს თავისი მატერიალური სიკეთის მაქსიმიზაციას და შესაბამისად საბაზრო ფასი წარმოადგენს გაცვლის მონაწილეთა სუბიექტური შეფასების შედეგს. მართალია, აღნიშნული თეორია ადრეც და დღესაც კრიტიკის ობიექტია, მაგრამ მან გარკვეული როლი ითამაშა ბაზრის თეორიის განვითარებაში.

საბაზრო მოდელების ფორმირებაში დიდი როლი შეასრულა ნეოკლასიკურმა თეორიამ (ა. მარშალი, დ. ჰიკსი, მ. ფრიდმენი და სხვ.), რომლის მეთოდოლოგიური საფუძველია ზღვრული სარგებლიანობის პრინციპი. აღნიშნული მიდგომის თანახმად, ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმში ცენტრალური ადგილი განეკუთვნება მომხმარებელს. მათ შეისწავლეს მოთხოვნა-მიწოდების კანონზომიერებანი. ა. მარშალმა გამოიყვანა მოთხოვნის მრუდი და სარგებლიანობის ფუნქცია და დაამტკიცა, რომ, რაც უფრო დიდი რაოდენობის საქონელი გააჩნია გამყიდველს, მით უფრო მცირდება მასზე მოთხოვნის ზღვრული ფასი.

დღეისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ე. წ. რეგულირებადი ბაზრის მოდელს, რომელიც შემუშავებულია ჯ. კეინსის მიერ. მისი შექმნის აუცილებლობა განაპირობა ისტორიულმა ვითარებამ. საქმე ისაა, რომ ვიდრე დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკა ვითარდებოდა აღმავალი გზით, დიდი იყო „უხილავი ხელების" თეორიისადმი რწმენა, მისი რეიტინგი შესამჩნევად დაეცა მას შემდეგ, რაც მე-20 საუკუნის 30-იან წლებში დამანგრეველი ხასიათი მიიღო ეკონომიკურმა კრიზისმა. ასეთ ვითარებაში ჯ. კეინსმა უარყო მეცნიერებაში მყარად დამკვიდრებული წარმოდგენა თავისუფალი კონკურენციის ძლიერების შესახებ და დაასკვნა, რომ სრული დასაქმება მიიღწევა მხოლოდ „ეფექტური მოთხოვნის" პირობებში. ამ უკანასკნელს კი ადგილი აქვს ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების ფუნქციების გადაკვეთისას. ჯ. კეინსის მოდელის თანახმად, ადამიანები ყოველთვის ზრდიან თავიანთ მოხმარებას შემოსავლის ზრდასთან ერთად, მაგრამ არა იმ ზომით რა ზომითაც იზრდება შემოსავალი. ამიტომ დასაქმების ზრდა იწვევს ერთობლივი მიწოდების ზრდას, მაგრამ, მეორე მხრივ, ერთობლივი მოთხოვნა იზრდება ნაკლები სიდიდით, რის გამოც ვერ მიიღწევა სრული დასაქმება. ჯ. კეინსი აქ გამოსავალს ხედავს ინვესტიციების ზრდაში. თავის მხრივ, ინვესტიციების მატება დამოკიდებულია სესხის გამცემთა ფსიქოლოგიასა და სახელმწიფოს საემისიო პოლიტიკაზე, რომელიც გავლენას ახდენს პროცენტის ნორმაზე. ფულად მიმოქცევაზე

ზემოქმედებით სახელმწიფოს ხელეწიფება პროცენტის ნორმის და შესაბამისად ინვესტიციური აქტივების რეგულირება, რომელიც, თავის მხრივ, მულტიფიკაციური ეფექტის მეშვეობით ზემოქმედებს ერთობლივ მოთხოვნაზე და, საბოლოო ჯამში, დასაქმების დონეზე. ამრიგად, ბაზრის კეინსისეული მოდელის ამოსავალი ღერძია მაკროეკონომიკური პარამეტრების სახელმწიფოებრივი რეგულირება.

ამ ბოლო წლებში დასავლეთის ეკონომიკურ მეცნიერებაში გადასინჯულ იქნა კეინსისეული მოდელი და ფეხი მოიკიდა ე. წ. მონეტარისტულმა სკოლამ მ. ფრიდმენის მეთაურობით. ამ მიმართულების ძირითადი კონცეფცია მდგომარეობს იმაში, რომ უარყოფილია საბაზრო სისტემაში სახელმწიფოს ჩარევა და ბაზარი მიჩნეულია თვითრეგულირებად სისტემად. მონეტარისტები სახელმწიფოს განიხილავენ როგორც ბიუროკრატიულ და არაეფექტურ აპარატს ინდივიდუალური ინიციატივისათვის. მათი აზრით, სახელმწიფო რეგულირებას ეკონომიკა მიჰყავს დესტაბილიზაციისაკენ და თრგუნავს ადამიანის თავისუფლებას.

მონეტარიზმის, როგორც მისი დასახელებიდან ჩანს, მთავარი ობიექტია ფულადი ურთიერთობა და იგი მიჩნეულია კვლავწარმოებითი პროცესის მასტაბილიზებელ ფაქტორად. ისინი თვლიან, რომ არსებობს კანონზომიერი დამოკიდებულება მიმოქცევაში არსებული ფულის მასის სიდიდეს, ეროვნული შემოსავლის მოცულობასა და სამეურნეო აქტივობის ციკლურ რყევადობას შორის. მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობის შემცირებამ შეიძლება მიგვიყვანოს ეროვნული წარმოების მოცულობის შემცირებამდე. მონეტარისტების აზრით, კეინსისეული მოდელები, რომლებიც მიმართულია „ეფექტიანი მოთხოვნის" შექმნისაკენ, დეფიციტური საბიუჯეტო დაფინანსების გზით, იწვევს ინფლაციის გაბერვას და ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპების შემცირებას. ამასთანავე, მონეტარისტები საჭიროდ მიიჩნევენ უმუშევრობის შენარჩუნებას „ბუნებრივ დონეზე", რომელიც პასუხობს შრომის ბაზრის კონიუნქტურას. მათ შეიმუშავეს საბაზრო ეკონომიკის ისეთი მოდელი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს მიმოქცევაში არსებული ფულის მასას და სასაქონლო, სავალუტო და შრომის ბაზრის პარამეტრებს. მონეტარისტული მოდელი ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ მიზნად ისახავს ინფლაციასთან ბრძოლას, უარყოფს სრული დასაქმების აუცილებლობას და სახელმწიფოს ჩარევას ეკონომიკური ცხოვრების რეგულირებაში.

მსოფლიოს წამყვანი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნები ძირითადად ეყრდნობა ზემოხსენებულ ორ მოდელს – კეინსისეულსა და მონეტარისტულს. თუმცა წმინდა სახით არც ერთი მოდელი დღეს პრაქტიკულად არ არსებობს. იმისდა მიხედვით, თუ როგორია ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიული, ბუნებრივი, პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური, კულტურული და სხვა პირობები, განსხვავებულია საბაზრო ურთიერთობათა

რეგულირების სამეურნეო მექანიზმები, ბაზრის ფუნქციონირების ხასიათი, შრომის მოტივაციის სისტემა და ა. შ. ამიტომაც, დღეს საუბარია საბაზრო ეკონომიკის არა კეინსისეულ და მონეტარისტულ მოდელებზე, არამედ ამერიკულ, იაპონურ, ფრანგულ, გერმანულ, ჩინურ, პოლონურ, შვედურ და ა. შ. მოდელებზე. დღეს არსებული ყველა მოდელი კეინსისეული და მონეტარისტული მიდგომების მოდიფიკაცია და სახეშეცვლილი ფორმაა.

იმ ქვეყნებში, სადაც მეტწილად საკუთრების კერძო ფორმაა გაბატონებული, ირჩევენ მონეტარისტულ მოდელს, რომელმაც დღეისათვის ლიბერალური მოდელის სახელწოდება მიიღო. იმ ქვეყნებში კი, სადაც საკუთრების შერეული ფორმაა და სახელმწიფო საკუთრებას გარკვეული ხვედრითი წილი უკავია, მეტწილად ეფუძნებიან კეინსისეულ მოდელს, რომელმაც ამ ბოლო დროს სოციალურად ორიენტირებული მოდელის სახელწოდება მიიღო.

ჯერჯერობით მსოფლიო ეკონომიკურ მეცნიერებას არ შეუმუშავებია ის კრიტერიუმები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ქვეყანამ საბაზრო მოდელის შერჩევის დროს. ერთი კი ცხადია, რომ მონეტარისტული (ლიბერალური) მოდელის ფართო პროპაგანდას და პრაქტიკულ დანერგვას ეწევიან მსოფლიოს წამყვანი საფინანსო ორგანიზაციები და განსაკუთრებით სავალუტო ფონდი. ამ უკანასკნელის მიერ შემუშავებული ეკონომიკური რეკომენდაციები თითქმის ტიპურია ყველა ქვეყნისათვის. ისინი პრაქტიკულად აპრობირებულია მრავალ განვითარებად ქვეყანაში, სადაც მან არაერთგვაროვანი სოციალ-ეკონომიკური შედეგები გამოიღო.

საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვა საფინანსო საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული ეკონომიკური გარდაქმნების მოდელი ითვალისწინებს: ჩამორჩენილი ქვეყნის ეკონომიკის მსოფლიო ბაზარში ჩართვას; ქვეყნის საზღვრების გახსნას; ეროვნული ფულის კონვერტირების მიღწევას; დასავლეთის ინვესტიციების შეტანას; სახელმწიფო ქონების პრივატიზაციას; ფასების ლიბერალიზაციას; მკაცრი საგადასახადო-საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებას და ა. შ. კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ აღნიშნული მოდელი შემუშავებულია განვითარებადი ქვეყნებისათვის. პოსტსაბჭოური ქვეყნებისათვის ამ მოდელში არ არის შეტანილი სათანადო ცვლილებები გამომდინარე თითოეულ ქვეყანაში არსებული სპეციფიკური თავისებურებებიდან. ამიტომაც სტანდარტული მოდელის რეალიზაციის შედეგები ბევრ ქვეყანაში ეჭვის ქვეშაა დაყენებული. ამას ემატება ისიც, რომ მონეტარისტული მოდელი საჭიროებს სტაბილურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოს, რაც ძნელად მისაღწევი გახდა პოსტსოციალისტური ქვეყნების დიდი ნაწილისათვის.

პოსტსოციალისტური ქვეყნებისათვის და განსაკუთრებით პოსტსაბჭოური რესპუბლიკებისათვის, სადაც სახელმწიფო საკუთრებას ეჭირა წამყვანი როლი და იგი, ასე თუ ისე, დღესაც ინარჩუნებს თავის მდგომარეობას, როგორც ჩანს, უფრო მიზანშეწონილი იყო საბაზრო ურთიერთობებზე ევოლუციური, თანდათანობითი გზით გადასვლა. ეს საშუალებას მისცემდა ამ ქვეყნებს ერთი ხელის მოსმით არ დაენგრიათ არსებული ეკონომიკური წყობა და ახალ ეკონომიკურ ურთიერთობაზე გადასულიყვნენ მას შემდეგ, როცა მოამზადებდნენ დანგრეულის (ძველის) სანაცვლოდ ახალ ეკონომიკურ მექანიზმებსა და სტრუქტურებს. ამგვარი მიდგომის შესანიშნავ მაგალითად შეიძლება დასახელდეს ჩინეთი, სამხრეთ კორეა და სხვა ქვეყნები, სადაც ცენტრალიზებულ გეგმიან მეურნეობას თანდათანობით ცვლის საბაზრო ურთიერთობები და ქვეყნის ეკონომიკის რეგულირებიდან არაა გამოთიშული სახელმწიფო.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის მოდელის შერჩევისათვის დრო არ დარჩა, ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის გამო (ომი, კრიზისი, გადატრიალება და ა. შ.). ამიტომ (და არა მხოლოდ ამიტომ) ძირითადად აქცენტი აღებულ იქნა ეგზოგენურად შემოთავაზებულ მოდელზე. ეს იყო ძირითადად საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციები. ამ მოდელისაკენ აქცენტის აღება განაპირობა აგრეთვე ობიექტურმა ფაქტორებმაც. ჯერ ერთი, რუსეთში თავიდანვე რეფორმების მონეტარისტული გზა აირჩიეს და რამდენადაც საქართველო იმ დროს სამანეთო სივრცეში იმყოფებოდა, მას არ შეეძლო სხვა მოდელის არჩევა და, მეორეც, საქართველოს გამოყვანა მძიმე ეკონომიკური კრიზისიდან საგარეო სესხების მოზიდვის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, ხოლო ამ უკანასკნელის გარანტს სწორედ საერთაშორისო სავალუტო ფონდი წარმოადგენდა.

დღეისათვის ძნელია იმის რაოდენობრივი შეფასება, თუ რომელი საბაზრო მოდელით შეიძლებოდა უფრო ეფექტურად ჩატარებულიყო საქართველოში ეკონომიკური რეფორმები. ეს მომავლის საქმეა. ამჟამად კი შეიძლება გარკვეული შეფასება მიეცეს მონეტარისტული მოდელის რეალიზაციის თანამიმდევრობას და მის პირველ სოციალ-ეკონომიკურ შედეგებს (იხ. თავი I, § 4).

ასეა თუ ისე, საქართველოში ეკონომიკური რეფორმების საფუძვლად არჩეულ იქნა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემოთავაზებული მოდელი, რომლის რეალიზაცია რეფორმების განვლილ პერიოდში სხვადასხვა ინტენსივობით და შედეგებით ხასიათდებოდა.

სამწუხაროდ, რეფორმა დაიწყო ყველაზე მარტივი მეთოდით — ფასების ლიბერალიზაციით. ამ გადაწყვეტილების მიღებას განაპირობებდა როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური ფაქტორები. ობიექტურიდან აღსანიშნავია რუსეთის ფაქტორი, სადაც რეფორმები დაიწყო ფასების

ლიბერალიზაციით, რის გამოც საქართველოს არ შეეძლო არ „აეწყო ფეხი" მისთვის. სუბიექტურია ის, რომ ადგილი ჰქონდა არაკომპეტენტურობასა და უცოდინრობას ფასწარმოქმნის თეორიასა და პრაქტიკის დარგში. არადა ფასების სწორი პოლიტიკის ფორმირებაზე დიდადაა დამოკიდებული საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის წარმატებები.

საქართველოში ფასების პირველ მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ მატებას ადგილი ჰქონდა 1991 წლის იანვარ-მაისში. 1992 წლის იელისში ფასები განთავისუფლდა ისეთ პროდუქტებზე, როგორიცაა: ხორცი, კარტოფილი, მარილი, შაქარი, მცენარეული ზეთი, ასანთი, ბენზინი, დიზელის საწვავი, ზეთი, ქვანახშირი და სხვ. შემდგომში ფასების სახელმწიფოებრივ რეგულირებას ადგილი ჰქონდა პურზე, რძეზე, წამლებზე, ბუნებრივ გაზზე, ელექტროენერგიაზე, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის მომსახურებაზე.

რაც შეეხება საბითუმო ფასებს, მათ განთავისუფლებას ძირითად პროდუქტებზე ადგილი ჰქონდა 1992 წლის მარტ-აპრილში. 1994 წლის ბოლოსათვის დირექტიული საბითუმო ფასები მოქმედებდა ქვანახშირზე, ბუნებრივ და თხევად გაზზე, ელექტროენერგიაზე და კავშირგაბმულობის მომსახურებაზე.

1992-1995 წლებში თანდათანობით მოიხსნა პროდუქციაზე და მომსახურებაზე ფასების კონტროლი. ამ პერიოდში ნაწილი პროდუქციის ფასები კონტროლს იყო დაქვემდებარებული და მათი გადასინჯვა ხდებოდა ზრდის მიმართულებით. 1994 წლისათვის ჯერ კიდევ ჰქონდა ადგილი ფასების რეგულირებას პურზე, რძეზე, ფარმაცევტულ-სამედიცინო საქონელზე, ელექტროენერგიაზე, წყალზე, ბუნებრივ გაზზე, ქვანახშირსა და ტრანსპორტზე. ზოგიერთი რეგულირებადი ფასები განისაზღვრება პროდუქციის თვითღირებულებისა და მოგების მაქსიმალური ზომის შეზღუდვის საფუძველზე. ისეთ საქონელზე, როგორიცაა პური, ბუნებრივი გაზი და ელექტროენერგია, საცალო ფასები დგინდება უფრო დაბალ დონეზე, ვიდრე მათი თვითღირებულებაა, რაც იწვევს სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული სუბსიდირების აუცილებლობას.

1995 წლის მეორე ნახევრისათვის რესპუბლიკაში თითქმის ყველა პროდუქცია და მომსახურება იყიდებოდა თავისუფალი ფასებით. ფასების დინამიკაზე გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ქვემოთ მოყვანილი მე-10 ცხრილი.

გეგმიანი მეურნეობისაგან განსხვავებით, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფასებს ძალიან დიდი მოთხოვნები წაეყენება. ამ დროს ფასები გამოდის როგორც მიწოდება-მოთხოვნის რეგულატორი და პირიქით, ფასები, თავის მხრივ, განიცდის ტრანსფორმაციას ჩამოყალიბებული მიწოდება-მოთხოვნის პროპორციებიდან გამომდინარე. სამწუხაროდ, ფასების ამგვარი ბუნებრივი როლი და მნიშვნელობა რეფორმების

თავდაპირველ ეტაპზე სათანადოდ ვერ შეფასდა და ეკონომიკური გარდაქმნები დაიწყო მისი მარტივი ფორმით – ფასების განთავისუფლებით (აშვებით). „შოკური თერაპიის" ცნობილი მოდელი, რომელიც საფუძვლად დაედო ეკონომიკურ რეფორმებს რუსეთში, საქართველოში უცვლელად იქნა კოპირებული.

რუსეთში ფასების ლიბერალიზაციით ეკონომიკური რეფორმების დაწყებას, ასე თუ ისე, მაინც ჰქონდა გარკვეული საფუძველი. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის, რომ რუსეთს გააჩნია ენერგომატარებლების უზარმაზარი მარაგი, რომელთა ფასები ძირითადად განსაზღვრავს ამ ქვეყანაში ფასწარმოქმნის პოლიტიკას. მაგრამ ენერგომატარებლებითა და ნედლეულით ღარიბ ისეთ ქვეყანაში როგორიც საქართველოა, ეკონომიკური რეფორმების დაწყება ფასების ლიბერალიზაციით აშკარად არასწორი იყო. მართალია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველო ეკონომიკური გარდაქმნების დაწყების პირველ სტადიაზე იმყოფებოდა ყოფილი სსრკ-ს სამანეთო ზონაში და მას არ შეეძლო სრულიად განსხვავებული, ავტონომიური მოდელით საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, მაგრამ მაინც არსებობდა იმის რეალური შესაძლებლობა, რომ მომხდარიყო ისეთი მიდგომის რეალიზაცია, რომელიც უფრო მოხერხებულად მოერგებოდა საქართველოს წინაშე მდგარ სოციალ-ეკონომიკურ პრობლემებს და აგვაცილებდა რეფორმებით გამოწვეულ დამანგრეველ შედეგებს.

ცხრილი № 10

საშუალო ფასები ძირითად სამომხმარებლო საქონელზე (კუპონებში)[1]

	ზომის ერთეული	1990	1991	1992	1993
1	2	3	4	5	6
1. სასურსათო საქონელი					
პური	კგ	0,30	0,30	30,00	122
მაკარონის ნაწარმი	კგ	0,58	11,14	28,00	8302
ბრინჯი	კგ	0,88	2,20	48,00	6530
კარტოფილი	კგ	0,50	1,21	29,00	4220

[1] ცხრილი შეღებილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მასალების საფუძველზე (ვაშინგტონი, 1994 წ.). 1993 წლამდე მანეთის გასაცვლელი კურსი კუპონზე მიღებულია 1:1.

	ზომის ერთეული	1990	1991	1992	1993
1	2	3	4	5	6
რძე	ლიტრი	0,30	0,58	35,00	11440
კვერცხი	10 ც.	1,28	2,06	76,00	17730
ხორცი	კგ	1,84	3,94	141,00	27560
თევზი	კგ	0,92	2,08	100,00	12850
შაქარი	კგ	0,92	1,85	130,00	640
მცენარეული ზეთი	ლიტრი	1,65	3,14	130,00	22875
II. არასასურსათო საქონელი					
ქსოვილი (ბამბეული)	კვმ.	2,52	6,96	180,00	7372
ქსოვილი (აბრეშუმი)	კვმ.	7,53	13,48	230,00	24093
ქსოვილი (შალი)	კვმ.	14,64	28,55	270,00	39443
ქსოვილი (სინთეზური)	კვმ.	3,93	10,65	200,00	20000
ტრიკოტაჟის ნაწარმი	ცალი	8,76	14,89	200,00	3800
წინდის ნაწარმი	წყვილი	2,46	4,50	90,00	1685
ტყავის ფეხსაცმელი	წყვილი	19,06	42,12	460,00	98676
საპონი საყოფაცხოვრებო	კგ	0,84	1,27	18,00	5730
საპონი ტუალეტის	კგ	2,77	5,10	15,00	6052
საათები	ცალი	23,63	30,47	800,00	230000

კლასიკური გაგებით ფასების ლიბერალიზაციას მხოლოდ მაშინ მოაქვს დადებითი შედეგები, როდესაც ჩამოყალიბებულია საკუთრების შერეული ფორმა, შექმნილია პროდუქციის გარკვეული მარაგი და ფორმირებულია გარკვეული კონკურენციული გარემო. სამწუხაროდ, რეფორმების დაწყების წინ საქართველოში ამ სამი ელემენტიდან არცერთი არ იყო რეალურად შექმნილი და ასეთ შიშველ ნიადაგზე, როდესაც წამყვან მესაკუთრედ სახელმწიფო გამოდიოდა, ყველანაირი პროდუქცია დეფიციტური იყო და ძირითადად მონოპოლიური მეურნეობა კარნახობდა ფასების პოლიტიკას, ფასების ლიბერალიზაცია ნაადრევი იყო. როგორც ჩანს, რეფორმატორები რეფორმების საწყის ეტაპზე ვარაუდობდნენ, რომ ამ ღონისძიებას მოჰყვებოდა პროდუქციის დეფი-

ციტის აღმოფხვრა, განაწილების ადმინისტრაციული სისტემის ლიკვიდაცია, რომელიც მეტწილად კორუფციაზე იყო დამყარებული, პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის სტიმულის შექმნა, დაბოლოს, ქვეყნის ბიუჯეტის დაბალანსება და ფინანსური გაჯანსაღების მიღწევა. სამწუხაროდ, პრაქტიკულად ფასების ნაჩქარევმა ლიბერალიზაციამ ვერც ერთი ზემოხსენებული ფუნქცია ვერ შეასრულა.

ფასების პოლიტიკაში მომხდარ ცვლილებებს არ შეეძლო პოზიტიური ძვრების მოხდენა ეკონომიკაში, რადგან თავისუფალი ფასების შემოღება დაიწყო არა ევოლუციური განვითარების გზით, როცა მათ მიეცემოდათ საჭირო ეკონომიკური შინაარსი, არამედ ნახტომისებურად, რევოლუციურად.

რასაკვირველია, ფასების განთავისუფლება უფრო ეფექტიანი იქნებოდა საკუთრების განსახელმწიფოებრიობის, მონოპოლისტურ საწარმოთა ხვედრითი წილის შემცირების, ბაზრის საქონლით გაჯერებისა და კონკურენციული გარემოს შექმნის პირობებში, მაგრამ ძველის სწრაფად ნგრევის წყურვილმა და ახლის შენებისადმი უპრეექტო მიდგომამ რეფორმატორებს ფიქრის და განსჯის დრო არ დაუტოვა. ამიტომაც მათი მთელი ყურადღება გადატანილ იქნა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის იმ ერთადერთ ბერკეტზე – ფასებზე, რომლის დანერგვა შესაძლებელი იყო ადმინისტრაციული წესის გამოყენებით. რაც შეეხება წარმოების მოცულობის დაცემის შეჩერებას, პრივატიზაციას, მონოპოლურობის ლიკვიდაციას, საგადასახადო სისტემის შექმნას და ა. შ. სჭირდებოდა გარკვეული დრო და სწორედ ამიტომაც რეფორმის დასაწყისად არჩეულ იქნა ყველაზე ადვილი და მარტივი გზა – ფასების ლიბერალიზაცია.

პირველი, რაც ფასების განთავისუფლების შედეგად მივიღეთ, იყო ფასების სწრაფი და უზომო ზრდა და წარმოების მოცულობის შემცირება, მეორე – მოსახლეობის ცხოვრების დონის სწრაფი დაქვეითება.

რეფორმატორთა პროგნოზი, რომ ფასების ლიბერალიზაცია და შესაბამისად საცალო ფასების ზრდა გამოიწვევდა მოსახლეობის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის ლიკვიდაციას და დააბალანსებდა საქონლის მოთხოვნას და მიწოდებას დამატებითი ფულის ემისიის გარეშე ილუზია აღმოჩნდა. როგორც ცხოვრებამ დაგვანახა, ემისიის ნახტომი ისეთი ძლიერი აღმოჩნდა, რომ ტექნიკურადაც კი გართულდა საჭირო რაოდენობის ფულის გამოშვება, რომ არაფერი ვთქვათ ამის შედეგად მიღებულ ინფლაციასა და ჰიპერინფლაციაზე.

ფასების ლიბერალიზაციამ გამოიწვია ფულის მიმოქცევისა და საფინანსო სისტემის მოშლა. ვარაუდი, რომ ფასების ლიბერალიზაცია გამოიწვევდა საწარმოთა ერთი ნაწილის გაკოტრებას, რადგან მათ მიერ გამოშვებულ მაღალფასიან პროდუქციას ბაზარი არ მიიღებდა, არ გა-

მართლდა. მოხდა ისე, რომ მწარმოებელ-საწარმოთა პროდუქცია მაღალი ფასების გამო ვერ შეიძინეს მომხმარებელ-საწარმოებმა საჭირო სახსრების უქონლობის გამო. ამით შეიქმნა პროდუქციის გასაღების კრიზისი. საქართველოს პირობებში ასეთ სიტუაციას მძაფრად გამოხატული სახე არ მიუღია ენერგომატარებლებისა და ნედლეულის დეფიციტით გამოწვეულ საწარმოთა გაჩერების გამო. თუმცა ფასების პოლიტიკა მაინც იმგვარად ჩამოყალიბდა, რომ საწარმოთა სრული ამუშავების შემთხვევაში მოსალოდნელი იყო გამოშვებული პროდუქციის ჩაწოლა, საბოლოო ჯამში, საწარმოებისა და ორგანიზაციების საფინანსო სისტემა მოიშალა და ეს ძირითადად ფასების არასწორი ლიბერალიზაციის შედეგად უნდა მივიჩნიოთ.

ფასების ლიბერალიზაციამ უარყოფითად იმოქმედა აგრეთვე მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როდესაც თითოეული მეწარმე ცდილობს კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, დიდი მნიშვნელობა აქვს ფასების თანაფარდობის დაცვას შრომის იარაღებზე, შრომის საგნებზე და სამუშაო ძალაზე. რაც უფრო ნაკლებია ფასები შრომის იარაღებზე და რაც მაღალია იგი შრომის საგნებსა და სამუშაო ძალაზე, მით უფრო მეტია ამ უკანსკნელთა ახალი, უფრო მწარმოებლური ტექნიკით შეცვლისაკენ მისწრაფება და დაინტერესება. ფასების სწრაფმა ლიბერალიზაციამ კი გამოიწვია შრომის იარაღებსა და შრომის საგნებზე ფასების უფრო სწრაფი ტემპით ზრდა ხელფასის (სამუშაო ძალის ღირებულების) ზრდასთან შედარებით, რის შედეგადაც, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, დაიკარგა წარმოების გადაიარაღებისა და ახალი ტექნიკის დანერგვის ინტერესი. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ფასების ლიბერალიზაციამ მოსპო მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების წარმოებაში დანერგვის ყოველგვარი სტიმული. არც ერთი საწარმო, რომელსაც შეუძლია გაზარდოს ფასები მათ მიერ წარმოებულ პროდუქციაზე, დეფიციტის ან მონოპოლიური მდგომარეობის გამო, არ მოისურვებს სამეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვას.

ფასების ლიბერალიზაციამ დაამუხრუჭა თვით მეცნიერული კვლევისადმი ინტერესი, მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა შემოქმედებითი ინტელიგენცია. ამ დარგების მუშაკთა სამუშაოს სპეციფიკა მათ არ აძლევს საშუალებას საკუთარი ინტერესები (მხედველობაშია ეკონომიკური) დაიცვან, მსგავსად წარმოებისა და მომსახურების სფეროში დასაქმებული მუშაკებისა. ყოველივე ამის შედეგად, სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით, კვალიფიციური ინტელიგენციის დიდი ნაწილი იძულებულია გადაერთოს არაკვალიფიციურ სამუშაოზე (საშუამავლო საქმიანობა, ვაჭრობა, ვალუტის გაცვლა და ა. შ.) ან წავიდეს საზღვარგარეთ სამუშაოს საძებნელად.

ფასების ლიბერალიზაციამ არნახული ტემპებით გაზარდა უმუშევრობა. სამრეწველო საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც თვითდაფინანსების პრინციპით მუშაობენ, არ შეუძლიათ მაღალი, გაზრდილი ხელფასების გაცემა. პლუს ამას, ხელფასმა დაკარგა შრომის მასტიმულირებელი როლი. 1994 წლის ბოლოსათვის რესპუბლიკის შრომის სახელმწიფო ბირჟებზე რეგისტრირებული იყო 100 ათასამდე დაუსაქმებელი. ეს ციფრი რეალურად უმუშევართა ნახევარსაც კი არ შეადგენს. დღითი დღე იზრდება ფარული უმუშევრობა. წარმოება-დაწესებულებათა მეტი წილი ნედლეულისა და ენერგომატარებლების დეფიციტის გამო გაჩერებულია. 1994 წლის მეორე ნახევრამდე პარალიზებული იყო მრეწველობა, აგროსექტორი, ტრანსპორტი, მშენებლობა და მატერიალური წარმოების სხვა დარგები. მძიმე მდგომარეობაა სოციალური ინფრასტრუქტურის ყველა დარგში. ყოველივე ეს ფასების ლიბერალიზაციით უკუღმართად დაწყებული ეკონომიკური რეფორმების შედეგიცაა.

ფასების ლიბერალიზაციამ დაამახინჯა მოსახლეობის სამომხმარებლო კალათის სტრუქტურა. ფასების ზრდის შედეგად მოხმარების მთლიან სტრუქტურაში სულ უფრო და უფრო კლებულობს გრძელვადიანი საქონლის მოხმარების ხვედრითი წილი. მოსახლეობა იძულებულია მთელი ფულადი შემოსავლების მეტი წილი მიმართოს სურსათისა და აუცილებელი დანიშნულების ფართო მოხმარების საქონლის შეძენაზე.

დაბოლოს, ყველაზე მწვავე პრობლემა, რაც შედეგად მოჰყვა ფასების ლიბერალიზაციას, არის ინფლაციის მაღალი ტემპი. პროდუქციის მიწოდება-მოთხოვნას შორის სხვაობის გაღრმავებამ და ფასების თვითდინებაზე უკონტროლო მიშვებამ არნახული შეუსაბამობა შექმნა ფასებსა და ხელფასებს შორის. შექმნილი სიტუაციის გამო ფულის უზომო ემისიამ, ბიუჯეტში შექმნილმა დეფიციტმა და სხვა მრავალმა სუბიექტურმა და ობიექტურმა ფაქტორებმა დამანგრეველი ხასიათი მისცა ინფლაციურ პროცესებს, რომელიც 1993-1994 წლებში ჰიპერინფლაციასა და სტაგფლაციაში გადაიზარდა.

ინფლაციის საშუალოწლიური ტემპები საქართველოში, გათვლილი საცალო ფასების ინდექსის საფუძველზე 1991 წელს 1990 წელთან შედარებით გაიზარდა 78,5 პროცენტით, 1992 წელს 913 პროცენტიდან 1993 წელს გაიზარდა 3126 პროცენტამდე. თუ ინფლაცია წელზე გაანგარიშებით 1992 წლის დეკემბერში შეადგენდა 1463 პროცენტს, 1993 წლის დეკემბერში მიაღწია 7941 პროცენტს.

განსხვავებით 1992 წლისაგან, როდესაც ფასების დაჩქარებული ზრდა წლის პირველ ნახევარში ძირითადად ასახავდა ფასების მასიურ ლიბერალიზაციას მთელ რიგ სამომხმარებლო საქონელზე, 1993 წელს ინფლაციის ნახტომი გამოწვეული იყო, უპირველეს ყოვლისა, დაუსაბუთე-

ბელი რბილი საფინანსო პოლიტიკით. მაღალი ინფლაციური ლოდინი, გამოწვეული მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკისა და კუპონთან უნდობლობით, აღრმავებდა და მხარს უჭერდა ჰიპერინფლაციურ პოლიტიკას.

წარმოების მაღალი კონცენტრაციისა და ინფლაციური ტენდენციის არსებობის პირობებში საჭირო იყო ადმინისტრაციული კონტროლის დაწესება ფასებსა და შრომის ანაზღაურებაზე იმისათვის, რომ თავიდან აგვეცილებინა ინფლაციის ზრდა. გაწონასწორების შინაგანი მექანიზმი ეკონომიკურ სისტემას ფაქტობრივად არ ჰქონდა. ცენტრალიზებული კონტროლის სრული მოხსნა ან მისი შემცირება ხელს უწყობდა ინფლაციის ზრდას.

ინფლაციური მექანიზმის საფუძვლები რამდენიმე ფაქტორის ერთიანობაშია. მათ შორის აღსანიშნავია დეფიციტი და დისბალანსი სასაქონლო ბაზარზე, რომელიც წარმოების დაბალი ეფექტურობის, წარმოებისა და ვაჭრობის სტრუქტურების არასრულყოფილების შედეგია. საწარმოთა არასაკმაოდ მკაცრმა ბიუჯეტურმა შეზღუდვებმა და განსაკუთრებით საბიუჯეტო სუბსიდიების სისტემატურმა ზრდამ, რა თქმა უნდა, გამოიწვია ბიუჯეტური კრიზისი. ფასებზე სრული უკონტროლობის პირობებში გაიზარდა სხვაობა საშინაო და მსოფლიო ფასებს შორის და წარმოიქმნა შედარებითი ფასების დამახინჯებული სტრუქტურა და ზეწოლა ბიუჯეტზე.

უნდა აღინიშნოს, რომ 1994 წლის მეორე ნახევრიდან გატარებულმა მკაცრმა საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკამ თავისი დადებითი შედეგები გამოიღო. თანდათანობით შეჩერდა ინფლაციის ზრდის ტემპები და კუპონმა მიიღო მყარი გაცვლითი კურსი, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

როგორც აღვნიშნეთ, ინფლაციის ერთ-ერთი მიზეზია ფასწარმოქმნის პროცესში სახელმწიფოს ჩაურევლობა. თავდაპირველად ფასების ლიბერალიზაციის პოლიტიკის გამოცხადებამ ფასები მცირედით კი არ გაზარდა, როგორც ხელისუფლება ვარაუდობდა, არამედ მოხდა მათი მაღალი ტემპებით გაზრდა რამდენჯერმე, რამაც ბიძგი მისცა ინფლაციურ პროცესებს, ხოლო შემდგომ ჰიპერინფლაციას. მაგრამ ყოველივე ეს ერთი ეტაპით როდი შემოიფარგლა. საქმე კიდევ უფრო გაართულა იმან, რომ ზემოდან მონოპოლიზირებული ეკონომიკის პირობებში აუცილებელი გახდა წარმოების საშუალებებზე საბითუმო ფასების უფრო სწრაფი ზრდა, სახალხო მოხმარების საქონლის საცალო ფასებთან შედარებით, ამან კი გამოიწვია ფასების ზრდაში ჯაჭვური რეაქცია და შესაბამისად შეუჩერებელი გახდა ინფლაციური პროცესები.

საბითუმო ფასების დაუსრულებელმა მატებამ გამოიწვია ის, რომ შრომის ანაზღაურების დონეზე სახელმწიფოს ჩაურევლობის პირობებში,

ფასების ზრდის შედეგად მიღებული დამატებითი შემოსავლები წარიმართა ხელფასების ზრდაზე, რამაც, თავის მხრივ, ზემოქმედება მოახდინა საცალო ფასებზე და საჭირო გახდა ხელფასების, პენსიების, სტიპენდიებისა და სხვა გასაცემლების სისტემატური გადიდება.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ რესპუბლიკაში მიმდინარე ქაოსური პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციების ფონზე პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა ფასების დინამიკისა და სტრუქტურის აღრიცხვა, ანალიზი და გაკონტროლება, საჭირო საიმედო სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება. წარმოების და მომსახურების მეტწილ სფეროებში არაა ცნობილი რეალური ფასები, არ გვაქვს სახელმწიფო და კერძო სექტორებიდან მოსახლეობის მიერ პროდუქციის შესყიდვისა და მომსახურების სფეროს ფასების სტატისტიკა. საშუამავლო და სპეკულაციური ფორმებისა და სხვა სტრუქტურების მომრავლების გამო დღეს თითქმის შეუძლებელია ამა თუ იმ სახის პროდუქციის საშუალო ფასების დაზუსტება. ამას ხელს უშლის ის გარემოებაც, რომ დღემდე არაა ბოლომდე გააზრებული ფასების ინდექსირების მეთოდოლოგია და მეთოდიკა. სამწუხაროდ, რესპუბლიკის სახელმწიფო ეკონომიკური ორგანოები არ ახდენს ფასების დინამიკასა და სტრუქტურაზე სათანადო ანალიზური და პროგნოზური სამსახურებრივი მასალების დამუშავებას.

გარდა ზემოაღნიშნული მომენტებისა, ფასების გაუაზრებელმა ლიბერალიზაციამ სხვა მრავალი ნეგატიური მოვლენა გამოიწვია ეკონომიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ყველაფერი ეს იმაზე მიუთითებს, რომ ფასების ლიბერალიზაციას, რომელიც მიმდინარეობდა იზოლირებულად, საკუთრების ფორმებში შესაბამისი ცვლილებების გარეშე, არ შეეძლო მოეცა პოზიტიური შედეგები. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელი იყო კონკურენციული გარემოს შექმნა და მძლავრი ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარება, საბაზრო ინფრასტრუქტურის შექმნა, ფასიანი ქაღალდების, მიწის და სამუშაო ძალის სრულფასოვანი ბაზრის ჩამოყალიბება.

ვფიქრობთ, ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ცივილიზებული ბაზრისათვის საჭირო სრულფასოვანი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას დიდი დრო სჭირდება. ამასთან, დაწყებული ფასების ლიბერალიზაციის პროცესის შეჩერება დღეისათვის არასწორი იქნებოდა. ამ მხრივ საკითხის დაყენება მხოლოდ უცოდინრობის და არაკომპეტენტურობის მაჩვენებელია. პირიქით, საჭიროა ამ პროცესის გონივრული სახელმწიფოებრივი მართვა და რეგულირება.

უპირველეს ყოვლისა, უნდა უგულებელვყოთ ილუზია იმის შესახებ, რომ ბაზარი თვითრეგულირებადი ფენომენია და მისი წყალობით ამ ეტაპზე შესაძლებელია ფასწარმოქმნის პრობლემების ავტომატურად გადაჭრა. ბაზრის პანაცეად გამოცხადება დამღუპველია ნებისმიერი

ქვეყნისათვის. საბაზრო ურთიერთობათა ხანგრძლივი პრაქტიკა ცხადყოფს, რომ თვითრეგულირების ელემენტები ჩადებულია მხოლოდ ცივილიზებულ, სრულფასოვან საბაზრო ურთიერთობებში. რაც შეეხება ჩვენი ქვეყნის ფეხმოუმაგრებელ ბაზარს, სადაც ეკონომიკური ურთიერთობანი „ვაჰრუკანულ" პრინციპებზეა აგებული, იგი არ შეიძლება იყოს თვითრეგულირებადი. ვიდრე საქართველოში არ დამკვიდრდება სრულფასოვანი ცივილიზებული (კლასიკური გაგებით) ბაზარი, საჭიროა მის კანონებში გარედან ეგზოგენური სახელმწიფოებრივი ჩარევა. ამასთან, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ცივილიზებულ ქვეყნებშიც კი, სადაც საბაზრო ურთიერთობებს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, ფართოდ გამოიყენება ბაზრის და მათ შორის ფასების სახელმწიფო რეგულირების სხვადასხვა ფორმა და მეთოდი. უფრო მეტიც, საჭიროების შემთხვევაში ამ ქვეყნებში სახელმწიფო აქტიურად ერევა ეკონომიკის მართვასა და რეგულირებაში არა მხოლოდ ეკონომიკური ბერკეტებით, არამედ ადმინისტრაციულ-განკარგულებითი მეთოდების გამოყენებითაც კი. საქართველოში, რომელიც ესესაა დაადგა საბაზრო ურთიერთობისაკენ მიმავალ გზას, ისე რომ მისთვის საჭირო თითქმის არც ერთი ინფრასტრუქტურა წინასწარ არ იყო ჩამოყალიბებული, ბაზრის სახელმწიფოებრივი რეგულირება არათუ სასურველი, არამედ აუცილებელი ელემენტია.

ველოსიპედის ხელახალი გამოგონება საჭირო არაა. შემოქმედებითად უნდა გამოვიყენოთ ის პროგრესული გამოცდილებანი, რომლებიც დაგროვილია განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ბაზრისა და კერძოდ, ფასების სახელმწიფოებრივი რეგულირების საქმეში. ცნობილია, რომ მთელ რიგ განვითარებულ ქვეყნებში შემუშავებულია საკანონმდებლო აქტები, რომლითაც განისაზღვრება სახელმწიფო ორგანოების უფლებები ფასების რეგულირებაში, მეწარმეთა უფლება-მოვალეობანი ფასების დაწესებაში და მომხმარებელთა უფლებები (ავსტრია, საბერძნეთი, დანია, ნორვეგია, შვეიცარია, აშშ, საფრანგეთი და ა. შ.). ამასთან, საყურადღებოა, რომ სახელმწიფოებრივ რეგულირებას ექვემდებარება არა მხოლოდ სახელმწიფო სექტორში გამოშვებული პროდუქციის, არამედ კერძო სექტორის ძირითადი სახეობის პროდუქციისა და მომსახურების ფასები. როგორც წესი, რეგულირებას ექვემდებარება ძირითადად შემდეგი სამი ბლოკის პროდუქციის ფასები: პროდუქცია, რომელიც განსაზღვრავს სახალხო მეურნეობის ინფრასტრუქტურას (ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ენერგეტიკა, სათბობი), პროდუქცია, რომელიც განმსაზღვრელია ადამიანის სიცოცხლის კვლავწარმოებისათვის (ხორბალი, ხორცი, რძე, საბინაო-კომუნალური მომსახურება), დაბოლოს, პროდუქცია, რომელიც საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობისათვისაა განკუთვნილი. ამ ქვეყნებში შუალედურ პროდუქტზე ფასები სახელმწიფოებრივ რეგულირებას არ ექვემდებარება. ფასების სახელმწიფოებრივი

რეგულირება საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში არაა მუდმივმოქმედი პროცესი. მისი დონე ცალკეულ ქვეყნებში და ცალკეულ პერიოდებში სხვადასხვაა. იგი დამოკიდებულია ეკონომიკის საერთო მდგომარეობაზე, პოლიტიკურ სიტუაციასა და სხვა პროცესებზე. ფასების სახელმწიფო რეგულირების დონე მით მეტია, რაც უფრო რთული და დაძაბულია ეკონომიკური სიტუაცია. ამასთან, გამოიყენებენ ფასების რეგულირების სხვადასხვა ფორმასა და მეთოდს. შედარებით რადიკალურ ზომად მიღებულია ფასების ბლოკირება გარკვეული დროით, ფიქსირებული ფასების დაწესება, ფასების ზედა და ქვედა ზღვრების დადგენა და ა. შ. ამასთან, ფასების რეგულირებას ახდენს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანო, რომლებსაც ეს უფლებები კანონით აქვთ მინიჭებული. განსაკუთრებით დიდი გამოცდილებაა დაგროვილი ფასების სახელმწიფოებრივი რეგულირების მხრივ ამერიკის შეერთებულ შტატებში. აქ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე (მარცვალი, ბამბა, არაქისი, თამბაქო) არსებობს საგირაო ფასები, რომლის თანახმად არახელსაყრელი კონიუნქტურის პირობებში ფერმერი გირაოდ აბარებს სახელმწიფოს პროდუქციას განსაზღვრულ ფასებში, ხოლო შემდგომ ბაზარზე კონიუნქტურის გაუმჯობესებისას იგი უკან იღებს თავის პროდუქციას და ყიდის მისთვის ხელსაყრელ საბაზრო ფასებში. დანერგილია აგრეთვე მიზნობრივი ფასები, რომლის თანახმად დგინდება ტიპური ფერმერული მეურნეობის შემოსავლების ქვედა ზღვრული ფასი და, თუ რეალურმა საბაზრო ფასებმა ამ მიზნობრივ ფასზე ქვევით დაიწია, სახელმწიფო უნაზღაურებს ფერმერს ამ ფასსხვაობას. ამგვარი და სხვა მრავალი გამოცდილება არსებობს ფასების სახელმწიფო რეგულირების მხრივ მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენთან დაწყებული ფასების ლიბერალიზაციის ხელოვნურად შეჩერება კიდევ უფრო მეტ ზიანს მოუტანს ქვეყანას. ამიტომ ახლა საჭიროა დამთავრდეს საბაზრო წონასწორობის ფასებზე გასვლა. ამ მხრივ გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა 1994 წლის მეორე ნახევარში. განხორციელდა ენერგომატარებლებზე, პურზე და ტრანსპორტზე ახალი სარეალიზაციო ფასების შემოღება, რამაც უდავოდ დადებითი გავლენა იქონია ქვეყნის ფინანსური სტაბილიზაციის საქმეში.

როგორც უკვე აღინიშნა, გარდამავალ პერიოდშიც და შემდგომაც საჭიროა ფასების სახელმწიფოებრივი რეგულირება. ეს უკანასკნელი ნიშნავს წესრიგის დამყარებას ფასწარმოებაში, ყოველი მონოპოლისტური საწარმო ვალდებულია სახელმწიფო ორგანოებში დეკლარირება მოახდინოს ფასების ცვლილებაზე. ამასთან, ამ მოვლენას დადებითთან ერთად უარყოფითი მხარეებიც გააჩნია. მათ შორის მთავარია ის, რომ ჩინოვნიკები უთუოდ შეეცდებიან არაშრომითი შემოსავლების მიღებას.

ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფასწარმოქმნის პროცესებში სახელმწიფოს ჩარევის მეთოდები უნდა იყოს მრავალფეროვანი, რბილი და მოქნილი, არ უნდა იქნეს დაშვებული ადმინისტრირება და თვითნებობა. თუ სახელმწიფო ჩინოვნიკი უფლებას მიიღებს ერთპიროვნულად გადაწყვიტოს ფასების მომატების საკითხი, მაშინ უთუოდ ადგილი ექნება კორუფციას და არადემოკრატიულ პროცესებს.

ცნობილია ფასწარმოქმნის პროცესზე სახელმწიფოს ზემოქმედების ისეთი მეთოდი, როგორიცაა საქონლის და მომსახურების ფასების პირდაპირი ცენტრალიზებული დირექციული დადგენა, ასევე ცენტრალიზებული განსაზღვრა საცნობარო ფასებისა, რომელიც სახელშეკრულებო ფასების დასადგენად გამოიყენება, აგრეთვე ეკონომიკური და სამართლებრივი პირობების შექმნა თავისუფალი ფასწარმოქმნისათვის.

როგორც უკვე აღინიშნა, პრაქტიკაში მიღებულია პირდაპირი სახელმწიფოებრივი რეგულირება სტრატეგიული პროდუქციისა და საერთო საზოგადოებრივი მომსახურების ფასებზე. მათ შორისაა ელექტროენერგეტიკა, გაზის მრეწველობა, მილსადენი ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა და ზოგიერთი მანქანათმშენებლობის საწარმოები. საწარმოო მონოპოლიის წინააღმდეგ საჭიროა ფასწარმოქმნის სახელმწიფო მონოპოლია.

სახელმწიფო ფასების ცენტრალიზებული დადგენა უნდა განხორციელდეს სპეციალური კომისიის მიერ მწარმოებელსა და მომხმარებელთან შეთანხმებით. მან უნდა განსაზღვროს საშუალო ფასისაგან შესაძლო გადახრის სიდიდეები. სახელმწიფო ამ შემთხვევაში არ უნდა გამოვიდეს დიქტატის როლში და მან მხარი უნდა დაუჭიროს კომისიის მიერ მწარმოებლებთან შეთანხმებული ფასების მოცულობას. თუკი მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის არ იქნა მიღწეული შეთანხმება ფასთა თანაფარდობაზე, მაშინ არ უნდა მოხდეს ამ საკითხში სახელმწიფო ორგანოების ჩარევა. მთავარია არ იქნეს მიღებული ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც სტიმულს დაუკარგავს სხვა პარტნიორებს. თუ კომპრომისი არ იქნა მიღწეული, შესაძლოა ოპტიმალურ ვარიანტად იქნეს მიჩნეული თავისუფალი ფასწარმოქმნის შემოღება და ფინანსური კონტროლის გაზრდა და ა. შ. სახელმწიფო ორგანოების ძირითადი ფუნქციაა პარტნიორებისათვის ბიძგის მიცემა ერთმანეთისათვის მისაღები შეთანხმებისაკენ.

მომპოვებელი დარგების, მეტალურგიული მრეწველობის, მანქანათმშენებლობის ზოგიერთი დარგების, ხის გადამუშავებისა და ა. შ. საწარმოთა პროდუქციის ფასწარმოქმნაში მიზანშეწონილია გამოიყოს ისეთი ლიდერები, რომლებიც ხასიათდებიან მინიმალური დანახარჯებით. ყველა დანარჩენი მწარმოებელი უნდა შეეცადოს გაყიდოს თავისი პრო-

დუქცია იმ ფასებით, რომლებიც დგინდება აღნიშნული ლიდერების მიერ. რასაკვირველია, სატრანსპორტო დანახარჯები გამოიწვევს ფასებისაგან აუცილებელ გადახრას, მაგრამ მან არ უნდა გადააჭარბოს დასაშვებ ფარგლებს. ამ წესის დამრღვევნი უნდა დაისაჯონ საჯარიმო-საგადასახადო სანქციებით. ცივილიზებული პირობების შექმნა თავისუფალი ფასწარმოქმნისათვის საქონლის და მომსახურების ყველაზე ფართო წრეზე, მოითხოვს გარკვეულ კონტროლს სახელმწიფოს მხრიდან, თუმცა იგი ფართო საზოგადოებრივი ხასიათის მატარებელი უნდა იყოს. ამისათვის საჭიროა ისეთი შერეული საკონტროლო კომისიების შექმნა, რომლის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს სახელმწიფო მოხელეები, მწარმოებლები, მომხმარებლები. ასეთ კომისიებს უნდა ჰქონდეთ „დაუმორჩილებელთა" მიმართ რეკლამების შეჩერების, ჯარიმების დაწესებისა და უკიდურეს შემთხვევაში სამრეწველო ან სავაჭრო საქმიანობის შეჩერების უფლება. ერთი სიტყვით, მათ სახელმწიფოს ფუნქციები უნდა შეასრულონ.

სახელმწიფოს ჩარევა ფასწარმოქმნის პროცესში საკმაოდ რთულია და მოითხოვს მთავრობის გონივრულ ძალისხმევას. გარდამავალ პერიოდში ასეთი მიდგომა გამართლებულია და იგი უთუოდ გამოიწვევს მომხმარებელთა და მწარმოებელთა საერთო დაინტერესებას ფასების სტაბილიზაციის მიმართულებით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფასწარმოქმნის პროცესში სახელმწიფოს ზეგავლენის მნიშვნელოვანი მიმართულებაა აგრეთვე ჯანსაღი კონკურენცია და ბრძოლა მონოპოლიის წინააღმდეგ. ამ დროს სახელმწიფოს შეუძლია მისცეს სუბსიდიები და სუბვენციები ახალი სახეობის პროდუქციის მწარმოებელთა სექტორს, უზრუნველყოს მონოპოლისტების მიერ დამზადებული პროდუქციის შემცვლელი საქონლის მწარმოებელთა დოტაცია, მისცეს მათ საწარმოო და ფინანსური რესურსები შეღავათიან პირობებში, გააფართოოს კონკურენციული პროდუქციის იმპორტი და ა. შ.

ამრიგად, ფასწარმოქმნაში სახელმწიფო არ უნდა იყოს მბრძანებლური ორგანო, იგი უნდა გამოდიოდეს როგორც პრობლემების წამომყენებელი და ამ პრობლემის გადამწყვეტი ორგანიზატორი მომხმარებლებსა და მეწარმეებთან შეთანხმების საფუძველზე.

2.2.საბაჟოსახაზო–საბიუჯეტო პოლიტიკის ფორმირების პრობლემები

საგადასახადო პოლიტიკა. ნებისმიერი სახელმწიფოს ფუნქციონირებისა და განვითარების ეკონომიკური საფუძველია ფინანსური სახსრები, რომლებიც ძირითადად ფორმირდება გადასახადებით და მათი შეტანით ქვეყნის ბიუჯეტში. შეიძლება ითქვას, რომ გეგმიანი მეურნეობის პირობებში ჩვენს ქვეყანას არ გააჩნდა საგადასახადო სისტემა მისი კლასიკური გაგებით. ეს გამოწვეულია იმით, რომ წარმოების საშუალებები და წარმოებული პროდუქციაც სახელმწიფო საკუთრებას შეადგენდა და ამ უკანასკნელს შეეძლო ნებისმიერ დროს ნებისმიერი მოცულობით ადმინისტრაციული მეთოდით მოეზიდა სახსრები ბიუჯეტში. საბაზრო ეკონომიკის პირობებში კი ბიუჯეტის შემოსავლებისა და გასავლების ფორმირების კანონზომიერებანი და მეთოდოლოგია ძირეულად იცვლება და ახალ სახეს იღებს.

საქართველოში დამოუკიდებელი საგადასახადო პოლიტიკისა და სისტემის ფორმირება დაიწყო ამ ბოლო 3-4 წლის მანძილზე, თუმცა ეს პროცესი მიმდინარეობს ისე, რომ არაა შემუშავებული მისთვის საჭირო თეორიულ-მეთოდოლოგიური წანამძღვრები. სწორედ ამანაც განაპირობა დღევანდელი საგადასახადო სისტემის არაეფექტურობა. საჭირო თეორიული საფუძვლების დაუმუშავებლობის გამო აუცილებელი გახდა საგადასახადო სისტემაში საცდელ-მოსინჯვითი მეთოდების გამოყენება, რის გამოც ბევრი შეცდომაა დაშვებული ამ მიმართებით. ამიტომ დღის წესრიგში აქტუალურად დგას საქართველოს პირობებისათვის მისაღები საგადასახადო თეორიის დამუშავება. სამწუხაროდ, ბევრ პრაქტიკოს ეკონომისტსა და პოლიტიკოსს საგადასახადო თეორიის საკითხები მეორეხარისხოვნად მიაჩნიათ, არადა ეს უკანასკნელი რომ სათანადო დონეზე თავიდანვე შემუშავებულიყო, საჭირო აღარ გახდებოდა საგადასახადო კანონმდებლობის ხშირი კორექტირება, რასაც დღეს ადგილი აქვს ჩვენს პირობებში. საეჭვოა, რომ დღეს ცხადად ჰქონდეთ შესაბამის სტრუქტურებს წარმოდგენილი თუ რით არის რესპუბლიკაში ამა თუ იმ საგადასახადო სახეობების არსებობა გამოწვეული და როგორ არიან ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული. დღეისათვის არის მცდელობა მაქსიმალური რაოდენობის ფულადი სახსრები იქნეს მოზიდული ბიუჯეტში მეწარმეობიდან და მოსახლეობიდან. ამასთან, ამ პოლიტიკას არა აქვს თეორიული ბაზა, არაა დასაბუთებული ამგვარი შემოსავლების ეფექტურობის არსი, მათი პერსპექტიულობა და სწორედ ამიტომაც პრაქტიკულად გადასახადების ყველა სახეობაზე კანონში გამუდმებით მიმდინარეობს შესწორებები. ცხადია, ამის შედეგად საგადასახადო სისტემა არამდგრადია და იქმნება წინააღმდეგობები გადასახადის

გადამხდელებსა და სახელმწიფოს შორის. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოში ამ ბოლო პერიოდში გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა საგადასახადო სისტემის მოწესრიგების მიმართულებით. თუ მხედველობაში მივიღებთ ფისკალური გადასახადების შემოღებას, შეიძლება აღინიშნოს საგადასახადო რეფორმის გარკვეული გამოჯანსაღება. კერძოდ, თავისუფალი ფასების პირობებში საგადასახადო ტვირთი და საბიუჯეტო წყაროების სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნა ისეთ არაპირდაპირ გადასახადებზე, რომლებითაც ძირითადად იბეგრება მოხმარების საგნები. მაგრამ ჯერჯერობით ნაადრევია საუბარი მოქმედი საგადასახადო სისტემისა და კანონების იდეალურობაზე. როგორც ცხოვრება გვიჩვენებს, საგადასახადო სისტემა ჯერჯერობით ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას თუნდაც უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების დაფინანსებისათვის. ასევე აშკარად მცირეა საფინანსო რესურსები მოსახლეობის სოციალური დაცვის საიმედოდ უზრუნველყოფისათვის. ამასთანავე, ჩვენი აზრით, ფრიად საეჭვოდ გამოიყურება მტკიცება იმის თაობაზე, რომ მოქმედი საგადასახადო სისტემა არ აფერხებს მეწარმეობისა და ბიზნესის განვითარებას.

უნდა ითქვას, რომ დასავლეთის საგადასახადო მოდელების პირდაპირმა კოპირებამ ჩვენი პირობებისათვის იგი რთული, უმართავი და გადამხდელებისათვის გაუგებარი გახადა. როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, არც საგადასახადო სამსახურები არიან კმაყოფილი ჩამოყალიბებული საგადასახადო სისტემით. ამასთანავე, ცნობილია, რომ რაციონალური საგადასახადო სისტემის ფორმირების უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია ის, რომ იგი მარტივი, გასაგები და მისაღები უნდა იყოს საზოგადოების უმეტესი ნაწილისათვის და განსაკუთრებით მეწარმეებისათვის. სწორედ საგადასახადო სისტემის მოუწესრიგებლობის შედეგია ის, რომ დღეისათვის დისკუსიის მთავარი საგნებია გადასახადების განაკვეთების სიდიდე, საგადასახადო შეღავათები და პრივილეგიები, დაბეგვრის ობიექტები, ერთი სახის გადასახადის მეორეთი შეცვლა და ა. შ.

დღეს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია კითხვა – როგორი უნდა იყოს საგადასახადო განაკვეთები – მაღალი თუ დაბალი? ამ და სხვა კითხვებზე, რომლებიც დგანან საგადასახადო დაბეგვრის პრაქტიკაში, პასუხი უნდა გასცეს ეკონომიკურმა თეორიამ. არადა ამ თეორიამ გადასახადების პრობლემა უკანა პლანზე გადაწია. დღეს მთავარ პრობლემათა რიცხვს განეკუთვნება ფინანსების სტაბილიზაცია, ბიუჯეტისა და ფულის განმტკიცება, ეკონომიკის გამოყვანა ღრმა კრიზისიდან და ა. შ. ყველაფერი ეს სწორი და მისაღებია, მაგრამ არ შეიძლება იმის უგულებელყოფა, რომ გადასახადები განსაკუთრებული მნიშვნელობის ბერკეტია და მისი თეორიულ-მეცნიერული არგუმენტაციის გარეშე მექანიკური გა-

მოყენებით სუსტდება ისევე ფინანსები, ფული და, საერთოდ, ეკონომიკა, იგი ხდება წარმოების რეგულირების დამმუხრუჭებელი ფაქტორი.

გადასახადების თეორიულ-მეთოდოლოგიურ პრობლემებზე ჩვენი შეხედულებების ჩამოყალიბებამდე მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს რესპუბლიკაში დღეისათვის ჩამოყალიბებული საგადასახადო სისტემის მოკლე რეტროსპექტული ანალიზი და განზოგადება, რაც უფრო კონკრეტულს და თვალსაჩინოს გახდის ჩვენ მიერ შემუშავებული საგადასახადო კონცეფციების პრინციპების აღქმას.

როგორც უკვე აღინიშნა, გეგმიანი მეურნეობის პირობებში ჩვენს ქვეყანას არ გააჩნდა საგადასახადო პოლიტიკა და საგადასახადო სისტემა. მაგრამ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ და სახელმწიფოს წინაშე მდგარმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა და სოციალურმა მოთხოვნებმა დღის წესრიგში დააყენა საგადასახადო სისტემის შექმნის აუცილებლობა. ბუნებრივია, რომ წინასწარი თეორიულ-მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული ხასიათის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების გარეშე ერთი ხელის მოსმით შეუძლებელი იყო საგადასახადო სისტემის შექმნა და მისი სამართლებრივი უზრუნველყოფა. ამიტომაც გეგმიანი მეურნეობის რღვევის შემდგომ გარკვეულ ეტაპზე, ვიდრე შეიქმნებოდა ახალი საგადასახადო სისტემა, ეკონომიკაში გამოიყენებოდა გადასახადების ამოღების ძველი ფორმები და მეთოდები. 1993 წლის დეკემბერში კი საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღო საგადასახადო სისტემის სრულყოფის ახალი კანონების პაკეტი, რომლის ძირითადი დანიშნულება იყო სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირება და ეროვნულ ბიუჯეტში თანხების სრულად მობილიზაციისათვის ხელის შეწყობა.

საგადასახადო პრობლემებზე პარლამენტის მიერ მიღებული 8 ახალი კანონიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და განმსაზღვრელი ადგილი უჭირავს კანონს საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ, რომელშიც განსაზღვრულია საგადასახადო სისტემის მოწყობის ზოგადი პრინციპები, ჩამოყალიბებულია გადასახადების, გადასახდელების, მოსაკრებლებისა და სახელმწიფო ბაჟის ფორმირების მეთოდოლოგიური და მეთოდური საფუძვლები. აღსანიშნავია, რომ სხვა დანარჩენი კანონები დაფუძნებულია ამ კანონზე და მასთან სრულ შესაბამისობაშია მოყვანილი. მიღებულ იქნა აგრეთვე კანონები: საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის შესახებ, დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ, აქციზების შესახებ, საწარმოთა მოგების (შემოსავლის) შესახებ, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის შესახებ, საწარმოთა ქონების გადასახადის შესახებ.

საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ კანონის მიღება და მისი ამოქმედება მნიშვნელოვნად გაზრდის გადასახადის გადამხდელთა პასუხისმგებლობას გადასახადის დამალვისათვის, რომელმაც, თავის მხრივ,

მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს შემოსავლების დამალვის ფაქტები. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ რესპუბლიკაში იმდენადაა მოშლილი საბუღალტრო აღრიცხვა და სტატისტიკური ანგარიშგება, აგრეთვე შესუსტებულია ან სულ არაა მათზე კონტროლი, რომ თუ ამ მიმართულებით არ იქნა ძირეული ძვრები განხორციელებული, შემოსავლების გადამალვის ფაქტები კი არ შემცირდება, არამედ მოსალოდნელია მისი კიდევ უფრო გაზრდა. აღნიშნული კანონი იმითაცაა ყურადსაღები, რომ მისი საშუალებით მინიმუმამდეა დაყვანილი შეღავათების სისტემა, რაც უთუოდ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გაზრდას მოემსახურება.

კანონში — დამატებითი ღირებულების გადასახადის შესახებ არსებითი ცვლილებები არ მომხდარა, მაგრამ მთავარია ის, რომ დამატებითი ღირებულების შემცირებული განაკვეთი (14%), რომელიც ადრე სამთავრობო დადგენილებით იყო მიღებული, ახლა დაკანონდა და მის მთავარ ამოცანად მიჩნეულია მეწარმეობის გაფართოება და აღორძინება საქართველოში. შემდგომში აღნიშნული განაკვეთი გაიზარდა 20 პროცენტამდე.

საწარმოთა მოგების (შემოსავლის) შესახებ კანონით არსებითად შემცირდა გადასახადის განაკვეთები და აგრეთვე საგადასახადო შეღავათების არე, რამაც ხელისუფლების აზრით, ხელი უნდა შეუწყოს დასაბეგრი ბაზის გაფართოებას და შემოსავლების დამალვის ფაქტების შემცირებას. ამავე კანონით გათვალისწინებულია ინვესტიციებზე მიმართული მოგების მნიშვნელოვანი ნაწილის გადასახადით დაბეგვრისაგან განთავისუფლება, რამაც სტიმული უნდა მისცეს წარმოების გაფართოებას, რეკონსტრუქციასა და ტექნიკურ გადაიარაღებას და ამის ხარჯზე წარმოების მოცულობის გადიდებასა და ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის შესახებ კანონის ამოქმედებით ნავარაუდებია, რომ მნიშვნელოვნად გაიზრდება ბიუჯეტის შემოსავლები. ამავე მიზანს ემსახურება საწარმოთა ქონების შესახებ კანონის ამოქმედება. შემოღებულია რიგი ისეთი ახალი სახის ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები, როგორიცაა ვაჭრობის ნებართვისათვის, რეკლამის გადასახადი, მოსაკრებელი სათამაშო ბიზნესის გახსნისათვის, მოსაკრებელი ავტოტრანსპორტის პარკებისათვის, საკურორტო ზონაში საწარმოო დანიშნულების ობიექტის მშენებლობის გადასახადი, ავტომობილების გაყიდვის გადასახადი და სხვ.

კანონით აქციზების შესახებ შემოსაზღვრულია იმ საქონლის წრე, რომელიც დაიბეგრება აქციზით.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის შესახებ კანონით ნავარაუდებია სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის სტრუქტურის ოპტიმიზაცია, მისი განმტკიცება და უფლებების გაზრდა.

ზემოხსენებული კანონების საფუძველზე გათვალისწინებულია ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების სისტემის დახვეწა და მუნიციპალური (ადგილობრივ-ტერიტორიული) ერთეულების საბიუჯეტო შემოსავლების ბაზის გაფართოება. საყურადღებოა ისიც, რომ ინფლაციური პროცესების რეგულირებისა და გადასახადით დასაბეგრი მოგების შემცირების თავიდან აცილების მიზნით გათვალისწინებულია მოხმარებაზე მიმართული საბსრების ნორმირებულ სიდიდეზე გადანამატი თანხებით მოგების კორექტირების წესის შემოღება. წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე საწარმოთა ქონებაზე გადასახადის გადახდევინების ახალი წესის შემოღება, რომლის თანახმად აღნიშნული გადასახადით დაიბეგრება საწარმოთა მთელი ქონება ფინანსური აქტივების ჩათვლით.

ახლა კი საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების მიერ შემუშავებული მასალების მოშველიებით კონკრეტულად ჩავიხედოთ საქართველოს საგადასახადო სისტემის „სამზარეულოში".

დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი. მისი შემოღება ბრუნვის გადასახადის ნაცვლად მოხდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც არსებობდა სახელმწიფო მონოპოლია ფასწარმოქმნაზე (1992 წ.). ფულის მიმოქცევაზე სახელმწიფოს მკაცრი კონტროლის პირობებშიც კი მწარმოებელთა უმეტესი ნაწილი ამა თუ იმ ფორმით ცდილობდა თავი აერიდებინა აღნიშნული გადასახადისაგან, ხოლო ახლად აღმოცენებულ კომერციულ სტრუქტურებს იგი მძიმე ტვირთად დააწვა. დამატებულ ღირებულებაზე გადასახადის შემოღებამ იმოქმედა ინფლაციის ტემპის ფორმირებაზე, რადგან აღნიშნული გადასახადი პირდაპირ უბიძგებს ფასებს ზრდისაკენ.

საქართველოში დამატებით ღირებულებაზე 1994 წელს მოდიოდა მთელი საგადასახადო შემოსულობების დაახლოებით 30 პროცენტი. მისი ძირითადი განაკვეთი თავიდან შეადგენდა 28%, შემდგომ 14%, ხოლო ამჟამად 20%. ამასთან, დაწესებულია 10%-იანი დამატებითი განაკვეთი ფქვილზე და პურზე. აღნიშნული გადასახადისაგან განთავისუფლებულია მთელი იმპორტირებული ბენზინი და საქართველოს საპატრიარქო. ამგვარი დაუსაბუთებელი შეღავათების გამო შიდა ერთობლივი პროდუქტის გადასახადი 0,7% არ აღემატება. დამატებულ ღირებულებაზე გადასახადის დაბალი ეფექტურობის ძირითადი მიზეზია მისგან საქონლის და მომსახურების ფართო წრის განთავისუფლება, კერძოდ. საქონლის ექსპორტი უშუალოდ საწარმო-დამამზადებლის მიერ, მომსახურების და სამუშაოს ექსპორტი, საქონელი და მომსახურება, ბინის ქირა. ძვირფასი ლითონების შემცველი მადნების, კონცენტრატებისა და სხვა სამრეწველო პროდუქტების, ჯართისა და ნარჩენების რეალიზაცია შემდგომი გადამუშავებისათვის, სატრანსპორტო მომსახურების ზოგიერთი სახეები, სასოფლო-სამეურნეო ნედლეული და პროდუქცია, დაზღვევა და ფინან-

სური მომსახურების სახეობები, კაზინოებისა და სათამაშო ავტომატების შემოსავალი, სამკურნალო საშუალებები და ა. შ. ამათ დაემატა 1995 წლის იანვრიდან არსებითი მნიშვნელობის ორი შეღავათი – ბენზინსა და საპატრიარქოზე, თუმცა ადგილი ჰქონდა საპირისპირო გადაწყვეტილებებსაც. მაგალითად, შეიზღუდა შეღავათები საზოგადოებრივ ტრანსპორტზე და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე.*რა თქმა უნდა, შეღავათების სისტემა დამატებულ ღირებულებაზე გადასახადის გადახდევინებისას საჭიროა მთელ რიგ შემთხვევებში, მაგრამ ზომიერების დაუცველობა ამ საქმეში მხოლოდ ზიანის მომტანია ქვეყნისათვის. ჩვენი აზრით, არაფრით არაა გამართლებული საქველმოქმედო და რელიგიური ორგანიზაციებისათვის საქონლის იმპორტზე შეღავათის გაწევა. ასეთი გადაწყვეტილების შედეგად ამ ორგანიზაციებს მიეტმასნა სხვადასხვა მაფიოზური კლანი და ქვეყნის ბიუჯეტს დიდძალი თანხა აკლდება. ასევე გაუმართლებელია იმპორტირებულ ბენზინზე საგადასახადო შეღავათების დაწესება. დაფიქრებას და შესაბამის არგუმენტაციას საჭიროებს საშეღავათო საგადასახადო სისტემის შენარჩუნება მადნეულზე, ჯართის გადამუშავებაზე, აგრეთვე კაზინოსა და სხვა სათამაშოებზე. მიზანშეწონილია ასევე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებსა და საზოგადოებრივ ტრანსპორტზე საგადასახადო შეღავათების შეზღუდვა ან მთლიანად გაუქმება. ამასთან, გამომდინარე ჩვენი ქვეყნის შიგნით შექმნილი ეკონომიკური სიტუაციიდან, მიზანშეწონილია საგადასახადო შეღავათების დაწესება იმ ძირითად ფონდებზე, რომლის იმპორტირება ხდება საზღვარგარეთელი ინვესტორების მიერ, გარდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა მეგობრობაში შემავალი ქვეყნებისა.

აქციზი. აქციზი არის არაპირდაპირი გადასახადი, რომელიც შედის საქონლის ფასში. საქართველოში კანონის თანახმად აქციზით იბეგრება ისეთი პროდუქტები, როგორიცაა: ღვინო-არაყი, სპირტი, ლუდი, ჩაი, ძვირფასი ჯიშის თევზები და თევზპროდუქტები, თამბაქო, მსუბუქი ავტომობილები, საბურავები და სხვ. კანონის თანახმად, აქციზებისაგან განთავისუფლებულია აქციზური საქონლის ექსპორტი და რეექსპორტი, აგრეთვე ტრანზიტი საქართველოს ტერიტორიის გავლით, საქართველოს ტერიტორიაზე დროებით შემოტანილი იმპორტული აქციზური საქონელი, იმპორტული აქციზური საქონელი, რომელიც გამოიყენება უბედური შემთხვევების სალიკვიდაციოდ, ჰუმანიტარული დანიშნულების იმპორტული აქციზური საქონელი. ასევე განთავისუფლებულია აღნიშნული არაპირდაპირი გადასახადისაგან საპატრიარქოს მიერ იმპორტირებული აქციზური საქონელი.

საქართველოში ჯერჯერობით აქციზური გადასახადის ხვედრითი წილი მცირეა საგადასახადო შემოსავლებში. აქციზურ საქონელს შორის ყველაზე დიდი შემოსავალი მოაქვს სიგარეტს (50%-ზე მეტი) და არაყს

(15%-მდე). იმპორტირებული ბენზინიდან აქციზური მოსაკრებლები შეადგენს ერთობლივი შიდა პროდუქტის დაახლოებით 0,1 პროცენტს. რესპუბლიკაში წარმოებული საქონლიდან აქციზურმა მოსაკრებლებმა 1994 წელს შეადგინა შიდა ერთობლივი პროდუქტის 0,2 პროცენტი, რომელთაგან 60 პროცენტზე მეტი მოდიოდა ღვინოზე. აღსანიშნავია, რომ ჩაის წარმოების მოცულობის შემცირების გამო ამ ბოლო წლებში აქციზურ მოსაკრებელს ამ პროდუქციაზე თანდათანობით კლების ტენდენცია გააჩნია.

პრინციპი, რომელიც ჩადებულია სააქციზო მოსაკრებლების აკრეფაში, გარდა ქვეყნის ბიუჯეტის შევსებისა, მდგომარეობს ადგილობრივი (სამამულო) ბაზრის დაცვაში იმპორტული პროდუქციისაგან (პროტექციონისტული პოლიტიკა) და ჯანმრთელობის მავნე პროდუქციისაგან მოსახლეობის დაცვაში (სიგარეტი, ალკოჰოლი და ა. შ.). ამასთან, სათანადო ანალიზიდან ირკვევა, რომ ზოგიერთ საქონელზე სააქციზო განაკვეთი საქართველოში შედარებით დაბალია, ვიდრე სხვა ქვეყანაში. კერძოდ, მიზანშეწონილია არაყზე აქციზის გაზრდა 10-20 პროცენტული პუნქტით, ასევე სასურველია სამამულო წარმოების შამპანურზე აქციზის გათანაბრება იმპორტირებული ანალოგიური საქონლის სააქციზო განაკვეთამდე. მართალია, საქართველოში ავტომობილზე აქციზი დგინდება მსგავსად სხვა ქვეყნებში მიღებული განაკვეთისა, მაგრამ რადგან დაბალია ფასების ელასტურობა ამ საქონელზე, მოთხოვნისადმი შეიძლებოდა აქციზის განაკვეთის გარკვეულად გაზრდა. დასაფიქრებელია უცხოელი ექსპერტების წინადადება იმის თაობაზე, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებიდან იმპორტირებული საქონელი დაიბეგროს აქციზური მოსაკრებლით, ხოლო ამ ქვეყნებში ექსპორტირებული საქონელი განთავისუფლდეს აღნიშნული გადასახადისაგან, მსგავსად სხვა ქვეყნებისა. ასევე ინტერესს არაა მოკლებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ იმპორტირებული ბენზინი და დიზელის საწვავი დაიბეგროს აქციზით 15-20 პროცენტის ფარგლებში, ხოლო ალკოჰოლურ სასმელებზე იგი გაიზარდოს 10-20 პროცენტული პუნქტით. რაც შეეხება საპატრიარქოს განთავისუფლებას აქციზური მოსაკრებლებით დაბეგვრისაგან, ეს, ჩვენი აზრით, არასამართლიანი გადაწყვეტილებაა და იგი უნდა გაუქმდეს.

საწარმოთა შემოსავალზე (მოგებაზე) გადასახადი. საქართველოში მოგების გადასახადის გადამხდელებია ყველა სამეურნეო სუბიექტი მიუხედავად საკუთრების ფორმებისა. აღნიშნული გადასახადის დაბეგვრის ობიექტია საწარმოს საბალანსო მოგება. კანონის თანახმად, გადასახადის გადახდისაგან განთავისუფლებულია ინვალიდთა დაწესებულებები, საქართველოს საპატრიარქო, თავდაცვის ფონდი, ახლად შექმნილი ყველა საწარმო რეგისტრაციის მომენტიდან ერთი წლის განმავლობაში, ხოლო

მომდევნო ორი წლის განმავლობაში გადასახადის განაკვეთი უმცირდებათ 50 პროცენტამდე და ა.შ. გარდა ამისა, მოგება მცირდება იმ ფაქტობრივი დანახარჯების თანხებით, რომლებიც გაწეულია საწარმოს განკარგულებაში დარჩენილი მოგებიდან. შეღავათები ეწევათ იმ საწარმოებს, რომლებმაც წლიური საბუღალტრო ანგარიშის მიხედვით წინა წელს ნახეს ზარალი და ა.შ.

მოგებაზე გადასახადი საქართველოში დღეისათვის არსებული კანონით ამოიღება ოთხი განაკვეთის ჭრილში. ჩვეულებრივი განაკვეთი შეადგენს 20 პროცენტს, სამრეწველო და სამშენებლო ორგანიზაციებისთვის გადასახადის განაკვეთი მცირდება 10 პუნქტით, ბანკების, საკრედიტო დაწესებულებებისა და სადაზღვევო ორგანიზაციებისათვის იგი შეადგენს 35 პროცენტს, მსხვილი კონცერნების მოგება იბეგრება 60 პროცენტით. დაბოლოს, კაზინოების და სხვა სანახაობითი დაწესებულებების მოგების დაბეგვრის განაკვეთი 70 პროცენტამდე აღწევს. განაკვეთების ასეთი დიფერენციაცია საერთაშორისო პრაქტიკაში იშვიათად გვხვდება. ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია ერთი მუდმივი განაკვეთის (25-35 პროცენტის ფარგლებში) დაწესება ყველა ტიპის სამეურნეო სუბიექტისთვის. რაც შეეხება მოგებაზე გადასახადიდან განთავისუფლების ჩვენს რესპუბლიკაში მიღებულ პრაქტიკას, იგი შემდგომ დახვეწასა და სრულყოფას საჭიროებს. ასეთი შეღავათები იწვევს დისპროპორციებს რესურსების განაწილებაში, რაც, საბოლოო ჯამში უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობაზე. ამას ემატება ისიც, რომ გადასახადიდან განთავისუფლება ფართო გზას უხსნის სამეურნეო სუბიექტებს თავი აარიდონ გადასახადის გადახდას.

დღეისათვის დისკუსიის საგანს შეადგენს ახალ საწარმოთა მოგებაზე გადასახადიდან განთავისუფლების საკითხი. უცხოელი ექსპერტები გვირჩევენ აღნიშნული შეღავათის მოხსნას, ასევე მათ არასწორად მიაჩნიათ არასრული განაკვეთით მოგების გადასახადის ამოღება. ჩვენი აზრით, ამ საქმეში აჩქარება არ შეიძლება. გასათვალისწინებელია საქართველოში ახალ საწარმოთა ჩამოყალიბებასა და განვითარების ორგანიზაციულ-სამართლებრივი პრობლემები, აგრეთვე შექმნილი რთული ეკონომიკური და სოციალური გარემო. ამიტომაც ჯერჯერობით ნაადრევია მოგებაზე გადასახადის ზემოთ აღნიშნული შეღავათის გაუქმება. მას შემდეგ, რაც რესპუბლიკაში შეიქმნა უფრო ხელსაყრელი გარემო ახალ საწარმოთა დაარსებისა და განვითარებისათვის შესაძლებელი გახდება ხსენებულ შეღავათებზე უარის თქმა.

საწარმოთა მოგების გადასახადის შესახებ კანონის თანახმად დასაბეგრი მოგების გაანგარიშების დროს საბალანსო მოგება მცირდება სარეზერვო ან ანალოგიური დანიშნულების ფონდში ანარიცხების თანხით, არა უმეტეს ფაქტობრივად შეუსებული საწესდებო ფონდის 25 პროცენ-

ტისა და საბალანსო მოგების 50 პროცენტისა. გარდა ამისა, მოგების გამოანგარიშებისას დასაბეგრი მოგება მცირდება იმ ფაქტობრივი დანახარჯების თანხებით, რომლებიც გაწეულია საწარმოს განკარგულებაში დარჩენილი მოგებიდან. ეს ეხება სამრეწველო საწარმოთა გაფართოებას, ან მოდერნიზაცია-რეკონსტრუქციას. ასევე შეღავათია გათვალისწინებული მოგების გაანგარიშებისას სტიქიურ უბედურებათა, სალიკვიდაციოდ, ფუნდამენტურ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განვითარებაზე, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვასა და რესტავრაციაზე, საქველმოქმედო ფონდებზე და ა.შ. ამ შემთხვევაში გათვალისწინებულია დასაბეგრი მოგების შემცირება არა უმეტეს 10 პროცენტისა. პრაქტიკაში სპეციალური რეზერვების შექმნას ძირითადად ადგილი აქვს ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და ერთობლივი საწარმოების მიმართ. სპეციალისტები თვლიან, რომ ყველა დასახელებული რეზერვი არ წარმოადგენს სასურველს რიგი მიზეზების გამო, კერძოდ, ამ დროს ადგილი აქვს განაწილებითი ურთიერთობის დამახინჯების ფაქტებს, ძნელი ხდება მართვა, არაეფექტიანია დასახული მიზნის მიღწევა და საქმე გვაქვს შემოსავლების დაკარგვასთან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მოიხსნას ზემოხსენებული რეზერვები, გარდა ბანკების და სადაზღვევო კომპანიების რეზერვებისა.

მოგებაზე გადასახადის ფორმირებისას წარმოიშობა პრობლემები ამორტიზაციის ანარიცხებთან დაკავშირებით. საქმე იმაშია, რომ ამორტიზაციის ანარიცხები გამოიანგარიშება ადრე არსებული საბჭოური სისტემის შესაბამისად ძნელად გასარკვევი საგანაკვეთო შკალებით. მართალია, ინფლაციასთან დაკავშირებით მოხდა ძირითადი და საბრუნავი ფონდების აფასება (3-ჯერ), მაგრამ ამით მაინც ვერ მოხერხდა ზოგიერთი აქტივების რეალურ საბაზრო ფასებთან გაწონასწორება. ამიტომ საჭირო ხდება ცვეთის აღრიცხვის ცხრილის გამარტივება და დარგების შესაბამისად არსებული საამორტიზაციო ანარიცხების ბუღალტრული აღრიცხვის მოწესრიგება.

გადასახადები საწარმოთა ქონებაზე. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქონებაზე გადასახადის გადამხდელები არიან იურიდიული პირის უფლების მქონე სამეურნეო სუბიექტები და მათ დაქვემდებარებაში მყოფი დამოუკიდებელი ბალანსების მქონე ფილიალები. დაბეგვრის ობიექტებს შეადგენს საწარმოს ბალანსზე რიცხული არამატერიალური აქტივები, ძირითადი საშუალებები, დასადგმელი მოწყობილობა და დაუმთავრებელი კაპიტალური მშენებლობა. საგადასახადო ბაზიდან გამოირიცხება მარაგები (ნედლეული, ნახევარფაბრიკატები და მზა პროდუქცია), ფულადი საშუალებები და ფინანსური აქტივები (დეპოზიტური დავალება, ვექსილები, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები).

აღნიშნული გადასახადის გადახდისაგან განთავისუფლებული არიან საბიუჯეტო დაწესებულებები და ორგანიზაციები, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები, ქონება, რომელიც გამოიყენება განათლებისა და კულტურის საჭიროებისათვის, ახლად შექმნილი საწარმოები მათი რეგისტრაციიდან ერთი წლის განმავლობაში, ხოლო შემდგომი ორი წლის განმავლობაში 50 პროცენტით, ოთხ წელზე ადრე ამ საწარმოთა ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შემთხვევებში ქონებაზე გადასახადის გადახდა ხდება მთელი პერიოდისათვის გათვალისწინებული განაკვეთის მიხედვით. კანონის თანახმად, საწარმოთა ქონება იბეგრება ერთი პროცენტით.

აღნიშნულ გადასახადთან დაკავშირებით ბევრი სადისკუსიო პრობლემა წამოიჭრება, რომელთა შორის მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ, საჭიროა თუ არა საგადასახადო ბაზაში ჩაირთოს საწარმოს ყველა აქტივი. საწარმოს მარაგების და ფულადი აქტივების დაბეგვრისაგან განთავისუფლება არ უნდა იყოს გამართლებული. ამასთან, უფრო მეტ ეჭვს იწვევს ძირითადი ფონდებისა და არამატერიალური აქტივების დაბეგვრა. ამასთანავე, ახალი საწარმოებისათვის შეღავათების გაწევაც არ უნდა იყოს ჩვენი აზრით, მთლად გამართლებული. ზემოთქმულიდან გამომდინარე, საჭიროა უცხოელი ექსპერტების რეკომენდაცია იმის თაობაზე, რომ ქონებაზე გადასახადის ბაზა უნდა იქნეს გაფართოებული და იგი უნდა მოიცავდეს მარაგებსა და ფულად საშუალებებსაც, ხოლო რაც შეეხება ახალი საწარმოების დროებით გამოთავისუფლებას ქონებაზე გადასახადისაგან, იგი უნდა მოიხსნას.

ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი. საშემოსავლო გადასახადის გადამხდელები არიან საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის როგორც მქონე, ისე არმქონე პირები. აღნიშნული გადასახადით იბეგრება ფიზიკური პირების მიერ მიღებული როგორც ფულადი, ისე ნატურალური შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში. კანონით გათვალისწინებულია დაუბეგრავი შემოსავლის საკმაოდ დიდი ნუსხა.

ჩვენი აზრით, კანონი ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ სერიოზულ გადამუშავებას და სრულყოფას საჭიროებს. განსაკუთრებით ბუნდოვანია მისი მე-7 მუხლი, რომელიც შეეხება საშემოსავლო გადასახადის გამოანგარიშების წესს. აღნიშნული წესის თანახმად, რომელსაც რესპუბლიკის მეტი წილი საწარმოები და ორგანიზაციები არ იცავენ მისი არასრულყოფილების გამო, გადასახადები გაიანგარიშება კალენდარული წლის დამდეგიდან თითოეული თვის გასვლის შემდეგ ერთობლივი შემოსავლიდან, რომელიც უნდა შემცირდეს კანონით დადგენილი შრომის მინიმალური თვიური ანაზღაურების ოდენობით. ამასთან, უნდა ჩაითვალოს ადრე დაკავებული გადასახადების თანხები.

თუ ამ წესს ცხოვრებაში გავატარებთ რეალურად, ხშირ შემთხვევაში წლის მეორე ნახევარში და განსაკუთრებით მის ბოლო თვეებში ფიზიკურმა პირმა შეიძლება საერთოდ ვერ მიიღოს ხელფასი. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული წესი სასწრაფო შეცვლასა და სრულყოფას მოითხოვს.

ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი. ამ გადასახადის გადამხდელები არიან ფიზიკური პირები, რომელთა კერძო საკუთრებაშია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ამ გადასახადით დასაბეგრი ობიექტები. აღნიშნული გადასახადით იბეგრება საცხოვრებელი სახლები, ბინები, აგარაკები და ა. შ. აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებები. შენობა-ნაგებობისათვის დაწესებულია მათი საინვენტარიზაციო ღირებულების 0,1 პროცენტი, ხოლო სატრანსპორტო საშუალებებზე მათი სიმძლავრის (ცხენის ძალაზე გაანგარიშებით) შესაბამისად (შრომის ანაზღაურების მინიმალური 0,2 პროცენტის ოდენობით). საგადასახადო შეღავათები ეძლევათ პენსიონრებს, სამხედრო მოსამსახურეებს, სოფლად მაცხოვრებლებს და ა. შ. ჩვენი აზრით, აღნიშნული გადასახადის საკანონმდებლო ბაზა საკმაოდ არგუმენტირებულია. შეიძლებოდა გვეფიქრა იმ პირთა შეღავათებზე, რომლებმაც ახლად ააშენეს შენობა-ნაგებობანი. სასურველია მათი განთავისუფლება გადასახადიდან მშენებლობის დამთავრებიდან ნახევარი წლის განმავლობაში.

მიწაზე გადასახადი. მიწაზე გადასახადის საპარლამენტო საკანონმდებლო ბაზა ჯერჯერობით არ არსებობს. მისი გადახდა ხდება 1994 წლის დეკემბრის სამთავრობო დადგენილების საფუძველზე. გადასახადის განაკვეთები დაწესებულია ამერიკულ დოლარებში, ხოლო გადახდა ხდება ეროვნულ ვალუტაში. განაკვეთები დიფერენცირებულია მიწის ხარისხის მიხედვით. მიწაზე გადასახადის შესახებ კანონის მიღებას დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ეს საკითხი უმოკლეს დროში უნდა გადაწყდეს. მანამდე კი საჭიროა შედგეს მიწის არგუმენტირებული კადასტრი.

გარდა ზემოაღნიშნული გადასახადებისა, რომლებზეც რესპუბლიკაში მიღებულია სახელმწიფო კანონები, პრაქტიკაში ადგილი აქვს სხვა სახის გადასახადებისა და მოსაკრებლების ამოღებას. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია საბაჟო გადასახადი (მოსაკრებელი). ამჟამად საქართველოში არსებობს 11 სასაზღვრო პორტი. საბაჟო მოსაკრებლის განაკვეთია 12 პროცენტი. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საზღვრებს გარედან იმპორტირებული მთელი რიგი საქონელი განთავისუფლებულია საბაჟო მოსაკრებლისაგან, მათ შორის საქონელი, რომელიც შემოაქვს საქართველოს საპატრიარქოს, უცხოელ ინვესტორებს და დიპლომატებს. განთავისუფლებულია აგრეთვე ფიზიკური პირების მიერ შემოტანილი საქონელი. საბაჟო მოსაკრებლის გადახდა ხდება არა საზღვარზე, არამედ ქვეყნის შიგნით საბაჟო პოსტზე საქონლის მიღებისას.

ჩვენი აზრით, დაუსაბუთებელი და გაუმართლებელია საბაჟო მოსაკრებლისაგან საპატრიარქოს და უცხოელი ინვესტორების განთავისუ-

ფლება. ასევე გარკვეულ შემცირებას საჭიროებს ფიზიკური პირების მიერ იმპორტირებული საქონლის მოცულობა, შესამცირებელია აგრეთვე ალკოჰოლის და სიგარეტის სალიმიტო ციფრი. აუცილებელია უახლოეს დროში საბაჟო კოდექსის მიღება.

საქართველოში დღეისათვის ადგილობრივ (საქალაქო, რაიონული) მართვის ორგანოებს მინიჭებული აქვთ დიდი უფლებები. ისინი არეგულირებენ ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავალ-გასავალს. მათ მიეცათ უფლება შემოიღონ ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები. ამ უფლებებს ფართოდ იყენებს შემდეგი ქალაქები: თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ფოთი და ა. შ. ამან გარკვეულწილად გააუმჯობესა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ფუნქციონირება. ამასთან, ადგილობრივ ბიუჯეტში მიდის რიგი "რესპუბლიკური" საგადასახადო შემოსულობათა ნაწილი. ძირითად საგადასახადო შემოსულობათა განაწილება რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის ნაჩვენებია მე-3 და მე-11 ცხრილებში.

ცხრილი № 11

გადასახადების განაწილება რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის[1]

გადასახადის სახეები	რესპუბლიკური ბიუჯეტისათვის დაწესებული პროცენტი	ადგილობრივი ბიუჯეტისათვის დაწესებული პროცენტი
1	2	3
დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი	90	10
აქციზი	100	–
მოგებაზე გადასახადი	–	100
შემოსავალზე გადასახადი	–	100
ფასიან ქაღალდზე გადასახადი	–	100
საბაჟო მოსაკრებელი	70	30
წიაღისეულზე გადასახადი	–	100
გარემოს დაცვაზე გადასახადი	–	100
მიწაზე გადასახადი	50	50

[1] ცხრილი შეღგენილია საერთაშორისო საეალუტო ფონდის მონაცემების მიხედვით.

გადასახადის სახეები	რესპუბლიკური ბიუჯეტისათვის დაწესებული პროცენტი	ადგილობრივი ბიუჯეტისათვის დაწესებული პროცენტი
ქონებაზე გადასახადი	–	100
ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადი	–	100
ტრანსპორტზე გადასახადი	2	100
სახელმწიფო მომსახურებაზე გადასახადი	–	100
სარეგისტრაციო გადასახადი	–	100

საერთაშორისო ექსპერტები ურჩევენ საქართველოს მთავრობას საგადასახადო შემოსულობათა განაწილებას რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის თანაბარი პროცენტული პროპორციით. ჩვენი აზრით, ასეთი წინადადების რეალიზაცია დღევანდელ პირობებში ნაადრევია. რესპუბლიკური ბიუჯეტის წინაშე დგას მთელი რიგი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანები – ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაცია, დიპლომატური კავშირების გაძლიერება, სამართალდამცავი ორგანოების განმტკიცება და ა. შ. ამ პირობების ძირითადად გადაწყვეტის შემდეგ, შესაძლებელია დაისვას საკითხი საგადასახადო შემოსულობათა განაწილების გამოთანაბრების შესახებ რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის.

გარდა ზემოაღნიშნულისა ახალი საგადასახადო სისტემა არაა დაზღვეული სხვა სახის ნაკლოვანებებისაგანაც.

ჩვენი აზრით, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მას საფუძვლად არ უდევს ის ჰეშმარიტი დებულება, რომ გადასახადები არის სახელმწიფოს შემოსავლების ფორმირების უმთავრესი წყარო. საქართველოში ფორმირებად საგადასახადო სისტემას წითელ ზოლად გასდევს გადასახადების ლიბერალიზაციის კურსი და იგი ძირითადად იმეორებს განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში საგადასახადო სისტემის ცალკეულ ელემენტებს. ამრიგად, ჩვენი საგადასახადო სისტემა გადმოღებულია სრულფასოვანი საბაზრო ეკონომიკიდან, სადაც, ასე თუ ისე, მიწოდება–მოთხოვნის პრობლემა დარეგულირებულია და საგადასახადო სისტემის მთავარი ამოცანაა წარმოების განვითარების სტიმულირება და შესაბამისად ბიუჯეტში სახსრების მოზიდვა. მაგრამ ასეთი მიდგომა საქართველოს პირობებისათვის, სადაც ნამდვილი მეწარმეობა ჯერჯერობით არაა ფეხზე დამდგარი, რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო და, სადაც მთავარი აქცენტი გადატანილია შუამავალ-

გადამყიდველ კომერციულ სტრუქტურებზე, ჩვენი აზრით, არაა გამართლებული. ამ ეტაპზე გადასახდელების უზომო ლიბერალიზაცია ბიუჯეტის გამოჯანსაღებას ხელს შეუშლის, ამით, ჯერ ერთი, არც მეწარმეობა განვითარდება, რადგან მისი განვითარებისათვის მთავარი დაბალი გადასახადები როდია, არამედ გადამწყვეტი როლი ეკუთვნის შესაბამისი პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოს შექმნას და მეორე, დაბალი გადასახადების დაწესებით კიდევ უფრო იზრდება, „კომერსანტ-სპეკულანტთა" ზემოგება და სახელმწიფო ბიუჯეტში ვერ შევა სახსრები, რითაც კიდევ უფრო გადიდდება ისედაც კრიზისულ სიტუაციაში მყოფი ეროვნული ბიუჯეტის დეფიციტი. ამიტომ, ჩვენი აზრით, ამ ეტაპზე მთავარია არა საბიუჯეტო „წნეხის" შესუსტება, არამედ დასაბეგრი ობიექტის წრის გაფართოება, აღრიცხვა-ანგარიშგების სწორი ორგანიზაცია და საგადასახადო კანონმდებლობათა ცხოვრებაში პრაქტიკული გატარება.

მისაღებია ახალი საგადასახადო კანონები. რესპუბლიკური მასშტაბით უნდა იქნეს შემოღებული გადასახადები ბანკების შემოსავალზე, გადასახადები სადაზღვევო საქმიანობაზე, გადასახდელები საბირჟო საქმიანობაზე, გადასახდელები ფასიანი ქაღალდების ოპერაციებზე, გადასახდელები ბუნებრივი რესურსებით სარგებლობაზე და ა. შ. არანაკლები მნიშვნელობა აქვს ისეთი გადასახადების და გადასახდელების დაწესებას, როგორიცაა გადასახდელები წყალზე, სატრანსპორტო გადასახადი, მეწარმეობაზე სარეგისტრაციო მოსაკრებელი, საკურორტო მოსაკრებელი, სატრანზიტო გადასახადი, მოსაკრებელი ძაღლის ფლობაზე, სალიცენზიო მოსაკრებელი სპირტიანი სასმელებით ვაჭრობაზე, მოსაკრებელი ბინის ორდერის მიღებაზე, კინო და ტელეგადაცემებზე და ა. შ.

გადასაწყვეტია აგრეთვე, ჩაითვალოს თუ არა გადასახდელებში სოციალური საჭიროებისათვის გამოყოფილი ანარიცხები (სახელმწიფო სოციალური დაზღვევისათვის, საპენსიო ფონდისათვის, დასაქმების სახელმწიფო ფონდისათვის და ა. შ.). მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი საბიუჯეტო სისტემის სრულყოფა ამ ეტაპზე.

საჭიროდ მიგვაჩნია აგრეთვე გადასახადების ინვენტარიზაციის ჩატარება, იმ მიზნით, რომ შემცირდეს მათი მრავალსახეობა და დარჩეს ძირითადი მთავარი გადასახადები და დარეგულირდეს მათი განაკვეთების სიდიდე, ეს გაამარტივებს საგადასახადო სისტემას, უფრო მართვადს და ხილულს გახდის მათ ამოღებას.

ამრიგად, როგორც ჩანს, რესპუბლიკის საგადასახადო სისტემა ჯერ კიდევ შორსაა სრულყოფისაგან. ამ საქმის საბოლოო ორგანიზაცია სახელმწიფომ უნდა აიღოს საკუთარ თავზე. ამასთან, მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნათა კანონები.

საბაზრო ურთიერთობათა კანონები წარმოების ფაქტორების მფლობელებს (შრომის, კაპიტალის, მიწის) აძლევს შემოსავალს, რომელიც შეესაბამება მათი წილის ეფექტიანობას და ეს მსოფლიო ცივილიზაციის მიერ აღიარებულია სოციალურად სამართლიან მოვლენად. თუმცა ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობს ადამიანების ნაწილი, რომლებსაც არ გააჩნიათ წარმოების ფაქტორები. ასეთებია არაშრომისუნარიანები — ბავშვები, მოხუცები, ინვალიდები და ღარიბები, ასევე ისინი, ვინც არაკონკურენტუნარიანია შრომის ბაზარზე — უმუშევრები. არის კიდევ კატეგორია ადამიანებისა, რომლებსაც თავიანთი რწმენის გამო არ სურთ მუშაობა. გარდა ამისა, ნებისმიერ სახელმწიფოში არის ადამიანების გარკვეული ნაწილი, რომლებიც დასაქმებული არიან სახელმწიფო სექტორში და არ მონაწილეობენ საბაზრო კონკურენციაში. აღნიშნული კატეგორიის ადამიანები შემოსავლების საბაზრო გადანაწილებაში არ არიან ჩართულნი და შესაბამისად მათზე მზრუნველობა სახელმწიფომ უნდა გამოიჩინოს, რამეთუ თანამედროვე ცივილიზაციის კრიტერიუმებით ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება ღირსეულ ცხოვრებაზე. ამასთან, მსოფლიო პრაქტიკით დადასტურებულია, რომ საბაზრო ეკონომიკაში შემოსავლების განაწილება ყოველთვის არ უზრუნველყოფს თითოეული ადამიანისათვის მისაღებ ცხოვრების დონეს, მიუხედავად მის განკარგულებაში არსებული წარმოების ფაქტორებისა და ეკონომიკური საქმიანობის შედეგებისა. სწორედ ამაში მდგომარეობს საბაზრო ურთიერთობათა სოციალური უსამართლობა.

ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში სახელმწიფო ვალდებულია ჩაერიოს შემოსავლების გადანაწილებაში, რადგან ის, რაც სამართლიანია საბაზრო ურთიერთობათა პოზიციებით, ყოველთვის როდია სამართლიანი ზოგადადამიანური მორალით. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს საზოგადოების სოციალური სამართლიანობა, წინააღმდეგ შემთხვევაში არ დამყარდება საზოგადოებრივი თანხმობა და ქვეყანაში ადგილი ექნება უწესრიგობასა და კატაკლიზმებს. სახელმწიფომ ეკონომიკური რეგულირებისათვის შესაძლებელია გამოიყენოს როგორც ეკონომიკური მექანიზმები, ასევე ადმინისტრაციული მეთოდები. ამ უკანასკნელის გამოყენება მხოლოდ მოკლე პერიოდისათვისაა შესაძლებელი, რადგან მსოფლიო ისტორიამ დაადასტურა, რომ ეკონომიკის სახელმწიფოებრივი მართვის ეფექტური საშუალებაა ეკონომიკური რეგულატორები.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური და ადმინისტრაციული მეთოდები ურთიერთდაკავშირებულია. ნებისმიერი ეკონომიკური რეგულატორი თავის თავში ატარებს ადმინისტრირების ელემენტს, რადგან მასზე კონტროლს ახდენს სახელმწიფოს ესა თუ ის სამსახური. თავის მხრივ, თითოეულ ადმინისტრაციულ რეგულატორში არის რაღაც

ეკონომიკური იმ აზრით, რომ იგი არაპირდაპირ გავლენას ახდენს სამეურნეო ქცევაზე.

სახელმწიფოს მიერ გამოყენებულ ეკონომიკურ მექანიზმებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბიუჯეტებსა და გადასახადებს. აღნიშნული ბერკეტებით სახელმწიფო ახდენს შემოსავლების გადანაწილებას. კერძოდ: ადიდებს ღარიბი ფენების შემოსავლებს; ღატაკებს აძლევს სურსათის ტალონებს; უმუშევრებს და მრავალშვილიანებს უხდის ფულად დახმარებებს; ქმნის უმუშევრებისათვის კვალიფიკაციისა და სწავლების სისტემას; ავალდებულებს მეწარმეებს არ დაუშვან უმუშევრებისათვის განსაზღვრული მინიმუმის ქვეით ხელფასის გადახდა; ეწევა უფასო განათლებისა და ჯანდაცვის მომსახურებას; ამყარებს ქვეყანაში სამართლებრივ წესრიგს; უზრუნველყოფს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას და სახელმწიფოებრივ მართვას და ა. შ.

სახელმწიფოს მიერ ხარჯების გაწევა უნდა იყოს შეპირისპირებული ფინანსურ შესაძლებლობებთან, ანუ ქვეყნის ბიუჯეტთან. თუ სოციალურმა გასავლებმა გამოიწვია დეფიციტი და ინფლაცია, მაშინ განაწილებას ცვლის ნორმალური შემოსავლების ინფლაციური ზრდა. ამ შემთხვევაში არ მოიგებს არავინ, არც ის, ვინც იღებს ფულად დანამატებს, რადგან იგი გადაიფარება ფასების განუწყვეტელი ზრდით. უფრო მეტიც, ადგილი ექნება მთელი მოსახლეობის შემოსავლების შემცირებას. აღნიშნულს პირდაპირი კავშირი აქვს საქართველოში შექმნილ სიტუაციასთან. სწრაფვა რესპუბლიკის ბიუჯეტიდან მიიღონ სახსრები, რომელიც ბიუჯეტში არ არის, ვერ უზრუნველყოფს განაწილების სამართლიანობას და ცხოვრებას ვერ გახდის უზრუნველყოფილს.

ეფექტიანი საგადასახადო პოლიტიკის ფორმირება არ არის ადვილი საქმე. მთავარი მაინც გადასახადების ზომის დადგენაა. მან არ უნდა დააკარგვინოს სტიმული წარმოების ფაქტორების მფლობელებს. სახელმწიფომ ძალზე ფრთხილად და მოფიქრებით უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ამ მიმართულებით. დაუშვებელია ისეთი გადაჭარბებული დაბეგვრა, რომელიც ეკონომიკის ეფექტიანობის დაცემას შეუწყობს ხელს. თუ სახელმწიფომ ხელი გაუწოდა ღარიბებს, ის რომ მხედველობაში არ მიიღო ეკონომიკის რეალური მდგომარეობა, მაშინ არაა გამორიცხული საბაზრო მექანიზმის ღრმა დეფორმაცია, რომელიც, საბოლოო ჯამში გამოიწვევს ეკონომიკის დაქვეითებას, ინფლაციის გაღრმავებას და ამით ზიანი მიადგება .ყველას, მათ შორის მათ, ვისი გულისთვისაც განხორციელდა შემოსავლების გადანაწილება.

უფრო მეტიც, როცა უზომო სოციალური გასავლები იწვევს დაბეგვრის დონის ამაღლებას, მაშინ წარმოიქმნება დანაზოგის დეფიციტთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური ეფექტი. თუ გადასახადებმა მწარმოებლებს დააკლეს დიდი რაოდენობის შემოსავლები, მაშინ ისინი

ამცირებენ დაზოგვას, რაც იწვევს საცალო ბაზარზე ინვესტიციებისა და დანაზოგების წონასწორობის დარღვევას და ზღუდავს წარმოების გაფართოების შესაძლებლობებს (ლაფერის თეორია).

ყოველივე ზემოთ მოცემული თეორიული და მეთოდური ანალიზის შემდეგ საქართველოს რესპუბლიკაში საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფის წინადადებები და რეკომენდაციები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

— საჭიროა საშემოსავლო პოლიტიკის მეცნიერული საფუძვლების შემუშავება. იგი გულისხმობს იმ პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნების მკაცრად ფორმულირებას და განსაზღვრას, რომელიც უნდა იქნეს რეალიზებული ქვეყნის საშემოსავლო პოლიტიკის მეშვეობით;

— საგადასახადო ობიექტების (სფეროების) გაფართოება და საგადასახადო განაკვეთების შემცირება. საგადასახადო ობიექტთა წრის გაფართოება შესაძლებლობას იძლევა დაბალი განაკვეთების საშუალებით ბიუჯეტში მოზიდულ იქნეს იმაზე მეტი საგადასახადო შემოსავლები, ვიდრე მაღალი საგადასახადო განაკვეთებისა და მცირე საგადასახადო ბაზის პირობებში;

— საგადასახადო შეღავათების მინიმუმამდე დაყვანა. ხშირ შემთხვევაში დაუსაბუთებელი საგადასახადო შეღავათები წარმოების ეფექტიანობის დამმუხრუჭებელი ფაქტორი ხდება და იგი ანელებს მეწარმეობრივ ინიციატივას და აქტიურობას, რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის ზრდაზე;

— საჭიროა კონცენტრაცია რამდენიმე უმთავრეს საგადასახადო ფორმაზე. ყველაზე უფრო მიზანშეწონილი და პრაქტიკულია გადასახადების დაწესება შემოსავალზე, მოხმარებასა და საკუთრებაზე. უფრო კონკრეტულად კი გადასახადების დაწესება გამართლებული და მიზანშეწონილია საწარმოთა შემოსავალზე, ინდივიდუალურ შემოსავალზე, სავაჭრო ურთიერთობაზე (დამატებით ღირებულებაზე, აქციზებზე, ბაჟზე), ქონებაზე;

— თავიდან უნდა იქნეს აცილებული ერთსა და იმავე საშემოსავლო თანხაზე ორმაგი გადასახადების დაწესება. გადასახადების სიდიდე ხელმისაწვდომი უნდა იყოს გადასახადის გადამხდელებისათვის;

— საგადასახადო სისტემა უნდა იყოს „ნეიტრალური". იგი მძიმე ტვირთად არ უნდა აწვეს გადამხდელს და მან არ უნდა დაამუხრუჭოს მეწარმეობრივი აქტივობა. ამასთანავე, მან უნდა უზრუნველყოს ფისკალური ფუნქციის შესრულება და ბიუჯეტის შევსება. გადასახადი ერთნაირი უნდა იყოს სხვადასხვა საკუთრების ფორმაზე დაფუძნებული საწარმოებისა და ქონების მფლობელთათვის;

— საგადასახადო სისტემა უნდა ფუნქციონირებდეს სახელმწიფო კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების ჩარჩოებში. იგი უნდა იყოს არა

როგორც ადმინისტრირების ორგანო, არამედ უნდა გამოდიოდეს გადამხდელის პარტნიორად;

— დანახარჯებზე გადასახადი არ უნდა გამოიყენებოდეს, როგორც ფართო მოხმარების საქონელზე ფასების გამოთანაბრების საშუალება. არ უნდა შეიქმნას ნაპრალი პროდუქციის თვითღირებულებასა და დადგენილი ფასებით სავაჭრო გადასახადებს შორის. სამომხმარებლო გადასახადები სრულად უნდა იქნეს გადატანილი მოხმარებაზე;

— არ უნდა დაიბეგროს ინვესტიციები, ასევე განსაკუთრებული გამონაკლისების გარდა არ უნდა იბეგრებოდეს ექსპორტი. არ უნდა მოხდეს საწარმოთა მოგების განმეორებითი დაბეგვრა, ზარალი არ უნდა დაიბეგროს. ინდივიდუალური საშემოსავლო გადასახადი სამართლიანად უნდა განაწილდეს ინდივიდუალურ და საოჯახო საქმიანობაზე, მის ამოსავალ კრიტერიუმად უნდა იქნეს გადახდისუნარიანობის პრინციპი. სააქციზო გადასახადით უნდა დაიბეგროს პროდუქციის მხოლოდ გარკვეული ნაწილი. საიმპორტო ბაჟის დაწესება უნდა ითვალისწინებდეს ქვეყნის შიგნით ბაზრის დაცვას, საექსპორტო ბაჟის დაწესება უნდა მოხდეს მხოლოდ გარკვეული სახის ექსპორტზე. დამატებით ღირებულებაზე გადასახადი უნდა დადგინდეს დიფერენცირებულად სამრეწველო, კომერციულ და მომსახურების სექტორებში. შეღავათები უმეტესწილად უნდა გაეწიოს წვრილ მეწარმეებს, ამ გადასახადით უნდა დაიბეგროს როგორც იმპორტული, ასევე საშინაო პროდუქცია, ექსპორტისათვის უნდა დადგინდეს სპეციალური რეჟიმი;

— დასაბეგრი შემოსავლების განსაზღვრისას არ უნდა იქნეს დაშვებული არასამართლიანი შეღავათები, უნდა შემუშავდეს მკაცრი და მარტივი წესები ამორტიზაციის ხარჯების დასადგენად;

— საჭიროა საგადასახადო სისტემის ორგანიზაციული სრულყოფა. საგადასახადო პოლიტიკა უნდა ექვემდებარებოდეს ფინანსთა სამინისტროს. საგადასახადო მომსახურების რეორგანიზაცია უნდა ითვალისწინებდეს თვითანგარიშების, გადახდის უზრუნველყოფის, კონტროლის, გასაჩივრების, განაკვეთების დადგენისა და სხვა მეთოდური საკითხების სრულყოფას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გაანგარიშებას და კონტროლს შემოსავლის წყაროების ადგილზე. საჭიროა მკაცრი კონტროლის დაწესება იმ ინსპექტორების მიმართ, რომლებიც შემოსავლის ადგილზე კრეფენ გადასახადებს (მოსაკრებლებს). საჭიროა ჩამოყალიბდეს ოპერატიული შემმოწმებელი სისტემა დაგვიანებული და გადაუხდელი გადასახადების გასაკონტროლებლად;

— საგადასახადო სამსახურებში საჭიროა კომპიუტერიზაციის მაქსიმალურად დანერგვა, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი სარეგისტრაციო სისტემის ჩამოყალიბება, ინდივიდუალური საიდენტიფიკაციო-საკონტროლო ნომრების შექმნა და დარიგება, თითოეული გადამხდელისათვის

პირადი კომპიუტერული დოკუმენტაციის შედგენა. ისეთი მანქანური პროგრამების შედგენა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდება დაგეგმიანებული ან გადაუხდელი გადასახადების ავტომატური გამოყენება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საგადასახადო სტატისტიკის განვითარებასა და სრულყოფას;

— გადაუდებელი საქმეა საგადასახადო სამსახურისათვის კვალიფიციური კადრების მომზადება და გადამზადება. სრულყოფას მოითხოვს სასწავლო პროგრამები საგადასახადო სისტემის დღევანდელ მოთხოვნათა შესაბამისად, განსაკუთრებით იმ პერსონალის მოსამზადებლად, რომლებსაც მუშაობა უწევთ გადასახადის შეგროვების, კონტროლის და კომპიუტერიზაციის სფეროებში;

— სერიოზულ ტრანსფორმაციას საჭიროებს საგადასახადო მომსახურების სფერო. კერძოდ: საჭიროა შედგეს ისეთი პროგრამა, რომელიც ცხადად განუმარტავს გადამხდელებს მათ ვალდებულებებსა და უფლებებს, ასევე საგადასახადო სამსახურის მუშაკთა უფლებებსა და ვალდებულებებს. გადამხდელებს უნდა ჰქონდეთ საქმიანი კავშირი საგადასახადო სამსახურების მუშაკებთან. ნებისმიერ დროს უნდა შეეძლოთ კონსულტაციებისა და რჩევების მიღება და ა. შ;

— სასურველია ქვეყნის საგადასახადო სისტემა იყოს სტაბილური.

ზემოთ აღნიშნული წინადადებებისა და რეკომენდაციების პრაქტიკული რეალიზაცია, ჩვენი აზრით, შესაძლებელს გახდის საქართველოში ცივილიზებული საგადასახადო სისტემის ფორმირებას.

საბიუჯეტო პოლიტიკა. როგორც ცნობილია, ცენტრალიზებული გეგმიანი ეკონომიკის პირობებში საფინანსო პოლიტიკა და მისი ძირითადი რგოლი — საბიუჯეტო პოლიტიკა ძირითადად ჩადებული იყო სახელმწიფო გეგმებში. ეს უკანასკნელი კი „ცენტრში“ დგებოდა და კანონის სახით მიეწოდებოდა მოკავშირე რესპუბლიკებსა და მათ შორის საქართველოს. უნდა აღინიშნოს, რომ სსრკ-ში შემავალ რესპუბლიკებს არ ჰქონდათ საკუთარი საფინანსო და საბიუჯეტო პოლიტიკა.

მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენდა მის ძირითად საფინანსო გეგმას და ემსახურებოდა საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში ეკონომიკური და სოციალური განვითარების ფინანსურ სრულყოფას. რეალურად რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი პირობით ხასიათს ატარებდა, რადგან მისი შედგენის მთელი „სამზარეულო“ ქვეყნის გარეთ მდებარეობდა და დამტკიცების პროცესი რესპუბლიკის შიგნით მხოლოდ ფორმალურ პროცედურას წარმოადგენდა.

ასეა თუ ისე, მაინც დიდი იყო ბიუჯეტის როლი რესპუბლიკის სოციალ-ეკონომიკურ განვითარებაში. რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით ხდებოდა მოსახლეობის უფასო სამედიცინო მომსახურების,

განათლების, სოციალური უზრუნველყოფის, საბინაო-კომუნალური მომსახურებისა და სხვა ღონისძიებათა დაფინანსება. ვინაიდან შრომის ანაზღაურების დონე დაბალი იყო და იგი ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებებს, სახელმწიფო ბიუჯეტური დოტაციების საშუალებით ცდილობდა არსებული გარღვევის შევსებას. მოსახლეობის ფულადი შემოსავლებისა და ფულადი დანაზოგების ზრდას ემსახურებოდა საბიუჯეტო დოტაციების ისეთი ფორმები, როგორიცაა დოტაციები სასურსათო საქონელზე, საცხოვრებელ ბინებზე, გათბობაზე, ელექტროენერგიაზე, ტრანსპორტზე და ა. შ. ამიტომ გეგმიანი მეურნეობის პირობებში ბიუჯეტი ძირითადად სახელმწიფოს ფისკალური და ტრანსფერტული პოლიტიკის ფუნქციების გამტარებელ ბერკეტს წარმოადგენდა. ამასთანავე, თანდათანობით იჩინა თავი მოსახლეობის ფულადი დანაზოგების წინაგამსწრები ტემპით ზრდამ ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების ზრდასთან შედარებით. შეიქმნა დისპროპორცია მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობის დონესა და საქონლის მიწოდებას შორის, რასაც, თავის მხრივ, მოჰყვა მოხმარების საგნებზე ფასების ზრდა, მომსახურებაზე ტარიფების გადიდება და შესაბამისად ემისიის გაძლიერება და ინფლაციური პროცესების გამწვავება. ამრიგად, ქვეყნის საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის მოშლას ჯერ კიდევ გეგმიანი მეურნეობის პირობებში ჩაეყარა საფუძველი.

მას შემდეგ, რაც დაინერგა გეგმიანი მეურნეობა და დაიწყო საბაზარო ურთიერთობაზე გადასვლის პროცესი, ცხადია, დღის წესრიგში დადგა ახალი საბიუჯეტო პოლიტიკის ფორმირების ამოცანა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცა საბაზრო კანონების მოთხოვნებისადმი. საქართველოში ახალი საბიუჯეტო პოლიტიკის ფორმირებას საფუძველი ჩაეყარა საქართველოს პარლამენტის მიერ 1993 წლის 30 მარტს მიღებული კანონით „საბიუჯეტო სისტემისა და უფლებების“ შესახებ, რომლითაც განისაზღვრა საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შედგენის, განხილვის, დამტკიცებისა და ხარჯების გამიჯვნის ძირითადი პრინციპები და შესაბამისი ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების საფინანსო-საბიუჯეტო უფლებამოსილებები.

საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში მობილიზებული სახსრები გამოიყენება საერთო რესპუბლიკური მნიშვნელობის ეკონომიკური, საგარეო-ეკონომიკური, თავდაცვითი, სამართალდაცვითი და სხვა ღონისძიებებისათვის, აგრეთვე ქვეყნის წინაშე მდგარი გადაუდებელი პროგრამული ღონისძიებების დაფინანსებისათვის. რესპუბლიკური ბიუჯეტით ხორციელდება შემოსავლების გადანაწილება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს შორის. რესპუბ-

ლიკური ბიუჯეტის შემოსავლების წყაროებია აქციზის, სატრანზიტო, ექსპორტ-იმპორტის გადასახადები, სახელმწიფო შინაგანი სესხის ობლიგაციების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი, ფულისა და ნივთების სახელმწიფო ლატარიის ბილეთების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი, სახელმწიფო მატერიალური რეზერვების რეალიზაციით და ეროვნულ ფასეულებათა ფონდის მარაგის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სავალუტო ფონდიდან ვალუტის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სესხები და გაცემული სესხების დაბრუნებით მიღებული შემოსავალი. ზემოხსენებული შემოსავლები მთლიანად ჩაირიცხება რესპუბლიკურ ბიუჯეტში, ხოლო რაც შეეხება დამატებით ღირებულებაზე გადასახადს, მიწის გადასახადსა და საბაჟო გადასახადს, მათი ჩარიცხვა რესპუბლიკურ ბიუჯეტში წარმოებს დამტკიცებული ეკონომიკური ნორმატივების მიხედვით.


კანონის თანახმად, რესპუბლიკურ ბიუჯეტში იქმნება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების შემოსავლების გადანაწილების ფონდი, რომლის ფორმირება ხდება მოგებიდან და მოქალაქეთა საშემოსავლო გადასახადებიდან ანარიცხების მობილიზაციის გზით. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემადგენლობაში იქმნება აგრეთვე მინისტრთა კაბინეტის სარეზერვო და სხვა მიზნობრივი ფონდები.

ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებში ხდება ფულადი სახსრების მობილიზაცია ავტონომიური რესპუბლიკის საერთორესპუბლიკური მნიშვნელობის ეკონომიკური და სოციალური ღონისძიებების, მმართველობისა და სამართალდამცავი ორგანოების შენახვის ხარჯების, აგრეთვე რესპუბლიკური მნიშვნელობის სხვა პროგრამებისა და ღონისძიებების დასაფინანსებლად. აღნიშნული ბიუჯეტის საშუალებით ხდება შემოსავლების გადანაწილება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს შორის. ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლის წყაროა კანონით დამტკიცებული ნორმატივებით განსაზღვრული შემოსავალი დამატებული ღირებულების, მიწის, საბაჟო, მოგების, მოქალაქეთა საშემოსავლო გადასახადებიდან. ამის გარდა, აღნიშნულ ბიუჯეტში თავს იყრის მიღებული სესხები, აგრეთვე გაცემული სესხის დაბრუნებით მიღებული შემოსავალი, სხვა გადასახადები, მოსაკრებლები და სხვადასხვა არასაგადასახადო შემოსავალი. აღნიშნულ ბიუჯეტში იქმნება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების შემოსავლის გადანაწილების ფონდი, რომლის ფორმირების წყაროა მოგებიდან და მოქალაქეთა პირადი შემოსავლების გადასახადებიდან ანარიცხები დამტკიცებული ეკონომიკური ნორმატივების შესაბამისად.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ბიუჯეტების დანიშნულებაა ადგილობრივი სოციალ-ეკონომიკური ღონისძიებების, მმართველობის და სამართალდამცავი ორგანოების შენახვის ხარჯებისა და სხვა ადგილობრივი ღონისძიებების დაფინანსება. ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირების წყაროებია: ბუნებრივი რესურსების გადასახადი, აქციზის, ობლიგაციების და სხვა ფასიანი ქაღალდების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების გადასახადი, სახელმწიფო ბაჟი, საკურორტო გადასახადი, ტყის გადასახადი, სატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა გადასახადი, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ გამოშვებული ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი, წყლის გადასახადი, სხვა გადასახადები, მოსაკრებლები და არასაგადასახადო შემოსავლები. გარდა ზემოაღნიშნულისა, ადგილობრივ ბიუჯეტებში თავს იყრის დამტკიცებული ეკონომიკური ნორმატივების შესაბამისად დამატებული ღირებულების გადასახადი, შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მოგებიდან მიღებული გადასახადი, მოქალაქეთა საშემოსავლო და მიწის გადასახადები. ადგილობრივ ბიუჯეტებთან იქმნება გაუთვალისწინებელი ხარჯების ფონდი.

საქართველოს რესპუბლიკის საბიუჯეტო მოწყობის საფუძველია ქვეყნის სახელმწიფოებრივი და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის პრინციპები. საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტები აერთიანებს საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური დაქვემდებარების 10 ქალაქისა და 65 რაიონის, 32 სადაბო და 976 სასოფლო ბიუჯეტს.

საქართველოს რესპუბლიკის საბიუჯეტო სისტემა სქემატურად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგნაირად:



აღნიშნული ბიუჯეტები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელნი არიან. სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ორგანოებს უფლება არა აქვთ ადმინისტრაციული წესით ჩაერიონ სახელმწიფო იერარქიის ქვემდგომი საფეხურის საბიუჯეტო პროცესში. რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ბიუჯეტის ყველა შემოსავალი, აგრეთვე მის ფარგლებს გარეთ არსებული ერთობლივი საწარმოების რესპუბლიკის ბიუჯეტის კუთვნილი გადასახადები ჩაირიცხება საქართველოს რესპუბლიკურ, ავტონომიური რესპუბლიკების და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში.

საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შედგენის, განხილვის, დამტკიცებისა და შესრულების საერთო წესებს განსაზღვრავს და ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების ფორმირებისა და გამოყენების კონკრეტულ წესებს განსაზღვრავს მმართველობის შესაბამისი ორგანოები დადგენილი წესით.

საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტს შეიმუშავებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი და ამტკიცებს რესპუბლიკის პარლამენტი. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს განსაზღვრავს და ამტკიცებს მმართველობის შესაბამისი ორგანოები მათთვის მინიჭებული საბიუჯეტო უფლებების შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის როგორც ნაერთი, ისე საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსავლები და გასავლები განისაზღვრება ჯამის სახით. მასში გამოიყოფა შემოსავლის ძირითადი წყაროები და ასიგნებანი ეკონომიკის, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის ღონისძიების დასაფინანსებლად, სასამართლოების, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების შესანახად, ქვეყნის დაცვისათვის, აგრეთვე სხვა ხარჯებისათვის.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოების უფლებების გაფართოებასთან დაკავშირებით, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულებისას დამატებით მიღებული შემოსავალი, აგრეთვე გასავალზე შემოსავლის გადანამეტი თანხა, რომელიც წლის ბოლოსათვის წარმოიშობა შემოსავლების გადაჭარბების ან გასავლის დაზოგვის შემდეგ, რჩება ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების განკ-

არგულებაში და მოხმარდება ბიუჯეტზე გათვალისწინებული, მაგრამ აუცილებელი და გადაუდებელი ღონისძიებების დაფინანსებას.

ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ, საქართველოს რესპუბლიკის ისეთი საკანონმდებლო აქტების გამოცემის ან საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, რომელიც ზრდის აეტონომიური რესპუბლიკის, ქალაქის, ან რაიონის ბიუჯეტის ხარჯებს, ან ამცირებს მათ შემოსავალს, ამ ბიუჯეტებს სათანადო სახსრები უნაზღაურდებათ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან, ხოლო ასეთი ბიუჯეტის ხარჯების შემცირების ან შემოსავლების გაზრდის შემთხვევაში, ამ ბიუჯეტიდან შესაბამისი სახსრები გადაეცემა საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტს.

ქვეყნის საბიუჯეტო პოლიტიკის ფორმირებისა და რეალიზაციის საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულოს ამ უკანასკნელ პერიოდში რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილმა სახაზინო სამსახურმა. მისი მთავარი ამოცანებია: რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ორგანიზაცია და კონტროლი; ბიუჯეტების შემოსავლების და ხარჯების მართვა ბანკებში; ბიუჯეტსა და ბიუჯეტგარეშე ფონდებს შორის საფინანსო ურთიერთობათა რეგულირება; ბიუჯეტგარეშე სახსრების შემოსავალზე და მათ გამოყენებაზე კონტროლი; საფინანსო რესურსების პროგნოზირება და ოპერატიული მართვა; ინფორმაციის შეკრება, დამუშავება და ანალიზი სახელმწიფო ფინანსების მდგომარეობის შესახებ; ქვეყნის ხელისუფლების ორგანოებისათვის საბიუჯეტო სისტემის მდგომარეობის შესახებ ანგარიშების შემუშავება და წარდგენა; საშინაო და საგარეო ვალის მომსახურება ეროვნულ ბანკსა და კომერციულ ბანკებთან ერთად და ა. შ.

გარდა ამისა, გარკვეულწილად, მაგრამ ჯერჯერობით არასრულყოფილად მოწესრიგდა საბიუჯეტო კლასიფიკაცია, რომლითაც უნდა იქნეს მიღწეული ბიუჯეტის „გამჭვირვალება" და სხვადასხვა პოზიციიდან მისი მაჩვენებლების ანალიზის შესაძლებლობა. ამასთან, საბიუჯეტო კლასიფიკაცია მომავალში ისე უნდა დარეგულირდეს, რომ შესაძლებელი გახდეს საბიუჯეტო მაჩვენებლის საერთაშორისო შესადარისობა. ასევე საბიუჯეტო პოლიტიკის თანამედროვე მიღწევად უნდა ჩაითვალოს საშემოსავლო და საგასავლო ნაწილში არასაბიუჯეტო ფონდების გარკვეულწილად ასახვა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ბიუჯეტში წონასწორობის დამყარებას. ამ მიდგომის საფუძველზე შესაძლებელი გახდება არასაბიუჯეტო ფონდებისა და მათი ფორმირების წყაროების საკანონმდებლო წესით დამტკიცება ბიუჯეტთან ერთად. ეს უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია ქვეყნის საფინანსო პოლიტიკის რეალიზაციის საქმეში.

ახლა კი კონკრეტულად ჩავიხედოთ გარდამავალ პერიოდში საქართველოს ბიუჯეტის ფორმირებისა და შესრულების „სამზარეულოში".

1991–1995 წლების ბიუჯეტის ანალიზი გვიჩვენებს, რომ რესპუბლიკაში ამ მხრივ მდგომარეობა კრიზისულ ხასიათს ატარებდა. 1990 წელს რესპუბლიკის ბიუჯეტი უდეფიციტო იყო. ეს ის პერიოდია, როდესაც რესპუბლიკას ბიუჯეტს უგეგმავდა ყოფილი სსრ კავშირი. შემოსავალი მთლიანად ფარავდა გასავალს. ფაქტობრივად შემოსავლის გეგმა ამ წელს შესრულდა 100,7 პროცენტით, ხოლო გასავლისა – 96,8 პროცენტით. დაწყებული ამ პერიოდიდან რესპუბლიკის ბიუჯეტში შეიქმნა სერიოზული სირთულეები. 1991 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი მართალია შესრულდა და შემოსავლის გადამეტებამ გასავალზე შეადგინა დაახლოებით 7 პროცენტამდე, მაგრამ ეს ძირითადად განპირობებული იყო ხარჯების მკვეთრი შემცირებით (დაახლოებით 25%-ით). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ წელს ბიუჯეტის შემოსავალს დააკლდა დაახლოებით 8 პროცენტი.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა ბიუჯეტის ფორმირებისა და შესრულების საქმეში შეიქმნა 1992 წლიდან. ამ წელს ბიუჯეტის დეფიციტი შიდა ერთობლივ პროდუქტში შეადგენდა 28%. ასეთი სიტუაცია ძირითადად განაპირობა რესპუბლიკაში შექმნილმა მძიმე ეკონომიკურმა კრიზისმა და სხვა ნეგატიურმა ფაქტორებმა, რომლებზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. ასეთი გარემოება გამოიწვია იმანაც, რომ სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო რესპუბლიკის ბიუჯეტში თავდაცვისა და სამართალდამცავი ორგანოების ხარჯების ავტონომიური ფორმირება, რომელიც ადრე საკავშირო ბიუჯეტიდან იფარებოდა. იმის გამო, რომ ვერ გამოიძებნა სათანადო ფინანსური რესურსები 1992 წლის ბიუჯეტის დამტკიცება მოხდა მხოლოდ აპრილის თვეში. 1993 წლის ბიუჯეტის დეფიციტმა კიდევ უფრო იმატა და შიდა ერთობლივ პროდუქტში მისმა მოცულობამ მიაღწია 44 პროცენტს. აღნიშნული დეფიციტის დასაფინანსებლად სახელმწიფო ფართოდ იყენებდა უცხოურ სესხებს, ოფიციალურ ტრანსფერტებს, აგრეთვე ეროვნული ბანკის კრედიტს, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა ფინანსების დესტაბილიზაციისა და ინფლაციის პროცესი. ამ პერიოდისათვის რესპუბლიკაში მოშლილი იყო საბიუჯეტო დისციპლინა, გადასახადების ამოღების სისტემა და გასავალზე სახელმწიფო კონტროლი.

რესპუბლიკის ბიუჯეტში მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა 1993-1994 წლებში. ამ პერიოდისათვის სახელმწიფო ბიუჯეტი პარლამენტს არ დაუმტკიცებია და მისი განხილვა და მიღება ხდებოდა კვარტლების მიხედვით. შესაბამისი გაანგარიშებით ირკვევა, რომ 1993 წლისთვის ბიუჯეტის დეფიციტმა (გასავლის გადამეტებამ შემოსავალზე) შეადგინა 47 პროცენტამდე, ხოლო 1994 წელს – 37 პროცენტზე მეტი.

საანალიზო პერიოდისათვის საქართველოში ვერ ჩამოყალიბდა ბიუჯეტის შემოსავლების მართვის მწყობრი სისტემა. 1993 წელს ბრუნვიდან

გადასახადი შეიცვალა დამატებულ ღირებულებაზე გადასახადით, რომელზედაც მოდიოდა მთელ საგადასახადო შესრულებათა 25 პროცენტზე მეტი. იმ მდგომარეობამ, რომ აღნიშნული გადასახადის განაკვეთი შემცირდა 14 პროცენტამდე, დიდად შეუწყო ხელი ბიუჯეტის დეფიციტის გაღრმავებას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხოლოდ 1994 წელს გადიდდა აღნიშნული გადასახადის განაკვეთი. ამჟამად მდგომარეობა ამ მხრივ გაუმჯობესებულია. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ შემოღებულია დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრა იმ ქვეყნებიდან იმპორტირებული საქონლისა, რომლებიც არ შედიან დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში.

ყველაზე უფრო მნიშვნელოვან კომპონენტს საბიუჯეტო შემოსულობაში წარმოადგენს გადასახადი მოგებაზე, რომელმაც 1993 წელს შეადგინა 40 პროცენტზე მეტი. დღეისათვის აღნიშნული გადასახადის განაკვეთი შეეფარდება საერთაშორისო სტანდარტებს და შეადგენს 20 პროცენტს (მათ შორის სამრეწველო და სამშენებლო ორგანიზაციებისათვის 10 პროცენტს, ხოლო საბანკო და სადაზღვევო ორგანიზაციებისათვის 35 პროცენტს). აქციზებზე 1993 წელს მოდიოდა საგადასახადო შემოსულობათა 13 პროცენტი, მაშინ როდესაც აღნიშნულ გადასახადზე, 1992 წელს მოდიოდა 8 პროცენტი. ეს გამოწვეულია იმით, რომ გარკვეულწილად გაიზარდა სააქციზო განაკვეთის სიდიდე და საგადასახადო ბაზა (ბენზინსა და ავტომობილზე). როგორც უკვე აღინიშნა, არაყზე აქციზური მოსაკრებელი გაიზარდა 20-დან 30 პროცენტამდე, ღვინოზე – 47-დან 56 პროცენტამდე, ჩაიზე – 20-დან 30 პროცენტამდე, ძვირფას ლითონებზე 10-დან 20 პროცენტამდე. 1993 წელს საშემოსავლო გადასახადზე მოდიოდა მთელ საგადასახადო შემოსულობათა 12 პროცენტი. 1994 წლიდან აღნიშნული გადასახადის როლი ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირებაში გარკვეულწილად შემცირდა, რაც გამოწვეულია მისი განაკვეთებისა და საგადასახადო კატეგორიების შემცირებით.

ამრიგად, როგორც ანალიზიდან ჩანს, რესპუბლიკის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირება დიდი სირთულეების წინაშე დგას. ამის ძირითადი მიზეზია რესპუბლიკაში არსებული ეკონომიკური კრიზისი, წარმოების ზრდის ტემპების მკვეთრად დაცემა და ა.შ. ამ საკითხებზე ზემოთ უფრო დაწვრილებით იყო საუბარი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ თვით ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის პროგნოზულ მაჩვენებელთა შეუსრულებლობამ, თავის მხრივ, გააღრმავა ეკონომიკური და სოციალური კრიზისი. ამ სფეროში არსებული ხარვეზებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია გადასახადებიდან თავის არიდება და შემოსავლების გადამალვა, რომელსაც მასიური ხასიათი ჰქონდა როგორც სახელმწიფო სექტორში, ასევე კერძო და კომერციულ სექტორებში.

საქართველოს რესპუბლიკის ნაერთი (კონსოლიდირებული) ბიუჯეტი 1995 წლისათვის დამტკიცდა უდეფიციტოდ, მაგრამ შემოსავლის ნაწილში ნახევარზე მეტი (53.9%) შეადგენს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და ქვეყნების მიერ გამოყოფილ დახმარებებს, გრანტებსა და კრედიტებს. ცხადია, ამგვარი საბიუჯეტო პოლიტიკის გამოყენება პერსპექტივაში არარეალურია და იგი არსებით ტრანსფორმაციას და სრულყოფას საჭიროებს.

რაც შეეხება ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის ანალიზს, იგი გართულებულია იმის გამო, რომ არაა შემუშავებული გასავლების მუხლების სრულყოფილი კლასიფიკაცია და არ წარმოებს ბიუჯეტში გასავლების სრულყოფილად ასახვა. ბიუჯეტის გასაველების მიახლოებითი ანალიზიდან ირკვევა, რომ რეფორმების საწყის ეტაპზე დიდი რაოდენობის სახსრები წარიმართებოდა ეკონომიკის სფეროში, ხოლო შემდგომ ეტაპზე (1993 წლიდან) მისი ხვედრითი წილი თანდათანობით კლებულობდა. მაგალითად, 1993 წელს სახალხო მეურნეობისათვის გამოყენებულ იქნა მთელი საბიუჯეტო ხარჯების 7 პროცენტი, მაშინ როდესაც 1992 წლისათვის იგი შეადგენდა 33 პროცენტს. 1993-1995 წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა ეროვნულ ეკონომიკაზე გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებათა მოცულობა, რაც განპირობებული იყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესის გაღრმავებით და კერძო სექტორის ხვედრითი წილის ზრდით საკუთრებით სტრუქტურაში. ამასთან, საანალიზო პერიოდში შეინიშნებოდა სახელმწიფო მართვისა და სამართალდამცავი ორგანოების შენახვის ხარჯების მკვეთრი ზრდა. 1992 წელს მან ბიუჯეტის მთლიან გასავლებში შეადგინა 5 პროცენტი. ხოლო 1993 წელს გადააჭარბა 10 პროცენტს. 1994 წელს კი პროგნოზული გაანგარიშებით იგი კიდევ უფრო მეტი იქნება. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის თავდაცვის ხარჯები ყოველწლიურად იზრდება, რაც თანამედროვე ეტაპზე კანონზომიერი პროცესია. რაც შეეხება სოციალური ინფრასტრუქტურის დარგებს – განათლებას, მეცნიერებას, კულტურას, ჯანდაცვას და ა. შ., მათი ხვედრითი წილი საბიუჯეტო გასავლებში მეტად მცირეა და ამ მიმართულებით საბიუჯეტო პოლიტიკა შემდგომ სრულყოფას საჭიროებს.

საანალიზო პერიოდში დიდი იყო სუბსიდიების ხვედრითი წილი საბიუჯეტო გასავლებში. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების გაანგარიშებით 1993 წელს საქართველოს ბიუჯეტის გასავლების 70 პროცენტზე მეტი სუბსიდიებზე მოდიოდა. ეს ძირითადად გამოწვეული იყო პურის, გაზის, ელექტროენერგიისა და სატრანსპორტო მომსახურების ფასთასხვაობის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებით, მაგრამ ამ ბოლო პერიოდში (დაწყებული 1994 წლის მეორე ნახევრიდან) სუფსიდიების ხვედრითი წილი თანდათანობით კლებულობს ზემოხსენებული

პროდუქტების თვითღირებულებასა და ფასს შორის სხვაობის შემცირების შედეგად. ეს უკანასკნელი კი უთუოდ დადებით გავლენას მოახდენს ბიუჯეტის გამოჯანსაღებაზე. მომავალში გათვალისწინებულია ზარალიან საწარმოთა და ორგანიზაციათა საბიუჯეტო სუბსიდირების შემცირება. რესპუბლიკის ბიუჯეტის შემოსავლის და გასავლის სტრუქტურა შიდა ერთობლივ პროდუქტში ნაჩვენებია მე-12 ცხრილში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1995 წლის ბიუჯეტის შემოსავალი და გასავალი დაბალანსებულია. ასეთი უდეფიციტო ბიუჯეტის შედგენის მთავარ ამოცანას შეადგენს ინფლაციის დონის შეზღუდვა, ეროვნული ბანკის მიერ საკრედიტო ემისიაზე უარის თქმის გზით და ბიუჯეტის მაჩვენებელთა რეგულირების მიღწევა. აღნიშნულ მიდგომას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის, რადგან სწორედ ბიუჯეტის დიდი დეფიციტი სხვა ფაქტორებთან ერთად მნიშვნელოვნად აღრმავებდა ინფლაციურ პროცესებს. უდეფიციტო ბიუჯეტის შედგენას საფუძვლად დაედო მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სტრუქტურული ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ბიუჯეტის გაჯანსაღებას და მის საფუძველზე ინვესტიციური საქმიანობის გააქტიურებას და ეკონომიკური ზრდის მიღწევას. ბიუჯეტის საშემოსავლო და საგასაველო ნაწილებს შორის სხვაობათა დასაფარავად უნდა იქნეს გამოყენებული დაფინანსების არაემისიური წყაროები. კერძოდ, ამ მიზნით გათვალისწინებულია საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან მიღებული კრედიტებისა და სხვა წყაროების გამოყენება. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გასადიდებლად უნდა იქნეს აგრეთვე გამოყენებული დაფინანსების საშინაო წყაროები, მათ შორის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიით მიღებული შემოსავალი. მათი მყიდველები უნდა გახდნენ როგორც კომერციული სტრუქტურები (კომერციული ბანკების ჩათვლით), ასევე ფიზიკური პირები.

ბიუჯეტის შედგენის ახალი არაპოპულარული გზის არჩევა არ იყო ადვილი საქმე, რადგან გასაგები მიზეზების გამო ადგილი ჰქონდა პოლიტიკური პარტიებისა და დარგობრივი სამინისტროების მხრიდან მთავრობისადმი ზეწოლის გაძლიერებას. გადალახულია რა აღნიშნული წინააღმდეგობანი, ხელისუფლების აზრით, მიღებულია ისეთი ბიუჯეტი 1995 წლისათვის, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება ყველა გეგმური გასავლის ფინანსური უზრუნველყოფა. თუმცა როგორც უკვე ითქვა, აღნიშნული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში დიდი ხვედრითი წილი მოდის საზღვარგარეთის დახმარებებზე, გრანტებსა და სესხებზე.

საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტის შემოსავლების და გასავლების სტრუქტურა შიდა ერთობლივ პროდუქტში (პროცენტებში)[1]

	1991	1992	1993
1	2	3	4
შემოსავლები	29,8	11,3	3,1
საგადასახადო შემოსულობანი	4,6	9,1	2,6
ბრუნვიდან გადასახადი	2,1	0,7	
გადასახადები გაყიდვიდან	1,1		
დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი		2,4	0,7
აქციზი		1,6	0,5
გადასახადები მოგებაზე:	7,2	3,5	1,1
— სახელმწიფო სექტორიდან	5,8	3,2	1,1
— კერძო სექტორიდან	1,3	0,3	0,03
მოქალაქეთა საშემოსავლო გადასახადები	3,4	0,9	0,3
გადასახადი საგარეო ვაჭრობაზე	0,4	0,3	0,03
გადასახადი მიწაზე			
არასაგადასახადო შემოსულობანი	7,5	2,2	0,5
მოსაკრებლები და ბაჟი	0,4	0,1	0,02
შემოსავლები ლატარიაზე	0,03		
შემოსავლები გადაფასებაზე	0,9	0,2	0,01
სტაბილიზაციის ფონდი	2,7	0,3	0,02
სახელმწიფო რეზერვები		0,5	0,02
ამონაგები სესხით ნაყიდი საქონლის გაყიდვით			0,2
სხვადასხვა არასაგადასახადო შემოსულობა	3,4	0,9	0,1

[1] გაანგარიშებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების მიერ საქართველოს ოფიციალური ორგანიზაციების მასალების საფუძველზე.

	1991	1992	1993
1	2	3	4
პრივატიზაციის ამონაგები		0,01	0,01
ოფიციალური ტრანსფერტები			9,5
გასავლები	28,5	25,5	9,5
სახალხო მეურნეობა	13,8	12,4	6,4
სოციალური კულტურის სფერო	12,2	7,4	1,9
განათლება და კულტურა	7,3	5,0	0,9
ჯანდაცვა და სპორტი	3,9	0,02	0,3
სოციალური საჭიროებანი	0,6		
მეცნიერება	0,4	0,5	0,09
მართვა და სამართალდამცავი საქმიანობა	1,8	3,9	2,4
სახელმწიფო მმართველობა	0,6	0,7	0,15
სამართალდამცავი საქმინობა	0,6	1,03	0,54
თავდაცვა			
სხვა გასავლები	1,3	1,8	1,8

1995 წლის 6 თვის მაჩვენებლების ანალიზი გვარწმუნებს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები გრანტების გარეშე საშუალოდ 44 პროცენტით ფარავდა შესაბამის ხარჯებს, ხოლო გრანტების წილად ამ საქმეში დაახლოებით 14 პროცენტი მოდიოდა. ნახევარი წლის ბიუჯეტში დეფიციტმა შეადგინა ხარჯების 42 პროცენტი. ამავე პერიოდში ბიუჯეტის დეფიციტმა და გრანტებმა ჯამში შეადგინა 56,8 პროცენტი. აღნიშნულ პერიოდში ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსება ხდებოდა უცხოეთის სესხების ხარჯზე (საერთაშორისო სავალუტო ფონდის სისტემური ტრანსფორმაციის კრედიტითა და მსოფლიო ბანკის სარეაბილიტაციო კრედიტით). ბიუჯეტის შესრულების დინამიკა აღნიშნულ პერიოდში პროგრესული ტენდენციით არ ხასიათდებოდა, მაგრამ პროგნოზული გაანგარიშებანი მოწმობს, რომ 1995 წლის მეორე ნახევარში ქვეყნის ბიუჯეტის გარკვეულ გაჯანსაღებას უთუოდ ექნება ადგილი.

ამრიგად, საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის ანალიზის შედეგად შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

— საქართველოში დღემდე არ არის შემუშავებული მეცნიერულად არგუმენტირებული საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდისათვის. ამ მიმართულებით პრაქტიკული საქმიანობა მეტწილად ნაჩქარევად, ავტომატურად მოხაზული ისეთი მოდელებით წარიმართებოდა, რომლებიც ორგანულად არაა შერწყმული მაკროეკონომიკურ სარეფორმო გადაწყვეტილებებთან. ამის შედეგად, ადგილი აქვს საბიუჯეტო-საგადასახადო საქმიანობის ერთი უკიდურესობიდან მეორეში უსაფუძვლო გადასვლას. ეკონომიკური რეფორმის საწყის ლოზუნგურ ეტაპზე (1991-1994 წწ.) ადგილი ჰქონდა მაღალდეფიციტური ბიუჯეტის შედგენასა და ლიბერალური (რბილი) საგადასახადო პოლიტიკის გატარებას (პირველი ვარიანტი). 1995 წლისათვის კი შედგენილია პირობითად უდეფიციტო ბიუჯეტი და შესამჩნევად „დამძიმებულია" საგადასახადო პოლიტიკა (მეორე ვარიანტი). აღნიშნული ვარიანტებიდან არც ერთი არ პასუხობს საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის საპროგრამო მოთხოვნებს.

— პირველი ვარიანტით გატარებული პოლიტიკის დროს ადგილი ჰქონდა ბიუჯეტის ხარჯების დაუსაბუთებელ ხარჯვას და შესაბამისად ინფლაციის ტემპების ზრდას. არაარგუმენტირებული პრეფერენციებით ხდებოდა სახსრების გაცემა სათბობ-ენერგეტიკულ და აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების საწარმოებზე და არ იყო დაწესებული სათანადო ზედამხედველობა მათ მიზანმიმართულ ხარჯვაზე. ამასთანავე, ადგილი ჰქონდა პარლამენტის გვერდის ავლით ბიუჯეტურ ასიგნებათა განაწილებას პრივილეგირებულ კომპანიებსა და გავლენიან პირებზე. ყოველივე ამის შედეგად, ოფიციალურად მიღებული ტრანსფერტების გარეშე, ბიუჯეტის დეფიციტი 1991 წლის 3 პროცენტდიან 1993 წლისათვის გაიზარდა 44 პროცენტამდე. ამ გარემოებას ხელი შეუწყო აგრეთვე იმ პერიოდში გატარებულმა რბილმა საგადასახადო პოლიტიკამ, რომლის კრიტერიუმად მიჩნეული იყო მეწარმეობრივი აქტივობის სტიმულირება. რეალურად კი ამ პერიოდისათვის, რთული ეგზოგენური და ენდოგენური ფაქტორებისა და პირობების გამო, საწარმოო სექტორი თითქმის პარალიზებული იყო და საბიუჯეტო შემოსაველები ფორმირდებოდა არასაწარმოო-სპეკულაციური სფეროდან აკრეფილი გადასახადებით, ამგვარი საგადასახადო პოლიტიკის შედეგად მდიდრდებოდნენ სპეკულანტები და ღარიბდებოდა სახელმწიფო ხაზინა.

— მეორე ვარიანტით რეალიზებული საბიუჯეტო პოლიტიკის (უდეფიციტო ბიუჯეტის შედგენა) მთავარ ამოცანად მიჩნეულ იქნა ინფლაციის შეზღუდვა, ეროვნული ბანკის მიერ საკრედიტო ემისიაზე უარის თქმის გზით და ბიუჯეტის მაჩვენებელთა რეალურობის მიღწევა. ამასთან, ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად გამოყენებულია უცხოური კრედიტები და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისია. ნავარაუდევია

ბიუჯეტის გასავლების მოთოკვა-გაყინვა რეალური შემოსავლების წყაროების ფარგლებში. ამავე ვარიანტით მიღწეულია „საგადასახადო ტვირთის დამძიმება" ძირითადი სახეობის საგადასახადო განაკვეთების გადიდების გზით. ამგვარი მიდგომის პროგნოზული ალბათობა შემდეგია: ა) უდეფიციტო ბიუჯეტის მიღწევა ხელისუფლებას აიძულებს მთლიანად უარი თქვას ეკონომიკის სუფსიდირებაზე, რითაც შესუსტდება სტრატეგიული საწარმოო სექტორის სიცოცხლისუნარიანობა; ბ) საგადასახადო განაკვეთების ზრდის შედეგად შენელდება მეწარმეობრივი აქტივობა და შესაბამისად გაიზრდება საბიუჯეტო დანაკარგები. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ გარდამავალ პერიოდში საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასების კრიტერიუმი უნდა იყოს არა ბიუჯეტის დეფიციტზე მისი გავლენის ხარისხი, არამედ მაკროეკონომიკური და სტრუქტურული გარდაქმნების კონკრეტული შედეგები.

— საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფის მიზნით საჭიროა ისეთი მოდელის შემუშავება, რომელიც ძირითადად უზრუნველყოფს: ბიუჯეტის დეფიციტის ზღვრული პარამეტრების რეგლამენტირებას; ისეთი საგადასახადო განაკვეთების დამკვიდრებას, რომლითაც მიიღწევა როგორც ბიუჯეტის მყარად შევსება, ისე მეწარმეობრივი აქტივების ზრდა; სახაზინო სამსახურის მეშვეობით ბიუჯეტის ოპტიმალურ მართვას; სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის აქტივიზაციას; პრივატიზაციიდან მიღებული სახსრების ბიუჯეტში აკუმულაციას; ბიუჯეტის შესრულებაში საგადასახადო და საბაჟო სამსახურების მაჭიმალურ მობილიზაციას, მათი ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ორგანიზაციული ინტეგრირების გზით; გადასახადების სრულად აკრეფის ინსტრუმენტარის სრულყოფას; სავალუტო ოპერაციების ეფექტიანობის ამაღლებას და ფულის კურსის განმტკიცებას; რესპუბლიკურ და მუნიციპალურ ბიუჯეტებს შორის არსებულ დაპირისპირებათა დაძლევას; არასაბიუჯეტო ფონდების სახსრებისა და ტრანსფერული სახსრების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას; ბიუჯეტის შესრულებაზე მკაცრი საპარლამენტო კონტროლის მიღწევას და ა. შ.

ამრიგად, რესპუბლიკის საგადასახადო და საბიუჯეტო პოლიტიკა ჯერ კიდევ შორსაა სრულყოფისაგან და იმაზე თუ რამდენად სწრაფად და ხარისხიანად მოგვარდება ეს საკითხები, ბევრადაა დამოკიდებული ქვეყნის გამოყვანა ეკონომიკური კრიზისიდან.

2.3. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი

ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირების საქმეში ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი განეკუთვნება ფულად-საკრედიტო პოლიტიკას. იგი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ განსაზღვრავს საფინანსო პოლიტიკის ძირითად ასპექტებს და საბოლოო ჯამში უაღრესად ძლიერ გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიისა და ტაქტიკის პრაქტიკაში რეალიზაციაზე. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, თავის მხრივ, განიცდის საბიუჯეტო და საგადასახადო პოლიტიკის ზეგავლენას და პირდაპირპროპორციულადაა მათთან დაკავშირებული.

ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა უფრო დინამიური და ცვალებადია, ვიდრე ფისკალური პოლიტიკა. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მოწოდებულია გადაწყვიტოს ისეთი ამოცანები, როგორიცაა ქვეყნის ეკონომიკური ზრდა, ეროვნული ვალუტის სტაბილურობა, მოსახლეობის რაციონალური დასაქმება, ოპტიმალური საგადამხდელო ბალანსის ფორმირება და ა. შ.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულებაა ე. წ. ძვირი ფულის პოლიტიკა, რაც გულისხმობს მიმოქცევაში ფულადი მასის შეზღუდული რაოდენობით გაშვებას, რაც, თავის მხრივ, იწვევს კომერციული ბანკების რეზერვების შემცირებას და შესაბამისად საკრედიტო რესურსების შეზღუდვას. აღნიშნული პოლიტიკის გადიდების დროს საბანკო პროცენტები მაღალია, რის გამოც იზღუდება წარმოების განვითარების მასშტაბები და ინვესტიციების განვითარება, თუმცა ძვირი ფულის პოლიტიკის გატარებას აქვს თავისი დადებითი მხარე, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება ფულის მიმოქცევის სიჩქარის ზრდასა და შესაბამისად ინფლაციური პროცესების დამუხრუჭებაში.

პრაქტიკაში ხშირად იყენებენ იაფი ფულის პოლიტიკასაც, რაც ნიშნავს ფულის მასის გაზრდილი რაოდენობით მიმოქცევაში გაშვებას, საბანკო პროცენტების მაღალი განაკვეთების დაწესებას, ეს კი იწვევს საინვესტიციო რესურსების ზრდას და შესაბამისად წარმოების აღორძინებას. მაგრამ აღნიშნული პოლიტიკის გადიდების ყველაზე დიდი უარყოფითი მხარეა მიმოქცევის სფეროში ზედმეტი ფულის დაგროვება, რაც საქონლისა და მომსახურების დეფიციტის პირობებში იწვევს ინფლაციას და ჰიპერინფლაციას. ამიტომ ქვეყანაში შექმნილი ეკონომიური სიტუაციიდან გამომდინარე დიდი მნიშვნელობა აქვს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიმართულებათა სწორ და ოპტიმალურ განსაზღვრას.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ამოცანაა ისეთი მოქნილი საკრედიტო პოლიტიკის რეალიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს ფულის მასის ისეთნაირ დინამიკას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება როგორც ინფლაციური პროცესების შეჩერება, ისე წარმოების

განვითარების სტიმულირება. ამის მიღწევა ძირითადად შესაძლებელია მოქნილი საპროცენტო პოლიტიკის გატარებით, ბანკთა შორისი დაკრედიტების განვითარებით, უპირსპექტივო საბიუჯეტო დაფინანსების შემცირებით, საკრედიტო ემისიის რაციონალური მართვით.

ეკონომიკური რეფორმების პირვანდელ ეტაპზე საქართველოში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის რეგულირება დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, რასაც განაპირობებდა ეროვნული ბანკის დაქვემდებარება აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი და მრავალი მსხვილი სახელმწიფო ბანკის არსებობა. ამ პრობლემების გადაწყვეტის მიზნით დღის წესრიგში დადგა ბანკების კომერციალიზაციისა და აქციონირების საკითხი, ბანკთაშორისი საკრედიტო ბაზრის განვითარების აუცილებლობა, ბიუჯეტის დეფიციტის ეროვნული ბანკის მიერ პირდაპირი დაფინანსების აკრძალვა, საკრედიტო ემისიის შეზღუდვა, საპროცენტო განაკვეთების რეგულირებაში ადმინისტრაციული ჩარევის აკრძალვა და სხვ.

საქართველოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ფორმირებაზე რეფორმების საწყის ეტაპზე და შემდგომშიც დიდი გავლენა მოახდინა რუსეთის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა მიმართულებით.

საქართველოს რუსეთმა მანეთის ბანკნოტების მიწოდება შეუწყვიტა 1992 წლის ბოლო თვეებში, რაც ფაქტობრივად სამანეთო სივრციდან ჩვენი ქვეყნის გარიცხვას ნიშნავდა. ამის საპასუხოდ ნაღდი ფულის დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით, საქართველოს მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა 1993 წლის აპრილიდან შემოიღო კუპონი, რომლის კურსი თავიდანვე დაწესდა რუსულ რუბლთან მიმართებაში 1:1 და მან დაიწყო მიმოქცევა, როგორც რუსულ რუბლთან, ასევე ამერიკულ დოლართან და სხვა ქვეყნების ვალუტასთან პარალელურად. 1993 წლის ივლისში რუსეთმა მიმოქცევიდან ამოიღო 1993 წლამდე გამოცემული რუბლის ბანკნოტები. ამას საქართველოში მოჰყვა კუპონის ერთადერთ საგადასახადო ფულად საშუალებად გამოცხადება და იგი ძალაში შევიდა 1993 წლის 3 აგვისტოს. მთავრობის გადაწყვეტილების თანახმად თითოეულ რეზიდენტს უფლება მიეცა 100 ათასი რუბლი გადაეცვალა კუპონზე 1:1 კურსით, ამავე კურსით გავრცელდა საბანკო დეპოზიტებისა და კრედიტების კუპონზე გადაყვანა. ოფიციალური სტატისტიკის თანახმად ნაღდ კუპონზე გაიცვალა 177 მილიონი რუბლი, რაც როგორც ექსპერტები ამტკიცებენ შეადგენდა საქართველოში ბრუნვაში არსებული რუბლის მხოლოდ ერთ პროცენტს. აღნიშნული ფაქტი იმის მიმანიშნებელი იყო, რომ საქართველოს მოსახლეობამ თავიდანვე უნდობლობა გამოუცხადა ქართულ კუპონს.

სამწუხაროდ, საქართველოში კუპონის შემოღებამდე და მის შემდგომშიც ჩამოყალიბდა • კრიზისულ სიტუაციაში მყოფი ეკონომიკის

შესატყვისი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. ამ პერიოდში ქვეყნის ფინანსური მდგომარეობა მეტისმეტად სუსტი იყო. საბაზრო ეკონომიკა ძირითადად ფეხს იდგამდა აღებ-მიცემობის (ვაჭრობის) სფეროში. ყოფილი სპეკულანტები, რომლებიც შემდგომ კომერსანტებად იქცნენ, ცდილობდნენ ერთბაშად გამდიდრებას, რის გამოც მათ კაპიტალი მიმართეს არა წარმოების სფეროში, სადაც ამონაგების მიღებას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, არამედ ვაჭრობის სფეროში, სადაც ფულის ბრუნვის სიჩქარე უფრო სწრაფია და შესაბამისად მაღალი მოგების მიღებაა შესაძლებელი. ასეთ პერიოდში ქვეყნის ეროვნულმა ბანკმა მეტად დაუსაბუთებელი საპროცენტო განაკვეთები დააწესა, იგი იმდენად დაბალი იყო, რომ სამეურნეო სუბიექტებსა და მოსახლეობას ყოველგვარი სურვილი დაეკარგა ფინანსური დანაზოგების დაგროვებისა. ამას კი სწორედ დაბალი საპროცენტო განაკვეთი განაპირობებდა, რამდენადაც იგი არამომგებიანი იყო დანაზოგების მფლობელისათვის. ამას ისიც დაემატა, რომ ხელისუფლებამ მეტისმეტად გააადვილა იაფი კრედიტების აღების შესაძლებლობა ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ თუ საქართველოში გატარდებოდა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ის მკაცრი კურსი, რასაც რუსეთი ატარებდა 1991-1992 წლებში, არაა გამორიცხული, რომ საქართველო კიდევ დიდხანს დარჩებოდა რუბლის ზონაში, ამიტომ თავიდან ავიცილებდით იმ ინფლაციას და ჰიპერინფლაციას, რასაც ადგილი ჰქონდა საქართველოში. საქართველო ზუსტად იმეორებდა სამეურნეო რეფორმების ყველა იმ ფორმას, რასაც ადგილი ჰქონდა რუსეთში და გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. საქართველომ, უფრო სწორედ ეროვნულმა ბანკმა მიმართა „ეშმაკობას" და დაიწყო არარსებული კრედიტების გაცემა, კრედიტებისა რომლებსაც არავითარი რესურსული წყარო არ გააჩნდა. რუსეთის ეროვნულმა ბანკმა ისარგებლა ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში საქართველოს „აღმოჩენებით" და სავსებით სამართლიანად შეგვიწყვიტა რუბლის ბანკნოტების მოწოდება. რასაკვირველია, ამას საფუძვლად ეკონომიკურთან ერთად, პოლიტიკური მოსაზრებებიც ედო.

საქართველოში გატარებულმა რბილმა ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ აშკარად შეუწყო ხელი ჰიპერინფლაციას და მიგვიყვანა ეროვნული ვალუტის კურსის კატასტროფულ დაცემამდე. კუპონისადმი უნდობლობამ გამოიწვია ის, რომ 1993 წლის მეორე ნახევრისათვის მთელმა რიგმა სამეურნეო სუბიექტებმა აღრიცხვისა და გადახდის საშუალებად რუსული რუბლი აირჩიეს, ხოლო დაგროვების საშუალებად მიღებულ იქნა ამერიკული დოლარი და სხვა კონვერტირებადი ვალუტა. 1993 წლის ბოლოსა და 1994 წლის დასაწყისში რბილი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედარებით გამკაცრება ვერ მოხერხდა, იმის გამო, რომ მთავრო-

ბას აღმოაჩნდა დიდი რაოდენობის ვალი, რომელიც საბანკო შეღავათიანი სესხებით უნდა დაფარულიყო. კანონით დადგენილმა ლიბერალურმა მოთხოვნებმა საბანკო ლიცენზიების გაცემაზე, რომელიც ძირითადად გამოიხატებოდა მინიმალური სიდიდის საკუთარი კაპიტალით მის მიღებაზე და აგრეთვე, რეფინანსირებისათვის კრედიტების თითქმის თავისუფლად მიღებაზე, საქართველოში შეიქმნა მრავალი ბანკი, რომლებზედაც ეროვნულმა ბანკმა სათანადო ზედამხედველობა და მათ საბანკო ოპერაციებზე კონტროლი ვერ განახორციელა. ეროვნული ბანკი, ასე თუ ისე, ზედამხედველობას უწევდა ხუთ მსხვილ სახელმწიფო კომერციულ ბანკს, რომლებიც წამყვან როლს თამაშობდნენ ქვეყნის საბანკო საქმიანობაში.

ამ დროისათვის რესპუბლიკის ეროვნული ბანკის წინაშე დადგა მთელი რიგი პრობლემები, რომელთაგან განსაკუთრებით მწვავე სახე მიიღო ბანკების საკუთარი კაპიტალის გაუფასურებამ, უმოქმედო აქტივების რიცხოვნობის ზრდამ და უცხოურ ვალუტაში მეტად მაღალი რისკიანი ოპერაციების მასიურმა ხასიათმა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოს ხელისუფლებას 1994 წლის აპრილში შესთავაზა კონკრეტული რეკომენდაციები ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სრულყოფის მიმართულებით. აღნიშნული რეკომენდაციების არსი მდგომარეობდა შემდეგში: სარეზერვო ფულის მოცულობის შემოღება, ოვერდრაფტის წესით კრედიტების გაცემის შეწყვეტა, კრედიტების 50 პროცენტის აუქციონის წესით გაცემა, სარისკო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის კრედიტების გაუცემლობა, საპროცენტო განაკვეთის თანდათანობითი ლიბერალიზაცია, სარეზერვო მოთხოვნების გატარება ყველა ბანკის მიმართ (მათი განაკვეთების ლიბერალიზაცია ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში). საბანკო ზედამხედველობის გაძლიერება, ახალი ბანკების გახსნაზე ლიცენზიების გაცემის დროებით შეჩერება, საწესდებო კაპიტალის მინიმალური ზღვრის გადასინჯვა, ყველა რესურსის უცხოურ ვალუტაში ეროვნული ბანკისადმი გადაცემა და სხვ.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეძლო ზემოხსენებული რეკომენდაციების თითქმის მთლიანი რეალიზაცია. გარდა ამისა, გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფის მიმართულებით. მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებამ, აგრეთვე ბიუჯეტის დეფიციტის ეროვნული ბანკის მიერ და კრედიტების მკვეთრად შემცირებამ 1994 წლის სექტემბრიდან ქვეყანაში ეკონომიკური სტაბილიზაციის გარემო შექმნა. დოტაციების მოხსნამ პურზე, გაზზე და ელექტროენერგიაზე მნიშვნელოვნად შეამცირა სახელმწიფო გასავლების მოცულობა.

აღნიშნულმა ღონისძიებებმა გამოიწვია კუპონის ამერიკულ დოლართან გაცვლითი კურსის ზრდა და მან არაოფიციალურ ბაზარზე 1994

წლის სექტემბრის თვეში 5 მილიონი კუპონიდან 1994 წლის ბოლოსათვის შეადგინა 1,3 მილიონი კუპონი. შეჩერებულ იქნა ჰიპერინფლაცია და კუპონის გაცვლითი კურსი ამერიკულ დოლართან მყარი გახდა 1995 წლის განმავლობაში. მან საშუალება მისცა რესპუბლიკის ხელისუფლებას 1995 წლის ნოემბრიდან შემოეღო ეროვნული ვალუტა – ლარი. აღსანიშნავია, რომ ლარის შემოღების შემდგომ პერიოდში იგი ინარჩუნებს სტაბილურ გაცვლით კურსს უცხოურ ვალუტებთან მიმართულებაში.

საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელია რთული და ფართოდ განშტოებული საბანკო სისტემა, რომელიც მოიცავს მრავალრიცხოვან ერთმანეთისაგან განსხვავებულ რგოლსა და ელემენტს. მისი ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის პრინციპზე დაყრდნობით, მოახდინოს ფულადი სახსრებისა და კაპიტალის აღწარმოებითი ბრუნვა. თავისუფალი მეწარმეობის პირობებში ფული და კაპიტალი ბუნებრივი გზით გადაადგილდება ერთი მესაკუთრისა და მეურნეობის სფეროდან მეორეში. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში აღნიშნულ მოვლენაზე ისეთი სპეციალიზებული ინსტიტუტების, როგორიცაა ცენტრალური ბანკი და ფინანსთა სამინისტრო, ჩარევა მინიმუმამდეა დაყვანილი. ამისათვის ძირითადად მიმართავენ კომერციული ბანკების ლიცენზირებას, ნებართვის გაცემას ფასიანი ქაღალდების ღია ბაზარზე ოპერაციების საწარმოებლად, სარეზერვო მოთხოვნებს კომერციული ბანკებისათვის, საპროცენტო განაკვეთების დაწესებას რეფინანსირებაზე კრედიტისათვის და ა. შ.

პოსტსოციალისტური ქვეყნები დაადგნენ რა ადმინისტრაციულიდან საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ გზას, გარკვეული აზრთა გაცვლისა და დისკუსიის შემდეგ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა საბანკო სისტემის განსახელმწიფოებრიობა. ამის საბაბს ისიც იძლეოდა, რომ გეგმიანი მეურნეობის პირობებში სახელმწიფოსა და საწარმოს ფინანსები არ იყო მკაცრად განცალკევებული, ხოლო მოსახლეობისა და საწარმოების ფულად სახსრებს ნაკლებად ან თითქმის არ ჰქონდათ ერთმანეთთან შეხების წერტილი. ამასთან, ფინანსებისა და კრედიტის დარგში ცვლილებები ხდებოდა წარმოების სფეროს მოთხოვნილებების გაუთვალისწინებლად და მიღებული გადაწყვეტილებები ეკონომიკაში შესაბამისად არ იწვევდა პროგრესულ ცვლილებებს. სახელმწიფო ადმინისტრაციული წესით იღებდა სახსრებს ერთი საწარმოდან და გადასცემდა მეორეს. კარგად მომუშავე საწარმოები ღარიბდებოდა, ხოლო ცუდად მომუშავეები, მიუხედავად დამატებით მიღებული (ძირითადად უფასოდ) სახსრებისა, ვერ აუმჯობესებდა მუშაობას.

საქართველოშიც ისევე როგორც სხვა გეგმიანი მეურნეობის მქონე (არასაბაზრო ეკონომიკის) ქვეყნებში, ცენტრალური ბანკი იყო სახელმ-

წიფო ორგანო, რომელიც უშუალოდ ემორჩილებოდა მთავრობას. უფრო მეტიც, იგი ცენტრის (სსრკ-ს ცენტრალური ბანკის) რეგიონალურ საბანკო ერთეულს წარმოადგენდა. მას არ შეეძლო საკუთარი, დამოუკიდებელი ეროვნული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება. გარდა ამისა, ადგილი ჰქონდა ერთდროინად საბანკო ორგანიზაციას, რომელიც ასრულებდა მეტად ვიწრო გამანაწილებელ ფუნქციას. ამასთანავე, საბანკო სისტემის სტრუქტურაში ცენტრალურ ბანკთან ერთად შედიოდა რამდენიმე (5) სპეციალიზებული (დარგობრივი) სახელმწიფო (კომერციული) ბანკი, რომელთა შორისაც მონოპოლიური მდგომარეობა ეკავა ცენტრალურ ბანკს.

საბანკო სისტემის რეორგანიზაცია დაიწყო სამეურნეო რეფორმების პარალელურად. როგორც ზემოთ აღინიშნა, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირველი 3-4 წელი ხასიათდებოდა კრიზისის გაღრმავებით. წარმოების დაცემა, დაგროვებისა და ინვესტიციების მკვეთრად შემცირება, უმუშევრობის ზრდა, ფინანსური წონასწორობის რღვევა და სხვა ფაქტორები იწვევდა ფულზე მოთხოვნის გადიდებას. ვინაიდან ამის დაკმაყოფილების საშუალება რესპუბლიკას არ შეეძლო, ბუნებრივია, გაიზარდა უცხოურ დახმარებაზე და კაპიტალზე მოთხოვნილება. აღნიშნულის გამო დღის წესრიგში დადგა საბანკო მომსახურების საბაზრო პრინციპებზე გადაყვანის დაჩქარების აუცილებლობა. საკუთარი ძალებითა და სპეციალისტებით საბანკო სისტემის გარდაქმნა შეუძლებელი იყო, ამ საქმეში ჩვენს ქვეყანას კონსულტაციები და დიდი ტექნიკური დახმარება გაუწია და დღესაც უწევს საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და უცხოეთის სხვა საფინანსო ინსტიტუტები.

იმის გამო, რომ საქართველო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა სამანეთო სივრცეში, შეუძლებელი გახდა ახალი საბანკო სისტემის შექმნის დაჩქარება.

დღეისათვის მიმდინარეობს საქართველოს საბანკო სისტემის რადიკალური რეორგანიზაციის პროცესი. დამოკიდებულება საბანკო სისტემის შიგნით, აგრეთვე გარე სამყაროსთან, მთავრობასთან, პარლამენტთან და კლიენტურასთან დარეგულირებულია საკანონმდებლო აქტებით. ადმინისტრაციული ზემოქმედება საბანკო საქმიანობაზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დაუშვებელია. შემუშავებულია, მიღებულია და მუშავდება სახელმწიფო კანონები, რომლებიც აშკარად გამოხატავენ საბაზრო მიმართულებებზე ორიენტაციას: კანონი ცენტრალური (ეროვნული) ბანკის შესახებ, კომერციული ბანკების შესახებ, საწარმოთა გაკოტრების შესახებ, მეწარმეობის შესახებ, ფასიანი ქაღალდების შესახებ და მრავალი სხვ. მათი ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ურთიერთობა სუბიექტებს შორის ყალიბდება არა ბრძანებებით და

განკარგულებებით არამედ თავისუფალი მოლაპარაკებებისა და შეთანხმებების საფუძველზე.

ამჟამად საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად საბანკო სისტემის ზედა რგოლს წარმოადგენს ეროვნული ბანკი. განხორციელდა მისი სტრუქტურის არსებითი რეორგანიზაცია, თუმცა ქვეყნის ეროვნული ბანკის ახალ საბაზრო მექანიზმთან სრული მისადაგება ჯერჯერობით დამთავრებული არაა და ეს პროცესი გრძელდება. ამ მხრივ, გარდამავალი ეტაპი შეიძლება თითქმის დამთავრებულად ჩაითვალოს. მთავარია ის, რომ ეროვნული ბანკის უმთავრეს ფუნქციას შეადგენს ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის დამოუკიდებელი რეგულირება, ისე რომ, მასში არ ჩაერიოს პარლამენტი, მთავრობა, სხვადასხვა საზოგადოებრივი ძალა და მოძრაობა. ეროვნულმა ბანკმა განუწყვეტლივ უნდა ადევნოს თვალყური ქვეყნის შიგნით ეკონომიკურ მდგომარეობას და აგრეთვე ქვეყნის გარეთ მიმდინარე ეკონომიკურ და ფულად ურთიერთობებში მიმდინარე ცვლილებებს. ეროვნული ბანკის ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციას შეადგენს აგრეთვე ეროვნული ვალუტის ღირებულების სტაბილიზაცია საქონელთან და უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში. ეროვნულმა ვალუტამ (ლარმა) პრინციპში მთლიანად უნდა შეასრულოს ფულის ყველა ფუნქცია, თავისუფლად უნდა კონვერტირდეს უცხოური ვალუტების ბაზარზე, უნდა უზრუნველყოს საქონლის, კაპიტალის, კრედიტების და წარმოების სხვა ფაქტორების თავისუფალი მოძრაობა ქვეყნის შიგნით და მის გარეთ. ეროვნული ბანკის კომპეტენციაში შედის კომერციული ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების შექმნის, ფუნქციონირებისა და საქმიანობის შეწყვეტის პროცესის რეგულირება. აღნიშნული ფუნქციების შესასრულებლად ეროვნული ბანკი უფლებამოსილია გამოიყენოს სხვადასხვა ეკონომიკური და ადმინისტრაციული მექანიზმი.

ახალ საბანკო სტრუქტურაში მეორე, შედარებით დაბალ დონეზე წარმოდგენილია კომერციული ბანკები და სხვა ანალოგიური საფინანსო ინსტიტუტები (ფონდები, კოოპერატივები, ამხანაგობები და ა. შ.). კომერციული ბანკები არსებითად საწარმოები ან მეწარმეობრივი ერთეულებია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მათ საქმიანობა უხდებათ ფულად-საკრედიტო სფეროში. თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის პრინციპით. კომერციული ბანკები ქმნის რესურსებს (აქტივებს) და ამ დროს ხელმძღვანელობს საკუთარი მოგების ზრდის, კაპიტალისა და პრესტიჟის (საიმედოობის) გადიდების კრიტერიუმებით. საქართველოში ამ ბოლო წლებში შეიქმნა 300-მდე კომერციული ბანკი, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კაპიტალის სიდიდით, ბრუნვის მოცულობით, აქტივისა და პასივის სტატიებით. ბევრი მათგანი წვრილი ბანკებია, რომელთა ერთმა ნაწილმა ვერ უზრუნველყო ლიკვიდურობა და გაკოტრდა.

კომერციული ბანკები, როგორც ახალი ეკონომიკური ინსტიტუტი, საქართველოში ძირითადად წარმოიშვა ღრმა ეკონომიკური კრიზისის პირობებში და, ბუნებრივია, რომ ისინი თავიანთი ფორმირებისა და ფუნქციონირების პროცესში აწყდებიან მრავალ სიძნელეებს. განსაკუთრებით მწვავეა საკუთარი კაპიტალისა და ტექნიკური ბაზის პრობლემა, დაბალია მუშაკთა კვალიფიკაცია და მრავალი სხვ. ქვეყნის შიგნით მოსალოდნელია საბანკო მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდა, რისთვისაც კომერციული ბანკები ჯერ კიდევ არაა სათანადოდ მომზადებული. შედარებით მსხვილი ბანკი სარგებლობს კლიენტთა ნდობით და სარგებლობენ მონოპოლიით. ჯერჯერობით კომერციულ ბანკებს შორის კონკურენცია არაა სათანადო დონეზე, მათ მიერ მოზიდულ რესურსებში დიდია რეფინანსირებისათვის კრედიტების ხვედრითი წილი. დაბალია მცირე და საშუალო ბიზნესთან და ფიზიკურ პირებთან დაკავშირებული ოპერაციების ხვედრითი წილი. კომერციული ბანკების ოპერაციებს შორის ჭარბობს მარტივი სახეები – დეპოზიტები, კრედიტები, ანგარიშების ჩატარება. ბევრი კომერციული ბანკი მძიმე მდგომარეობაშია მსესხებლების მიერ არგადახდების გამო. კომერციული ბანკების აქტივების და პასივების სტრუქტურა მთლიანობაში ასახავს მათ ფინანსურ არასტაბილურობასა და ეკონომიკის კრიზისულ მდგომარეობას. აქტივებში ძირითადად ჭარბობს კრედიტები, მოკლევადიან პასივებში კი დეპოზიტები, რომელთა შორის მეტია სამეურნეო სუბიექტის მოკლევადიანი დეპოზიტები. ასეა თუ ისე, საქართველოში თანდათანობით ვითარდება კომერციული ბანკების სისტემა, ფართოვდება მათ მიერ გაწეული მომსახურების არეალი. იზრდება ოპერაციათა ხარისხი, ბევრი მათგანი ჩართულია საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობებში.

ამჟამად საქართველოში კომერციული ბანკების წინაშე მწვავედ დგას მათი პრესტიჟის გამყარების პრობლემა. როგორც აღვნიშნეთ, ეკონომიკური რეფორმის საწყის ეტაპზე არასწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარების შედეგად საბანკო ინსტიტუტს ავტორიტეტი შეელახა, რასაც მოჰყვა კლიენტების უნდობლობის გაღრმავება და ბანკების ლიკვიდაცია. ეროვნულ ბანკს კომერციულ ბანკებთან ერთად დიდი მუშაობა მოელის ბანკების პრესტიჟის ასამაღლებლად. ამ მიმართულებით გარკვეული მუშაობა უკვე მიმდინარეობს. ეროვნულმა ბანკმა გაზარდა კომერციული ბანკების საწესდებო კაპიტალის მოცულობა, გამკაცრდა ლიცენზიების გაცემა, მუშავდება მექანიზმები მათი ლიკვიდურობის დასარეგულირებლად. გათვალისწინებულია კანონის შემოღება კომერციული ბანკების მოსალოდნელი გაკოტრების შემთხვევაში მეანაბრეთა მოთხოვნების პირველ რიგში დაკმაყოფილებისათვის. კომერციულ ბანკებს გაეწევათ აუდიტორული მომსახურება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად უცხოეთის შესაბამისი ფირმების

მონაწილეობით, დაინერგება ბანკების საფინანსო მდგომარეობის პუბლიკაციის პრაქტიკა.

დიდი მნიშვნელობა აქვს დეპოზიტებისა და კრედიტების ცალკეული სახეობების სახელმწიფო ან შერეული სტრუქტურებით დაზღვევის შემოღებას. ამ მიმართულებით მუშაობის ტემპი ჯერჯერობით არადამაკმაყოფილებელია.

კომერციული ბანკებისადმი ნდობის გაძლიერების მიზნით დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე აღმოსავლეთ ევროპის მრავალ პოსტსოციალისტურ ქვეყანაში გამოყენებულ მიდგომას, რომლის თანახმად ბანკები თავისუფლდება უიმედო და საეჭვო დებიტორული წნეხისაგან. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საქართველოში მრავალი კომერციული ბანკი შეიქმნა. ყოფილი სახელმწიფო დარგობრივი ბანკების ბაზაზე, რომლებსაც გადმოჰყვათ დებიტორული ვალები. ამას დაემატა ახალი ვალები ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური კრიზისისა და პირველ ხანებში კომერციული ბანკების გამოუცდელობის გამო. ყოველივე ამან დიდი პრობლემები შექმნა არა მარტო კომერციული ბანკების წინაშე, არამედ საფრთხე შეუქმნა, საერთოდ, ქვეყანაში მონეტარული პოლიტიკის რეალიზაციას. ყოველივე ეს დღის წესრიგში აყენებს მსხვილი კომერციული ბანკების ბალანსირების საეჭვო ვალებისაგან გაწმენდის აუცილებლობას.

ამ მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი პროცედურები როგორიცაა კომერციული ბანკების მიმართ საწარმოთა არგადახდების ნაწილის გადაფორმება სახელმწიფოს გრძელვადიან ვალდებულებებში, ბანკების მიერ აქციების გამოშვება საწესდებო კაპიტალის გაზრდისა და გადახდისუნარიანობის გადიდების მიზნით. პრივატიზებულ საწარმოთა ვალების გაცვლა მათ აქციებზე, სრული ან ნაწილობრივი ლიკვიდაცია გაკოტრებული საწარმოებისა და მათი ჭონების გაყიდვიდან ან ლიზინგური ოპერაციებიდან ვალების ამოღება და ა. შ. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ერთჯერადი კამპანია არგადახდების დარეგულირებისა და ბანკების და საწარმოების ფინანსური გაჯანსაღებისა, ეკონომიკის კრიზისის პირობებში ვერ აღწევს მიზანს. არგადახდები კვლავ იწყებს დაგროვებას. ამიტომ ამ პრობლემების გადაჭრა შეიძლება მხოლოდ სტრატეგიული ხასიათის ღონისძიებების გატარებით, სახელმწიფო ჭონების პრივატიზაციის, საწარმოების და ბანკების რესტრუქტორიზაციით და ეკონომიკური კრიზისის დაძლევის გზით.

საქართველოში ეკონომიკური რეფორმების განვლილ ეტაპზე წარმოშობილი არგადახდების პრობლემა საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრების ძლიერი დამმუხრუჭებელი ფაქტორი გახდა. არგადახდების პრობლემა მრავალმა ფაქტორმა განაპირობა, რომელთაგან უნდა აღინიშნოს შემდეგი: ხელისუფლებამ რეფორმების პერიოდში თავის

თავზე აიღო გადაჭარბებული ფინანსური ვალდებულებები, რომელთა შესრულება საბიუჯეტო და საბანკო ემისიის ხარჯზე კიდევ უფრო აღრმავებდა ეკონომიკურ კრიზისს და ინფლაციურ პროცესს. ამასთან, საწარმოები და ორგანიზაციები საკუთარ სახსრებსა და აღებულ კრედიტებს მიმართავდნენ არა ურთიერთსაფინანსო ვალდებულებათა დასაფარავად, არამედ მათ ათავსებდნენ დეპოზიტებზე, სააქციო საზოგადოებების საწესდებო ფონდში და სავალუტო აქციებში. არგადახდების კოლოსალური თანხის დაგროვება რესპუბლიკაში გამოიწვია აგრეთვე დიდი ხნის განმავლობაში საწარმოთა გაკოტრების შესახებ კანონის არარსებობამ. აქვე უნდა აღინიშნოს კრედიტების გაცემასა და გამოყენებაზე რესპუბლიკაში დამკვიდრებული უკონტროლობა. დაბოლოს, შექმნილმა ეკონომიკურმა კრიზისმა, პროდუქციის გამოშვების მოცულობის მკვეთრმა დაცემამ და მაღალმა ინფლაციამ არაგადახდისუნარიანი გახადა საწარმოები და ორგანიზაციები.

რესპუბლიკაში არგადახდების პრობლემის დაძლევა მოითხოვს მთელი რიგი ეკონომიკური და ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარებას. ჩვენი აზრით, საჭიროა შეიქმნას კომისიები მევალე სუბიექტებისა ფინანსური მდგომარეობის შესასწავლად. მათში უნდა იქნეს ჩართული ადგილობრივი ადმინისტრაციის, ბანკების, საგადასახადო, საფინანსო და საკონტროლო სამსახურების წარმომადგენლები. აღნიშნულმა კომისიებმა უნდა გამოავლინონ არგადახდათა ის ფაქტები, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ აღებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობასთან, განსაზღვრონ ის სუბიექტები, რომლებსაც აქვთ სავალუტო სახსრები დეპოზიტებზე (მათ შორის უცხოეთის ბანკებში) და, მიუხედავად ამისა, მაინც არ ანაღდებენ აღებულ საფინანსო ვალდებულებებს, არ იხდიან გადასახადებს. უნდა დაადგინონ ექსპორტული საქონლის მიწოდებისათვის დაგროვილი სავალუტო დანაზოგების უპერსპექტივო მევალე სუბიექტები და გაკოტრების შესახებ სახელმწიფო კანონის საფუძველზე დასვან საკითხი მათი დახურვის ან აუქციონის წესით გაყიდვის შესახებ.

არგადახდის კრიზისის დაძლევის მიმართულებით წინადადებების შემუშავებისას საჭიროა დიფერენცირებული მიდგომა სუბიექტებისადმი. ენერგეტიკულ დარგებს, სოფლის მეურნეობისა და თავდაცვის სისტემაში შემავალ სუბიექტებს სახელმწიფომ უნდა გადაუხადოს დავალიანება. რაც შეეხება საწარმოების მხრიდან ენერგო დავალიანებას, ამ პრობლემის გადაჭრის ერთადერთი გზაა ენერგიის მიწოდების შეწყვეტა. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს ამ შემთხვევაში საჯარიმო სანქციები სასურველ შედეგს არ იძლევა. იმ საწარმოების ხელმძღვანელობის მიმართ, რომლებიც ზერელედ ეკიდებიან არგადახდების პრობლემას და მიმწოდებელთან ანგარიშსწორების ნაცვლად სახსრებს მიმართავენ დეპოზიტებზე,

სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალში, მოწყობილობის შეძენაზე ან თუ სავალუტო ანგარიშებზე, სახსრების არსებობის მიუხედავად თავს არიდებენ მიმწოდებელთან ანგარიშსწორებას, მიღებულ უნდა იქნეს მკაცრი ადმინისტრაციული ზომები. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო საწარმოების ხელმძღვანელები ზემოხსენებული კომისიის დადგენილებით უნდა განთავისუფლდნენ თანამდებობიდან, არსებული კანონის მიხედვით. ასეთი ღონისძიებები შეიძლება გატარდეს იმ საწარმოების მიმართ, სადაც სახელმწიფოს აქვს აქციების საკონტროლო პაკეტი. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელებისათვის, სადაც სახელმწიფოს არ გააჩნია აქციების საკონტროლო პაკეტი ზემოხსენებული მიზეზებით ვალდებულებისაგან თავის არიდებისას საჭიროა გადიდებული ჯარიმების დადგენა და თუ ამანაც არ გამოიღო დადებითი შედეგები, საკითხი უნდა გადაწყდეს სასამართლოს წესით.

ჩვენი აზრით, არგადახდების პრობლემის დაძლევის მიზნით საჭიროა შემოღებულ იქნეს მსოფლიო პრაქტიკაში კარგად აპრობირებული კონტრაქტების საფუძველზე ანგარიშსწორების წესი. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ პროდუქციის მიწოდებაზე ჯარიმების გატარებისას, ბანკი ახდენს გადამხდელის ანგარიშზე თანხის გაყინვას. ხელშეკრულების შესრულების შემდეგ (საქონლის მიწოდების შემდგომ) მომხმარებლის ანგარიშზე დაჯავშნული ფული გადაერიცხება მიმწოდებელს. საინტერესოა აგრეთვე ზოგიერთ ქვეყნებში გამოყენებული ციკლური ჩათვლების პრაქტიკა. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ სუბიექტებს შორის ურთიერთდავალიანებები მცირდება წრის მიხედვით, სადაც ყოველი სუბიექტი წარმოადგენს კრედიტორს მომდევნოს მიმართ, ხოლო უკანასკნელი პირველის მიმართ. ურთიერთჩათვლის შემთხვევაში მცირდება ურთიერთდავალიანებათა წრე მინიმალურ რგოლამდე.

არგადახდის პრობლემის დაძლევაში შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნეს საწარმოთა ვალების მიყიდვა კომერციული ბანკებისადმი აუქციონის წესის გამოყენებით. ზოგიერთ შემთხვევაში მიზანშეწონილია საწარმოების ვალების გაცვლა სახელმწიფოს გრძელვადიან სავალო ვალდებულებებზე ან სახელმწიფო ობლიგაციებზე.

გადახდისუნარიანობის კრიზისმა სამეურნეო რეფორმების პირობებში გააღრმავა ეკონომიკური კრიზისი, დაამუხრუჭა ინვესტიციური პროცესები, შეარყია საფინანსო-საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო სისტემა, ამიტომ ამ პრობლემის გადაჭრაში სახელმწიფოსთან ერთად აქტიური როლი უნდა შეასრულოს ქვეყნის საბანკო სისტემამ.

2.4.პრივატიზაცია და მისი რეალიზაციის მეთოდოლოგიურ-ორგანიზაციული პრობლემები

განვსაზღვროთ პრივატიზაციის ცნების ფართო და ვიწრო გაგება. ფართო გაგებით პრივატიზაცია ეს არის სახელმწიფოს გვერდის ავლით მონოპოლიური, პრივილეგიური უფლების მოპოვება საქონლის წარმოებისა და მომსახურების ბაზარზე, ხოლო ვიწრო გაგებით პრივატიზაცია გულისხმობს სახელმწიფოდან კერძო საკუთრებაში წარმოების საშუალებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და მომსახურების სფეროს გადასვლის პროცესს. ორივე შემთხვევაში პრივატიზაცია განიხილება, როგორც განსახელმწიფოებრიობის სისტემა, რომელიც გულისხმობს მეურნეობის მართვის ბიუროკრატიული მექანიზმიდან განთავისუფლებას, სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო მოქმედების შეზღუდვას, კერძო კაპიტალის სტიმულირებას, ეკონომიკის დირექტიული რეგულირების შეზღუდვას. თუ პრივატიზაციამ ვერ უზრუნველყო ღონისძიებების რეალიზაცია, მაშინ იგი ვერ გახდება სამეურნეო სტრუქტურის ეფექტიანობის ამაღლების ინსტრუმენტი.

70-80-იან წლებში მსოფლიოში პრივატიზაციამ ფართო მასშტაბები მიიღო. 80-იანი წლის ბოლოს სხვადასხვა კონტინენტის მთელმა რიგმა ქვეყნებმა ლათინური და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებიდან დაწყებული სამხრეთ კორეამდე, ფილიპინებმა, მალაიზიამ და სხვა მიიღეს სახელმწიფო სექტორის შემცირების პროგრამები. აღნიშნული ქვეყნების გამოცდილება საშუალებას იძლევა აქტიურად იქნეს გამოყენებული იგი საქართველოს პირობებში არ გამეორდეს დაშვებული შეცდომები. ამავე დროს, ცხადია, შეუძლებელია ამ გამოცდილების ავტომატური, შაბლონური გადმოტანა ჩვენი კონკრეტული სპეციფიკის გათვალისწინების გარეშე.

მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ ქვეყნებში განსხვავებულია საწყისი პირობები ეკონომიკაში, პოლიტიკაში, სოციალურ და კულტურულ სფეროში, მაინც შეიძლება გამოვლინდეს საქართველოსა და ამ ქვეყნებს შორის პრივატიზაციის საერთო პრინციპები. მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში პრივატიზაცია ორიენტირებულია ნორმალური საბაზრო ეკონომიკის პირობებისათვის, რომელიც ჩვენში, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არ არსებობს. მითუმეტეს ასეთ პირობებში აუცილებელია პრივატიზაციის საერთო პრინციპების გამოვლენა და საქართველოს პირობებისათვის მისადაგება.

განსახელმწიფოებრიობას საქართველოს პირობებში თავისი სპეციფიკა აქვს, რომელიც გამოწვეულია სახელმწიფოს ხელში თითქმის მთელი საკუთრების კონცენტრაციით. გარდა ამისა, საქართველო ხასიათდება მთელი რიგი ეროვნული ტრადიციებით, რომელიც, თავის მხრივ, და-

კავშირებულია სამეწარმეო თავისებურებებთან. აღნიშნულის გამო განსახელმწიფოებრიობის პროცესში საჭირო იქნება მნიშვნელოვანი დამატებითი ზომების მიღება, რომელიც ცხადია, უნდა გატარდეს განსაზღვრული თანამიმდევრობით და სუბორდინაციით. ყველაზე საუკეთესო ვარიანტი იყო, უპირველეს ყოვლისა, მიწის პრივატიზაცია (ჩვენში გატარებული ღონისძიება არ შეიძლება ჩაითვალოს მიწის პრივატიზაციად). ეს ხელს შეუწყობდა ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების განვითარებას, რომელშიც, თავის მხრივ, ბაზრის გაჯერების კვალდაკვალ შესაძლებელს გახდიდა ფასების ლიბერალიზაციის განხორციელებას. რაც შეეხება მსხვილი სახელმწიფო საკუთრების ნაწილის პრივატიზებას, იგი უნდა განხორციელდეს მხოლოდ ეკონომიკური რეფორმის გადამწყვეტ ეტაპზე. მას კი წინ უნდა უსწრებდეს მცირე პრივატიზაცია. ამგვარი იერარქიულობის (ეტაპობრიობის) დაცვით შესაძლებელი გახდება ჯანსაღი კონკურენციული გარემოს შექმნა და სახელმწიფო ქონება გადაურჩება განიავებას და ძალისმიერ მიტაცებას. შედარებით რთულია მსხვილი მონოპოლიური საწარმოების პრივატიზაცია. მას წინ უნდა უძღოდეს ამ საწარმოების საბაზრო ეკონომიკის პრინციპებით ამუშავება, მათ მიერ გადაწყვეტილებების მიღებაში თავისუფლების ხარისხის გაზრდა და სამეწარმეო რისკზე პასუხისმგებლობის ამაღლება. ამის შედეგად აღნიშნული საწარმოები იმუშავებს კომერციალიზაციის პრინციპით და სახელმწიფოს საშუალება მიეცემა მოუხსნას მათ სუფსიდიები და სხვა დახმარებები.

პრივატიზაციის პროცესი თავიდანვე გაგებულ იქნა ერთდროულ აქტად, არა და იგი დროში გაწელილი პროცესია. საწარმოების გაყიდვა ეს მხოლოდ მესაკუთრის შეცვლის პირველი ეტაპია. მაგრამ ეს თავისთავად არაფერს მოგვცემს, თუ არ შეიქმნა რეალური პირობები საკუთრების იურიდიული უფლების ფაქტობრივი განხორციელებისათვის, იგულისხმება პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და უფლებრივი პირობები. გარდა ამისა, მესაკუთრის შეცვლას (პრივატიზაციას) უნდა მოჰყვეს მესაკუთრესა და სახელმწიფოს შორის უფლება-მოვალეობათა მკაცრი გამიჯვნა, რაც გარკვეულ დროს მოითხოვს.

პრივატიზაციის პროცესი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს განხილული როგორც სახელმწიფოს მარცხი. სახელმწიფო მხოლოდ იცვლის ეკონომიკურ ფუნქციებს და პასუხისმგებლობის ნაწილი გადააქვს კერძო კაპიტალზე.

უნდა ითქვას, რომ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში საბოლოოდ არაა დადგენილი ურთიერთობა სახელმწიფო და კერძო კაპიტალს შორის. იგი იცვლება ამა თუ იმ პერიოდში ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და საგარეო ურთიერთობიდან გამომდინარე. ამიტომ მთელ რიგ ქვეყნებში ეკონომიკური სიტუაციის, სტაბილიზაციის

მიზნით მეტწილად წარმოიქმნება შერეული საწარმოები, რომლებიც მოწოდებულნი არიან მოხსნან საკუთრების თითოეული ფორმის ნაკლოვანი მხარეები და მოახდინონ თავიანთი უპირატესობის რეალიზება. ჩვენი აზრით, მთავარია ოპტიმალური თანაფარდობის დადგენა საკუთრების ფორმებს შორის. ამასთან, იგი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა პროპორციის იქნება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო და კერძო საკუთრებას შორის თანაფარდობის დადგენა. ამ საკუთრებათა შორის ერთი რომელიმეს გადახრამ ოპტიმალური თანაფარდობიდან შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის დაცემა.

მსოფლიო პრაქტიკამ დაადასტურა, რომ პრივატიზაცია არ შეიძლება იყოს საზოგადოებისა და ეკონომიკის განახლების საბოლოო მიზანი. ამიტომაც ვიდრე მოვახდენდეთ საკუთრების პრივატიზებას, უნდა ვიცოდეთ რა კონკრეტული მიზნის მისაღწევად კეთდება ეს. პრივატიზაციის მიზნები მრავალფეროვანია, ის შეიძლება იყოს გრძელვადიანი და მოკლევადიანი. ამასთანავე, არაა გამორიცხული, რომ პრივატიზაციის მიზნები ურთიერთწინააღმდეგობაში აღმოჩნდეს. მაგალითად, მაკროდონის მიზნები შეიძლება არ იყოს თავსებადი მიკროდონის მიზნებთან. ასეთ სიტუაციაში აუცილებელია პრივატიზაციის მიზანთა სისტემაში გამოიკვეთოს პრიორიტეტი და მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი მისი შეუთავსებლობა სხვა მიზნებთან. ამასთან, აუცილებელია უახლოესი და შორეული მიზნების რანჟირება და იერარქიული დალაგება. საქართველოს პირობებში პრივატიზაციის მიზანთა სისტემა შეიძლება გაერთიანდეს კერძო საკუთრების, როგორც კონსტიტუციური ელემენტის აღდგენა, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება, საწარმოს საინვესტიციო პოტენციალის გაზრდა ადგილობრივი რესურსების მობილიზაციისა და უცხოური კაპიტალის მოზიდვის ხარჯზე, წარმოების საშუალებათა გადაიარაღება და მოდერნიზაცია, ახალი ტექნოლოგიების იმპორტი, საკუთრების უფრო სამართლიანი განაწილება და, რაც მთავარია, წარმოების ეფექტიანობის ამაღლება. ცხადია, ყველა ამ მიზნის ერთობლივი რეალიზება შეუძლებელია, არ არის გამორიცხული, რომ მესაკუთრული ინსტიტუტის შექმნამ ქვეყანაში წინააღმდეგობა გაუწიოს უცხოური კაპიტალის მოზიდვას, ამის მაგალითი ზოგიერთ ქვეყნებში არის, მაგრამ ჩვენს პირობებში ასეთ სიტუაციას არ შეიძლება ჰქონდეს გამოკვეთილი სახე. საქართველოში არაა მოსალოდნელი წარმოების სწრაფად კერძო საკუთრებაში გადასვლა, რადგან ჯერჯერობით მდიდართა ფენა არაა ფორმირებული და კრედიტების შესყიდვის სტიმულირება შეზღუდულია. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ პრივატიზაციის მიზნების ერთდროული რეალიზაცია და მითუმეტეს ურთიერთგამომრიცხავი მიზნების განხორციელება შეუძლებელია.

მრავალ პოსტსოციალისტურ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში პრივატიზაცია მიჩნეულ იქნა კრიზისიდან ეკონომიკის გამოყვანის პანაციურ საშუალებად. არადა, დასამალი როდია, რომ კერძო სექტორს თავის უპირატესობასთან ერთად გააჩნია მთელი რიგი ნაკლოვანებანი. ამიტომაცაა, რომ დღემდე განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო სექტორის შენარჩუნებისათვის ბრძოლა გრძელდება. პრივატიზაციის, ანუ კერძო სექტორის დადებით მომენტებს შორის, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ პრივატიზაცია ხელს უწყობს წარმოების ეფექტიანობის ზრდას დანახარჯების შემცირების საფუძველზე, სწრაფად ახდენს მოთხოვნილებისადმი ადაპტაციას, ნერგავს რაციონალურ მეთოდებს წარმოებაში, ზრდის დაფინანსების შესაძლებლობას, უზრუნველყოფს უფრო ეფექტიან შინასაწარმოო კონტროლს, ქმნის კონკურენციულ გარემოსხელს უწყობს მოქნილი, მობილური, საწარმოო სტრუქტურის წარმოშობას, ახალი ტექნოლოგიის დანერგვას, მიღებული საინვესტიციო გადაწყვეტილებებისადმი ეკონომიკური პასუხისმგებლობის ზრდას.

პრივატიზაციის მოწინააღმდეგეები ყურადღებას ამახვილებენ მის ნაკლოვან მხარეებზე. მათი აზრით, პრივატიზაციის შედეგად ძცირდება წარმოების რესურსებით მომარაგების შესაძლებლობები, უარესდება ეკოლოგიური მდგომარეობა, მოკლევადიანი ბიზნესის რეალიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს მოგების მაქსიმიზაციას, უარყოფით გავლენას ახდენს წარმოების გრძელვადიან ინტერესებზე, წარმოიშობა იმის საფრთხე, რომ საზღვარგარეთელი ინვესტორების მიერ მოხდება ეროვნული საწარმოების შესყიდვა, მატულობს ფასების ზრდის შესაძლებლობა საქონელზე და მომსახურებაზე, იზრდება უმუშევართა რიცხვი და ა. შ.

პრივატიზაციის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა ზემოდასახელებულ დებულებებში არის გარკვეული რაციონალური მარცვალი, მაგრამ მთლიანად ამ მოსაზრებებისადმი მხარის დაჭერა არ იქნება გამართლებული, მაგალითად, ფასების მომატებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს საკუთრების ნებისმიერი ფორმის დროს, ასევე ფასების სახელმწიფოებრივ და კერძო მონოპოლიას თანაბრად შეუძლია დაამუხრუჭოს ან განავითაროს კონკურენცია. არ არის აგრეთვე გარანტირებული სახელმწიფო საწარმოების მიერ გარემოს დაცვა.

ამრიგად, როგორც პრივატიზაციის მომხრე ისე მის მოწინააღმდეგეთა არგუმენტაციები ხშირად დაუსაბუთებელია და დისკუსიის საგანს შეადგენს. სინამდვილეში, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო საწარმოებს გააჩნიათ თავიანთი დადებითი და ნაკლოვანი მხარეები, ორივეს აქვს იმის უნარი, რომ გარკვეულ პირობებში ეფექტიანად იმუშაოს.

სახელმწიფო საწარმოების მთავარი ამოცანაა საერთო-ეროვნული მიზნების რეალიზაციისათვის ხელის შეწყობა.

დღეს სახელმწიფო სექტორს, „ადანაშაულებენ" იმაში, რომ მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებს ექმნება ხელსაყრელი პირობები, სახელმწიფო მათზე გასცემს სუფსიდიებს და დახმარებებს. ჩვენი აზრით, ამგვარი საყვედური საფუძველს მოკლებულია. სამწუხაროდ, დღევანდელ საქართველოს ბიუჯეტს არა აქვს სახელმწიფო საწარმოებისადმი რაიმე მნიშვნელოვანი დახმარების გაწევის საშუალება. არადა ასეთი რამ სტრატეგიული დანიშნულების ობიექტებზე უდავოდ უნდა განხორციელდეს. მათ მიმართ უნდა იქნეს გამოყენებული საგადასახადო საკრედიტო შეღავათები, გაიცეს სუფსიდიები და დახმარებები. ამასთან, სახელმწიფო სექტორის საწარმოები უსათუოდ უნდა ფუნქციონირებდეს კომერციალიზაციის პრინციპით.

ბევრ ქვეყანაში პრივატიზაციას საფუძვლად უდევს იდეოლოგიური, პარტიული სარჩული. მაგალითად, ინგლისში მ. ტეტჩერმა პრივატიზაცია ჩაატარა მეტწილად იდეოლოგიური მოტივებიდან გამომდინარე, რომელიც უფრო ლეიბორისტების შესუსტებას ისახავდა მიზნად, ვიდრე ეკონომიკის გაჯანსაღებას. თავიდანვე ასეთ იდეოლოგიზაციას ვერც საქართველო ასცდა. აჟიოტაჟური რეფორმების ეტაპზე ბევრი სამინისტრო და უწყება გადაიქცა კონცერნებად, ასოციაციებად, ფონდებად, რაც დამაჯერებლად მიგვითითებს ბიუროკრატიულ, ელიტარულ-პოლიტიკურ პრივატიზაციაზე. ჩვენი აზრით, პრივატიზაცია არ უნდა ეფუძნებოდეს პოლიტიკურ მოსაზრებებს, მისი მთავარი ამოსავალი კრიტერიუმი უნდა იყოს ეკონომიკური ეფექტი. საზოგადოებისათვის იმას კი არა აქვს მნიშვნელობა, რომელ სექტორში შეიქმნა ესა თუ ის პროდუქცია თუ მომსახურება, არამედ იმას, თუ რამდენად მაღალია მისი ხარისხი და დაბალია ფასი. ამიტომ პრივატიზაციის პროგრამაში გარდა ეკონომიკურისა, სხვა ინტერესი არ უნდა იქნეს ჩადებული.

მსოფლიო გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ პრივატიზაციის ჩატარებას მაშინ მოაქვს მაღალი ეფექტი, როცა ეს პროცესი საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერით სარგებლობს. სპონტანური რეფორმების პირობებში ასეთი საზოგადოებრივი გამოკვლევა საქართველოში არ ჩატარებულა. პრივატიზაცია დაიწყო „ზემოდან" დეკრეტებით, საზოგადოებისათვის იმის დაპირებით, რომ აქციონირება და ვაუჩერიზაცია მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობას გააუმჯობესებს.

პრივატიზაციისადმი მოსახლეობის მხარდაჭერისათვის საჭიროა არა გაძლიერებული პროპაგანდა, არამედ რეალური ეკონომიკური სარგებლის გაცემა თითოეულ მოქალაქეზე. მაგალითად, ინგლისში პრივატიზაციის სტიმულირება ხდებოდა ბინების გაყიდვისას ფასების დაკლებით,

სახელმწიფო საწარმოთა აქციების მოსახლეობისათვის სასურველი კურსის დადგენითა და სხვ.

კიდევ ერთხელ გვინდა დავუბრუნდეთ პრივატიზაციის ტემპებს. ჩვენი აზრით, ამ პროცესის ხელოვნურად დაჩქარება საზიანოა. ინგლისში სახელმწიფო საწარმოთა განსახელმწიფოებრიობის პროცესი გრძელდებოდა 10 წლის განმავლობაში. 80-იანი წლების დასაწყისში საფრანგეთში პრივატიზაციის პროგრამის მხოლოდ მესამედი განხორციელდა. გფრ-ის მთავრობას დასჭირდა 8 წელი, რომ ხელსაყრელ პირობებში მოეხდინა სახელმწიფო ან ნახევარსახელმწიფო საწარმოების პრივატიზაცია. იტალიასა და ესპანეთში მოხდა იმ კომპანიების გაყიდვა, რომლებიც არ იყო მიჩნეული მნიშვნელოვან სასიცოცხლო ობიექტებად. პრივატიზაცია გაჭიანურდა იმ ქვეყნებშიც კი, სადაც მთავრობას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი აღნიშნული პროგრამის განხორციელება, ახლა ისინი ან იკვეცება, ან დროში ჭიანურდება, ან კიდევ პრივატიზებულ საწარმოებში სანახევროდ შენარჩუნებულია სახელმწიფოს წილი. შემჩნეულია, რომ იქ, სადაც პრივატიზაციის პოტენციალი მაღალია (ავსტრია, გერმანია, იტალია), მთავრობა უფრო აქტიურად ახორციელებს წარმოების პირობების ლიბერალიზაციას, ვიდრე პრივატიზაციას. ქონების განსახელმწიფოებრიობისაკენ სწრაფვა ძლიერია იმ ქვეყნებში, სადაც ნაკლებია სამეწარმეო თავისუფლება გადაწყვეტილების მიღების სფეროში. დასავლეთის ქვეყნებში გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იქ, სადაც მიღწეულია პრივატიზაციის გარკვეული დონე, დღის წესრიგში დგება საკუთრების სხვადასხვა ფორმის სინთეზირება და ეკონომიკაში მათი ოპტიმალური თანაფარდობის დადგენის პრობლემა.

მთავარია არა თვით პრივატიზაციის პროცესი, არამედ მისი სოციალური და ეკონომიკური შედეგები. მთელ რიგ ქვეყნებში, სადაც განხორციელდა პრივატიზაცია, არსებითად გაუმჯობესდა ეკონომიკური მდგომარეობა. მაგალითად, ინგლისში პრივატიზაციის შედეგად გაჯანსაღდა სახელმწიფო ბიუჯეტი, გაიზარდა შრომისნაყოფიერება და ა. შ.

პრაქტიკამ დაადასტურა, რომ პრივატიზაციის მექანიზმის ეფექტურობა, მისი შედეგები უმეტესწილად განისაზღვრება ამა თუ იმ ქვეყნის სოციალ-კულტურული გარემოთი და კონკრეტულ-ისტორიული მდგომარეობით. ამასთანავე, პრაქტიკა ამტკიცებს, რომ კერძო მესაკუთრეობის პრინციპი, მაგალითად, სააქციონერო საზოგადოებაში კაპიტალის დაბანდება, უზრუნველყოფს სოციალურ სამართლიანობას, ყველას როდი შეუძლია გახდეს მეპატრონე ან სრულუფლებიანი მესაკუთრე. აქციის უფასო განაწილების პირობებში ოჯახის შემოსავლის ზრდის პასიური ატმოსფერო იქმნება.

გერმანიაში პრივატიზაციიდან ორი წლის შემდეგ წვრილ მესაკუთრეთა ხელში 4 მილიონი აქციიდან დარჩა მხოლოდ ერთი პროცენტი, საფრანგეთში კი – მოსახლეობის მხოლოდ 7 პროცენტი.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების ერთ ნაწილში პრივატიზაციამ გამოაჯანსაღა ეკონომიკა, ხოლო მთელ რიგ ქვეყნებში მან სასურველი შედეგები ვერ გამოიღო. მაგალითად, სირიაში და ბრაზილიაში პრივატიზაციამ ხელი ვერ შეუწყო ამ ქვეყნების კრიზისიდან გამოსვლის პროცესს.

რაც შეეხება ისეთ ქვეყნებს როგორიცაა ჩილე, არგენტინა, სამხრეთ კორეა, ტაივანი, აქ პრივატიზაციამ აშკარა წარმატებები მოუტანა ამ სახელმწიფოებს, რაც ძირითადად მიღწეულ იქნა უცხოური კაპიტალის მხარდაჭერით.

შედარებით სწრაფად და წარმატებით მიმდინარეობდა პრივატიზაცია იმ ქვეყნებში და დარგებში, რომლებიც მჭიდროდ იყო ინტეგრირებული მსოფლიო მეურნეობასთან (ავიატრანსპორტი, ტელეკომუნიკაცია, პორტები, ბანკები). სხვებზე მეტად პრივატიზაციის საქმეში წინ წაიწია სამხრეთ კორეამ, სადაც იგი განხორციელდა ამერიკული სისტემით, რომლის მიხედვით მოსამსახურეები საკუთრებას ღებულობდნენ შეღავათიან პირობებში – წარმოების აქციის არანაკლებ 20%-ისა.

პრივატიზაციის შედეგები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში არაერთგვაროვანია. შედარებით წინ წაიწიეს პოლონეთმა, ჩეხოსლოვაკიამ და უნგრეთმა, მაშინ როცა ყოფილ სსრ კავშირის ქვეყნებში, რუმინეთში და ბულგარეთში რეფორმისა და პრივატიზაციის პროცესები ჭიანურდება არახელსაყრელი ეკონომიკური და რთული პოლიტიკური მდგომარეობის გამო. ამ ქვეყნებში, და იმათშიც კი, რომელთა სასტარტო პოზიციები შედარებთ ნორმალურია, უმოკლეს ვადაში პრივატიზაციის განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელია საჭირო დაფინანსების წყაროს უქონლობის გამო. თუ შენარჩუნებული იქნება პრივატიზაციის დღევანდელი ტემპები, მაშინ დაახლოებით 2000 წლისათვის ამ ქვეყნების ეკონომიკის უმეტესი ნაწილი კერძო მესაკუთრეთა ხელში იქნება. ასეთი დაბალი ტემპი აიხსნება იმით, რომ პრივატიზაცია ფერხდება სახელმწიფო ქონების შემსყიდველების არარსებობით და განსახელმწიფოებრიობის ორგანიზაციული სირთულეებით.

ამასთან, პრივატიზაციის პირველი დადებითი შედეგები სახეზეა. გაიზარდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საქონლის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა, ფასების რეგულირება ხდება სახელმწიფოს ჩარევის გარეშე. თუმცა გამოვლინდა უარყოფითი სოციალური შედეგებიც. პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში უმუშევართა რიცხვი გაორმაგდა, ხოლო აღმოსავლეთის ქვეყნების მოსახლეობის ნაწილი აღმოჩნდა სიღარიბის ზღვართან. ასევე პრივატიზაცია ვერ განხორციელდა

გერმანიაში მოსალოდნელ დონეზე, მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ შემუშავდა გდრ-ის ეკონომიკის გფრ-ის ეკონომიკაში ჩართვის კომპლექსური პროგრამა.

საზღვარგარეთის ქვეყნებში პრივატიზაციის მიმდინარეობის ანალიზი საშუალებას იძლევა გამოტანილ იქნეს სათანადო დასკვნები და გათვალისწინებულ იქნეს ისინი ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმის განხორციელების დროს.

ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ პრივატიზაციის იდეალური მოდელი არც ერთ ქვეყანაში არ არის, თითოეული მათგანის გამოცდილება გამოავლენს როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებს, პრივატიზაციის ეროვნული თავისებურებანი განპირობებულია ამა თუ იმ ქვეყნის საწყისი კონკრეტულ-ისტორიული მდგომარეობით და სოციალ-კულტურული გარემოთი; საზოგადოების სტაბილურობის დონით, სამართლებრივი სისტემის განვითარებით და მისი ეფექტურობით, ეკონომიკური განვითარების პირობებით, სახელმწიფო სექტორის დონით, საფინანსო და საბანკო სისტემის განვითარებით და ა. შ. ყველა ქვეყანაში პრივატიზაციის პროცესი ობიექტური და წინააღმდეგობრივი ფაქტორებით არის შეზღუდული. ამიტომ ილუზია იქნებოდა იმის მტკიცება, რომ დროის შედარებით მცირე მონაკვეთში უმტკივნეულოდ მოხდება სახელმწიფო ქონების გაყიდვა. როგორც პრაქტიკა ადასტურებს ძირითადი შემფერხებელი მომენტი მაინც საჭირო ფინანსური სახსრების უქონლობა და უარყოფითი სოციალური შედეგებია, რომლებიც გამოწვეულია უმუშევრობის ზრდის სწრაფი ტემპებით. ეკონომიკური წყობის ერთი სახეობიდან მეორეში გადასვლა პრაქტიკულად შეუძლებელია უარყოფითი სოციალური შედეგებისა და არაპოპულარული ზომების გარეშე.

პრივატიზაციის პროცესის ეფექტური და ეტაპობრივი განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ინვესტორთა ფართო წრის არსებობისა და პოლიტიკური და სოციალური კონსენსუსის მიღწევის პირობებში. ამასთან, საჭიროა მკაცრი კონტროლი სახელმწიფო ორგანოების მიერ, რათა თავიდან იქნეს აცილებული თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება (მექრთამეობა, კორუფცია, მაფიის მიერ წამყვანი პოზიციის დაკავება). ზემოხსენებული პირობებიდან ერთიც რომ აკლდეს, მნიშვნელოვნად დაბლა დაეცემა პრივატიზაციის სოციალ-ეკონომიკური ეფექტი. მისი განხორციელების დაჩქარებულმა თუ სტიქიურმა ხასიათმა პრივატიზაცია შეიძლება სოციალურად მეტად საშიშ პროცესად გადააქციოს. ამიტომ ვიდრე შეუდგებოდეთ პრივატიზაციას, საჭიროა გამოიყოს საწარმოთა სამი ჯგუფი: პირველი – საწარმოები, რომელთა გაყიდვა შეიძლება და აუცილებელიცაა, მეორე – ისეთი საწარმოები, რომლებიც აუცილებელია დანარჩენ სახელმწიფოს ხელში ეკონომიკური

რაციონალურობისა და საერთო-ეროვნული ამოცანების გადაწყვეტის აუცილებლობიდან გამომდინარე, მესამე — საწარმოები, რომლებიც დახურვას ექვემდებარებიან. არასტაბილური და უვარგისი საწარმოების ლიკვიდაცია აუცილებელია.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ პრივატიზაციის პროცესი მეტად მტკივნეულია. ის ვინც კარგავს სამუშაოს, არ შეიძლება რეფორმის მომხრე იყოს, ეს ცხოვრებისეული რეალობაა. ამოცანა მდგომარეობს იმაში რომ საზოგადოებას რაც შეიძლება სოციალურად მინიმალური ტკივილი მივაყენოთ. სხვა ქვეყნებში დაგროვილი გამოცდილება გონიერულად გადმოვიღოთ და იგი მოვარგოთ საქართველოს ეროვნულ-კულტურულ და სოციალ-ეკონომიკურ თავისებურებებს.

ჩვენს რესპუბლიკაში პრივატიზაციას საფუძველი ჩაეყარა 1991 წლის მეორე ნახევარში, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ სახელმწიფო კანონის საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ მიღებით. აღნიშნული კანონის თანახმად, რესპუბლიკაში შეიქმნა სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტი (შემდგომში იგი გადაკეთდა სამინისტროდ), შემუშავდა პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამა (კონცეფტუალური საფუძვლები), აგრეთვე დებულებები სახელმწიფო ქონების კონკურსით გაყიდვის შესახებ, სახელმწიფო ქონების აუქციონით გაყიდვის შესახებ, სახელმწიფო საწარმოთა ღია სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის შესახებ და ა. შ.

შემდგომში პრივატიზაციის იდეოლოგიამ გარკვეულწილად პროგრესული განვითარება პოვა რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ მოწონებულ და მიღებულ დოკუმენტებში — საქართველოს რესპუბლიკაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების საშუალოვადიანი პროგრამა, საქართველოს რესპუბლიკის სოციალ-ეკონომიკური განვითარების პირველი ინდიკატიური გეგმა და საქართველოს რესპუბლიკაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამა. აღნიშნული დოკუმენტები ითვალისწინებს რადიკალური ცვლილებების ჩატარებას საკუთრებით ურთიერთობებში. კერძოდ, განზრახული იყო მცირე პრივატიზაციის დაჩქარება, დაუმთავრებელი მშენებლობის ნაწილის გაყიდვა მსხვილ საწარმოთა სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნა, საქართველოს ყველა მოქალაქისათვის საპრივატიზაციო ბარათების გაცემა, საწარმოებისა და დარგების პრივატიზაციის ორგანიზაციული პროცედურის გამარტივება, პრივატიზაციის პროცესში უცხოური ინვესტორების მონაწილეობის სტიმულირება, პრივატიზაციის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და ა. შ.

1994 წლის პირველ ნახევარში საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის, მინისტრთა კაბინეტისა და სახელმწიფო ქონების მართვის სამინ

ისტროს ერთობლივი მეცადინეობით დაიხვეწა და გამარტივდა პრივატიზაციის ორგანიზაციული და სამართლებრივი ასპექტები, წინა პლანზეა წამოწეული საპრივატიზაციო ობიექტში მომუშავეთა ინტერესების დაცვა, განსაკუთრებული ყურადღებაა მიქცეული პრივატიზაციის შემდგომ ობიექტის ეფექტიან მუშაობაზე და მისი საქმიანობის მიზანმიმართულ რეგულირებასა და მართვაზე. სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშავა საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა, შეადგინა მათი განსახელმწიფოებრიობის გრაფიკი და მოამზადა ყველა მეთოდური მასალა პრივატიზაციის დროულად და კვალიფიციურად ჩატარებისათვის. მართვის სხვადასხვა იერარქიაზე შედგენილია შესაბამისი საპრივატიზაციო კომისიები, რომელთა საქმიან და კვალიფიციურ მუშაობაზე დიდადაა დამოკიდებული პრივატიზაციის ბედი.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ პრივატიზაციის სწორად წარმართვაზე არსებით გავლენას მოახდენს ის ამოსავალი ნორმატიული და იდეოლოგიური წანამძღვრები, რომლებიც დღემდეა შემუშავებული. ამ მხრივ კი ბევრი რამ სერიოზულ გადასინჯვასა და სრულყოფას საჭიროებს. საქმე ისაა, რომ პრივატიზაციის პოლიტიკას თავიდანვე არ ჰქონია მყარი და მეცნიერულად არგუმენტირებული იდეოლოგიური და ორგანიზაციული უზრუნველყოფა. ამის უარყოფითი შედეგებიც დღეს სახეზეა.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს პრივატიზაციის პირველი ეტაპი სპონტანურ ხასიათს ატარებდა. იგი თითქმის არალეგალური გზით წარიმართა და მასში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძირითადად მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო-ნომენკლატურულმა, ბიუროკრატიულმა აპარატმა. საზოგადოების აღნიშნულმა ნაწილმა მაქსიმალურად გამოიყენა თავისი პრივილეგირებული მდგომარეობა, არ დაელოდა პრივატიზაციის კანონშემოქმედებითი საქმიანობის დამთავრებას, პოლიტიკური სიტუაციის მოწესრიგებას და იმ დროს, როდესაც ქვეყნის დესტაბილიზაციის პროცესი სრულ აპოგეაში იყო შესული, დაიწყო სახელმწიფო ქონების „მისაკუთრება" ე. წ. ფარული პრივატიზაცია.

ამგვარ იერიშულ პრივატიზაციას ხელი შეუწყო მისმა არასწორმა იდეოლოგიამ, რომელსაც თავდაპირველად არაკვალიფიციური „სპეციალისტები" ამუშავებდნენ. მათი ლოზუნგი მდგომარეობდა პრივატიზაციის სწრაფად, ერთი ხელის მოსმით განხორციელებაში, ისე, რომ არ იყო მომზადებული მისთვის საჭირო ორგანიზაციული და სამართლებრივი წანამძღვრები. არადა, პრივატიზაცია, ხომ ევოლუციური პროცესია, რაც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პრაქტიკამ დაადასტურა. რევოლუცია პრივატიზაციაში მაინც არ შედგა. პირიქით, მისი რეალური ტემპი ნელა და წინააღმდეგობრივად წარიმართა. მას წინ

გადაეღობა მრავალი მოუგვარებელი სამართლებრივი და ორგანიზაციული პრობლემა, ადგილი ჰქონდა საბოტაჟის გაწევის ფაქტებსაც. ბევრგან იგი სტიქიურ-მტაცებლურ ხასიათსაც ატარებდა, შეინიშნებოდა შაბლონი, ძალადობისა და კამპანიური მიდგომის ფაქტები.

ყველაზე დიდი შეცდომა, რომელიც თავიდანვე იქნა დაშვებული, ჩვენი აზრით, მდგომარეობდა იმაში, რომ პრივატიზაციის იდეოლოგებმა კერძო საკუთრება ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის ერთადერთ საშუალებად გამოაცხადეს. მათი მთავარი მიზანი იყო რაც შეიძლება ჩქარა დანგრეულიყო სახელმწიფო საკუთრება, ისე, რომ დიდად არავის უფიქრია იმაზე, მოიტანდა თუ არა ასეთი მიდგომა ეკონომიკურ ეფექტს. არადა, როგორც მსოფლიოს პრაქტიკა გვიჩვენებს, თავისუფალი, დემოკრატიული ეკონომიკური, ურთიერთობების იდეოლოგიური კრიტერიუმია არა ერთი რომელიმე საკუთრების ფორმა, არამედ მისი მრავალფეროვნება, საკუთრების სხვადასხვა ფორმის ოპტიმალური შეთანაწყობით მაქსიმალური საზოგადოებრივი ეფექტის მიღება. აქედან გამომდინარე, საჭირო იყო ქვეყნის საკუთრებითი სტრატეგიის შემუშავება, საქართველოს ეროვნული და გეოპოლიტიკის ღრმა ანალიზი და ამის შედეგად დადგენა იმისა, თუ რა თანაფარდობით უნდა ფორმირებულიყო საკუთრებითი სტრუქტურა, რომელი დარგები და ობიექტები დაეტოვებინა სახელმწიფოს თავის ხელში და რომელი უნდა დაქვემდებარებულიყო განსახელმწიფოებრიობას. ასეთი სტრატეგიის უქონლობისა და სახელმწიფოს როლის დაკნინების შედეგად აღმოჩნდა, რომ ეკონომიკის მართვასა და რეგულირებისაგან გამოითიშა სახელმწიფო და ქვეყანაში დამკვიდრდა არაცივილიზებული ბაზარი.

შემდეგი დიდი შეცდომა, რომელიც დაშვებულ იქნა პრივატიზაციის საწყის ეტაპზე, მდგომარეობდა შრომითი კოლექტივების ინტერესების გაუთვალისწინებლობაში. პრივატიზაციის მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მას მხოლოდ მაშინ მოაქვს დადებითი ეკონომიკური ეფექტი, როდესაც იგი ნებაყოფლობით, დემოკრატიულ პრინციპზე დაფუძნებული, არ არის ზემოდან თავსმოხვეული და მაქსიმალურად ითვალისწინებს შრომითი კოლექტივების ინტერესებს. ამასთან, მთავარია, რომ პრივატიზაცია არ წარმოადგენდეს ავტონომიურ პროცესს და მაქსიმალურად ორგანულად იყოს შერწყმული საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კომპლექსურ პროგრამასთან. სწორედ ამგვარ დაუბალანსებელ პრივატიზაციასთან გვქონდა საქმე რესპუბლიკაში. იგი არ იქნა მისადაგებული ფასების ლიბერალიზაციის პოლიტიკასთან, სასაქონლო და საფონდო ბირჟების შექმნასთან, საფინანსო ბაზრის ფორმირებასთან და სხვა საბაზრო ინფრასტრუქტურების ჩამოყალიბებასთან. ამიტომაც პრივატიზაციამ ძირითადად სახელმწიფო ქონების დარიგების სახე მიიღო და ამით მოხდა მისი დისკრედიტაცია.

განსაკუთრებით უარყოფითად იჩინა თავი პრივატიზაციისა და ფასების ლიბერალიზაციის დროში ერთმანეთთან შეუხამებლობამ. ცნობილია, რომ ყველაზე სწრაფ ეფექტს იძლევა მცირე პრივატიზაცია, რომელიც ძირითადად მოიცავს ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს, რომლებიც უშვებენ სამომხმარებლო პროდუქციას და აგრეთვე სოფლის მეურნეობას. უფრო მეტიც, სამომხმარებლო ბაზრის გამოჯანსაღება, თავისუფალ ფასწარმოქმნაზე გადასვლა, პირველ რიგში, ამ სფეროების პრივატიზაციას მოითხოვს. თუმცა, სამწუხაროდ, ფასების ლიბერალიზაციამ საქართველოში რიგი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო წინ გაუსწრო მცირე პრივატიზაციის დაწყებას და ამით ეკონომიკურმა რეფორმამ გაუკუღმართებული სახე მიიღო. მართალია, დღეს საქართველოში პრაქტიკულად მოხსნილია ყველა წინააღმდეგობა მცირე პრივატიზაციის შეუფერხებელი მუშაობისათვის, მაგრამ როგორც უკვე აღინიშნა, იგი მაინც ნელი ტემპით და რთულად მიდის. ეს კი ძირითადად განპირობებულია ხელისუფლების ორგანოების უინიციატივობით, ინერტულობით, აგრეთვე იმითაც, რომ დღემდე არაა ანტიმონოპოლიური კანონი და ბევრი სამეურნეო სუბიექტი ცდილობს დამკვიდრებული მონოპოლიური მდგომარეობის შენარჩუნებას და არ იჩენს სათანადო ინტერესს პრივატიზაციის ჩატარებისადმი.

დღეისათვის ერთ-ერთ მოუგვარებელ პრობლემად რჩება პრივატიზაციის ფინანსური მხარე. საბაზრო ეკონომიკის ინტერესებიდან გამომდინარე, პრივატიზაციიდან მიღებული თანხა წარმოების აღორძინებას და განვითარებას უნდა მოხმარდეს. ჩვენში დადგენილი წესის თანახმად კი პრივატიზაციის შედეგად ამოღებული თანხა ნაწილდება სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს (სანოტარო სამსახური) და ეროვნული ბანკის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტისადმი გაცემული კრედიტების დასაფინანსებლად. მართალია, ეს ღონისძიება მოკლე ვადით შემოისაზღვრება, მაგრამ ჩვენი აზრით, ამის შედეგად მაინც მნიშვნელოვნად დაზარალდება ეროვნული ეკონომიკა და შეფერხდება წარმოების აღორძინების პროცესი. ამასთან, პრივატიზაციის ფინანსური პრობლემა აშკარად უკავშირდება სოციალური სამართლიანობის საკითხს. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად დღის წესრიგში დადგა ვაუჩერიზაციის (საპრივატიზაციო ბარათების) საკითხი. კანონმდებლობით დადგინდა, რომ საქართველოს ყველა მოქალაქეს ვაუჩერების ფორმით მიეცემა სახელმწიფო ქონების ნაწილი, რომლითაც მათ შეეძლებათ აქციების შეძენა და მესაკუთრედ გახდომა. მართალია თავიდანვე დაისვა კითხვები — რა ფორმებში გაიყოს საკუთრება? ვის მიეცეს — დიდებს თუ პატარებს? რა დააშავა მომდევნო თაობამ? და

ა.შ., მაგრამ საბოლოოდ ეს საკითხი მარტივად გადაწყდა და ყველა მოსახლემ მიიღო ვაუჩერი.

ამ გადაწყვეტილებამ ახალი პრობლემა წარმოშვა. ცნობილია, რომ ვაუჩერიზაციის ეკონომიკური არსი მჭიდროდ უკავშირდება აქციონირების პროცესს, რადგან ვაუჩერის მთავარი დანიშნულებაა მშრომელების მიერ აქციების შეძენა და სახელმწიფო ქონების განკერძოებაში მონაწილეობის მიღება. ამისათვის კი, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ვაუჩერიზაციისა და აქციონირების პროცესების დროსა და ტემპში ურთიერთდამთხვევა. იდეალურად ამის განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან ვაუჩერების გაცემა ერთდროული აქტია, ხოლო აქციონირება დროში გაწელილი თანდათანობითი პროცესია. მაგრამ გამოსავალი მაინც უნდა მოიძებნოს. კერძოდ, საჭიროა ვაუჩერების გაცემა დაემთხვეს მასიური აქციონირების პროცესს. თუმცა ეს ღონისძიება მაინც წარმოშობს ახალ პრობლემებს. კერძოდ, ღატაკი მოსახლეობის დიდი ნაწილი მოისურვებს ვაუჩერ-აქციის ფულად გადაქცევას ყოველდღიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რაც, ერთი მხრივ, საკუთრებას გადაჭიავს მდიდარ, შეძლებულ ფენებზე და, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს ფულის დიდი მასის გადასვლას ბაზარზე და შესაბამისად საქონლის დეფიციტის კიდევ უფრო ზრდას. ამასთან, დიდი მნიშვნელობა აქვს ვაუჩერის ნომინალური ღირებულების სწორ დადგენას, რასაც წინ უნდა უსწრებდეს მთელი საპრივატიზაციო ქონების პასპორტიზაცია, მათი მყარ ვალუტაში ღირებულების დადგენა და შესაბამისად თითოეულ მოქალაქეზე გასაცემი ვაუჩერის ზუსტი ნომინალის განსაზღვრა. მთავარია ვაუჩერს ჰქონდეს „წონა". ცხადია, მოსახლეობის რაც უფრო ნაკლებ რაოდენობაზე იქნება გასაცემი ვაუჩერი, მით უფრო „მძიმე" იქნება იგი. ამიტომ ჩვენი აზრით, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ვაუჩერები გაცემულიყო მხოლოდ დაბალშემოსავლიან და სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე, რაც ეკონომიკურად და სოციალურად უფრო ეფექტიანი იქნებოდა. ჩვენი აზრით, საქართველოს დღევანდელ პირობებში პრივატიზაციის ვაუჩერების გარეშე ჩატარება უფრო გამართლებული და მიზანშეწონილი იქნებოდა.

ასეა თუ ისე, საქართველოში პრივატიზაციის პროცესი დაიწყო და თანდათანობით იკრებს ძალას. თითქმის დამთავრებულად შეიძლება ჩაითვალოს ბინების პრივატიზაცია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საერთო სარგებლობის შენობებში საკუთრების უფლების საკითხს, რომელიც დღემდე საბოლოოდ არაა დადგენილი. ამასთან, ბინები ისეთნაირადაა პრივატიზებული, რომ მათ მესაკუთრეებს შეუძლიათ იგი თავისუფლად გაყიდონ ან ჩადონ გირაოდ საბანკო სესხის მიღებისას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაცია, თუმცა იგი ჯერჯერობით შემოისაზღვრება მიწათ-

სარგებლობის უფლების მიღებით მისი გაყიდვის შესაძლებლობების გარეშე. სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს მიწების 20-25 პროცენტი დატოვოს საკუთრებაში თესლის გამოსაყვანად, სამეცნიერო-კვლევითი ექსპერიმენტებისათვის და ა. შ. მიწის პრივატიზაციას არსებითი დადებითი შედეგები ჯერჯერობით არ მოჰყოლია. რამდენადაც არაა მიწის გაყიდვის უფლება, არაა სტიმული მის მოვლაზე, ინვესტირებასა და მელიორაციულ სამუშაოებზე.

დღემდე ნელი ტემპებით მიდის პრივატიზაცია მრეწველობაში. იგი ძირითადად წარიმართება სამი მეთოდით: აქციონირება, აუქციონებზე გაყიდვა და საკონკურსო გაყიდვა. გადაწყვეტილება აუქციონით და კონკურსით გაყიდვის შესახებ მიიღება ქონების მართვის სამინისტროს რეგიონალური განყოფილების მიერ. პრივატიზაციას დაქვემდებარებულ საწარმოთა აქტივის ღირებულება დაფიქსირებულია 1993 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. შემდგომ მოხდა მათი ინდექსაცია რესპუბლიკაში მიმდინარე ინფლაციური პროცესების გაღრმავების შესაბამისად. მსხვილი საწარმოების განსახელმწიფოებრიობა ხდება აქციონირების წესით;

მცირე საწარმოების კატეგორია განისაზღვრება ორი კრიტერიუმით. 1) მათი აქტივების ღირებულება 1991 წლის 1 იანვრისათვის არ უნდა აღემატებოდეს 30 მილიონ მანეთს. 2) მომუშავეთა რაოდენობა არ უნდა იყოს 50 კაცზე მეტი. 1994 წლის 1 აპრილისათვის მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა 4900 მცირე საწარმოთა სია პრივატიზაციისათვის. ერთი წლის განმავლობაში ამ რიცხვიდან პრივატიზებულია დაახლოებით ერთი მესამედი, მათ შორის თითქმის ნახევარი გაყიდულია აუქციონზე, მეორე ნახევარი კი — კონკურსის წესით. სააუქციონო გაყიდვისას მიღებული შემოსავალი თითქმის 2-ჯერ აღემატება აქტივების ღირებულებით შეფასებას ან მინიმალურ დაწესებულ ფასს, ხოლო კონკურსის წესით გაყიდვისას დაახლოებით 2,5-ჯერ. ამასთან, აუქციონებზე გამოტანილი საწარმოებიდან ნაწილმა ვერ იპოვა მყიდველი მოუთხოვნელობის გამო. 1993 წლის აგვისტომდე საპრივატიზაციო გაყიდვათა ანაზღაურება ხდებოდა რუბლებში, ხოლო შემდგომ პერიოდში — კუპონებში.

დაახლოებით 900 საწარმო, რომელთა აქტივების ღირებულება 30 მილიონ მანეთს აღემატება, მიეკუთვნება საშუალო და მსხვილ საწარმოთა კატეგორიას. აქედან მცირე ნაწილი უკვე აქციონირებულია. რესპუბლიკის მთავრობა ცდილობს ვაუჩერიზაციის გზით დააჩქაროს აქციონირების პროცესი. ვაუჩერიზაცია დაგვიანდა რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, მაგრამ 1995 წლის შუა რიცხვებში იგი დაიწყო ნორმალურად. ვაუჩერის გზით გაყიდვას დაექვემდებარა არანაკლებ 35 პროცენტი თითოეული სააქციონერო საზოგადოების აქციებისა. ამ მიზნით ვაუჩერი თავისუფალ მიმოქცევაში წავიდა, მათი 35 პროცენტი დარჩა სახელმწიფოს ხელში, ხოლო დანარჩენი წარიმართება

გასაყიდად ინვესტორებზე, მომუშავეებსა და საწარმოთა ადმინისტრაციაზე.

სამწუხაროდ, უცხოური ინვესტიციები ჯერჯერობით პრაქტიკულად არ მონაწილეობს პრივატიზაციის პროცესში. ამის მიზეზია რესპუბლიკაში შექმნილი რთული პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო, საბაზრო ეკონომიკის მართვის გამოუცდელობა, ჩამორჩენილი ტექნოლოგია, სუსტი ინფრასტრუქტურა და ა. შ. ამჟამად რესპუბლიკაში სიტუაცია უმჯობესდება და თითქმის არ არსებობს უცხოური ინვესტიციების შემზღუდავი პირობები და ვფიქრობთ, რომ მოკლე დროში ისინი აქტიურად ჩაებმებიან საქართველოს ეკონომიკაში.

მართალია, რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღო პრივატიზაციის სამართლებრივი სფეროს ისეთი კანონები, როგორიცაა გაკოტრების, კერძო საკუთრების უფლებების და უცხოური ინვესტიციების შესახებ, მაგრამ ისინი მოითხოვენ გარკვეულ დახვეწას და სრულყოფას. ამასთან, ამ კანონების შესრულება პრაქტიკაში ჯერჯერობით დიდ წინააღმდეგობებს აწყდება.

ნავარაუდევია, რომ სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩება მინერალური წყლებისა და ტყის რესურსები, სახელმწიფო მუზეუმები, სოციუზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ფონდები, გეოლოგიური, კარტოგრაფიული და ეკოლოგიური სამსახურები, საპატენტო ექსპერტიზის დაწესებულებები, საგამომცდელო ცენტრები 10 მეგავატზე მეტი სიმძლავრის ელექტოსადგურები, რკინიგზები, მილსადენები, საქალაქო ტრანსპორტის საწარმოები (მეტროს ჩათვლით), სხვადასხვა სამინისტრო და უწყება, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან განათლებაზე, მეცნიერებაზე, ჯანდაცვაზე, სოცდაზღვევაზე, ტელე და რადიომაუწყებლობის სადგურები, სახელმწიფო გზები, ძვირფასი ქვებისა და ნარკოტიკების წარმოებასთან დაკავშირებული საწარმოები, სამოქალაქო ინფრასტრუქტურა, სამხედრო საწარმოები და სხვ.

გვინდა შევნიშნოთ, რომ საქართველოში ეკონომიკური რეფორმა და მათ შორის პრივატიზაციაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის ე. წ. „შოკური თერაპიის" მოდელით მიმდინარეობს. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ პოსტსოციალისტური ქვეყნებისათვის და მათ შორის საქართველოსათვის უფრო ეფექტური და მისაღებია თანდათანობითი რეფორმების მოდელი, რომელიც დაიცავს ეროვნულ ინტერესებს. ამ გზით მიაღწიეს ეკონომიკურ სასწაულებს ისეთმა ქვეყნებმა, როგორიცაა სამხრეთ კორეა, სინგაპური, ჰონკონგი, ტაივანი, ჩინეთი და სხვ. ამ ქვეყნებში ეკონომიკის დიდ ნაწილს აკონტროლებს სახელმწიფო, პრივატიზაციის პოლიტიკაში ძირითადი აქცენტი აღებულ იქნა სახელმწიფო საწარმოთა მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებაზე და არა საკუთრების ფორმების შეცვლაზე. ცხადია, არც ერთი ქვეყნისათვის არ არსებობს

უნივერსალური მოდელი, ამიტომ ჩვენი პირობებისათვის აუცილებელია რეფორმების ისეთი მოდელის ფორმირება, რომელიც დაფუძნებული იქნება საკუთრების მრავალფეროვნებასა და დემოკრატიული დაგეგმვისა და ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების ოპტიმალური შეთანწყობის პრინციპზე. მხოლოდ ამ გზით დავაჩქარებთ ეკონომიკურ რეფორმებს და გამოვიყვანთ ქვეყანას კრიზისიდან.

თავი 3. საგეგმო. საანრიცხვო. სტატისტიკური და საკონტროლო საქმიანობის ტრანსფორმაციის პრობლემები გარდამავალ პერიოდში

3.1.ინდიკატიური დაბეგმვა საბაზრო ეკონომიკის პირობებში

საქართველოში ეკონომიკის საბაზრო რელსებზე გადაყვანას წინ უსწრებდა გეგმიანი მეურნეობის სწრაფი ტემპით რღვევა. თავდაპირველად იგი დაიწყო ინსტიტუციური ცვლილებებით, რაც ძირითადად გამოიხატებოდა საწარმოების გეგმურ მაჩვენებელთა შემცირებით. შემდგომ გაჩნდა პირველი შერეული საწარმოები და დაიწყო აშკარა ბრძოლა გეგმასა და ბაზარს შორის. ამას მოჰყვა ცენტრალიზებული დაგეგმვის სრული მოშლა. გაიყარა საკავშირო და რესპუბლიკური საწარმოების გზები. სხვა ზოგიერთმა სახელმწიფოებმა, რომლებიც ადრე სსრკ-ს შემადგენლობაში შედიოდნენ, მეტი სიფრთხილე გამოიჩინეს და შეეცადნენ ამა თუ იმ ფორმით შეენარჩუნებინათ დაგეგმვის ელემენტები. საქართველოში კი გეგმა და ბაზარი თავიდანვე შეუთავსებელი აღმოჩნდა და მთლიანად უარი ეთქვა მეურნეობის გეგმიან ორგანიზაციას.

გეგმისა და ბაზრის ასეთმა კატეგორიულმა დაპირისპირებამ კიდევ უფრო გააღრმავა ეკონომიკური კრიზისი. დღეს უკვე ნათელი გახდა, რომ შეცდომა იყო ძველის ერთი ხელის მოსმით ნგრევა და წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრების პირობებში დაგეგმვაზე სრული ხელის აღება, მისი შიშველი პროგნოზირებით შეცლა. შეცდომა იყო ყოველივე ძველზე უარის თქმა, მანამ, ვიდრე მართვის ახალი მექანიზმი არ შემუშავდებოდა. ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში გადავარდნამ, გეგმიანი მეურნეობიდან ქაოსურ, ველურ ურთიერთობაზე გადასვლამ დიდი ზიანი მიაყენა ქვეყანას. რასაკვირველია, სწორი იყო ძველი შინაარსით დირექტიულ გეგმიან მეურნეობაზე უარის თქმა, ეკონომიკური რეფორმების ჩატარება, ერთი სიტყვით, მართებული იყო გარდაქმნის სტრატეგია, მაგრამ ბევრი შეცდომა იქნა დაშვებული ტაქტიკურ საქმიანობაში, გარდაქმნის კონკრეტული გზებისა და ფორმების რეალიზაციაში.

როგორც უკვე ზემოთ (თავი I, პარაგრაფი 5) აღვნიშნეთ, საბაზრო ეკონომიკის პირობებში და მით უმეტეს გარდამავალ პერიოდში, აუცილებელია ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება. ისმება ბუნებრივი და ლოგიკური კითხვა. რა ბერკეტებით უნდა ჩაერიოს სახელმ-

წიფო ეკონომიკის რეგულირებაში? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ისევ საბაზრო ეკონომიკის განვითარებული ქვეყნების გამოცდილებას უნდა მივმართოთ. როგორც მათი პრაქტიკის განზოგადება გვიჩვენებს, ყველა ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის რეგულირებისათვის გამოიყენება დაგეგმვა, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად იწოდება. დღეისათვის ძირითადად ხმარებაშია ტერმინები – სახელმწიფო პროგრამირება, ეროვნული დაგეგმვა, პროგრამულ-მიზნობრივი დაგეგმვა, სტრატეგიული დაგეგმვა, ინდიკატიური დაგეგმვა, ეკონომიკური დაგეგმვა და სხვ. მართალია, ამ კატეგორიებს თავიანთი სპეციფიკური დატვირთვა გააჩნიათ და ისინი გარკვეულწილად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ მათ აქვთ მთავარი გამაერთიანებელი – ისინი ემსახურებიან სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური პროცესების რეგულირებას.

თუ მეორე მსოფლიო ომამდე და ომის შემდგომ პერიოდში ძირითადად გამოიყენებოდა სახელმწიფო პროგრამირება, დღეისათვის უპირატესობა მინიჭებული აქვს ინდიკატიურ დაგეგმვას. ტერმინი „ინდიკატიური დაგეგმვა“ სინონიმია „ლიბერალური“ „შერბილებული“ დაგეგმვისა. ავტორების ერთი ნაწილი ტერმინში „indicative“ ფართო გაგებით გულისხმობს ყველა სახის დაგეგმვას, რომელიც „არაიძულებით“ ხასიათს ატარებს.

სოციალ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატორებად გამოიყენებიან მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ ეკონომიკის დინამიკას, სტრუქტურას, ეფექტიანობას, ფინანსებისა და ფასების მოძრაობას, ფულის მიმოქცევის მდგომარეობას, საქონლისა და ფასიანი ქაღალდების ბაზარს. დასაქმებას, მოსახლეობის ცხოვრების დონეს, საგარეო-ეკონომიკურ კავშირებს და ა. შ.

ინდიკატიური დაგეგმვის მეთოდი ეფუძნება მის ორ ურთიერთდაკავშირებულ პროცესს. პირველი, ესაა პირველადი ინფორმაციის შეგროვების პროცესი და მეორე, ყველა მიღებული მასალის ტრანსფორმაციისა და ანალიზის საფუძველზე ბაზრის გამოკვლევის პროცესი. ინდიკატიურ გეგმაში წამოყენებული ამოცანები ატარებს რეკომენდაციის ხასიათს და მათი მიღწევის უზრუნველყოფა რესურსებით და წარმოების საშუალებებით ყოველთვის არაა გათვალისწინებული. ამიტომ ასეთი გეგმის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს ეკონომიკური პროგნოზები, რომელთა არსი მდგომარეობს მთელი ეროვნული ეკონომიკის ან მისი ცალკეული დარგების გრძელვადიანი განვითარების შესაძლო მდგომარეობის განჭვრეტაში. სწორედ ასეთ პროგნოზებს ზოგჯერ ეროვნულ პროგრამებსა და ეკონომიკური განვითარების გეგმებსაც უწოდებენ. რამდენადაც ინდიკატიური გეგმები დაკავშირებულია საბაზრო ეკონომიკასთან, მეტწილ შემთხვევებში იგი ბაზრის კონიუნქტურის განსაზღვრას ემსახურება.

ინდიკატიური გეგმები საშუალებას იძლევა ორგანულად და მჭიდროდ შეაკავშირონ ერთ მთლიან დოკუმენტად სახელმწიფოს სოციალ-ეკონომიკური განვითარების კონცეფცია, ეკონომიკის ფუნქციონირების პროგნოზები, სახელმწიფო პროგრამები, ეკონომიკურ რეგულირებათა სისტემა, მიწოდებანი სახელმწიფო საჭიროებისათვის, სახელმწიფო ინვესტიციები და ა. შ.

ინდიკატიური დაგეგმვის ერთ-ერთი მთავარი მიზანია კერძო სექტორის ფარგლებში გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაციის მოწესრიგება. ასეთი დაგეგმვა მოიცავს ორ მთავარ ელემენტს — საგეგმო დავალებათა რეალიზაციის ნაწილში დაძალების მინიმუმს და გადაწყვეტილების მიღების ნაწილში თავისუფლების მაქსიმუმს. ინდიკატიური დაგეგმვა ხელს უწყობს საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირებას იმით, რომ ამცირებს განუსაზღვრელობას. იგი არის სისტემა, რომელიც ეფუძნება სასურველი მიზნების გამოვლენას და არა ბრძანებებს მათი მიღწევისათვის. ამრიგად, ინდიკატიური დაგეგმვის მიზანია განვითარების პერსპექტიული ტრაექტორიების განჭვრეტა და არა მისი ტრანსფორმაცია. ასეთ გეგმაში ფიქსირდება არა შესრულებისათვის აუცილებელი, არამედ ე. წ. სასურველი მიზნები. ამიტომაც ინდიკატიური გეგმები დგება არადეტალიზებული მაჩვენებლებით. იგი აიგება მხოლოდ ურთიერთდაკავშირებულ ზოგად მაკროეკონომიკურ პარამეტრებში, უკეთეს შემთხვევაში ეკონომიკის წამყვანი დარგების (სექტორების) ჭრილში..

ინდიკატიური დაგეგმვა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს დროის ამა თუ იმ მონაკვეთში ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარების სასურველი და შესაძლო ზღვრების დადგენას გარკვეულ ალბათობათა და სიზუსტით გაანგარიშებული პროგნოზული პარამეტრების მეშვეობით. ინდიკატიური დაგეგმვის მთავარი მიზანია განისაზღვროს ხელისუფლების საშუალო და გრძელვადიანი ეკონომიკური პოლიტიკა და მისი რეალიზაციის პრიორიტეტული მიზნები და გზები. ამასთან, გეგმურ ამოცანათა რეალიზაციის დროით ინტერვალებს არა აქვს მკაცრი შემოსაზღვრულობა და არ ატარებს სავალდებულო კანონის სახეს. ინდიკატიური გეგმა მეტწილ შემთხვევაში ხუთი წლის ვადით დგება. იგი მოიცავს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მხოლოდ ზოგად კონტურებს, მაკროეკონომიკურ სტრუქტურას, ეკონომიკური ზრდის ტემპებს, ინფლაციის დონეს, უმუშევრობას, კაპიტალის ინვესტიციის მიმართულებებს, სოციალური უზრუნველყოფის ასპექტებს. ამასთან, ამ ბოლო პერიოდში ინდიკატიური დაგეგმვის ფარგლებში ფართოდ გამოიყენება ცალკეული გადაუდებელი პირველი რიგის პრობლემებზე მიზნობრივი პროგრამების შედგენა. ძირითადად ამუშავებენ ცალკეული რეგიონების ათვისების, მნიშვნელოვანი საწარმოო და სოციალური ობიექტების მშენებლობის, რკინიგზისა და ავტომაგისტრალების აგების, ბუნების

დაცვის, საბინაო მშენებლობისა და სხვა პრობლემებზე მიზნობრივ პროგრამებს. ამასთანავე, ინდიკატიური დაგეგმვა მოიცავს წლიური პროგნოზებისა და ეროვნული ბიუჯეტის შედგენის პროცესს.

სოციალ-ეკონომიკურ პროცესებზე სახელმწიფოებრივი ზემოქმედების მიზნით ინდიკატიური გეგმის ფარგლებში გამოიყენება ცენტრალიზებული საფინანსო-სავალუტო და საკრედიტო საშუალებანი, საგადასახადო ბერკეტები, ამორტიზაციის სისტემა, საბაჟო ტარიფები, ლიცენზიები, კვოტები, პროდუქციის მიწოდების მოცულობა სახელმწიფო საჭიროებისათვის და ა. შ.

ინდიკატიური დაგეგმვის მეშვეობით ხორციელდება სხვადასხვა სოციალური ჯგუფის, სამინისტროს, უწყების და საბაზრო სტრუქტურის ინტერესების კოორდინაცია და ურთიერთშეთანაწყობა. მართალია, ასეთ გეგმას არ შეუძლია კონტროლი გაუწიოს კერძო სექტორს, რადგან ეს უკანასკნელი გეგმის წინაშე არავითარ ვალდებულებას არ ღებულობს, მაგრამ მისი საშუალებით ხდება კერძო სექტორის აქტიურობის პროგნოზების შედგენა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ეკონომიკური პროგნოზები რეალობისაგან არსებითად განსხვავდება, რაც ძირითადად განპირობებულია სიტუაციების ცვლილებით ქვეყნის შიგნით ან მთელ მსოფლიოში, მთავრობების ხშირი მონაცვლეობით, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დეფიციტით, ბუნების კატაკლიზმებით და სხვ. ამიტომაც ინდიკატიური გეგმები მხოლოდ ზოგადპოლიტიკური და მაკროეკონომიკური ტენდენციების ასახვის ფუნქციას ასრულებს. ხუთწლიან ინდიკატიურ გეგმაში არაა მიზანშეწონილი მიზნებისა და ამოცანების ყოველწლიურად დიფერენცირება, ისინი გარკვეულწილად გრძელვადიანი ხასიათისაა და მასში მხოლოდ ნაწილობრივ შეიტანება კორექტივები. ასეთ გეგმაში მოცემულია განვითარების ტემპები და ზოგადი მიმართულებები. ხუთწლიანი გეგმის რეალიზაცია ხდება წლიური გეგმა-პროგნოზების მეშვეობით, რომელშიც შედარებით დეტალიზებულად აისახება მოცემულ პერიოდში განვითარების პროგნოზები და ტენდენციები. ასეთი გეგმა ქვეყნის ეროვნული ბიუჯეტის ფორმირების ძირითადი საფუძველია.

ინდიკატიური გეგმის ეკონომიკურ ბერკეტებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება გადასახადებს. სახელმწიფო გადასახადების მეშვეობით ახდენს აქტიურ გავლენას ამა თუ იმ დარგის განვითარებაზე, კვების პროდუქტებისა და ფართო მოხმარების საქონლის წარმოებაზე, სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებაზე.

ეკონომიკური რეგულირებისათვის ინდიკატიური დაგეგმვის ფარგლებში სახელმწიფო ფართოდ იყენებს საკრედიტო სისტემებს, ქმნის ხელსაყრელ პირობებს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის. დაგეგმვის მეშვეობით სახელმწიფო აგრეთვე ფართოდ იყენებს სტანდარ-

ტიზაციის სისტემას, რომელიც ყველა ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების აუცილებელი ატრიბუტია.

ამრიგად, ინდიკატიური დაგეგმვა ძირეულად განსხვავდება სოციალისტური დირექტიული დაგეგმვისაგან. იგი არის ეკონომიკაზე იდეოლოგიური გავლენის ინსტრუმენტი, მისი მთავარი ამოცანაა საბაზრო ურთიერთობათა ჩარჩოებში სახელმწიფო და კერძო სექტორის საქმიანობის კოორდინაცია, სოციალისტური დაგეგმვა კი ეფუძნებოდა ზევიდან ბრძანებას და სავალდებულო წესით განსაზღვრავდა პროდუქტის წარმოების მოცულობას, მისი გამოშვების ხერხებსა და ფორმებს და ამით ზღუდავდა მეწარმეობის ბუნებრივ პრინციპებს.

პირველი ინდიკატიური გეგმები გამოჩნდა 30-იან წლებში (ცნობილია, ფ. რუზველტის „ახალი კურსი"). მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მრავალ კაპიტალისტურ ქვეყანაში გაჩნდა ნაციონალური დაგეგმვის სისტემა, რომელსაც ძირითადად სარეკომენდაციო-ინდიკატიური მიმართულება ჰქონდა. მიკროწარმოების მასშტაბებისა და ეკონომიკური კავშირების ზრდის შემდეგ ცალკეულ ფირმებს გაუჩნდათ აუცილებლობა არათუ მიმდინარე, არამედ პერსპექტიული გეგმების შედგენისა. პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ მიკროდონეზე გეგმა და ბაზარი კი არ გამორიცხავს ერთმანეთს, არამედ არეგულირებს და ავსებს.

დღეისათვის საბაზრო ეკონომიკის გეგმიანი სახელმწიფოებრივი რეგულირების მდიდარი გამოცდილება არსებობს მსოფლიოს მრავალ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყანაში. დაგეგმვამ განსაკუთრებით ფართო განვითარება პოვა საფრანგეთში, სადაც ომის შემდგომ პერიოდში სახელმწიფო აშკარად ერეოდა ეკონომიკაში. გეგმების შედგენამ რეგულარული ხასიათი მიიღო. პირველი ფრანგული გეგმა (1945 წ.) მოიცავდა ძირითადი სტრატეგიული პროდუქციის (მეტალის, ელექტროენერგიის, ხე-ტყის და ა. შ.) წარმოების მაჩვენებლებს. ამასთან, აღნიშნული გეგმები საფრანგეთში საბჭოური ცენტრალიზებული გეგმების გავლენას განიცდიდა, მაგრამ 1960-იანი წლებიდან დაიწყო ინდიკატიური გეგმების შედგენა, რამაც შესაძლებელი გახადა დემოკრატიულ საფუძველზე განხორციელებულიყო სახელმწიფო და კერძო სექტორის კოორდინირება. ამჟამად საფრანგეთში სახელმწიფო ინდიკატიური დაგეგმვის საშუალებით არეგულირებს ამა თუ იმ პროდუქციის გამოშვებას, ხშირად სახელმწიფო გამოდის დამკვეთის როლში, განსაკუთრებით კი იმ პროდუქტებისა, რომლებიც განკუთვნილია მოსახლეობის სოციალური დაცვისა და დასაქმების უზრუნველყოფისათვის. სახელმწიფო აგრეთვე გეგმების საშუალებით ახორციელებს რკინიგზების, კომუნიკაციებისა და სხვა კოლექტიური სარგებლობის საშუალებათა მშენებლობას.

დაგეგმვის პრინციპები ფართოდ გამოიყენება აგრეთვე იაპონიის ეკონომიკის რეგულირებაში. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემ-

დეგ იაპონიაში შემუშავდა ათეულობით ინდიკატიური (ეკონომიკური) გეგმა, რომელთა მთავარი მიზანი იყო ომის შედეგად დანგრეული მეურნეობების აღდგენა, დაბალანსირებული ეკონომიკური ზრდის მიღწევა, ქვეყნის ენერგორესურსებით უზრუნველყოფა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და ა. შ. იაპონიაში დღესაც ეკონომიკის რეგულირებაში არსებითი როლი განეკუთვნება ინდიკატიურ დაგეგმვას, მისი საშუალებით განისაზღვრება ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარების საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგია. იაპონიაში ხელისუფლება პასუხს აგებს ინდიკატიური გეგმის რეალიზაციაზე. რაც შეეხება ქვეყნის კერძო სექტორს, აქ ინდიკატიური გეგმები მეტწილად „შუქურის" როლს ასრულებს და უზრუნველყოფს მათ ინფორმაციით მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სხვა სტრატეგიული დარგების განვითარების შესახებ.

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებას ადგილი აქვს აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. მართალია, მას გამოკვეთილად ინდიკატიური დაგეგმვის სახე არა აქვს, მაგრამ ამერიკაში ამ მიზნით ფართოდ გამოიყენება ანტიმონოპოლიური კანონმდებლობები, საგადასახადო სისტემა, ფასებზე კონტროლის ფორმები, ლიცენზირების სისტემა, საქონლის ექსპორტის შეზღუდვის მექანიზმები და ა. შ. სახელმწიფო ახდენს შრომის ბაზრის რეგულირებას, ადგენს ხელფასის მინიმალურ ზღვარს. ამასთანავე, აშშ-ში სახელმწიფო ეკონომიკაზე მარეგულირებელ გავლენას ახდენს მართვის სხვადასხვა საფეხურზე — ფედერალური, შტატების და მუნიციპალური ხელისუფლების დონეებზე.

დაგეგმვის მეშვეობით ეკონომიკის რეგულირების სხვადასხვა ფორმა დამკვიდრებულია აგრეთვე გერმანიაში, ინგლისში, ნიდერლანდებში, კორეასა და სხვა ქვეყნებში. ინდიკატიურ დაგეგმვას განსაკუთრებით აქტიურად იყენებენ აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის განვითარებადი ქვეყნები. ამ მიმართულებით მუშაობა იწლება ახლო აღმოსავლეთის ყოფილ სოციალისტურ სახელმწიფოებში და ყოფილ სსრკ-ში შემავალ ქვეყნებში, რომლებიც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გზას დაადგნენ.

განსაკუთრებული ორიგინალობით და წარმატებით მიმდინარეობს ეკონომიკის გეგმის საშუალებით რეგულირება ჩინეთში. ამ საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრება ხდება სოციალიზმის ბაზაზე. ბაზრის ფორმირებაში კერძო და კოოპერატიულ სექტორთან ერთად ფართოდ მონაწილეობს სახელმწიფო, რომლისთვისაც შერბილებულ ფორმაში შენარჩუნებულ იქნა დირექტიული დაგეგმვა. არასახელმწიფო სექტორში პრიორიტეტი მიენიჭა ინდიკატიურ დაგეგმვას და საბაზრო რეგულირებებს. ამის შედეგად ქვეყანაში ჩამოყალიბდა ორსექტორიანი შერეული ეკონომიკა, რომელიც ერთ შემთხვევაში რეგულირდება გეგმით, მეორეში

კი — ბაზრით. მოქნილი შეთანწყობა ამ ორი მეურნეობრივი ურთიერთობისა უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებს. ნიშანდობლივია, რომ ჩინეთში ეკონომიკის საბაზრო რელსებზე გადაყვანა დაიწყო გეგმიანი სახელმწიფო სექტორის ნგრევის გარეშე. სახელმწიფო საწარმოებმა გარდაქმნეს მუშაობა ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

ევროპის პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, შემდგომ კი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში საბაზრო ეკონომიკისაკენ სხვა გზა იქნა აღიარებული. მთავარ მიმართულებად არჩეულ იქნა სახელმწიფო საწარმოთა კერძო საკუთრებაში გადაცემა და აქციონირება. მაქსიმალურად ეთქვა უარი სახელმწიფო სექტორს, შესაბამისად შეწყდა სახელმწიფო დაგეგმვა, რამაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიგვიყვანა კრიზისის გაღრმავებამდე.

ეკონომიკური გარდაქმნების გაჭიანურებასა და არაეფექტიანობაში განსაკუთრებული როლი ითამაშა რუსეთის მიერ გატარებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ. რუსეთმა თავიდანვე უარყო კეინსისეული მოდელი და თავის რეფორმებს საფუძვლად დაუდო მონეტარისტული მიდგომა. რამდენადაც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები სსრკ-ს რღვევის შემდგომ გარკვეულ პერიოდში სამანეთო სივრცეში იმყოფებოდნენ, იძულებული გახდნენ გაეტარებინათ რეფორმების რუსული მოდელი. ასე მოხდა საქართველოშიც, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა ეკონომიკური ვითარება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ზოგიერთმა ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ, რომელსაც შეეძლო დამოუკიდებელი გზით ეკონომიკის წარმართვა, გარკვეულად უარი თქვა „შოკურ თერაპიაზე" (უზბეკეთი, თურქმენეთი, ყაზახეთი). ამ ქვეყნებმა შეინარჩუნეს ეროვნული შემოსავლის დინამიკის შედარებით მაღალი მაჩვენებელი და უზრუნველყვეს საცალო ფასების სტაბილური დონე. არსებითი როლი აქ შეასრულა იმან, რომ ამ სახელმწიფოებმა, ასე თუ ისე, მოახერხეს პირველადი მოხმარების საქონლის ნორმატიული გაყიდვა და ფასთასხვაობის ბიუჯეტიდან დოტაციური წესით დაფარვა.

საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრებაში რუსული მიდგომა არ აღმოჩნდა ეფექტური; ამიტომაც ამ პროცესის დაწყებიდან 1,5 წლის შემდეგ ი. გაიდარის პოლიტიკა მოდიფიცირებულ იქნა ვ. ჩერნომირდინის მიერ. ახლა მთავარი აქცენტი აღებულია სტრუქტურული პოლიტიკის სრულყოფისაკენ, რისთვისაც დგება მიზნობრივი პროგრამები, ძლიერდება სახელმწიფოს როლი ეკონომიკის რეგულირებაში, დაიწყო სოციალ-ეკონომიკური განვითარების გეგმა-პროგნოზის შედგენა, საფუძველი ეყრება ინდიკატიურ დაგეგმვას. ამჟამად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში შეინიშნება დირექტიულ დაგეგმვიდან ინდიკატიურ დაგეგმვაზე გადასვლის ევოლუციური პროცესი. უკრაინაში უკვე დგება ინდიკატიური გეგმა. მოსამზადებელი

სამუშაოები მიდის ყაზახეთში, ბელორუსში, რუსეთსა და სხვა ქვეყნებში. თუმცა ეს ქვეყნები ჯერჯერობით შორსაა რეალური ინდიკატიური გეგმების შედგენისაგან, რადგან ჯერ კიდევ არაა შემუშავებული ასეთი გეგმების ფორმირების მეთოდოლოგია და მეთოდიკა.

დღეისათვის არა მხოლოდ პოსტკომუნისტურმა ქვეყნებმა დაიწყო ეკონომიკის მართვის ფორმებისა და მეთოდების გადასინჯვა, არამედ განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებიც კი არსებითად ცვლიან ამ საქმეში თავიანთ კონცეფციებს. მსოფლიო ეკონომიკური მეცნიერება დღეს მთელი ძაბვითაა დაკავებული ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებისა და „პლანოლოგიის" ახალი პარადიგმების ძიებით. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია რომში 1993 წელს გამართული მსოფლიო კონფერენცია პლანოლოგიის საკითხებზე, სადაც განიხილებოდა ეკონომიკის სახელმწიფოებრივი მართვის საკითხები არა მხოლოდ ცალკეული ქვეყნების საზღვრებში, არამედ გლობალურად, მთელი მსოფლიო ეკონომიკური სისტემის მასშტაბით. აქ ხაზგასმით აღინიშნა, რომ ცენტრალურად მართვადი ეკონომიკის რღვევამ არ უნდა გამოიწვიოს სახელმწიფო როლის აბსოლუტურად უარყოფა ეკონომიკის მართვაში, არამედ უნდა შეიცვალოს დაგეგმვის ინსტიტუციური ორგანიზაციის ხასიათი.

ამ ფონზე მისასალმებელია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატიური დაგეგმვის შესახებ. აღნიშნული დადგენილების საფუძველზე რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ სხვა უწყებებთან ერთად შეიმუშავა პირველი ინდიკატიური გეგმა 1993-1995 წლებისათვის. აღნიშნული გეგმა შედგება ოთხი ნაწილისაგან: საქართველოს რესპუბლიკის სოციალ-ეკონომიკური განვითარების პრინციპები; ეკონომიკური და სოციალური განვითარების ამოცანები და პროგნოზი 1993-1995 წლებისათვის; ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება და სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები; საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1993-1995 წლების ინდიკატიური გეგმის ძირითადი საპროგნოზო მაჩვენებლები.

პირველ ნაწილში მოცემულია საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სისტემის ჩამორჩენის მიზეზების დახასიათება, შემუშავებულია განვითარების კონცეპტუალური პრინციპები, სტრატეგია, მიზანი, პრიორიტეტების სისტემა, კრიზისიდან გამოსვლის ღონისძიებათა პროგრამა. აღწერილია მაკროეკონომიკური და ინსტიტუციური პოლიტიკის მიმართულებანი, სტრუქტურული პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, ინვესტიციური საქმიანობის სტიმულირების მექანიზმი. დიდი ადგილი აქვს დათმობილი მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის, სექტორული პოლი-

ტიკის, რეგიონული და საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების მეთოდოლოგიურ და ორგანიზაციულ საკითხებს.

ინდიკატიური გეგმის მეორე ნაწილი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური პარამეტრები; ფასები და ფასწარმოქმნა; მოსახლეობის ფულადი შემოსავლებისა და ხარჯების ბალანსი; ინვესტიციები; მოსახლეობა, დასაქმება და ცხოვრების დონე; პრივატიზაცია და ბაზრის ფორმირება; მეცნიერულ-ტექნოლოგიური განვითარება; სოციალური ინფრასტრუქტურა; აგროსამრეწველო კომპლექსი; მრეწველობა; კომუნიკაციები; სამშენებლო კომპლექსი; რეგიონალური ეკონომიკა; პროდუქციის ექსპორტ-იმპორტი; უმნიშვნელოვანესი რესურსებისა და სტრატეგიული პროდუქციის ბალანსები.

აღნიშნული გეგმის მესამე ნაწილში ძირითადად წარმოდგენილია ის ეკონომიკური ბერკეტები, რომლებითაც ხორციელდება ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება: ფასწარმოქმნა, სახელმწიფო ბიუჯეტი, ანტიმონოპოლიური პოლიტიკა, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები და სხვ. განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ფორმირებას. სულ შედგენილია 70 სხვადასხვა სახის საწარმო, რესურსული, სამომხმარებლო, მომსახურების დარგის, რეგიონალური და სხვა პროგრამები. თითოეული პროგრამა შედგენილია შემდეგ ჭრილში: პროგრამის არსი, პროგრამის მოსალოდნელი ეფექტი, პროგრამის ობიექტი, პროგრამის ობიექტის მდგომარეობა, საჭირო ინვესტიციები, მოსალოდნელი ვადები (პროგრამის რეალიზაციის, პირველი შედეგების მიღების), პროგრამის რეალიზაცის ბაზარი, პროგრამის რეალიზაციაზე პასუხისმგებელი უწყება.

დაბოლოს, მეოთხე ნაწილში მოცემულია ინდიკატიური გეგმის შემდეგი განყოფილებების პროგნოზული (ციფრობრივი) მაჩვენებლები: მაკროეკონომიკა, მეცნიერება და ტექნოლოგია, სოციალური სფერო, აგროსამრეწველო კომპლექსი, მრეწველობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, კაპიტალური მშენებლობა, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები, უმნიშვნელოვანესი რესურსებისა და სტრატეგიული პროდუქციის საბალანსო მაჩვენებლები 1994 წლისათვის.

ამრიგად, საქართველოს რესპუბლიკის სოციალ-ეკონომიკური განვითარების პირველი ინდიკატიური გეგმა წარმოადგენს ეკონომიკური რეფორმების თეორიისა და პრაქტიკის სინთეზს, ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების მეთოდოლოგიურ საფუძველს. ბუნებრივია, იგი როგორც ამ ტიპის პირველი სამთავრობო დოკუმენტი, არ არის დაზღვეული ნაკლოვანებებისაგან, რაზედაც ჩვენ ნაწილობრივ უკვე აღვნიშნეთ (თავი 1, პარაგრაფი 2). უნდა ითქვას ისიც, რომ ამ დოკუმენტში არაა ბოლომდე გააზრებული მიზნობრივი პროგრამების არსი და დანიშნულება. მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, მიზნობრივი პროგრამები

მუშავდება ყველაზე უფრო გადაუდებელ და მომწიფებულ პრობლემებზე და სახელმწიფო და კერძო ინვესტიციები წარიმართება მის გადასაწყვეტად პრიორიტეტული წესით. ერთდროულად არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია ყველა მწვავე პრობლემაზე პროგრამების რეალიზაცია. მათი მიზნის ხაზე დალაგება ხდება პრიორიტეტების თეორიის საფუძველზე და როგორც წესი პროგრამების რიცხვი ერთდროულად არ უნდა აღემატებოდეს 3-4. ჩვენს შემთხვევაში 70 მიზნობრივი პროგრამის რესურსული უზრუნველყოფა შეუძლებელია.

ასე თუ ისე, ჩვენი აზრით, ინდიკატიურ და პროგრამულ-მიზნობრივ დაგეგმვაზე ეკონომიკური სისტემის გადაყვანა გარდამაულ პერიოდში (და მის შემდგომაც) უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია ეკონომიკური რეფორმების რეალიზაციის გზაზე საქართველოში. რესპუბლიკაში ინდიკატიური გეგმის მეშვეობით სახელმწიფო ჩაერევა ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, როგორიცაა სოციალ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიისა და სტრუქტურული პოლიტიკის განსაზღვრა, სახელმწიფოებრივი სექტორის რეგულირება, მოსახლეობის სოციალური დაცვა და სახელმწიფო რეზერვების ფორმირება, ეკონომიკური პროცესების ანალიზი და პროგნოზირება, მატერიალური ნაკადების განაწილება, საფინანსო რეგულირება და ა. შ.

ინდიკატიურ დაგეგმვაში უნდა აისახოს. რესპუბლიკის სოციალ-ეკონომიკური განვითარების ინერციულ-გენეტიკული და ნორმატიულ-აქტიური პროგნოზები, რომლის საფუძველზე შესაძლებელი გახდება განვითარების აუცილებელი და სასურველი მიჯნების განსაზღვრა, დადგინდება ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და მათი რეალიზაციის გზები და საშუალებები. ინდიკატიური დაგეგმვის საშუალებით მოწესრიგდება ინფორმაცია კერძო სექტორის საწარმოო საქმიანობის შესახებ და პირიქით, კერძო სექტორს მიეწოდება ინფორმაცია სახელმწიფო სექტორის შესაძლებლობებსა და საქმიანობაზე, რითაც მოხდება საკუთრების კოორდინაცია და რეგულირება.

ინდიკატიური გეგმის შედგენა, უპირველეს ყოვლისა, სამეცნიერო კვლევითი სამუშაოა და ასეთი გეგმის პრაქტიკული დანიშნულების ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, როგორ მკაფიოდ და ნათლადაა ჩამოყალიბებული მიზნები, თუ როგორი სიღრმითაა ჩატარებული ანალიზი და როგორი სიზუსტითაა შედგენილი პროგნოზები და პროგრამები. რასაკვირველია, საჭიროა ინდიკატიური დაგეგმვის მეთოდური ინსტრუმენტარის სრულყოფა და მისი პრაქტიკული აპრობაცია. სიძნელეები უთუოდ იქნება. მათ გადასაჭრელად კი ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული ამ მიმართულებით განვითარებული ქვეყნების გამოცდილება. ამ მძიმე სამუშაოებში აქტიურად უნდა ჩაებას ეკონომიკური პროფილის სამინისტროები, უწყებები, კონცერნები, ფირმები და სხვა კერძო და

სახელმწიფო სტრუქტურები, ცალკეული მეცნიერ-მკვლევრები და სამეცნიერო ცენტრები. ინდიკატიური დაგეგმვა ეკონომიკური რეფორმების ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია და მისთვის საჭირო მყარი და მეცნიერულად დასაბუთებული თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საფუძვლების შემუშავებაზე ბევრადაა დამოკიდებული ეკონომიკის ოპტიმალური ფუნქციონირება. ჩვენმა საზოგადოებამ და მმართველმა სტრუქტურებმა უნდა გაითავისონ, რომ დღეს არ არსებობს საბაზრო ეკონომიკა სახელმწიფო რეგულირების გარეშე, რომ შეუძლებელია მკაცრად რეგულირებადი გეგმიანი მეურნეობიდან საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა სტიქიური თვითრეგულირების გზით. ამ საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულოს ინდიკატიურმა დაგეგმვამ. მან უნდა უზრუნველყოს იმ მრავალ სოციალ-ეკონომიკურ ამოცანათა გადაჭრა, რომელთა განხორციელება მხოლოდ საბაზრო მეთოდებით, სახელმწიფოებრივი ჩარევის გარეშე შეუძლებელია.

3.2.აღრიცხვის სისტემის ტრანსფორმაციის ძირითადი მიმართულებანი

საბუღალტრო აღრიცხვის სისტემა რეფორმამდელ საქართველოში ეფუძნებოდა ცენტრალიზებულად მართვადი ეკონომიკის მოთხოვნებს და პირდაპირ კავშირში იყო დირექტიული დაგეგმვის სისტემასთან. მის მთავარ ამოცანას შეადგენდა ხელმძღვანელთა უზრუნველყოფა ინფორმაციით საწარმოთა საქმიანობაზე, სახელმწიფო გეგმების შესრულებასა და სახელმწიფო საკუთრების დაცვაზე კონტროლი, იგი მთლიანად პასუხობდა ეკონომიკის ფუნქციონირებადი მოდელის მოთხოვნებს და საკმაოდ ეფექტური იყო იმ დროისათვის, მაგრამ მიუღებელი გახდა ახალი საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობისათვის. ეს ძირითადად გამოიხატა საბუღალტრო აღრიცხვაში მთელი რიგი მაჩვენებლების ფორმირების მეთოდიკის არარსებობაში ან მათ არასაკმარის დასაბუთებულობაში, რადგან მასში უნდა წარმოჩენილიყო საწარმოთა რეალური ფინანსური მდგომარეობა, მათი აქტივების ლიკვიდურობა, რესურსების გამოყენების ეფექტურობა, გადახდისუნარიანობა, სამეურნეო საქმიანობის შედეგები.

საბუღალტრო აღრიცხვის დამკვიდრებული პრაქტიკის მოწყვეტა მსოფლიო აღრიცხვის მიღწევებისაგან არის ერთ-ერთი რთული ფაქტორი საქართველოს ეკონომიკის მსოფლიო სისტემაში ჩართვის საქმეში. ყოველივე ამან დღის წესრიგში დააყენა საბუღალტრო აღრიცხვის სისტემის ძირეულად გარდაქმნის აუცილებლობა, რომლის გადასაწყვეტად საჭიროა საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი საბუღალტრო აღრიცხვის ისეთი სამართლებრივი ბაზის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს მის გადაყვანას აღრიცხვის საერთაშორისო სისტემის მოთხოვნათა შესაბამისად.

აღრიცხვის სისტემის ნაწილობრივი გარდაქმნა დაიწყო საწარმოთა და ორგანიზაციათა თვითდაფინანსების პრინციპზე გადაყვანის პერიოდში. კერძოდ, შეიცვალა აღრიცხვის ზოგიერთი მეთოდიკა, ცვლილებები იქნა შეტანილი აღრიცხვის ორგანიზაციაში და ა. შ. მაგრამ შემდგომში ნათელი გახდა, რომ საჭირო იყო აღრიცხვის სისტემის მისადაგება ცვალებად ეკონომიკურ ურთიერთობებთან, კონცეპტუალური გადამუშავება აღრიცხვასა და ანგარიშგების ყველა ნორმატიულ-მეთოდური ბაზის და, პირველ რიგში, ისეთი ნორმატიული დოკუმენტების, როგორიცაა ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა და მისი გამოყენების ინსტრუქცია, აგრეთვე დებულება მთავარ ბუღალტერზე, დებულება საბუღალტრო აღრიცხვასა და ბალანსზე, დებულება დოკუმენტებსა და დოკუმენტბრუნვაზე საბუღალტრო აღრიცხვაში და

ა. შ., რომლებიც ორიენტირებული იყვნენ გეგმიანი ეკონომიკური პირობებისათვის.

საქართველოში აღრიცხვის სისტემის ტრანსფორმაცია საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნათა შესაბამისად 1992 წელს დაიწყო. 1993 წელს დამტკიცდა ბუღალტრულ ანგარიშთა ახალი გეგმა, რომელსაც ძირითადად საფუძვლად ედო რუსეთში შემუშავებული ანალოგიური დოკუმენტი. მის შედგენაში მონაწილეობდნენ გაეროს ტრანსნაციონალური კორპორაციის ცენტრის ექსპერტები. აღნიშნული გეგმა გარკვეულწილად ინარჩუნებს მემკვიდრეობითობას ძველ გეგმასთან (შედგენის სტრუქტურა, ანგარიშგების და სუბანგარიშების დასახელება და კოდირების თანამიმდევრობა), მაგრამ, ამასთან ერთად, იგი ეფუძნება ახალ კონცეფციას და ითვალისწინებს საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს. აღნიშნული გეგმით შესაძლებელი გახდა აღრიცხვის ძველი სისტემის ისეთი ნაკლოვანებების აღმოფხვრა, როგორიცაა კაპიტალის ბრუნვის იგნორირება, ნატურალური მიდგომის გაზვიადება საწარმოს სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვის მეთოდიკაში, ზოგიერთი ოპერაციების უგულებელყოფა საბუღალტრო აღრიცხვაში, მათ შორის საბაზრო ეკონომიკის პირობებში ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტების, როგორიცაა ფინანსური დაბანდება, არამატერიალური აქტივები, სავალუტო ოპერაციები, ლიზინგი და ა. შ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, გარკვეული ცვლილებები განიცადა საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების დებულებებმა და ინსტრუქციულმა მასალებმა. საწარმოებს გაუფართოვდათ უფლებები საბუღალტრო აღრიცხვის. მეთოდების შერჩევაში, ინვენტარიზაციის ჩატარებაში, ბალანსიდან ჭონებისა და ვალდებულებების ჩამოწერაში, ფონდებისა და რეზერვების შექმნასა და გამოყენებაში.

ახლებურადაა ჩამოყალიბებული საბუღალტრო აღრიცხვის ამოცანები. ძირთად ამოცანად მიჩნეულია საწარმოო საქმიანობისა და შედეგების შესახებ ზუსტი და საიმედო ინფორმაციის მიღება, რომლის გამოყენება შესაძლებელი იქნება როგორც საწარმოს ოპერატიული მართვისა და ხელმძღვანელობისათვის, ასევე ინვესტორების, კრედიტორების, საგადასახადო, საფინანსო, საბანკო და სხვა დაინტერესებული იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის. გამარტივებულია საბუღალტრო ანგარიშგების შედგენის, წარმოდგენისა და დამტკიცების პროცედურა. მთავარ ბუღალტრებს გარკვეულწილად შეუმსუბუქდათ საწარმოთა ჭონების დაცვისა და საშუალებათა გამოყენების სისწორისადმი პასუხისმგებლობა.

შეიცვალა აგრეთვე საწარმოს წლიური ანგარიშის სტრუქტურა. მასში შეტანილია ისეთი ცვლილებები, რომლითაც იგი არსებითად მიუახლოვდა საფინანსო ანგარიშის საერთაშორისო ნორმებს, განსაკუთრებით ანგარიშის შემადგენლობის ნაწილში, საანგარიშგებო ბალანსის

აქტივისა და პასივის სტრუქტურაში, ჭონების შეფასების პრინციპებში და სხვ.

გატარდა სხვა ღონისძიებებიც საბუღალტრო აღრიცხვის საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩვენი საბუღალტრო აღრიცხვა ჯერ კიდევ ყოფილი საბჭოური აღრიცხვის სახეს ინარჩუნებს. ამასთან, აღრიცხვის სისტემის სრულყოფის მიმართულებით მუშაობა რესპუბლიკაში უფრო მეტ გააქტიურებასა და დაჩქარებას საჭიროებს.

ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია საქართველოში საბუღალტრო აღრიცხვის რეგლამენტაციის მრავალდონიანი სისტემის ჩამოყალიბება. პირველ (უმაღლეს) დონეზე უნდა მოექცეს სახელმწიფო კანონი საბუღალტრო აღრიცხვის შესახებ, რომელიც უშუალოდ განსაზღვრავს მის ადგილსა და ურთიერთკავშირს სამეურნეო სამართლის სხვა საკანონმდებლო აქტებთან. საბუღალტრო აღრიცხვის სამართლებრივი რეგულირების საკითხი კარგადაა ორგანიზებული საბაზრო ეკონომიკის კლასიკურ ქვეყნებში. მათ მიაღწიეს მრავალრიცხოვანი კანონის ძალის მქონე აქტებზე და ინსტრუქციებზე უარის თქმას და აღრიცხვის შესახებ სახელმწიფო კანონის მიღებას. თუმცა აღნიშნული საკითხი სხვადასხვა ქვეყანაში ერთნაირად როდია გადაწყვეტილი, ზოგიერთი ქვეყნები საბუღალტრო აღრიცხვის პრინციპებს დეტალურად აფიქსირებენ სხვადასხვა კანონში. მაგალითად, გერმანიაში — სავაჭრო კოდექსებში, საშემოსავლო გადასახადების შესახებ კანონში, ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონში და ა.შ. ფინეთში აღრიცხვის პრინციპები ლაკონიურადაა ჩამოყალიბებული საბუღალტრო აღრიცხვის კანონში. საფრანგეთსა და იაპონიაში კანონის ძალა აქვს მინიჭებული საბუღალტრო აღრიცხვის წესებს. არის ქვეყნები, სადაც საბუღალტრო აღრიცხვის პრინციპები დგება მეწარმეთა ორგანიზაციების ზემოქმედებით. ამასთან, ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, კანადაში მეწარმეთა ორგანიზაციების კონტროლი ხდება პროფესიული საბუღალტრო ასოციაციების მიერ, ხოლო ზოგიერთში (აშშ) იგი არაა დამოკიდებული პროფესიონალ ბუღალტრებზე. საქართველოში ავტონომიური კანონის შემუშავება და მიღება საბუღალტრო აღრიცხვის შესახებ ნაკარნახევია იმით, რომ დღეისათვის აღრიცხვის სისტემა თითქმის მოშლილი და მოუწესრიგებელია, რაც მეტწილად განპირობებულია იმით, რომ გეგმიანი მეურნეობის პირობებში საბუღალტრო აღრიცხვას ტრადიციულად დაქვემდებარებული მნიშვნელობა ჰქონდა სამეურნეო სამართლის სხვა ელემენტებთან მიმართებაში, განსაკუთრებით კი საგადასახადო კანონმდებლობასთან.

სააღრიცხვო სისტემის დონეზე უნდა შედგეს ნორმატიული აქტები, რომლებიც ასახავენ პრინციპულ დებულებებს უშუალოდ აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირებისათვის. რეგლამენტაციის მესამე დონეზე

უნდა იქნეს წარმოდგენილი აღრიცხვისა და ანგარიშგების სტანდარტები, რომლებშიც აისახება მეთოდოლოგიური, მეთოდური და ორგანიზაციული საკითხები. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა შედგეს სტანდარტები ანგარიშგების აღრიცხვისა და ანგარიშგების შემდეგ პრობლემებზე: სამეურნეო სუბიექტის საფინანსო ანგარიშგება; ბალანსისა და ანგარიშგების შედგენის წესი; კონსოლიდირებული საფინანსო ანგარიშგება; სააღრიცხვო პოლიტიკის დასაბუთება; ამორტიზებული ქონებისა და საამორტიზაციო ანარიცხების აღრიცხვა; არამატერიალური აქტივების აღრიცხვა; საქონლისა და პროდუქციის არასაწარმოო მარაგების აღრიცხვა და შეფასება; საკუთარი კაპიტალისა და აქციონერებთან ანგარიშსწორების აღრიცხვა; გაუნაწილებელი მოგების აღრიცხვა; ფულადი სახსრების, ფინანსური ინვესტიციების (ფასიანი ქაღალდების) და უცხოურ ვალუტაში ანგარიშსწორების აღრიცხვა.

საქართველოში საბუღალტრო აღრიცხვის სისტემის მთლიანად გარდაქმნა, ისევე როგორც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, ხანგრძლივ დროს მოითხოვს. ამიტომ გარდაუვალია გარკვეული შუალედური პერიოდი, რომლის დროსაც მოცემული სისტემა საბოლოოდ მოვა შესაბამისობაში საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებთან. ამ ეტაპზე უნდა მოხდეს აღრიცხვის ნორმატიული ბაზის კორექტირება საქართველოს სამოქალაქო, საგადასახადო, საბანკო და სხვა კანონმდებლობათა შესაბამისად. საბაზრო ეკონომიკის ცივილიზებული ფორმის დამკვიდრების შემდეგ მთლიანად უნდა დაინერგოს აღრიცხვის საერთაშორისო ნორმები ჩვენი ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ თავისებურებათა გათვალისწინებით. ამ მიზნით აქედანვე საჭიროა თეორიული, მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული სამუშაოების დაწყება.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში საბუღალტრო აღრიცხვის სისტემა დაყოფილია ორ ქვესისტემად — საფინანსო და მმართველობით ბუღალტერიად. ჩვენთან ჯერჯერობით ასეთი კლასიფიკაცია არ არის. ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის პირობებში სახელმწიფო წარმოადგენდა რა მთელი ქონების მესაკუთრეს, იგი არეგულირებდა აღრიცხვის ყველა საკითხს, ისე რომ საწარმოებსა და დაწესებულებებს არ ჰქონდათ რაიმე კორექტივის შეტანის უფლება. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში კი სახელმწიფო არეგულირებს მხოლოდ საფინანსო ბუღალტერიას, იმ მიზნით, რომ შეიქმნას საწარმოს ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობის ასახვის, ბალანსის აქტივის და პასივის შეფასების და მოგების განსაზღვრის ერთიანი სისტემა. რაც შეეხება მმართველობითი ბუღალტერიის ორგანიზაციას, იგი მთლიანად საწარმოს უფლებებში შედის. საფინანსო ბუღალტერიის მიერ ფორმირებული საანგარიშგებო მონაცემები ღიაა პუბლიკაციისათვის, მაშინ როდესაც მმართველობითი ბუღალტერიის

მონაცემები ასახავს საწარმოს კომერციულ საიდუმლოებებს და არ ექვემდებარება საჯაროობას და გარეშე მომხმარებელთა მიერ გამოყენებას.

დღეს ჩვენთან მოქმედი საბუღალტრო აღრიცხვის წესების თანახმად სახელმწიფო აწესებს რეგლამენტს აღრიცხვის მთელ სისტემასა და მის იმ ნაწილზეც, რომელიც ეხება მმართველობით ბუღალტერიას, კერძოდ, სინთეზურ და ანალიზურ აღრიცხვას. მომავალში, ალბათ, ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების მსგავსად მოხდება აღრიცხვის სისტემის დაყოფა ფინანსურ და მმართველობით ბუღალტერიად. ეს შეამსუბუქებს ისეთ საბაზრო ეკონომიკის სქემაზე გადასვლას, რომელშიაც სახელმწიფო ატარებს მკაცრ საფინანსო ანგარიშგების რეგულირებას, ხოლო სხვა დანარჩენ სფეროებში აღრიცხვის წესებს დაარეგულირებენ თვითონ საწარმოები, ხოლო სახელმწიფოს მხრიდან ადგილი ექნება მხოლოდ მსუბუქ ჩარევას რეკომენდაციებისა და მეთოდური მითითებების სახით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უკვე დღის წესრიგში დგება 1993 წელს მიღებული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმაში გარკვეული კორექტივებისა და ცვლილებების შეტანის აუცილებლობა.

დღეისათვის პრინციპულ მნიშვნელობას იძენს წარმოების დანახარჯების აღრიცხვის მეთოდიკის გარდაქმნა საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნათა შესაბამისად. ჩვენთან დღესაც გამოიყენება ტრადიციული კალკულაციური მიდგომა, რომელიც ყველა დანახარჯს ყოფს პირდაპირ და ირიბ დანახარჯებად. ამასთან, არ ხდება ზუსტი განცალკევება დანახარჯთა აღრიცხვის ბუღალტრული ანგარიშგების და წარმოების მართვისათვის. ყოველივე ეს მართვის ძველი ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის შედეგია. ამასთან, საბაზრო ეკონომიკა მოითხოვს წარმოებაზე დანახარჯების განცალკევებულ აღრიცხვას საფინანსო და საწარმოო ბუღალტერიის პოზიციებთან. საფინანსო ბუღალტერია დანახარჯებს აღრიცხავს ელემენტების ჭრილში „დანახარჯები – გამოშვების" მეთოდით, რომელსაც კალკულირების მეთოდთან შედარებით ახასიათებს ნაკლები შრომატევადობა და უზრუნველყოფს კონტროლის მოხერხებულობას და სიმარტივეს ფიზიკური დანახარჯების ასახვის სისწორეში. მმართველობითი (საწარმოო) ბუღალტერია დანახარჯების აღრიცხვას ახორციელებს „დირექტ-კოსტინგის" მეთოდით, რაც გულისხმობს გადახრების პრინციპის გამოყოფას, ანუ შემოკლებული თვითღირებულების მეთოდის რეალიზაციას. ამ მეთოდით ხდება მთელი დანახარჯების დაყოფა ცვალებად, ანუ საწარმოო დანახარჯებად, რომლის მოცულობა არაა დამოკიდებული წარმოების მოცულობის ზრდასთან. იგი გულისხმობს პროდუქციის თვითღირებულების დაგეგმვას და აღრიცხვას მხოლოდ ცვალებადი დანახარჯების ფარგლებში, რომლებიც თვითღირებულების

მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ და რომელთა ჰრილში წარმოიშობა გადახრათა მეტი წილი. მუდმივ დანახარჯებს აჯგუფებენ ცალკე და პერიოდულად ჩამოწერენ რეალიზაციის ანგარიშზე.

აღნიშნული მეთოდის გამოყენება დანახარჯთა აღრიცხვაში უდავოდ დადგება დღის წესრიგში საბაზრო ურთიერთობების განვითარების შესაბამისად. დღეისათვის საქართველოში მისი დანერგვა დაკავშირებულია მთელ რიგ სირთულეებთან. ჯერ ერთი, ჩვენში შენარჩუნებულ მწარმოებელთა მონოპოლიური მდგომარეობა ფასწარმოქმნის ისეთი კონცეფციის გამოყენებას აძლევს უპირატესობას, რომელიც დაფუძნებულია სრული თვითღირებულების გაანგარიშებაზე. მეორე, ჯერ კიდევ არ ხდება დანახარჯების დაყოფა ცვალებად და მუდმივ სიდიდეებად, ამ უკანასკნელის საწარმოო საქმიანობის ფინანსური შედეგების ამსახველ მაჩვენებლებში ჩართვას. მესამე, საჭიროა ფინანსური და მმართველობითი ბუღალტერიის კანონიერი ლეგიტიმირება. დაბოლოს, საჭიროა აღნიშნული მეთოდების შესწავლა სპეციალისტების მიერ პრაქტიკაში დანერგვისათვის.

აღნიშნული სიძნელეები გამოწვეულია იმითაც, რომ სახელმწიფოს პოლიტიკაში ჰარბობს საწარმოების მიმართ ფისკალური ინტერესები და საბუღალტრო აღრიცხვის სისტემა დაქვემდებარებულია საგადასახადო კანონმდებლობათა მოთხოვნებისადმი. უფრო მეტიც, აღრიცხვის პროგრესული მეთოდიკის გამოყენება საწარმოებში პრაქტიკულად შეუძლებელია სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის სანქცირების გარეშე.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე აღრიცხვის პრაქტიკაში პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგებისა და შედეგების აღრიცხვის მეთოდიკაში არსებული პრობლემაც. საქართველოში მოქმედი ნორმატიული დებულებების თანახმად პროდუქციის რეალიზაციის ამონაგები აისახება ფაქტობრივად გადატვირთული პროდუქციის მოცულობიდან. ტრადიციულად ადრე რეალიზაციიდან ამონაგებისა და შედეგების ასახვა ხდებოდა სალაროში ან საბანკო ანგარიშში ფულადი სახსრების მიღების შემდეგ. ამით დაცული იყო მყიდველთა ინტერესები, თუმცა ასეთი მიდგომა გამყიდველების (მიმწოდებლების) ინტერესშიც შედიოდა, რადგან მათ ამით საშუალება ეძლეოდათ საკუთარი საბრუნავი საშუალებების უკმარისობის შემთხვევაში დაეგროვებინათ ფულადი სახსრები ბიუჯეტთან ანგარიშსწორებისათვის გადასახადებზე (აქციზებზე) ამონაგებიდან და მოგებიდან.

საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრდა პრინციპი რეალიზაციიდან შემოსავლების ასახვისა კომერციული ოპერაციების დამთავრებისთანავე (შემოსავლების დარიცხვა მათი ფიზიკური მიღების მიუხედავად). აღნიშნული პრინციპი საქართველოს აღრიცხვის პრაქტიკაშიც დაინერგა, რომლის თანახმად შემოსავლები და გასავლები

მიეკუთვნება საანგარიშო პერიოდს, მიუხედავად მათი მიღების და გადახდის თარიღისა. ამან შექმნა სერიოზული პრობლემები, რადგან მიმწოდებლის (გამყიდველის) შემოსავლების დაბეგვრა ხდება პროდუქციის გადატვირთვისთანავე, ხოლო მისი ანაზღაურება დროში მნიშვნელოვნად იგვიანებს. როგორც ჩანს, ვიდრე რესპუბლიკაში არ მოწესრიგდება ეკონომიკური სისტემა, აღნიშნული მიდგომა მოითხოვს ტრანსფორმაციას (ან მთლიან შეჩერებას), რადგან იგი იწვევს გადაუხდელობის კოლოსალური მასშტაბებით გაფართოებას და საბოლოო ჯამში აფერხებს ეკონომიკურ განვითარებას.

სირთულეები შეიქმნა აგრეთვე დამატებითი ღირებულების გადასახადების აღრიცხვაშიც. იგი გამოიხატება იმაში, რომ მატერიალური ფასეულობებისა და მომსახურების მიმწოდებელ საწარმოებს დამატებით ღირებულებაზე თანხის გადახდა მათი ბიუჯეტის წინაშე დავალიანებას ამცირებს არა პროდუქციის რეალიზაციისთანავე, არამედ თანდათანობით მათ მიერ მოხმარებული მატერიალური ფასეულობებისა და მომსახურების შესაბამისად. რაც შეეხება დამატებით ღირებულებაზე გადასახადს მიმწოდებლიდან შესყიდულ ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე, მისი თანხა საწარმოს ბიუჯეტთან დავალიანებას აკლდება თანაბრად, ამ საშუალებათა ხარჯვის დაწყებიდან გარკვეული დროის განმავლობაში. ეს იძულებითი და არასწორი მიდგომა გამოწვეულია იმით, რომ საწარმოები მაღალი ინფლაციის შედეგად ცდილობს სახსრები მიმართოს ნორმაზე ზევით მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შესაძენად, რაც ამცირებს ბიუჯეტში შემოსავლების მოცულობას აღნიშნულ გადასახადზე.

საბუღალტრო აღრიცხვაში წარმოიშვა მთელი რიგი პრობლემები პრივატიზაციასთან დაკავშირებით. საქმე ისაა, რომ გეგმიანი მეურნეობის პირობებში აღრიცხვას საფუძვლად ედო ქონების შეფასების პრინციპი მათ შეძენასა და შექმნაზე ფაქტობრივი დანახარჯების შესაბამისად. საწარმოთა აქტივები ფასდებოდა ქონების თავდაპირველი ღირებულების მიხედვით. ამასთან, ნორმატიული დებულებებით არ იყო გათვალისწინებული სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, რომლებიც ფართოდაა დანერგილი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში. აღნიშნული სიტუაცია ამჟამად თანდათანობით გვარდება: მიმდინარეობს საშუალებების გადაფასება ერთჯერადი ინდექსაციის გზით. დგინდება სავალუტო ანგარიშების, არამატერიალური აქტივების, ინვესტიციების, ფასიანი ქაღალდების, გრძელვადიანი არენდირებული ქონების, სავალუტო ფასეულობების და ა. შ. გადაფასების წესი და მეთოდები. ჯერჯერობით დასაზუსტებელია კრედიტებსა და სესხებზე ვალდებულებათა შეფასების საკითხი.

დღეისათვის საბუღალტრო აღრიცხვის მეთოდოლოგიასა და ორგანიზაციაში სხვა ბევრი პრობლემაცაა გადაუჭრელი. საგადასახადო სამ-

სახური ცდილობს თავის სასარგებლოდ გარკვეული კორექტივები შეიტანოს აღრიცხვის პრაქტიკაში. ხშირ შემთხვევაში გადაჭარბებულად გამოიყენება კანონები დაბეგვრის შესახებ. მაგალითად, ნორმები, რომლებიც დაკავშირებულია მოგებაზე გადასახადთან, უსაფუძვლოდ ვრცელდება სხვა გადასახადებზეც (დამატებითი ღირებულება და სხვ.). ამის შემდეგ გამოყენებული საჭარიმო სანქციები მრავალჯერ აღემატება რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების მოცულობას. გადასახადებზე საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა დაუხვეწავია, რაც იწვევს შეცდომების ზრდას როგორც აღრიცხვის, ასევე საგადასახადო სამსახურის მუშაკების მხრივ. ამასთან, დაშვებულ შეცდომაზე პასუხს აგებენ ბუღალტრები, ხოლო საგადასახადო ორგანოების მუშაკები ანალოგიურ შეცდომებზე განთავისუფლებულნი არიან ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან საწარმოებისა და ორგანიზაციების მხრიდან.

საწარმოებსა და ორგანიზაციებზე ცენტრალიზებულად არ დაიყვანება დოკუმენტები საბუღალტრო აღრიცხვისა და დაბეგვრის შესახებ, რის გამოც წარმოიშობა შეცდომები, რომლებიც საგადასახადო სამსახურების მიერ კვალიფიცირდება, როგორც კანონმდებლობის წინასწარგანზრახული დამახინჯება და ტარდება შესაბამისი სანქციები. არის შემთხვევები, როდესაც ადგილობრივ საგადასახადო სამსახურებს შეაქვთ კორექტივები ფინანსთა სამინისტროს მიერ დაწესებულ აღრიცხვის ზოგიერთ ანგარიშებში, აგრეთვე თავიანთი შეხედულებისამებრ ითხოვენ სხვადასხვა სახის დამატებით ცნობას და მონაცემს საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან, რომლებიც არაა გათვალისწინებული ანგარიშგების შესაბამისი დებულებებით. ყოველივე ამის შედეგად, საფინანსო და საგადასახადო ორგანოებს შორის წარმოიშობა კონფლიქტური სიტუაციები.

აღნიშნული მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, ჩვენი აზრით, საჭიროა ფინანსთა სამინისტრომ ადგილობრივ საფინანსო ორგანოებში გააძლიეროს მუშაობა საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგიის სრულყოფის მიმართულებით. ამ მიზნით საჭიროა აღრიცხვისა და დაბეგვრის საკითხებზე საკონსულტაციო-სასწავლო მუშაობის გაძლიერება. ამასთან, ფინანსთა სამინისტრომ და საგადასახადო ინსპექციამ დროულად უნდა დაიყვანონ ადგილობრივ სამსახურებამდე მათ მიერ მიღებული ნორმატიული დოკუმენტები. ამასთან, ამ სამუშაოს შესრულებაში მიზანშეწონილია კომერციული მიდგომის გამოყენება.

საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემის სრულყოფისათვის რესპუბლიკაში გასატარებელია მთელი რიგი ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებები. საჭიროა შეიქმნას საბუღალტრო აღრიცხვის პრობლემებზე საკონსულტაციო რესპუბლიკური საბჭო, რომლის ძირითადი ამოცანა იქნება საბუღალტრო ანგარიშთა გეგმისა და საფინანსო ანგარიშგების სრულყოფის მიმართულებით წინადადებებისა და

რეკომენდაციების შემუშავება. აღნიშნული საბჭო უნდა შედგეს სექციებისაგან აღრიცხვის აქტუალური პრობლემების ჭრილში. მიზანშეწონილია სექციების ჩამოყალიბება შემდეგ აქტუალურ საკითხებზე: აღრიცხვის ზოგადი მეთოდოლოგიური საკითხები, საფინანსო ინსტიტუტებისა და საფინანსო ბაზრის აღრიცხვა, საფინანსო ანალიზი და აუდიტი, აღრიცხვის მუშაკთა მომზადება და გადამზადება. იმ შემთხვევაში თუ საკონსულტაციო საბჭოს შექმნა გაძნელდება ან მიზანშეუწონელი იქნება რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო ან აღმასრულებელ ორგანოსთან, მაშინ იგი უნდა შეიქმნას ფინანსთა სამინისტროსთან მაინც. საერთოდ, უნდა გაფართოვდეს ფინანსთა სამინისტროს როლი საბუღალტრო აღრიცხვის სისტემის სრულყოფის საქმეში.

სერიოზულ გარდაქმნას მოითხოვს ბუღალტერთა კადრების მომზადება და გადამზადება. ამ მხრივ რესპუბლიკაში მძიმე მდგომარეობაა. ბუღალტერთა კადრების მომზადება უმაღლეს სასწავლებლებში ჯერ კიდევ მოძველებული სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით მიმდინარეობს. რაც შეეხება მათი კვალიფიკაციის ამაღლებასა და გადამზადებას, ამ მხრივ რთული მდგომარეობაა. სახელმწიფომ მთლიანად აიღო ხელი ამ საქმეზე. არადა ძველი ცოდნა ამორტიზებულია. დიპლომიანი ბუღალტრები არ ფლობენ სათანადო პროფესიულ ცოდნას. კერძო სექტორი ამ საქმეს ვერ დაარეგულირებს. ბუღალტერია დარგთაშორისი უბანია. მის სწორ ორგანიზაციაზე მთლიანადაა დამოკიდებული ქვეყნის სხვა ეკონომიკური სამსახურების ნორმალური ფუნქციონირება და ამ საქმეს სახელმწიფო უნდა ჩაუდგეს სათავეში.

მეწარმეობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-13 მუხლით განსაზღვრულია საბუღალტრო წარმოებისა და ანგარიშგების სამართლებრივი საფუძველი. იგი გამოიყენება იმ მცირე საწარმოთა მიმართ, რომელთაც სრულ შტატში ჰყავთ არა უმეტეს ოცი მუშაკისა. აღნიშნულ საწარმოებში საბუღალტრო აღრიცხვა უნდა იყოს სრულყოფილი, სწორი, გასაგები, ორმაგ საბუღალტრო სისტემაზე აგებული, უწყვეტად დაკავშირებული ანგარიშგების ნომენკლატურასა და შესაბამისი წინა წლის მაჩვენებელთან, საწარმოს უნდა ჰქონდეს საინვენტარიზაციო ნუსხა, რათა განისაზღვროს ქონებრივი მდგომარეობა და წლიური ანგარიშის ფორმით შედგეს შემოსავალ-გასავლის ანგარიში. საინვენტარიზაციო ნუსხაში უნდა იქნეს შეტანილი მონაცემები მიწის ნაკვეთის, მოთხოვნების და ვალების, ნაღდი ფულის ოდენობის და ყველა სხვა მატერიალურ ფასეულობათა შესახებ. კანონი ითვალისწინებს ცალკეული მატერიალური ფასეულობის ღირებულებით გამოსახვას მინიმალური შეფასების პრინციპების შესაბამისად და ქონებისა და ვალების თანაფარდობის ბალანსის შედგენას, მცირე საწარმოებისათვის კი ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტის ფორმირებას.

რა თქმა უნდა, მეწარმეთა შესახებ საქართველოს სახელმწიფო კანონის მიღება დადებითი მოვლენაა და ჩვენ არ შევუდგებით მის შეფასებას ცალკეული მუხლების მიხედვით, მაგრამ რაც შეეხება საბუღალტრო აღრიცხვის წარმოებასა და ანგარიშგების მუხლს იგი მეტად ბუნდოვანი და გაუგებარია არა მხოლოდ წარმოების სპეციალისტებისათვის, არამედ ნებისმიერი მაღალკვალიფიციური მუშაკებისთვისაც კი. მაგალითად, კანონში მითითებულია, რომ „საინვენტარიზაციო ნუსხის შედგენისას მატერიალურ ფასეულობათა მდგომარეობა შეიძლება განისაზღვროს მათი სახეობის, რაოდენობისა და ღირებულების მიხედვით, აღიარებული მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდების საშუალებით შესარჩევი შემოწმებების საფუძველზე". კანონში ბუნდოვანია აგრეთვე ინვენტარიზაციის ჩატარების წესი და ა. შ. ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ რესპუბლიკაში აღრიცხვის სისტემის სრულყოფისათვის აუცილებელია ავტონომიური კანონის შემუშავება და მიღება. ამასთან, მისი შემუშავება უნდა დაევალოს არა პოლიტიკოსებს, არამედ პროფესიონალ ბუღალტერ-ეკონომისტებს, ამ დარგის თვალსაჩინო მეცნიერებსა და სპეციალისტებს.

მეწარმეების შესახებ სახელმწიფო კანონში საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხების დაბალკვალიფიციურად წარმოდგენა კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს აღრიცხვის პრობლემებზე დამოკიდებული სახელმწიფო კანონის მიღების აუცილებლობაზე.

3.3.სტატისტიკის ტრანსფორმაციისა და ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ფორმირების პრობლემები

სტატისტიკა მეცნიერების ერთ-ერთი უძველესი დარგია. მან განვითარების მრავალფეროვანი გზა განვლო. მისი რადიკალური ტრანსფორმაცია დაიწყო მიმდინარე საუკუნის 30-იანი წლიდან, როდესაც გამოჩნდა ორი როგორც ორგანიზაციის შინაგანი ლოგიკით, ისე სამეურნეო პროცესის განვითარებაზე დაკვირვების მიზნებით და მეთოდებით ერთმანეთისაგან კარდინალურად განსხვავებული სისტემა. პირველის ფესვები მე-18 საუკუნიდან მოდის და ფორმირებას ბუნებრივი ევოლუციის გზით აგრძელებს. მეორე სისტემა ადმინისტრაციულად შეიქმნა ცენტრალიზებული საგეგმო დავალებების შესრულებაზე მეთვალყურეობისათვის.

საბჭოთა სტატისტიკა ჩქმალავდა ნეგატიურ პროცესებს იდეოლოგიური თუ საიდუმლოებრივი (განსაკუთრებით მეურნეობის თავდაცვით სექტორში) მოსაზრებებით. რეალურად არავინ იცოდა რა, რამდენი და სად იწარმოებოდა ან ვინ მოიხმარდა წარმოებულ პროდუქციას. პრაქტიკულად არ არსებობდა მოხმარების სტატისტიკა. საერთოდ, სტატისტიკური მეთოდოლოგიის ამოსავალი იყო გაყალბებული დოგმა იმის შესახებ, რომ მწარმოებლურია მხოლოდ მატერიალურ სფეროში გაწეული შრომა. ამიტომ სტატისტიკური მაკროეკონომიკური ანგარიშიდან გამოდევნილი იყო მეურნეობის ისეთი სფერო, როგორიცაა მომსახურება და სოციალური ინფრასტრუქტურა. რამდენადაც აღნიშნული სფეროს დარგები მოსახლეობას „უფასოდ" ემსახურებოდა, თითქმის არ წარმოებდა მათ მიერ სტატისტიკური ანგარიშგება. ამასთანავე, მატერიალური წარმოების სფეროს სტატისტიკას არ ჰქონდა გამოყენებითი ხასიათი, რადგან ოფიციალური ციფრები არ ასახავდა რეალურ მდგომარეობას. მაკროეკონომიკური სტატისტიკის ამოსავალი საფუძველი იყო საბალანსო სისტემა, განსაკუთრებით კი სახალხო მეურნეობის ბალანსი, რომელიც წარმოადგენდა ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისა და კონტროლის ინსტრუმენტს. ამასთან, მისი მაკროპარამეტრების სტატისტიკური გაანგარიშების მეთოდოლოგია იმდენად იყო დამახინჯებული, რომ მიახლოებითაც კი არ განისაზღვრებოდა ქვეყნის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის მოცულობა.

საქართველოში სტატისტიკამ განვითარების ხანგრძლივი და რთული გზა განვლო. 1918-1921 წლებში, როცა საქართველო სუვერენული ქვეყანა გახდა ვერ მოხერხდა ეროვნული სააღრიცხვო-სტატისტიკური ერთიანი სახელმწიფო სამსახურის ფორმირება. თუმცა ამ დროისათვის მაინც ბევრი გაკეთდა სტატისტიკური და სააღრიცხვო მეთოდოლოგიის სრულყოფის მიმართულებით. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ აღნიშნული

სამსახურები რუსეთის იმპერიას დაექვემდებარა და შესაბამისად არაობიექტურად, შელამაზებულად აისახებოდა რესპუბლიკის სოციალ-ეკონომიკურ მოვლენათა რეალური სურათი.

საბჭოური რეჟიმის პირობებში უტყუარი სტატისტიკა შიშის ზარს სცემდა ადმინისტრაციას. ამიტომაც ასეთი ინფორმაციის მეტი ნაწილი ექცეოდა საიდუმლო არქივებში და არც კი გამოიყენებოდა. დაგეგმვამ სტატისტიკას გამოაცალა ანალიზურ-კვლევითი და პროგნოსტიკული ფუნქცია და იგი მხოლოდ გეგმის შესრულების დამადასტურებელი, შიშველი, შემკრები ინსტრუმენტი გახადა. გარდა ამისა, სოციალიზმმა ყოველგვარი დასაბუთებისა და მეცნიერული არგუმენტაციის გარეშე უარყო ალბათური პროცესები საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. უფრო მეტიც, მათემატიკური სტატისტიკა, რომელიც მსოფლიომ დიდი ხანია აღიარა და იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში, გამოცხადებული იყო ცრუ მეცნიერებად. ამით მეთოდოლოგიური საფუძველი გამოეცალა სტატისტიკურ მეცნიერებას. ამას ემატებოდა სტატისტიკის სამსახურის ნარჩენი რესურსებით და ტექნიკური საშუალებებით „უზრუნველყოფა", უყურადღებობა სტატისტიკოსთა კადრების მომზადებისა და გადამზადებისადმი და მრავალი სხვ.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში რესპუბლიკის სტატისტიკური სამსახურის წინაშე დადგა მისი რადიკალური ტრანსფორმაციის აუცილებლობის ამოცანა. ამ მიმართულებით სამუშაოები დაწყებულია. ფარდა აეხადა წლობით მტვერმოდებულ მთელ რიგ გასაიდუმლოებულ ციფრებს, შემცირდა სავალდებულო სტატისტიკურ ანგარიშგებათა წრე. თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელმა არსებითად ვერ გააუმჯობესა საქმე, რადგან იგი ჩატარდა მექანიკურად, საჭირო მეცნიერულ-მეთოდოლოგიური მომზადების გარეშე. მართალია, საზოგადოება უფრო ნდობით მოეკიდა სტატისტიკურ ცნობებს, მაგრამ სრულ საიმედოობაზე ლაპარაკი ნააღრევია, რადგან ასეთ მოკლე დროში შეუძლებელი იყო ინფორმაციის ფორმირების საბჭოური ფალსიფიცირებული მეთოდოლოგიის შეცვლა. უდავოდ აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ რესპუბლიკურმა სტატისტიკურმა სამსახურმა მოკლე დროში საკმაოდ ნაყოფიერი მუშაობა გასწია ქართულენოვანი სტატისტიკური ფორმების შემუშავების მიმართულებით.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდს სჭირდება შესაბამისი სტატისტიკური სისტემა, რომელიც გარკვეულწილად ახლოსაა როგორც გეგმიანი მეურნეობის სტატისტიკასთან, ასევე ცივილიზებულ საბაზრო სისტემის სტატისტიკასთან. ერთი ხელის მოსმით „მომავლის" სტატისტიკას ვერ შევქმნით. ამჟამად საჭიროა ისეთი სტატისტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ახალი სამეურნეო სისტემის ფორმირებას. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, დღეს შეუძლებელია სრულფასოვანი საბაზრო სტატის-

ტიკის შექმნა. ამიტომ აქცენტი უნდა იქნეს აღებული შუალედური (გარდამავალი პერიოდის) სტატისტიკის ფორმირებაზე, რომელიც მეთოდოლოგიურად და ორგანიზაციულად უფრო რთული ამოცანაა, ვიდრე ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკისათვის მისადაგებული სტატისტიკის შექმნა. გარდამავალი ეკონომიკა ერთგვარი „ასორტია", რომელიც სათავეს იღებს გეგმიანი მეურნეობიდან და იმავდროულად „სესხულობს" საბაზრო ეკონომიკის ელემენტებს.

გარდამავალი პერიოდისათვის ადაპტირებული, შემრიგებლური სტატისტიკის მეთოდოლოგიამ უნდა მოიცვას სოციალ-ეკონომიკური განვითარების ანალიზსა და სტატისტიკურ დაკვირვებასთან დაკავშირებული სამი ძირითადი ბლოკი: მაკროეკონომიკა, მარკეტინგი, ეკონომიკური და სოციალური კონიუნქტურა.

მაკროეკონომიკურ ბლოკში წამყვანი ადგილი უნდა დაიკავოს კვლავწარმოების პროცესის ამსახველმა სტატისტიკამ, რომლის მიზანი უნდა იყოს ეროვნულ ანგარიშთა სისტემის საფუძველზე მეურნეობრივი საქმიანობის მთლიანი ღირებულებითი სურათის აგება, ისე რომ ნათლად იქნეს ასახული ეკონომიკის საბაზრო და არასაბაზრო სექტორების თანაარსებობა. ამის მიღწევა შესაძლებელია სახალხო მეურნეობის ბალანსისა და ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მაჩვენებელთა ერთობითი შეთავსების საფუძველზე. აღნიშნულ ბლოკში უნდა მოექცეს აგრეთვე ფინანსების სტატისტიკა, რომელმაც უნდა ასახოს ეროვნული ფინანსების მდგომარეობა, დინამიკა და სტრუქტურა, აგრეთვე ფულად-საკრედიტო პროცესების — ვალუტის შეფასება, მისი კონვერტირების ხარისხი, მყიდველობითუნარიანობის დონე და ა. შ. მაკროეკონომიკის სტატისტიკის ბლოკში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ფასების სტატისტიკა, რომელიც მოწოდებულია წარმოადგინოს ინფორმაციის ფართო არე ფასების დინამიკასა და დონეზე, ფასწარმოქმნის სისტემაში მომხდარ თვისებრივ ცვლილებებზე. ფასების სტატისტიკამ უნდა უზრუნველყოს საზოგადოებრივი პროდუქტის ფიზიკური მოცულობისა და დინამიკის ზუსტი შეფასება. დაბოლოს, აღნიშნულ ბლოკში უნდა მოექცეს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკა, რომლის მთავარი დანიშნულებაა ქვეყნის საგარეო-სავაჭრო მაჩვენებლების დინამიკისა და სტრუქტურის წარმოსახვა, საგადამხდელო ბალანსის ფორმირება და, საერთოდ, ქვეყნის მსოფლიო მეურნეობის სისტემაში ჩართვის პროცესის სტატისტიკური აღწერა.

მარკეტინგის სტატისტიკის ბლოკის ძირითადი ამოცანაა სახალხო მეურნეობაში საბაზრო-კონკურენციული პირობების შექმნის პროცესებზე დაკვირვება და საბაზრო ურთიერთობათა რაოდენობრივ-თვისებრივი ანალიზი. ამ ბლოკმა უნდა მოიცვას სამეურნეო სუბიექტების (ფირმების, კომპანიების, საწარმოების, გაერთიანებებისა და ა. შ.) პრივატიზაციის,

საბაზრო ინფრასტრუქტურის, მონოპოლიზაციისა და დემონოპოლიზაციის, სასაქონლო ბაზრებისა და დარგობრივი კომპლექსების სტატისტიკა.

შედარებით რთულია მესამე ბლოკის — ეკონომიკური და სოციალური კონიუნქტურის სტატისტიკის ფორმირება. ცნობილია, რომ გეგმიან მეურნეობაში ეკონომიკური კონიუნქტურის სტატისტიკა თითქმის არ არსებობდა. მას ცვლიდა ოპერატიული სტატისტიკა, რომელიც აფიქსირებდა გეგმის შესრულების მიმდინარეობას. ამიტომ მეურნეობრიობის საბაზრო მოდელზე გადასვლისას საჭიროა თავიდანვე შეიქმნას კონიუნქტურის სტატისტიკა, რომელიც მოიპოვებს და დაადგენს „ეკონომიკური რყევადობის" შესახებ ინფორმაციას სამეურნეო იერარქიის სხვადასხვა დონეზე და ამით უზრუნველყოფს შესაბამის მმართველ ორგანოებს ტაქტიკური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მისაღებად. აღნიშნულ ბლოკში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალური სტაბილურობის (დაძაბულობის) სტატისტიკა. ცხადია, რომ მეურნეობრიობის ერთი სისტემიდან მეორეზე გადასვლა უმტკივნეულოდ არ წარიმართება, ამიტომ დღის წესრიგში დგება ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებზე მოსახლეობის რეაქციაზე დაკვირვების ჩატარების აუცილებლობა. ამ ამოცანის გადაწყვეტა კი, თავის მხრივ, მოითხოვს შესაბამის მაჩვენებელთა შემუშავებას, მათ ინფორმაციულ შევსებას და პერიოდულ პუბლიკაციას. ამით შეიქმნება საშუალება დროულად იქნეს შენიშნული დაძაბულობის კერები და მიღებულ იქნეს სათანადო ზომები.

ზემოაღნიშნული სამი ბლოკის საფუძველზე შესაძლებელია ისეთი ურთიერთდაკავშირებული, ინტეგრირებულ მაჩვენებელთა სისტემის შემუშავება, რომელიც რაოდენობრივად და თვისებრივად დაახასიათებს როგორც მთლიანად ქვეყნის, ასევე მის შიგნით ტერიტორიული წარმონაქმნების სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

ამასთანავე, არ შეიძლება იმის აღუნიშვნელობა, რომ დღეს საქართველოში სტატისტიკის გარდაქმნის ტემპი არ არის დამაკმაყოფილებელი, მისი ფუნქციები მოდუნებულია. თუმცა ამაში მარტო სტატისტიკას როდი მიუძღვის ბრალი. საქმე ისაა, რომ როგორც უკვე აღინიშნა, სრულიად მოიშალა სამეურნეო აღრიცხვა, შემცირდა მომთხოვნელობა და კონტროლი. საბაზრო სტრუქტურებზე გადასვლა დაიწყო ძველი სააღრიცხვო ფორმებითა და მეთოდებით. ბაზარი გაიგივებულ იქნა სამეურნეო-საბუღალტრო ოპერაციების თვითშემოქმედებით წარმოებასთან. ამით რთული საბაზრო პირობები შეექმნა სტატისტიკას. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ვიდრე არ მოწესრიგდება პირველადი აღრიცხვა და, საერთოდ, საბუღალტრო დისციპლინა, სტატისტიკური ინფორმაცია არ იქნება ზუსტი. სამწუხაროდ, რესპუბლიკაში შექმნილ საერთო ყოველგვარ უდისციპლინობას ისიც დაემატა, რომ მოიშალა სტატისტიკურ ანგარიშგებათა სავალდებულო წარდგენის ადრინდელი პრაქტიკა.

აღრიცხვასა და სტატისტიკაში შექმნილი რთული ვითარების გამო, დღეს ძნელია რესპუბლიკის სოციალ-ეკონომიკურ ცხოვრებაში შექმნილი რეალური მდგომარეობის ერთ მთლიანობაში წარმოდგენა. ვერავინ გასცემს ზუსტ პასუხს კითხვაზე, სად, რა სახის და რა რაოდენობის პროდუქცია იწარმოება ან საიდან რა შემოდის და სად რა გადის. თითქმის არ გვაქვს პროდუქციის ბარტერულ გაცვლათა სტატისტიკა. ამ მხრივ განსაკუთრებით რთული სიტუაცია შეიქმნა კოოპერატივებში, ფირმებში, კერძო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოებში. მართვის ქვედა მიკრო რგოლის სტატისტიკურ ანგარიშგებებში ჯერ კიდევ გვხვდება ზედმეტი მაჩვენებლები, რომლებსაც პრაქტიკული დანიშნულება არ გააჩნიათ. ამასთან, კვლავაც ღირებულებითი მაჩვენებლები ჭარბობს და თითქმის ვერ ვხვდებით ნატურალურ პარამეტრებს. ფასების გაუგონარი მატების პირობებში კი ღირებულებითი შეფასებები რეალური სურათის წარმოდგენის საშუალებას არ იძლევა. უფრო მეტიც, ასეთ ვითარებაში თითქმის აზრს კარგავს პრაქტიკაში ადრე დამკვიდრებული ზრდისა და მატების ტემპების გაანგარიშება. სამწუხაროდ, არსებითად იკლო სტატისტიკური კრებულების, ბიულეტენებისა და სხვა მასალების გამოცემამ. ამასთან, არ მომხდარა ადრე გამოქვეყნებული ფალსიფიცირებული ინფორმაციის სათანადო შესწორება და რეალურთან მიახლოება. სუსტად ხდება ფასების ინდექსების გამოყენება, არაა შესწავლილი სახელმწიფო ბიუჯეტის სტატისტიკა, უცნობია ეროვნული სიმდიდრის მოცულობა, არაა სრულყოფილად შემუშავებული სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაციის მეთოდიკა. ფეოდალურ დონეზეა სააღრიცხვო-სტატისტიკურ სამუშაოებში ტექნიკური საშუალებათა გამოყენება.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა სტატისტიკური მეთოდოლოგიის სფეროში. იგი ჯერჯერობით მოძველებულ თეორიულ ბაზას ეყრდნობა. საჭირო ხდება სრულყოფილი განმაზოგადებელი მაჩვენებლების დანერგვა, რომელიც მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში ფართოდ გამოიყენება ეროვნულ ანგარიშთა სისტემის სახით. აღნიშნული მაკროეკონომიკური სისტემა ეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების საუკეთესო საშუალებაა. მისასალმებელია, რომ ამ მიმართულებით დაიწყო მეთოდოლოგიური და მეცნიერული წანამძღვრების შემუშავება რესპუბლიკის სოციალ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტში. მაგრამ ეს საკმარისი როდია. საჭიროა აღრიცხვის საბჭოური სისტემის ძირეული შეცვლა, რადგან ამის გარეშე შეუძლებელია ეროვნულ ანგარიშთა სისტემის დანერგვა. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით ჯერჯერობით წარმოებული მუშაობა არადამაკმაყოფილებელია.

ამრიგად, როგორც ჩანს, აღრიცხვა და სტატისტიკა მოუმზადებელი შეხვდა საბაზრო ურთიერთობათა მოთხოვნებს. ბუნებრივია, წარმოიშობა კითხვა — რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ გარდაიქმნას სტა-

ტისტიკური სამსახური და ჩადგეს იგი ეროვნული ეკონომიკის სამსახურში.

დღეისათვის მიღებული სახელმწიფო კანონი სტატისტიკის შესახებ, ისე როგორც სხვა კანონები, ცუდად სრულდება. ჩვენი აზრით, ამ კანონმა მაინც ზუსტად ვერ განსაზღვრა სტატისტიკის ფუნქციები. თითქმის უგულებელყოფილია მისი ანალიტიკურ-პროგნოზული ფუნქცია. კანონმა ვერ უზრუნველყო მკაცრი საანგარიშგებო დისციპლინის დამყარება, სტატისტიკა ჯერჯერობით არ გახდა მთლიანად დემოკრატიული, მან ვერ შეძლო საზოგადოებრივი შეგნების ფორმირების ინფორმაციული საფუძვლის როლის შესრულება.

არსებითად უნდა შეიცვალოს აღრიცხვის პრაქტიკა, სტატისტიკური მასალების მოპოვებისა და ანალიზის არსებული მეთოდოლოგია. ამ მიზნით უნდა იქნეს შესწავლილი განზოგადებული და დანერგილი საერთაშორისო სტანდარტები. შესაბამისად უნდა გადაისინჯოს სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემა მათი გამარტივებისა და შემცირების მიმართულებით, უნდა დადგინდეს რესპუბლიკის ეროვნული სიმდიდრის რეალური მოცულობა არსებული ქონების ინვენტარიზაციის გზით. ამას მოითხოვს პრივატიზაციის წინაშე მდგარი ამოცანები. უნდა დადგინდეს აგრეთვე პროდუქციის შემოტანა-გატანის რეალური სურათი. ყველაფერ ამას სჭირდება შესაბამისი მეთოდიკა, რომელთა შემუშავება დღევანდელი სტატისტიკური სამსახურის გადაუდებელი ამოცანაა.

სტატისტიკურმა სამსახურებმა რესპუბლიკისა და რეგიონების დონეზე უნდა იკისრონ სოციალ-ეკონომიკურ მოვლენათა მეცნიერული ანალიზის, შეფასებისა და განზოგადების შტაბის ფუნქცია. სრულყოფილ მეცნიერულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით პერიოდულად უნდა მზადდებოდეს ანალიზური დოკუმენტები ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის, ქონების პრივატიზაციისა და განსახელმწიფოებრიობის, საფინანსო პოლიტიკის, მოსახლეობის ცხოვრების დონის, უმუშევრობის, ინფლაციისა და ფულის მყიდველობითი დონის, ფასების დინამიკის, ინვესტიციური პოლიტიკის, სახელმწიფო ბიუჯეტის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეფექტიანობისა და სხვა აქტუალურ პრობლემებზე.

სტატისტიკა რეალურად უნდა გახდეს საზოგადოების დემოკრატიზაციის ქმედითი ბერკეტი. ფართო მასებისათვის ცნობილი უნდა იყოს არა მხოლოდ უტყუარი სტატისტიკური მასალა, არამედ ის მეთოდოლოგია და მეთოდიკა, რომელსაც ეყრდნობა ესა თუ ის გამოქვეყნებული მასალა. ამ მიზნით საჭიროა პოპულარული სტატისტიკის შექმნა. საზოგადოებას რწმენა უნდა ჩაუნერგოთ ინფორმაციის უტყუარობისადმი. ამ მიზნით საჭიროა გამოქვეყნდეს ინფორმაციის საიმედოობისა და ცდომილებების ალბათური პარამეტრები, საბოლოოდ

უნდა გამოაშკარავდეს საიდუმლო მასალები, აგრეთვე უნდა გაიფილტროს ადრინდელი ფალსიფიცირებული ინფორმაცია და ხელახლა გამოქვეყნდეს ისინი.

ჩვენ ვერ გავიზიარებთ იმ აზრს, თითქოსდა საბაზრო ეკონომიკის პირობებში სტატისტიკამ მთლიანად უნდა დათმოს მაკონტროლებელი ფუნქცია. როგორც ცნობილია, სტატისტიკა ადრე „ებრძოდა" მიწერებს და დამახინჯებებს, რათა ამ გზით არ გაზრდილიყო წარმოების მოცულობის მაჩვენებლები. თავისუფალი მეწარმეობის პირობებში კი მოსალოდნელია, სიტუაციის პირიქით შეტრიალება. იქნება მცდელობა და ამის მაგალითები ახლაც ბევრია, რომ კერძო მეწარმე გადამალავს საერთო შემოსავლისა და მოგების მოცულობას, რათა ნაკლები გადასახადი შეიტანოს სახელმწიფო ხაზინაში. ამიტომ სტატისტიკურმა სამსახურებმა სხვა მაკონტროლებელ ორგანოებთან და განსაკუთრებით საგადასახადო სამსახურებთან ერთად მკაცრი კონტროლი უნდა გაუწიონ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

გადაუდებელი საქმეა, აგრეთვე, სტატისტიკური სამსახურის განმტკიცება პროფესიონალი, მაღალკვალიფიციური კადრებით, საჭიროა დასაქმებული სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლება და გადამზადება მიზნობრივი პროგრამებით, დიდი ადგილი უნდა დაეთმოს პერსონალური კომპიუტერების, პროგრამირების, სტატისტიკური ანალიზისა და პროგნოზირების მეთოდების სწავლებას. დღის წესრიგში მწვავედ დადგა ამ დარგის სპეციალისტებისა და მეცნიერების საზღვარგარეთის ქვეყნებში სტაჟირების ამოცანა. უმაღლეს სასწავლებლებში უნდა მომზადდნენ მაღალკვალიფიციური ექსპერტ-სტატისტიკოსები და ინფორმაციის ბიზნესმენები. ამ მიზნით საჭიროა სასწავლო გეგმების და პროგრამების არსებითი გადასინჯვა და განახლება. უნდა გაძლიერდეს მათემატიკური სტატისტიკის, ალბათობის თეორიის, ინფორმატიკის, ანალიზისა და პროგნოზირების მათემატიკური ინსტრუმენტარის, ეროვნულ ანგარიშთა სისტემისა და სხვა საგნების სწავლება უმაღლესი სასწავლებლების სტატისტიკის სპეციალობებზე. გადაუდებელი საქმეა სამეცნიერო კვლევის გაძლიერება სტატისტიკის დარგში. გადაწყვეტას საჭიროებს ასპირანტურის და მაძიებლობის გზით ახალგაზრდა მეცნიერთა მომზადებისა და სტატისტიკის პროფილით დისერტაციების დაცვის აქტივიზაციის საკითხი.

აუცილებელ გადაჭრას საჭიროებს სააღრიცხვო-სტატისტიკური და საფინანსო-საკრედიტო პროფილით გამომცემლობის დაარსების საკითხი. ჩვენი რესპუბლიკა საანგარიშგებო ფორმებს, თვალსაჩინოებებსა და ა. შ. ადრე ძირითადად ცენტრალიზებული წესით იღებდა. ამჟამად საჭირო ხდება ამ საქმის მშობლიურ ენაზე წარმოება.

ჩვენი აზრით, საჭიროა სტატისტიკური ორგანოების მუშაობის გააქტიურება მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ჩასატარებლად..

დიდი ორგანიზაციული და მეთოდური მუშაობაა ჩასატარებელი, რათა გამოცოცხლდეს და საქმიანი გახდეს სტატისტიკოსთა რესპუბლიკური ასოციაციისა და საქართველოს სოციალ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტთან არსებულ სტატისტიკოსთა სამეცნიერო-საექსპერტო საბჭოს მუშაობა, საჭიროა თეორეტიკოს და პრაქტიკოს სტატისტიკოსთა ძალების ინტეგრაცია, მეცნიერული მიღწევების პრაქტიკაში დანერგვა, აქტუალურ სტატისტიკურ პრობლემებზე დროებით შემოქმედებითი ჯგუფების შექმნა. საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნობა დღის წესრიგში აყენებს სამამულო ინფორმაციის შესადარისობის უზრუნველყოფას უცხოეთის ქვეყნების ანალოგიურ მასალებთან, ინფორმაციის გაცვლის საერთაშორისო სამსახურის შექმნას, ჩვენი სამამულო ინფორმაციის საერთაშორისო ტელესაკომუნიკაციო ქსელებში ჩართვას, კომერციული სტატისტიკური სააქციონერო მომსახურების მარკეტინგის ფორმირებას და ა. შ.

დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი აგრეთვე სტატისტიკური სამსახურის ტექნიკური გადაიარაღების მიმართულებით. სტატისტიკის სისტემა ერთ-ერთი უღარიბესი უწყებაა რესპუბლიკაში. გადაუდებელი საქმეა ინფორმაციის შეგროვების, გადაცემის, ანალიზისა და შენახვის მექანიზაცია და ავტომატიზაცია. განსაკუთრებულ მზრუნველობას ითხოვს სტატისტიკის ადგილობრივი სამსახურები, რომელთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სავალალო მდგომარეობაშია.

ჩვენი აზრით, არსებით ტრანსფორმაციას საჭიროებს რესპუბლიკის სოციალ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტისა და მისი ადგილობრივი სამსახურების სტრუქტურა. ნაადრევია აღნიშნული კომიტეტის პარლამენტისადმი დაქვემდებარება, რამდენადაც სტატისტიკის ძარითადი ფუნქციაა მართვის ორგანოების ინფორმაციული უზრუნველყოფა მათ მიერ ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად. ვფიქრობთ, იგი უშუალოდ აღმასრულებელი ორგანოს, ანუ რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურაში უნდა შევიდეს. სრულიად გაუმართლებლად მიგვაჩნია სტატისტიკის რესპუბლიკური სამსახურისათვის დღეისათვის მიკუთვნებული სახელწოდება. უნდა აღსდგეს მისი ადრინდელი სახელწოდება — „სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი". ამასთანავე, ყოვლად გაუმართლებლად მიგვაჩნია ადგილობრივი სტატისტიკური სამსახურების ადგილობრივი მართვის ორგანოებისადმი მთლიანი დაქვემდებარება. ამ შემთხვევაში რესპუბლიკური ორგანო კარგავს მათდამი მეთოდური ხელმძღვანელობისა და კონტროლის საშუალებას და საბოლოო ჯამში ვერ უზრუნველყოფს ერთიანი დაბალანსებული ინფორმაციის ფორმირებას მთელი ქვეყნის მასშტაბით.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, უფრო დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ფორმირებისა და დანერგვის ზოგიერთ საკითხებზე.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელ სტატისტიკურ ანგარიშთა ერთობლიობაა და წარმოადგენს ეროვნული პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის კომპლექსური და მრავალმხრივი ანალიზის ინფორმაციული უზრუნველყოფის უნივერსალურ ინსტრუმენტს. იგი ისეთი მაკროეკონომიკურ ანგარიშთა ცხრილების ურთიერთდაკავშირებული სისტემაა, რომელშიც აისახება საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის წარმოების, განაწილებისა და საბოლოო მოხმარების პროცესი, მატერიალური და ფინანსური ნაკადების მოძრაობა და ქვეყანაში მიმდინარე სხვა სამეურნეო კავშირურთიერთობანი. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა უზრუნველყოფს ისეთ მაჩვენებელთა ინტეგრაციას, რომელთა საშუალებითაც მიიღწევა ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება, განვითარების მოდელებისა და პროგნოზების შედგენა. გეგმიანი ეკონომიკის პირობებში ეროვნულ ანგარიშთა სისტემის როლს ასრულებდა სახალხო მეურნეობის ბალანსი, რომელსაც საფუძვლად უდევს კვლავწარმოების მარქსისტული მეთოდოლოგია.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა ეფუძნება სახალხო მეურნეობის ბალანსისგან პრინციპულად განსხვავებულ კონცეფციას. გარდა იმისა, რომ მის ანგარიშებში ჩართულია მომსახურების სფეროში შექმნილი ეროვნული პროდუქტი, იგი ეფუძნება წარმოების ფაქტორების იმ კონცეფციას, რომლის თანახმად საქონელსა და მომსახურების ღირებულების შექმნაში მონაწილეობს არა მხოლოდ შრომა, არამედ კაპიტალი, მიწა და მეწარმეობრივი საქმიანობა. აქედან გამომდინარე, ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში ციფრობრივ გამოხატულებას პოულობს ყველა სამეურნეო ერთეული – საქონლის და მომსახურების მწარმოებლები, საფინანსო ორგანიზაციები, კერძო კომერციული ორგანიზაციები, მომსახურების საოჯახო მეურნეობები, თვით საოჯახო მეურნეობები მათი სამომხმარებლო და სამეწარმეო საქმიანობით, სხვა ქვეყნებთან ეკონომიკური კავშირები. ამრიგად, აღნიშნული სისტემა მოიცავს არა მხოლოდ მატერიალურ წარმოებას, არამედ არამწარმოებლური ხასიათის მომსახურებას, ყველა სახის რესურსის მოძრაობას და, საერთოდ, მთელ ეკონომიკურ პროცესებს, ყველა ეკონომიკური სუბიექტის აქტივებსა და პასივებს. ეროვნულ ანგარიშთა სისტემამ ჩასახვა დაიწყო განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში 30-იანი წლებისათვის და 40-50 წლებში მიიღო დასრულებული სახე. მისი შემუშავების აუცილებლობა განპირობებული იყო სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მოთხოვნილებით მაკროეკონომიკურ ინფორმაციაზე საბაზრო

ეკონომიკის რეგულირებისათვის საჭირო ეკონომიკური პოლიტიკის, პროგრამებისა და ღონისძიებების შესამუშავებლად. ეკონომიკაში სახელმწიფოებრივი ჩარევის მასშტაბების გაზრდა აუცილებელი გახდა ცნობილი ეკონომიკური დეპრესიის (1929-1933 წწ.) შემდგომ პერიოდში. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის შედგენის აქტუალობა კიდევ უფრო გაიზარდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც მთელი რიგი ქვეყნების წინაშე დადგა ეკონომიკური პოლიტიკის გადასინჯვის აუცილებლობა სამხედრო პრიორიტეტებიდან გამომდინარე.

ამრიგად, ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია სახელმწიფო-მმართველობითი ორგანოს ინტერესების მომსახურებასთან. მისი ამოცანაა, უზრუნველყოს მაკროდონეზე ეკონომიკური პროცესების სხვადასხვა ურთიერთდაკავშირებული ასპექტის აღწერა და მოაწესრიგოს შედარებით მნიშვნელოვანი მაჩვენებლები ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისათვის საჭირო გადაწყვეტილებების მისაღებად. გარდა ამისა, აღნიშნული სისტემის მონაცემებს ფართოდ იყენებენ მსხვილი მეწარმეები გადაწყვეტილებების მისაღებად ინვესტიციების დარგში, ექსპორტისა და იმპორტის გაფართოებისა და სხვა ხაზით. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მონაცემები გამოიყენება მაკროეკონომიკის მიმართულებით მეცნიერულ გამოკვლევებში, ეკონომეტრიკული მოდელებისა და პროგნოზების შესამუშავებლად და ა. შ.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მოდელი ცარიელ ადგილზე არ შექმნილა. იგი წარმოადგენს ეროვნული შემოსავლის სტატისტიკასთან ეკონომიკური სტატისტიკის ისეთი განყოფილებების ინტეგრაციის შედეგს, როგორიცაა სახელმწიფო ბიუჯეტის სტატისტიკა, ფინანსური რესურსების მოძრაობის სტატისტიკა, პროდუქციის წარმოებისა და განაწილების დარგთაშორისი ბალანსი, საგადამხდელო ბალანსის სტატისტიკა და ა. შ.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის კატეგორიებისა და მეთოდოლოგიის დამუშავების საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს მსოფლიოში ცნობილმა მეცნიერებმა დ. კეინსმა, მ. ფრიშმა, ს. კუზნეცმა, რ. სტოუნმა, ვ. ლეონტიევმა და სხვებმა. ბევრ მათგანს ნობელის პრემია სწორედ ამ სფეროში ჩატარებულ მეცნიერულ გამოკვლევებზე მიენიჭა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეროვნულ ანგარიშთა სისტემის თეორიისა და მეთოდოლოგიის საკითხებში დიდი წვლილი შეიტანეს საერთაშორისო ეკონომიკურმა ორგანიზაციებმა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ სამეურნეო საქმიანობის ინტერნაციონალიზაციამ წარმოშვა ეროვნულ ანგარიშთა სისტემის საერთაშორისო სტანდარტების შემუშავების აუცილებლობა. ამ მიზნით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკურმა კომისიამ, განაზოგადა რა მოწინავე საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილება, შეიმუშავა ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ერ-

თიანი საერთაშორისო სტანდარტები. ამ მიმართულებით 50-იან წლებში დაწყებული სამუშაოები დასრულდა 1968 წელს და სპეციალისტებს შორის გაეროს სტატკომისიის მიერ შემუშავებულ დოკუმენტს ეწოდა „ლურჯი წიგნი". აღნიშნული სტანდარტები 25 წლის შემდეგ შეიცვალა და 1993 წელს მიღებულ იქნა ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ახალი სრულყოფილი ვარიანტი, რომელიც წინა მოდელის დანერგვის გამოცდილებიდან გამომდინარე გარკვეულწილად გამარტივებულია. თუმცა იგი უზრუნველყოფს ტრადიციულ მაჩვენებელთა ერთმანეთთან უფრო მჭიდროდ დაკავშირებას და უფრო მკაფიოდ ახდენს ეკონომიკური სტატისტიკის სხვადასხვა განყოფილების ინტეგრაციას. ეს განსაკუთრებით ეხება აქტივებისა და პასივების მაჩვენებლებს, საგადამხდელო ბალანსს, სახელმწიფო ბიუჯეტის სტატისტიკის მაჩვენებლებს. აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ახალ მოდელში გათვალისწინებულ იქნა იმ ქვეყნების ეკონომიკისა და სტატისტიკის თავისებურებანი, რომლებიც საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში იმყოფება და ახდენს ეკონომიკური წყობის რადიკალურ ტრანსფორმაციას.

ეროვნულ ანგარიშთა საერთაშორისო სტანდარტი ამჟამად მსოფლიოს 150-მდე ქვეყანაშია დანერგილი. მეტწილ ქვეყნებში რეალიზებულია გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის ეგიდით შემუშავებული მოდელი. ამასთანავე, ევროგაერთიანების სტატისტიკურმა ცენტრმა შეიმუშავა შედარებით გამარტივებული მოდელი, რომელიც ძირითადად მოიცავს შემდეგ სფეროებსით ანგარიშებს: საქონელი და მომსახურება, წარმოება, შემოსავლების წარმოქმნა და განაწილება, საფინანსო რესურსები და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობა.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა სტატისტიკურ მაჩვენებელთა იმდენად რთული ინტეგრირებული კომპლექსია, რომ მისი უახლოეს წლებში დანერგვა, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც, პრაქტიკულად შეუძლებელია. ამისათვის დიდი დროა საჭირო. ამჟამად კი მიზანშეწონილია ყურადღების გამახვილება მისი ძირითადი ანგარიშებისა და მაჩვენებელთა დანერგვაზე. ამიტომ მომავალი 4-5 წლის განმავლობაში ნაწილობრივ მაინც უნდა იქნეს შენარჩუნებული ტრადიციული სახალხო მეურნეობის ბალანსის ზოგიერთი ცენტრალური მაჩვენებლები, რადგან ვიდრე მთლიანად არ დაინერგება ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, მათზე უარის თქმა საზიანოა. ექსპერტების აზრით, გარდამავალი პერიოდისათვის მიზანშეწონილია ეროვნული შემოსავლის გაანგარიშება სახალხო მეურნეობის ბალანსის მეთოდოლოგიით, ხოლო შიდა ერთობლივი პროდუქტისა ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მეთოდოლოგიით. ამ ორი სტატისტიკური მიდგომის პარალელური თანაარსებობა გარდამავალი პერიოდისათვის აღიარებულია საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების მიერ.

მაგრამ, ამასთანავე, მომავალში მთელი მუშაობა უნდა წარიმართოს სრულფასოვან ეროვნულ ანგარიშთა სისტემის შესადგენად. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს რთული საქმეა და მოითხოვს ეტაპობრივ მიდგომას. საწყის ეტაპზე პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს იმ ანგარიშების შედგენას, რომლებიც დაახასიათებენ წარმოებას, შემოსავლების წარმოქმნას, მათ პირველად განაწილებასა და გადანაწილებას, შემოსავლების გამოყენებას მოხმარებისა და დანაზოგებისათვის, ინვესტიციების დაფინანსების წყაროებს, ქვეყნების ეკონომიკურ კავშირებსა და ქვეყნის დარგთაშორის კავშირებს.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის შედგენის შემდგომ ეტაპზე, რომელიც როგორც ვარაუდობენ შედარებით ხანგრძლივი იქნება, მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგების შედგენა, ასევე დაგროვების ანგარიშების, აქტივებისა და პასივების ბალანსების შედგენა. აღნიშნული სამუშაოები მოითხოვს საფინანსო და რესურსების სტატისტიკის არსებით გარდაქმნას და, საერთოდ, სტატისტიკური სამსახურების უფრო მაღალ დონეზე განვითარებას. გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების შედგენა მოითხოვს საბუღალტრო აღრიცხვისა და საფინანსო სფეროს ორგანიზაციების გარდაქმნას, რაც, რა თქმა უნდა, მოკლე დროში შეუძლებელია.

ჩვენი აზრით, ვიდრე დაინერგებოდეს ეროვნულ ანგარიშთა სისტემის სრულფასოვანი მოდელი, საჭიროა მის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით გაანგარიშებულ იქნეს მთლიანი ეროვნული შემოსავალი, წმინდა ეროვნული შემოსავალი, საბოლოო სამომხმარებლო გასავლები, ფინანსური აქტივების შეძენა, ფინანსური ვალდებულებების აღება, წმინდა დაკრედიტება, ეროვნული სიმდიდრე და საგარეო ვაჭრობის სალდო.

სრულფასოვან ეროვნულ ანგარიშთა სისტემა შედგება შემდეგი ძირითადი სექტორებისაგან: არასაფინანსო კორპორაციები (საწარმოები), საფინანსო კორპორაციები (დაწესებულებები), სახელმწიფო მართვის ორგანოები, საოჯახო მეურნეობები, კერძო არაკომერციული ორგანიზაციები, რომლებიც ემსახურებიან საოჯახო მეურნეობას. აღნიშნული თითოეული სექტორისათვის საჭიროა ანგარიშთა სტანდარტული ნუსხის შედგენა, რომლებშიც ხდება ეკონომიკური პროცესის ძირითადი ფაზებისათვის განკუთვნილი ოპერაციების რეგისტრაცია. ასეთი ფაზებია: წარმოება და შემოსავლების წარმოქმნა, შემოსავლების განაწილება და გადანაწილება, განკარგვაში მყოფი შემოსავლების წარმოქმნა და მათი გამოყენება მოხმარებისა და დაზოგვისათვის, ინვესტიციები, ფინანსური აქტივების შეძენა და ფინანსური ვალდებულებების მიღება, სხვა ცვლილებები აქტივებში, რომლებიც არაა დაკავშირებული ნორმალურ ეკონომიკურ პროცესთან (სტიქიური უბედურებანი, კატასტროფა, ომი და ა. შ.), აქტივებისა და პასივების ფორმირება. აღნიშნული სექტორების

ერთდროულად დამუშავება და დანერგვა გარდამავალ პერიოდში მყოფი ქვეყნებისათვის პრაქტიკულად შეუძლებელია, მაგრამ ძირითადი ოპერაციების სექტორული დამუშავება უკვე დღის წესრიგში დგება.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ ქვეყნებში ეროვნულ ანგარიშთა სისტემის დანერგვას მრავალი მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული წინააღმდეგობები ხვდება. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიური რეკომენდაციები ორიენტირებულია სრულფასოვანი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისათვის და მათი ზოგადი ხასიათის გამო ჩვენს პირობებში გამოყენება პრაქტიკულად გაძნელებულია. მისი გამოყენების სირთულე დაკავშირებულია კლასიკურ საბაზრო ურთიერთობათა ქვეყნებსა და საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ ქვეყნებს შორის არსებული განსხვავებით აღრიცხვის, სტატისტიკის და საფინანსო-საბანკო საქმიანობაში.

გარდა ამისა, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის დანერგვისას გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის დგება ისეთი მეთოდური პრობლემა, როგორიცაა ეკონომიკურ საქმიანობათა დაყოფა საბაზრო და არასაბაზრო სფეროებად. კლასიკური საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში აღნიშნული პრობლემა ადვილად წყდება ფასების მეშვეობით. ხოლო გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, სადაც შენარჩუნებულია ზარალიანი საწარმოები, ადგილი აქვს სუფსიდირებას, წარმოების მონოპოლიზაციას, რთულდება ეკონომიკური საქმიანობის საბაზრო სახეების არასაბაზროსაგან განცალკევება და ეს პროცედურა მოითხოვს დეტალურ კონკრეტიზაციას და ადგილობრივ პირობებთან ადაპტირებას.

მეთოდურ პრობლემათა ჯგუფს განეკუთვნება აგრეთვე ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ფორმირებისათვის საჭირო ინფორმაციული უზრუნველყოფის საკითხი. ასეთი პირველადი ინფორმაციის წყაროა საწარმოთა და ორგანიზაციათა საბუღალტრო აღრიცხვა. მაგრამ ჩვენში არსებული ტრადიციული აღრიცხვა არ იძლევა ეროვნულ ანგარიშთა სისტემისათვის საჭირო ამოსავალი ინფორმაციის ფორმირების საშუალებას. აქაც წარმოიშობა ფასების პრობლემა. საბიუჯეტო აღრიცხვაში ოპერაციები აისახება საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ გადახდილ ფასებში, მაშინ როდესაც ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მოდელი მოითხოვს იმ ფასების გამოყენებას, რომლებიც არსებობს პროდუქციის გამოყენების მომენტში. ამიტომაც საბუღალტრო აღრიცხვის ინფორმაცია მოითხოვს არსებით გადამუშავებას მისი ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში გამოყენებისათვის.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემაზე გადასვლა მოითხოვს აგრეთვე მთელი ეკონომიკური სტატისტიკის ტრანსფორმაციას, უპირველეს ყოვ-

ლისა კი, საფინანსო სტატისტიკის და სახელმწიფო ბიუჯეტის სტატისტიკის გარდაქმნას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

როგორც აღვნიშნეთ, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის საქართველოს პირობებში დასანერგად გარკვეული სამუშაოები უკვე დაწყებულია.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ 1993 წელს დამტკიცდა სახელმწიფო პროგრამა საქართველოს რესპუბლიკაში აღრიცხვის და სტატისტიკის სისტემის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გარდაქმნისა და ფუნქციონირების შესახებ. აღნიშნული პროგრამის ძირითადი მიზანია აღრიცხვისა და სტატისტიკის სფეროში მსოფლიო პრაქტიკაში ფართოდ აპრობირებული აღრიცხვის უნივერსალური სისტემის — ეროვნული ანგარიშიანობის დანერგვა და მისი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საჭირო მეთოდური ინსტრუმენტარის შემუშავება.

აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს გარკვეული პერიოდის განმავლობაში ტრადიციული სტატისტიკისა და ახალ ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ელემენტების ერთდროულ ფუნქციონირებასა და ცალკეულ შემთხვევაში მათ ინტეგრაციას. პროგრამით გათვალისწინებულია მთელი რიგი ამოცანების გადაწყვეტა, რომელთა შორის აღსანიშნავია: სტატისტიკისათვის საჭირო იურიდიული ბაზის შექმნა, საბაზრო ეკონომიკისათვის შესაბამის სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემის ჩამოყალიბება და მეთოდოლოგიური საფუძვლების შემუშავება, სტატისტიკური დაკვირვების არატრადიციული ფორმებისა და მეთოდების შერჩევა და გამოყენება, სახალხო მეურნეობის ბალანსის მაჩვენებლებიდან ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მაჩვენებლებზე გადასვლა, სტატისტიკურ მაჩვენებელთა დამუშავების ტრადიციული მეთოდოლოგიის მოდერნიზაცია და ახალი ტექნოლოგიური კომპლექსების შექმნა.

აღნიშნული პროგრამის რეალიზაციის მიმართულებით გარკვეული პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგა. რესპუბლიკის სოციალ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტი ამუშავებს მონაცემებს ერთობლივი შიდა პროდუქტის მოცულობისა და ზრდის ტემპების გასაანგარიშებლად. მიმდინარეობს სხვა მეთოდური და ორგანიზაციული სამუშაოები. ამ საქმეში ფართოდაა ჩართული საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები და ცალკეული ექსპერტები. მაგრამ სამუშაოთა ტემპი ჯერჯერობით არადამაკმაყოფილებელია. რესპუბლიკის სტატისტიკური სამსახური ასეთი სტრატეგიული დანიშნულების პროგრამის განხორციელებას ავტონომიურად ვერც შეძლებს, ვერც დღეისათვის არსებული საკადრო პოტენციალით და ვერც მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. ამ საქმეში ფართოდ და რეალურად უნდა ჩაებას ყველა ეკონომიკური უწყება — ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო, ეროვნული ბანკი და სხვ. ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია სამთავრობო დონეზე საუწყებათაშორისო საბ-

ჭოს შექმნა, რომლის შემადგენლობაში უნდა შევიდეს ქვეყნის ეკონომიკურ და სამეცნიერო დაწესებულებათა წამყვანი სპეციალისტები. მისი მთავარი ამოცანა უნდა გახდეს ეროვნული სტატისტიკის ტრანსფორმაციის ზემოხსენებული პროგრამის რეალიზაციისადმი ხელშეწყობა, მეთოდური და ორგანიზაციული დახმარება, სამუშაოთა კოორდინაცია და კონტროლი. დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნულ ანგარიშთა სისტემის დანერგვისა და სტატისტიკის ტრანსფორმაციის საკითხი თუ არ იქნა აყვანილი მსხვილი პრიველხარისხოვანი სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის რანგში, ისე აღნიშნული პრობლემის გადაჭრა დიდი ხნით გადაიწევს, რაც უთუოდ დაამუხრუჭებს საბაზრო ურთიერთობებზე ეკონომიკის გადაყვანის ისედაც გაჭიანურებულ პროცესს.

3.4.აუდიტი – საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის დემოკრატიული ფორმა

საბაზრო ეკონომიკა მოითხოვს ეკონომიკური სამსახურების მუშაობის ფორმებისა და მეთოდების კარდინალურ შეცვლასა და სრულყოფას. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტუალურია საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის არსებული სამსახურების რეორგანიზაცია და მუშაობის ახალი ხერხების დამკვიდრება. ეს მეტად სასწრაფო და საშური საქმეა იმდენად, რამდენადაც არსებული აღრიცხვისა და კონტროლის ფორმები და მეთოდები, რომლებიც მართვის ადმინისტრაციულ-განკარგულებით პრინციპებს ეფუძნებოდნენ, მთლიანად ამორტიზებული და გამოუსადეგარია საბაზრო ურთიერთობისათვის. კომუნისტური რეჟიმისათვის დამახასიათებელი სააღრიცხვო-საკონტროლო საქმიანობის მთავარი მიზანი იყო არა ეკონომიკის მაღალეფექტიანი წარმართვა, არამედ ზემდგომ ინსტანციებში შელამაზებული, დამახინჯებული ინფორმაციების წარდგენა, რომლებიც გეგმის შესრულებაზე პატაკის ხასიათს ატარებდა და რომლებითაც ხელმძღვანელი მუშაკები იხანგრძლივებდნენ თავიანთ თანამდებობაზე ყოფნას. ამ მოჩვენებითმა თვალისახვევამ აღრიცხვისა და კონტროლის სამსახურებს დაუკარგა თავისი ნამდვილი შინაარსი და იგი მთლიანად ფორმალური გახადა. ამის მიზეზი იყო სახელმწიფო ცენტრალური დაგეგმვის სისტემა. დაგეგმვამ, რომელიც იმპერიის შენარჩუნების მთავარი საყრდენი იყო, აღრიცხვას, კონტროლს და სტატისტიკას თანდათან დააკარგვინა საკუთარი პოზიციები, საერთოდ მოხსნა დღის წესრიგიდან ეკონომიკური პროცესების ღრმა თვისებრივი ანალიზისა და პროგნოზირების აუცილებლობა.

ცნობილია, რომ ჩვენთან საფინანსო-სააღრიცხვო კონტროლი ძირითადად ორგანიზებული იყო უწყებრივ ჭრილში. ამასთან, კონტროლის ფუნქციებს ასრულებდა მრავალი სხვადასხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანო, რომელთა არაკოორდინირებული შემოწმებების შედეგად კი არ უმჯობესდებოდა სამეურნეო საქმიანობა, არამედ პირიქით, დიდი ზიანი მოჰქონდა მთელი მეურნეობისათვის. მართალია, ამ ბოლო წლებში საკონტროლო-სარევიზიო სამსახურების რიცხვი გარკვეულად შემცირდა, მაგრამ ამ გარემოებას დადებითი გავლენა მაინც არ მოუხდენია თვით შემოწმებათა შინაარსსა და ეფექტურობაზე. პირიქით, ამ ღონისძიებამ გარკვეულად შეასუსტა სახელმწიფოებრივი კონტროლი საბიუჯეტო სახსრების ეფექტიან გამოყენებაზე. საწარმოების და ორგანიზაციების სამეურნეო ანგარიშიანობისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე გადაყვანას, სამწუხაროდ, არ მოჰყოლია თვითკონტროლის გაძლიერება და საფინანსო დისციპლინის გაუმჯობესება.

რესპუბლიკაში საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრების კვალდაკვალ დაიწყო სამეურნეო საქმიანობის მაკონტროლებელი სისტემის ტრანსფორმაცია. თუმცა თავდაპირველად დომინირებდა აზრი იმის შესახებ, თითქოსდა საბაზრო ეკონომიკა და კონტროლი ერთმანეთთან შეუთავსებელია. „რეფორმატორთა“ ამ აზრის პრაქტიკაში რეალიზაცია ნიშნავს ეკონომიკურ საქმიანობაში უკონტროლობისა და ქაოსის დანერგვას. რასაკვირველია, ძველი ფორმითა და შინაარსით სარევიზიო სამსახურების დატოვება გაუმართლებელია. როგორც აღვნიშნეთ, საჭიროა ამ სისტემის მისადაგება საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებთან. რაც სახელმწიფოს ხელშია, ის მის მიერ უნდა გაკონტროლდეს, ხოლო, რაც საბაზრო სექტორშია, მისი კონტროლი უნდა მოხდეს დამოუკიდებელი არასახელმწიფოებრივი მაკონტროლებელი სისტემის შეშვებით.

ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადაყვანა ქმნის რეალურ პირობებს კონტროლის ახალი სისტემის ფორმირებისათვის, რომელსაც საფუძვლად უნდა დაედოს შემდეგი პრინციპები:

– საკუთრების ფორმის მიხედვით (სახელმწიფო, კოლექტიური, კერძო, შერეული) კონტროლის ობიექტების და დაფინანსების წყაროების (სამეურნეოანგარიშიანი, საბიუჯეტო, შერეული) ზუსტი განცალკევება;

– კონტროლის სუბიექტების დანაწილება სახელმწიფო, საზოგადოებრივი, აუდიტური (დამოუკიდებელი, სავალდებულო და ფასიანი) სამეურნეო კონტროლად;

– სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის მაკონტროლებელი საკითხების რეგლამენტაცია, ბიუჯეტის შემოსავლებისა და გასავლების ფორმირების სისწორე, ანგარიშგების უტყუარობა, საფინანსო შედეგების კონტროლი და ანალიზი, საწარმოო რეზერვების გამოვლენა, აღრიცხვის მდგომარეობის შეფასება, აღრიცხვისა და ეკონომიკური ანალიზის საკითხებში მეთოდური დახმარების აღმოჩენა და სხვ.

– სახელმწიფო და ადგილობრივი კონტროლის ორგანოების საქმიანობის სფეროს ზუსტი გამიჯვნა.

საწარმოს, როგორც დამოუკიდებელი სამეურნეო სუბიექტის, სტატუსის განმტკიცება საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოითხოვს პრინციპულად ახლებურ მიდგომას მის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების საქმეში. საბაზრო ეკონომიკის პირობებში საჭიროა გაუქმდეს ნაკლებადეფექტური საუწყებო საკონტროლო-სარევიზიო სამსახურები და დაინერგოს დამოუკიდებელი აუდიტური კონტროლის ფორმები.

დღეისათვის საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში გამოიყენება საფინანსო-სამეურნეო კონტროლის სხვადასხვა ფორმა. ფინანსური კონტროლის უმაღლეს ორგანოდ მიჩნეულია ქვეყნის აუდიტორთა პალატა (სამსახური), რომელიც უშუალოდ ექვემდებარება პარლამენტს ან პრეზ-

იდენტს. მას ძირითადად ეკისრება ბიუჯეტის საგასაცლო ნაწილებზე კონტროლი. გარდა ამისა, ყველა ქვეყანაში ფუნქციონირებს სა-გადასახადო უწყებები (ინსპექციები), რომლებიც ექვემდებარებიან ან ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს, ან ფინან-სთა სამინისტროს და მათ ეკისრებათ სახელმწიფო ბიუჯეტის საშემო-საცლო ნაწილზე კონტროლი. საფინანსო-სამეურნეო კონტროლის ორ-განოებს წარმოადგენენ აგრეთვე სამინისტროებისა და უწყებების საკონ-ტროლო-სარევიზიო ქვედანაყოფები, რომლებსაც ეკისრებათ ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის სისწორეზე დეტალური კონტროლი. დაბოლოს, სა-ბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ფუნქციონირებენ დამოუკიდებელი აუდი-ტორული მომსახურების ფირმები, რომლებიც სახელმწიფო საწყ-ისებზე ამოწმებენ სამეურნეო სუბიექტების ბალანსის მონაცემთა უტყუარობას და ეწევიან საკონსულტაციო სამუშაოებს.

აუდიტორული სამსახურები ძირითადად იქმნება დამოუკიდებელი ფირმების სახით, რომლებშიც დასაქმებული არიან აუდიტორები — მაღალკვალიფიციური კონტროლიორ-რევიზორები და ანალიტიკოსები. აღნიშნული ფირმები წარმოება-დაწესებულებებთან დადებული ხელშეკ-რულების საფუძველზე ამოწმებენ და აანალიზებენ ობიექტების საფი-ნანსო-სამეურნეო საქმიანობას, ამუშავებენ კონკრეტულ წინადადებებს და რეკომენდაციებს ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

აუდიტი, როგორც სამეწარმეო საქმიანობა, წარმოადგენს მომ-სახურების სახეობას და მისი მიზანია ანაზღაურების საფუძველზე ხელი შეუწყოს ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ორგანიზაციას საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების შესაბამისად, უზრუნვე-ლყოს დაკვეთის საწყისებზე აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შემოწმება და კონტროლი, განახორციელოს საკონსულტაციო სამუშაოები ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსების, საბანკო საქმის, გადასახადების, დაზღვევის, ინვესტირების, პრივატიზაციისა და სხვა ეკონომიკურ და სამართლებრივ საკითხებზე, ხელი შეუწყოს სახელმწი-ფოს და მესაკუთრის ინტერესების დაცვას.

აუდიტის ძირითადი ამოცანაა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კანონიერების, ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების დადგენილი სტან-დარტებისადმი შესაბამისობის და ფინანსური ანგარიშგების უტყუარო-ბის შემოწმება, სამეურნეო სუბიექტების საფინანსო მდგომარეობის, გადახდისუნარიანობის, ლიკვიდურობის და კრედიტის უზრუნველყოფის შესწავლა და იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე საფინანსო-საალრიცხვო საქმიანობაში ხელის შეწყობა. აუდიტის ჩატარების უფლება აქვთ აუდი-ტორებს, რომლებიც არიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები აღ-რიცხვის, კონტროლისა და ანალიზის სფეროში (აქვთ შესაბამისი ლი-ცენზია და სერთიფიკატი). აუდიტორების ამოცანაა სამეურნეო სუბიე-

ქტების სამეურნეო-ფინანსური საქმიანობის შემოწმება, ანალიზი და სათანადო დასკვნა-ექსპერტიზის გაკეთება.

დღეისათვის გამოკვეთილია აუდიტის ორი ფორმა: საგარეო და საშინაო.

საგარეო აუდიტი ტარდება აუდიტორული ფირმის (ან ცალკეული აუდიტორის) მიერ სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით. მისი მიზანია სამეურნეო სუბიექტების საბუღალტრო აღრიცხვისა და საფინანსო ანგარიშგების უტყუარობის შემოწმება, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ექსპერტიზის განხორციელება, საფინანსო სტრატეგიის საქმეში რეკომენდაციების შემუშავება, გადახდისუნარიანობის დადგენა, გამოყენებული რეზერვების გამოვლენა და მუშაობის გაუმჯობესების მიმართულებით რეკომენდაციების შემუშავება.

როგორც საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, საგარეო აუდიტორების საქმიანობა ხორციელდება დიპლომირებულ საზოგადოებრივ აუდიტორთა ინსტიტუტის მეშვეობით, რომლებიც შეიძლება იყვნენ როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაციები (აშშ, ინგლისი), ასევე სახელმწიფო (იაპონია). აღნიშნული ინსტიტუტების გარდა, კომპანიების (სამეურნეო ობიექტების) საქმიანობის საგარეო აუდიტი, შეიძლება განახორციელონ ცალკეულმა აუდიტორებმა, რომლებიც აუდიტორთა კორპორაციის წევრები არიან.

საშინაო აუდიტი წარმოადგენს სამეურნეო სუბიექტის შიდასამეურნეო ხარჯების კონტროლის ფორმას. მისი მიზანია დაადგინოს გასავლების სისწორე, მისი ნორმატივებიდან გადახრის მიზეზები, გამოავლინოს ფინანსური რეზერვები, სამეურნეო საქმიანობის ექსტენსიური და ინტენსიური ფაქტორები. ყველა საბუღალტრო დოკუმენტის გაფორმების უტყუარობის შემოწმების გარდა, საშინაო აუდიტორი დაკვირვებას ახდენს ბრძანებებისა და დირექტივების (გადაწყვეტილებების) შესრულების ხარისხზე, ინვესტიციაზე, ანალიზს და შეფასებას უკეთებს იმ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია სამეურნეო სუბიექტების სტრუქტურული ორგანიზაციის სრულყოფისაკენ. საშინაო კონტროლი ხდება როგორც მთლიანად სამეურნეო სუბიექტების მასშტაბით, ასევე მისი ცალკეული სტრუქტურული ერთეულების (საამქროები, განყოფილებები, და ა. შ.) ჭრილში. მთლიანობაში საშინაო აუდიტორის საქმიანობა საკითხთა ფართო წრეს მოიცავს. იგი ვალდებულია თვალყური ადევნოს საამქროების და უბნების (განყოფილებების) საქმიანობას, ერთმანეთს შეადაროს ფაქტობრივი და ნორმატიული დანახარჯები, ინფორმაცია გაუკეთოს ხელმძღვანელობას სტრუქტურული ერთეულების მუშაობაში დაშვებულ შეცდომებზე. აუდიტორები, რომლებიც დაკავებულნი არიან სამეურნეო კონტროლით, ითვლებიან როგორც ფირმის კონსულტანტები ეკონომიკური პოლიტიკისა და მართვის

საკითხებში. ამრიგად, საშინაო აუდიტორი თვალყურს ადევნებს სამეურნეო სუბიექტების ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური განვითარების ტენდენციებს, ანალიზს უკეთებს მათ გავლენას საფინანსო ვითარებაზე და ხელმძღვანელებს დროულად აყენებს საქმის კურსში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

ამრიგად, საშინაო და საგარეო აუდიტის ძირითადი ამოცანაა აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების უტყუარობის შემოწმება საერთაშორისო სტანდარტების დაცვით და დასკვნის წარმოდგენა ბალანსის, ანგარიშგებისა და წარმოების შემოსავლის რეალობის შესახებ. საგარეო აუდიტორული შემოწმება ხორციელდება სპეციალური აუდიტორული ფირმის მიერ წელიწადში ერთხელ, ხოლო საშინაო აუდიტი — შტატის ან მოწვეული აუდიტორის მიერ არანაკლებ ორ წელიწადში.

აუდიტის ჩატარების პროცესში აუდიტორთა ძირითადი ყურადღება უნდა გამახვილდეს შემოსავლების და ხარჯების გაანგარიშებებისა და დაბეგვრის სისწორეზე. შემოსავლების ხელოვნური შემცირება იწვევს ბიუჯეტში გადასახადის ოდენობის შემცირებას, ხოლო საფუძვლსმოკლებული ხარჯები იწვევს პროდუქციის თვითღირებულების ზრდას და შესაბამისად მოგების შემცირებას. აღნიშნულ სიტუაციაში გარკვევა და კონტროლის ჩატარება აუდიტორის უპირველესი მოვალეობაა. ხარჯები აუდიტორული მომსახურებისათვის მიზანშეწონილია ჩაირთოს პროდუქციის თვითღირებულებაში.

ბუღალტერ-აუდიტორის პროფესიას დიდი ხნის ისტორია აქვს. ინგლისში სავალდებულო აუდიტის შესახებ კანონი 1862 წელს გამოვიდა, საფრანგეთში — 1867 წელს, ხოლო აშშ-ში — 1937 წელს. ამჟამად მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პრინციპებით ფუნქციონირებს, არსებობს აუდიტის საზოგადოებრივი ინსტიტუტი თავისი სამართლებრივი და ორგანიზაციული ინფრასტრუქტურებით. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთში აუდიტორული სამსახურების ჩამოყალიბება პეტრე პირველის მეფობის დროიდან იღებს სათავეს. სარევიზიო საქმიანობა ისეთი ძველია, როგორც თვით ბუღალტრული აღრიცხვა. ძველ ბაბილონსა და ეგვიპტეში რევიზიას მიმართავდნენ გადასახადების აკრეფის სისწორის დადგენისას.

აუდიტორული საქმიანობის განვითარებას განსაკუთრებული ბიძგი მისცა 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა. ამ პერიოდში სააქციონერო საზოგადოებებისა და საწარმოების მასიურმა გაკოტრებამ შექმნა საჭიროება აუდიტორების მხრიდან ჩატარებულიყო მათი ანგარიშგებების, ბალანსის შედგენისა და დამტკიცების წესის გამკაცრება. ამ პერიოდიდან თითქმის ყველა საბაზრო ქვეყანაში შემოღებულ იქნა კანონი კომპანიების შესახებ, რომელიც ავალდებულებდა

მათ თავიანთ ფინანსურ ანგარიშგებაში შეეტანათ მონაცემები მოგებასა და ზარალის შესახებ.

აუდიტორული სამსახურების მუშაკები 40-იანი წლების დასასრულამდე ძირითადად აწარმოებდნენ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემული ოპერაციების სისწორის შემოწმებას (მას წიგნის აუდირება ეწოდებოდა). შემდგომ პერიოდში კი დიდი ყურადღება ექცეოდა და დღესაც ექცევა კომპანიების შიდა კონტროლს, რომელიც კომპლექსურად მოიცავს მთელ საფინანსო-სამეურნეო საკითხებს.

70-იანი წლების დასაწყისში საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაციები შეუდგნენ აუდიტორული საქმიანობის სტანდარტების შემუშავებას. დღეისათვის შემუშავებულია 10 სტანდარტი, რომელიც გაერთიანებულია სამ ჯგუფში: საერთო სტანდარტი, პრაქტიკული საქმიანობის სტანდარტები, ანგარიშგების სტანდარტები.

აუდიტორულმა მომსახურებამ სწრაფი განვითარება პოვა აშშ-ში. აუდიტორთა ასოციაცია პირველად 1887 წელს შეიქმნა. 1939 წლიდან ბუღალტერთა ამერიკულმა ინსტიტუტმა დაიწყო სამეცნიერო კვლევები აუდიტის მიმართულებით. 1941 წელს კი ჩამოყალიბდა შიდა რევიზორების ინსტიტუტი. 1970 წლისათვის აშშ-ში იყო 70 ათასზე მეტი დიპლომირებული ბუღალტერი, რომლებიც წარმოადგენდნენ აუდიტორთა ამერიკული ინსტიტუტის წევრებს. 1960-იანი წლებიდან აუდიტორულ საქმიანობაში ფართოდ ინერგება გაანგარიშებათა ავტომატიზებული სისტემები და კომპიუტერული ტექნიკა, 1976 წელს შეიქმნა მონაცემთა ელექტრონული დამუშავების სისტემის აუდიტორთა ასოციაცია და მონაცემთა ელექტრონული დამუშავების ინსტიტუტი, რომლებმაც შეიმუშავეს და 1987 წელს გამოსცეს „აუდიტის საინფორმაციო სისტემის საერთო სტანდარტები".

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში დღეისათვის საკმაოდ დიდია აუდიტორული სამსახურების რიცხვი. დიპლომირებული ბუღალტრების საერთაშორისო ორგანიზაცია აერთიანებს 4 ათასზე მეტ ფირმას მსოფლიოს 147 ქვეყნიდან. გაეროსთან ფუნქციონირებს ფინანსური კონტროლის საერთაშორისო ორგანიზაცია. ინგლისში შექმნილია ნაფიც ბუღალტერთა ინსტიტუტი, აშშ-ში — ბუღალტერ-აუდიტორების ინსტიტუტი, გერმანიაში მოქმედებს აუდიტორთა ინსტიტუტი. ფუნქციონირებს აგრეთვე ევროპის ეკონომიკური გაერთიანების საბუღალტრო აღრიცხვის ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც ამზადებს რეკომენდაციებს და დირექტივებს აუდიტორულ შემოწმებათა წესის შესახებ.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოქმედებს ტრანსეროვნული აუდიტორულ-საკონსულტაციო ფირმები, რომლებსაც მრავალრიცხოვანი წარმომადგენლობა ჰყავს სხვა ქვეყნებში. მაგალითად, ცნობილი ფირმა „ერნსტ ენდ იანგ"-ის წარმომადგენლობა საქმიანობს 179 ქვეყანაში,

ფირმა „პრაის უოზერტჰაუზ"-ის – 110 ქვეყანაში, ფირმა „არტურ ანდერსენ"-ის – 100-ზე მეტ ქვეყანაში და ა. შ. სათაო ფირმები და მისი ფილიალები თავიანთ საქმიანობაში იყენებენ აუდიტის საერთაშორისო ნორმებს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, დიდი ავტორიტეტით სარგებლობს აგრეთვე დარგთაშორისი აუდიტორული ფირმები. აუდიტორული მომსახურების ასეთი ფორმები განსაკუთრებით ფართოდაა დანერგილი კანადასა და ჩინეთში. ისინი აუდიტორულ შემოწმებასთან ერთად ეწევიან საკონსულტაციო ბიზნესს. აღსანიშნავია, რომ ჩინეთში ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში აუდიტორული მომსახურების დანერგვამ დიდად შეუწყო ხელი ეკონომიკის სტაბილიზაციას და საბაზრო ურთიერთობათა დანერგვას.

მსხვილ აუდიტორულ ფირმებთან ერთად ფუნქციონირებს მცირე მასშტაბის აუდიტორული სამსახურები, აგრეთვე სტრუქტურები, რომლებიც ეწევიან ინდივიდუალურ აუდიტორულ მომსახურებას. საერთოდ, მცირე აუდიტორულ სამსახურებში საშუალოდ დასაქმებულია დაახლოებით 10-15 სპეციალისტი, მათ შორის 50-60% ეწევა დამოუკიდებელ აუდიტორულ მომსახურებას.

აუდიტორული მომსახურება დღეისათვის ხდება ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ შემუშავებულ აუდიტის საერთაშორისო ნორმატივების ბაზაზე, რომელიც მოიცავს აუდიტზე 29 სტანდარტს და 4 თანმდევ სტანდარტს. აღნიშნული სტანდარტების გამოყენება იმ ფორმით და შინაარსით, როგორც იგი კლასიკური საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებშია, შეუძლებელია პოსტსოციალისტური ქვეყნებისათვის. აქედან გამომდინარე, რუსეთში დაიწყო აუდიტის სამამულო სტანდარტების შემუშავება, რომელიც გაითვალისწინებს აღრიცხვის ეროვნულ ტრადიციებს. ამ საქმეში ჩაბმულია რუსეთის მოწინავე ეკონომიკური პროფილის სამეცნიერო ცენტრები და აღრიცხვისა და აუდიტის თვალსაჩინო სპეციალისტები. დღეისათვის მათ მიერ შემუშავებულია აუდიტორული საქმიანობის სტანდარტის 10 პროექტი.

ყოფილ საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებში აუდიტორულმა მომსახურებამ პირველი ნაბიჯები ხუთიოდე წლის წინ გადადგა. საზღვარგარეთის ცნობილმა აუდიტორულმა ფირმებმა თავიანთი წარმომადგენლობა გახსნეს მოსკოვში, რომელთა ამოცანას შეადგენდა საგარეოეკონომიკურ ურთიერთობათა შესაძლებლობების შეფასება, რუსეთის ბაზრის პოტენციალის შესწავლა და შესაბამისი ანალიზური ინფორმაციის მიწოდება ფირმების ხელმძღვანელობისათვის. შემდგომ პერიოდში აქტიურად გაიშალა მუშაობა აუდიტორული სამსახურების ფორმირების მიმართულებით რუსეთსა და ყოფილ სსრკ-ის სხვა ქვეყნებში. 1994 წლისათვის რუსეთში ფუნქციონირებდა 3 ათასზე მეტი აუდიტორული

ფირმა, შეიქმნა დსთ ქვეყნების ბუღალტერთა და აუდიტორთა ასოციაცია, რომლის ეგიდით უკვე ჩატარდა სამი საერთაშორისო კონფერენცია აუდიტის ორგანიზაციისა და მეთოდების პრობლემებზე.

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის მიერ 1995 წლის თებერვალში მიღებულ იქნა კანონი აუდიტორული საქმიანობის შესახებ, რომელიც განსაზღვრავს რესპუბლიკაში აუდიტორული საქმიანობის სამართლებრივ საფუძველს და აწესრიგებს მისი ორგანიზაციული მოწყობის საკითხებს. კანონის თანახმად ნებადართულია დამოუკიდებელი აუდიტორული საფინანსო-სამეურნეო კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება კომერციულ საფუძველზე, რამაც უნდა დაიცვას კერძო მესაკუთრისა და სახელმწიფო ქონებრივი ინტერესები.

კანონით დარეგულირებულია აუდიტორული საქმიანობის წარმართვის წესები და პირობები, მასში მონაწილეთა უფლება-მოვალეობანი. მართალია, კანონის თანახმად სახელმწიფო უშუალოდ არ ჩაერევა აუდიტორულ საქმიანობაში, მაგრამ იგი საკუთარ თავზე იღებს აუდიტორული საქმიანობის საკანონმდებლო უზრუნველყოფას, აუდიტორთა ატესტაციას და აუდიტორული საქმიანობის ლიცენზირებას. ამ მიზნით საქართველოს პარლამენტთან უნდა შეიქმნას აუდიტორული საქმიანობის საბჭო, რომლის კომპეტენციაში შევა აუდიტის ჩატარების სტანდარტებისა და მეთოდიკური რეკომენდაციების შემუშავება, აუდიტორთა ატესტაციისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავება და დამტკიცება, ატესტაციის ჩატარების დებულების დამტკიცება. აღნიშნულმა საბჭომ უნდა უზრუნველყოს აგრეთვე აუდიტორული საქმიანობის ლიცენზირების დებულების შემუშავება და დამტკიცება, აუდიტორთა კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემის შექმნა და ა. შ.

აუდიტორული საქმიანობის შესახებ სახელმწიფო კანონის თანახმად ცალკეულ აუდიტორებს და აუდიტორულ ფირმებს უფლება ეძლევათ აწარმოონ თავიანთი საქმიანობა მხოლოდ ლიცენზიის მიღების შემდეგ, რომელსაც გასცემს აუდიტორული საქმიანობის საბჭო. ამასთან, ლიცენზია გაიცემა დიფერენცირებულად, კერძოდ, იგი ცალ-ცალკე მიეცემათ საბანკო აუდიტს, სადაზღვევო ორგანიზაციათა აუდიტს, საბირჟო, არასაბიუჯეტო ფონდებისა და საინვესტიციო სამსახურების აუდიტს, ზოგად აუდიტს. კანონით, აგრეთვე, განისაზღვრება იმ სამეურნეო სუბიექტების ნუსხა, რომელთათვის სავალდებულოა აუდიტის ჩატარება. კერძოდ, მათ რიცხვში შევიდა ის სამეურნეო სუბიექტები, რომლებიც ფუნქციონირებენ შეზღუდული ქონებრივი პასუხისმგებლობის პრინციპით, აგრეთვე ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, არასაბიუჯეტო ფონდები, საფონდო და სასაქონლო ბირჟები, ფასიანი ქაღალდების ემიტენტები და საინვესტიციო ინსტიტუტები. ამასთანავე, რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს დაევალა სხვა სუბიექტების სიის ყოველწლიური

განსაზღვრა და დამტკიცება, რომლებმაც სავალდებულო წესით უნდა ჩაატარონ აუდიტი.

საქართველოში ისევე როგორც მაღალგანვითარებულ ცივილიზებულ ქვეყნებში, აუდიტორული სამსახურები უნდა გახდეს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ანალიზისა და კონტროლის უმაღლესი ფორმა სამეურნეოანგარიშიანი წარმოება-დაწესებულებებისათვის, კოოპერატივებისათვის, აქციონერული საზოგადოებებისათვის და ა. შ. ჯერჯერობით ჩვენთვის აუდიტორული მომსახურება ახალი და უჩვეულო ფორმაა, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში მას დიდი ხნის ისტორია აქვს.

როგორც უკვე ითქვა საქართველოში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების პროცესმა პრაქტიკულად დღის წესრიგში დააყენა აუდიტორული სამსახურების ფორმირების აუცილებლობა. დღეისათვის აუდიტორული მომსახურების უფლება აქვს დაახლოებით 10-მდე ფირმას („იბერაუდიტი", „ინტერაუდიტი" და ა. შ.), რომლებიც რეგისტრირებული არიან მანამდე, ვიდრე მიღებული იქნებოდა კანონი აუდიტორული საქმიანობის შესახებ. ამიტომ საჭიროა მათი ხელახალი რეგისტრაცია. ამასთან, ამ ფირმების მიერ შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი ჯერჯერობით ვერ პასუხობს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს. ჯერ ერთი, ლიცენზიებისა და ატესტირების ინსტიტუტის არარსებობის გამო გაურკვეველია მათში დასაქმებული კადრების მომზადების დონე, და მეორე, რაგინდ მაღალკვალიფიციურიც უნდა იყოს აუდიტორი, მისი საქმიანობის შედეგები მთლიანად დამოკიდებულია სახელმწიფო კანონებზე და აუდიტის სტანდარტებზე. სამწუხაროდ, ერთიც და მეორეც ჯერჯერობით რესპუბლიკაში გადაუწყვეტელ პრობლემად რჩება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დასაჩქარებელია როგორც აუდიტორული მომსახურებისათვის საჭირო ნორმატიული და ინსტრუქციული მასალების მომზადება, ასევე თვით დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმების გახსნა რესპუბლიკის მსხვილ ქალაქებსა და რეგიონებში. ჩვენი აზრით, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაიწყოს საბანკო სისტემის აუდიტორული შემოწმება, რაც განპირობებულია იმით, რომ რესპუბლიკაში ამ უკანასკნელ წლებში გაიხსნა მრავალი კომერციული ბანკი, რომლებსაც არა აქვთ მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება. სწორედ აუდიტორულმა ფირმებმა უნდა გააანალიზონ და გააკეთონ დასკვნები იმის შესახებ, თუ რამდენად მდგრადი და საიმედოა კომერციული ბანკები და როგორია მათი გაკოტრების ალბათობა და შესაბამისად კლიენტების სახსრების დაცულობის გარანტია. ისინი აგრეთვე საქმიან კონსულტაციებს გაუწევენ ბანკირებს, გაარკვევენ მათ ახალი საფინანსო ოპერაციების შინაარსში და ამით თავიდან აცილებენ შეცდომებს,

რომლებსაც არც ისე იშვიათად აქვს ადგილი დღევანდელ საბანკო სისტემაში (ხშირად კი მათი გაკოტრების მიზეზიცაა).

ასევე საშური საქმეა აუდიტორული ფირმების შექმნა ერთობლივი საწარმოებისა და ორგანიზაციების მომსახურებისათვის, რადგანაც მათი საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის რევიზიისა და კონტროლის უფლება მხოლოდ დამოუკიდებელ აუდიტორულ სამსახურებს აქვს მინიჭებული საერთაშორისო სტანდარტით. საქართველოში ერთობლივი საწარმოების მუშაობის გამოცდილება არ გვაქვს. ამიტომაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათ კონსულტაციურ მომსახურებას. აუდიტორულმა ფირმებმა უნდა იკისრონ ამ ტიპის საწარმოებისა და ორგანიზაციების ფინანსური და კომერციული საქმიანობის გეგმური რევიზია, მათი მუშაობის გაუმჯობესების პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება, დახმარება წლიური ბალანსის შედგენაში, კონსულტაციები, რათა არ მოხდეს კანონსაწინააღმდეგო ოპერაციები, არ იქნეს დაშვებული შეცდომები აღრიცხვის, დაბეგვრის, სტატისტიკური ანგარიშგებების შედგენის, საინვესტიციო პოლიტიკის გატარების საქმეში და სხვ.

თავისუფალი მეწარმეობის პრინციპებზე ეკონომიკის გადაყვანა შეუძლებელი გახდება, თუ სახელმწიფო სექტორი ძველებურად რევიზია-კონტროლით ქანცს გამოაცლის წარმოება-დაწესებულებებს. სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს წარმოება-დაწესებულებების სამეურნეო საქმიანობაში, გარდა კანონით გათვალისწინებულისა. იგი უნდა იყოს დაინტერესებული, რაც შეიძლება ეფექტურად წარმართოს მეურნეობა და შესაბამისად მაღალი მოგებით განმტკიცდეს სახელმწიფო ბიუჯეტი. ამასთან, საბაზრო ეკონომიკურ ინფრასტრუქტურაში აუცილებელია საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ანალიზი და რევიზია, რათა დროულად იქნეს თავიდან აცილებული ხარვეზები და შეცდომები შიდასამეურნეო პოლიტიკის გატარებაში. ამ საქმეში თვით წარმოება-დაწესებულებები უნდა დაინტერესდეს. ამ ინტერესს ქმნის თვით საბაზრო ეკონომიკის კანონების მოთხოვნები. აქედან გამომდინარე, სამეურნეო ობიექტებს გაუჩნდება შინაგანი მოთხოვნილება „ჩაიხედონ" საშინაო საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაში. სწორედ ამ მიზნით აუცილებელი ხდება აუდიტორული მომსახურების ფართო ქსელის შექმნა. ასეთი ფირმების შექმნა ხელსაყრელია სახელმწიფოსთვისაც, რადგან ისინი იმუშავებენ სრულ სამეურნეო ანგარიშზე, რითაც სარევიზიო-საკონტროლო საქმიანობაზე დაიზოგება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები და შესაბამისად ეს უკანასკნელი შეივსება ფირმების მიერ მიღებული მოგებიდან გადასახადებით.

აუდიტორული სამსახურების ფართო ქსელის ფორმირებისას არ მიგვაჩნია საჭიროდ შევუდგეთ ველოსიპედის ხელახალ გამოგონებას. ამ დარგში, როგორც აღვნიშნეთ, დიდი გამოცდილებაა დაგროვილი მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებში. საჭიროა ამ გამოცდილებათა შეს-

წავლა და შემოქმედებითი გამოყენება. აუდიტორული სამსახურების შექმნას წინ უნდა უძღოდეს მთელი რიგი მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული სამუშაოები.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება და შერჩევა. საბჭოთა პერიოდში მომზადებული ეკონომისტების, ფინანსისტების, ბუღალტრებისა და ბანკირების ცოდნა დღეისათვის ამორტიზებულია და არ პასუხობს საბაზრო ურთიერთობათა მოთხოვნებს. ამიტომ საჭიროა როგორც დღეს სახალხო მეურნეობაში დასაქმებული ეკონომიკური სამსახურების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება და გადამზადება ეკონომიკის ახალ მოთხოვნათა შესაბამისად, ასევე საბაზრო ინფრასტრუქტურებისათვის და, კერძოდ, აუდიტორული ფირმებისათვის საჭირო მაღალკვალიფიციური ახალი კადრების მომზადება, ამ მიმართულებით მუშაობა დაწყებულია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სხვა სახელმწიფო სექტორის უმაღლესი სასწავლებლები შეუდგნენ სპეციალისტების მომზადებას ახალი სასწავლო გეგმებით და პროგრამებით. აუდიტორთა მომზადებაზე დასპეციალდება თბილისის საფინანსო-ეკონომიკური აკადემია, სადაც აღნიშნული პროფილით კადრების მომზადება მიმდინარეობს საზღვარგარეთ აპრობირებული სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით.

საჭიროდ მიგვაჩნია აგრეთვე საფინანსო-საკონტროლო სააღრიცხვო-ანალიზური და აუდიტორული მომსახურების პროპაგანდისა და ამ მიმართულებით მოწინავე გამოცდილების პრაქტიკაში დანერგვის მიზნით დაარსდეს სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი და გაზეთი. მათი შექმნა მიზანშეწონილია დამოუკიდებელი სამეცნიერო-საწარმოო კომერციული ცენტრის ან მცირე საწარმოს სახით, რომელთა მთავარი ამოცანა იქნება აუდიტორული საქმიანობის ხელის შეწყობა, მეთოდურ-საკონსულტაციო მასალების, პოპულარული და სამეცნიერო სტატიების, მიმოხილვების, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების პუბლიკაცია, აგრეთვე უცხოელ მეცნიერთა და სპეციალისტთა სტატიების, მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილებათა პროპაგანდა და ა. შ.

ეჭვს გარეშეა, რომ მომავალში აუდიტორულ მომსახურებაზე დიდი მოთხოვნილება იქნება რესპუბლიკაში. ეს განპირობებულია იმით, რომ საბაზრო ურთიერთობა ვერ შეუთავსდება სახელმწიფო კონტროლს და რევიზიას. გარდა ამისა, აუდიტორული მომსახურების არე ვრცელია. წარმოება-დაწესებულებები დაინტერესებული იქნებიან სახელმწიფოსაგან გვერდის ავლით გაერკვნენ საკუთარი სამეურნეო, საფინანსო და კომერციული საქმიანობის სისწორეში, შეაფასონ მდგომარეობის რეალური სურათი, შეამოწმონ კონტრაქტებისა და ხელშეკრულებების სისწორე და ა. შ. ამასთან, აუდიტორული მომსახურების ფართო ქსელის შექმნას ხელს შეუწყობს ისიც, რომ ამ ტიპის ავტორიტეტულ ფირმებს საშუ-

ალება ექნებათ, გარდა სარევიზიო-საკონტროლო სამუშაოებისა, წარმოება-დაწესებულებებს გაუწიონ საკონსულტაციო მომსახურება სამეურნეოანგარიშიანობისა და თვითდაფინანსების საკითხებზე, საბანკო-სავალუტო ოპერაციების ორგანიზაციაზე, ქონების დაზღვევის, კონტრაქტებისა და ხელშეკრულების დადების და სხვა აქტუალურ პრობლემებზე. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილება იქნება აუდიტორულ მომსახურებაზე იმ კოოპერატივების და მცირე საწარმოების მხრიდან, რომლებსაც არ ჰყავთ შტატის მაღალკვალიფიციური ბუღალტრები და ეკონომისტები. აღნიშნული სამსახურები მათ ფულადი სახსრების ეკონომიისა და წარმოების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის მაღალეფექტიანად წარმართვის საშუალებას მისცემენ.

ამრიგად, საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის რევიზიისა და კონტროლის დემოკრატიული-აუდიტორული სამსახურების შექმნა საბაზრო ურთიერთობათა აუცილებელი მოთხოვნაა და იმაზე, თუ რამდენად დროულად და საქმის ცოდნით მოვეკიდებით ამ სერიოზულ საქმეს, ბევრადაა დამოკიდებული საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარება და, საერთოდ, მეურნეობრიობის ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვა დამოუკიდებელ საქართველოში.

დასკვნის მაგიერ

საქართველომ მოკლე დროის მანძილზე მძიმე ისტორიული გზა განვლო. ეს არის პერიოდი, როდესაც ადგილი ჰქონდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, კომუნისტური რეჟიმის ნგრევას, ეკონომიკური კრიზისის გამწვავებას, საფინანსო და ფულად-საკრედიტო სისტემის მოშლას, შინააშლილობას, ომს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, კრიმინალური ძალების აღზევებას, ტერორიზმის გაფურჩქნას, ეკონომიკური გარდაქმნების ზიგზაგებს და — შიშს მომავლისადმი.

რთული და არაერთგვაროვანი იყო ქვეყანაში განხორციელებული ეკონომიკური გარდაქმნები, რომელთაგან სამი ერთმანეთისაგან განსხვავებული ეტაპი შეიძლება გამოიკვეთოს. პირველი ეტაპი, ანუ რეფორმების დაბნეულობის ეტაპი არის 1985-1990 წლები, როდესაც კომუნისტური რეჟიმი ცდილობდა დაჩქარებული განვითარების მოდელის, სამეურნეო რეფორმების მოდელის და სოციალური საბაზრო ეკონომიკის მოდელის პრაქტიკაში რეალიზაციას. აღნიშნულ მოდელებს რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზიზების გამო პრაქტიკული რეალიზაცია არ მოჰყოლია. მეორე ეტაპი მოიცავს 1990 წლიდან 1994 წლის პირველ ნახევარს, რომლის დროსაც ეკონომიკურმა გარდაქმნებმა ძირითადად პოპულისტურ-ლოზუნგური სახე მიიღო და მისმა სოციალ-ეკონომიკურმა შედეგებმა კიდევ უფრო გაამწვავა ეკონომიკური კრიზისი, რადგან აღნიშნულ პერიოდში რეფორმები ძირითადად მიმართული იყო პოლიტიკური დივიდენდების მოსაპოვებლად და არა ქვეყნის გამოსაყვანად მძიმე ეკონომიკური კრიზისიდან. 1994 წლის მეორე ნახევრიდან რესპუბლიკაში იწყება ეკონომიკური რეფორმების გამოღვიძების ეტაპი, რომლის საფუძვლად არჩეულ იქნა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ შემოთავაზებული ეკონომიკური რეფორმების მოდელი. 1994 წლის მეორე ნახევრიდან დაწყებული საქართველოში გამოიკვეთა გარკვეული პროგრესული ცვლილებები საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. მათ შორის მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღება, რომელიც წარმოადგენს საფუძველს სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისთვის. კონსტიტუცია ორიენტირებულია თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოებისა და სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისათვის. ახალი კონსტიტუციით დარეგულირე-

ბულია სახელმწიფო ფინანსებისა და ბიუჯეტის ფორმირებისა და მათ გამოყენებაზე კონტროლის სისტემა, აგრეთვე განსაზღვრულია საგადასახადო და ფულად-საკრედიტო მექანიზმების საკანონმდებლო საფუძვლები, რაც ხელს შეუწყობს რესპუბლიკაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სტრუქტურული რეფორმების პროგრამის პრაქტიკაში რეალიზაციას.

ახალი კონსტიტუციის ერთ-ერთ უაღრესად მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს ქვეყანაში საპრეზიდენტო მმართველობის შემოღება და საქართველოს პრეზიდენტისათვის ერთდროულად სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის ფუნქციის მინიჭება. ყოველივე ეს მარტივს, მოქნილსა და ეკონომიკურს გახდის სახელმწიფოს მართვის სისტემას.

ქვეყნის პრეზიდენტის და პარლამენტის არჩევამ, მთავრობის ახალი შემადგენლობის ფორმირებამ ხელი უნდა შეუწყოს დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას, სამეურნეო რეფორმების უფრო ეფექტიანად და მიზანმიმართულად წარმართვას.

ორწლიანი პაუზის შემდეგ 1995 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა რესპუბლიკის პარლამენტის მიერ. საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის მოწესრიგების მიზნით 1994 წლის მეორე ნახევრიდან შეწყდა ბიუჯეტური სუფსიდიები ბუნებრივი გაზისა და ელექტროენერგიის წარმოებასა და მოხმარებაზე, სახელმწიფოს მიერ ცენტრალიზებული წესით შეძენილ საქონელზე, კომუნალურ მომსახურებაზე. ასევე მკვეთრად შემცირდა სუფსიდიების გაცემა ბიუჯეტიდან პურის წარმოებასა და მოხმარებაზე, საქალაქო ტრანსპორტის (მათ შორის მეტროს) მომსახურებაზე, განხორციელდა პურის სარეალიზაციო ფასების ლიბერალიზაცია (სახელწიფოებრივი რეგულირება). გარდა ამისა, საწარმოებს გაუუქმდათ ყველა სახის სუფსიდია და ტრანსფერტი, შეიზღუდა რესპუბლიკის მთავრობის ხარჯებისათვის საბანკო კრედიტების გამოყენება, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს აეკრძალათ ბანკებისაგან ყოველგვარი სესხის აღება. გაიზარდა საგადასახადო განაკვეთები დამატებულ ღირებულებაზე 14-დან 20%-მდე, საბანკო მოსაკრებელი 2-დან 12 პროცენტამდე, სააქციზო ბაჟი ბენზინზე 10-დან 15 პროცენტამდე და ა. შ. 25-30 პროცენტით შემცირდა საბიუჯეტო დაწესებულებათა დაფინანსება, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ხაზით დაიწყო რეფორმები – ფასიან მომსახურებასა და სამედიცინო დაზღვევის სისტემაზე გადასვლა, ამ ეტაპზე სანახევროდ მაინც უნდა გამოთავისუფლდეს ბიუჯეტი ამ დარგისათვის სახსრების გამოყოფისაგან.

უკანასკნელ პერიოდში შეინიშნება ბიუჯეტში შემოსავლების ზრდის ტენდენცია. 1995 წლის 9 თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტების შემოსავლები 1994 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეიდჯერ გაიზარდა

და საგეგმო მაჩვენებლებს 14-15 პროცენტით გადააჭარბა. ამავე პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტის გეგმა ასი პროცენტით შესრულდა. აღსანიშნავია, რომ გამოიკვეთა ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულება თითქმის ყველა ძირითადი საგადასახადო შემოსავლების მიხედვით. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით რესპუბლიკაში დიდი ადგილი უკავია ჩრდილოვან ეკონომიკას და ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გეგმური მაჩვენებლების ფორმირება შორსაა მეცნიერული დასაბუთებისაგან, იგი შესამჩნევად ჩამორჩება ეკონომიკის რეალურ შესაძლებლობებს. ამასთან, მოშლილი სააღრიცხვო და საანგარიშგებო დისციპლინა არ იძლევა ქვეყნის რეალური შემოსავლების განსაზღვრის შესაძლებლობებს. ამ მიმართულებით მდგომარეობის რადიკალური შემობრუნების მიზნით, ახლო მომავალში, საკანონმდებლო აღმასრულებელმა ხელისუფლებამ დიდი მუშაობა უნდა გასწიოს.

სერიოზული ცვლილებები განიცადა რესპუბლიკის ფულად-საკრედიტო სისტემამ. სახელმწიფო კომერციული ბანკები გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებებად, აღდგა უნაღდო ანგარიშსწორების სისტემა, მოიხსნა შეზღუდვები ნაღდი ფულის გამოტანაზე, გაუქმდა ოვერდრაფტის წესით დაკრედიტების პრაქტიკა, ინერგება საპროცენტო განაკვეთების აუქციონზე ჩამოყალიბების წესი, გაიზარდა საბანკო ოპერაციების მწარმოებელი დაწესებულებების საწესდებო კაპიტალი, გაფართოვდა ფასიანი ქაღალდების ბაზარი და ა. შ. ყოველივე ამის შემდეგ მიღწეულ იქნა კუპონის კურსის გამყარება.

გარკვეული პროგრესული ტენდენცია შეინიშნება სტრუქტურული და სისტემური რეფორმების საქმეში. კოლექტივებს უფლება მიეცათ პირდაპირ შეისყიდონ საპრივატიზაციო ობიექტები და აქციათა საკონტროლო პაკეტები, მიმდინარეობს საქართველოს მოქალაქეებზე ვაუჩერების გაცემის პროცესი, იქმნება ხელსაყრელი პირობები უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად, დაიწყო ეკონომიკურად უპერსპექტივო საწარმოების რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის პროცესი, რესპუბლიკის ენერგოსისტემა გადავიდა საგანგებო მუშაობის რეჟიმზე, ამ დარგში მოზიდულ იქნა უცხოური მიზნობრივი კრედიტები, პრიორიტეტულად მარაგდება ენერგომატარებლებით მრეწველობის, აგროკომპლექსის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის წამყვანი ობიექტები.

გატარდა გარკვეული ღონისძიებები მოსახლეობის სოციალური დაცვის მიმართულებით. განხორციელდა საბიუჯეტო სფეროს მუშაკებისათვის ხელფასების მომატება, გაჩნდა ახალი სამუშაო ადგილები, დახმარება ეწევა პენსიონრებს, მარტოხელა დედებს, უმუშევრებს, ინვალიდებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკაში 1995 წლის ბოლოსათვის სიღატაკის ზღვარზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდა გამოკითხულთა 80 პროცენტს.

1995 წლის მეორე ნახევარში საქართველოში შემოღებულ იქნა ეროვნული ვალუტა – ლარი, რითაც ქვეყანას შეემატა სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ატრიბუტი. ლარის შემოღებას წინ უძღოდა გარკვეული მეთოდური და ორგანიზაციული სამუშაოები. ფულის რეფორმის შედეგად შემოსული კუპონების რაოდენობა (დაახლოებით 15-16 ტრილიონი) იმაზე მიგვანიშნებს, რომ რესპუბლიკაში საქონელბრუნვის თითქმის სამ მეოთხედზე მეტი აღრიცხვას და გადასახადების გადახდას არ ექვემდებარება. ლარი თითქმის უმტკივნეულოდ დამკვიდრდა ქვეყანაში, მაგრამ მისმა შემოღებამ გარკვეულწილად გამოიწვია ფასების ზრდა საქონელსა და მომსახურებაზე. ეს განპირობებული იყო თავდაპირველად ლარისადმი მოსახლეობის ფსიქოლოგიური უნდობლობით, რის გამოც გასაყიდი საქონლისა და მომსახურების ფასში ჩადებულ იქნა „ინფლაციური ლოდინის" შესაბამისი სიდიდე. ამასთან, მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა მიაღწიეს ლარის უცხოურ ვალუტაზე გასაცვლელი კურსის ფიქსაციას (გამყარებას) უცხოური კრედიტების გამოყენების საფუძველზე, თუმცა ამან მაინც ვერ შეძლო ფასების სტაბილიზაცია და ადგილი აქვს მის თანდათანობით ზრდას, რაც სხვა არაფერია, თუ არა ინფლაციური პროცესი, რისი შეჩერება და დარეგულირება შესაძლებელია მხოლოდ მატერიალური წარმოების სფეროს ამუშავებისა და ლარის დასასაქონლებელი პროდუქციის გამოშვების შემთხვევაში. ლარის უცხოურ ვალუტაზე გასაცვლელი კურსის სტაბილიზაცია შესაძლებელია მხოლოდ დროის გარკვეულ ეტაპზე (ვიდრე სესხები იქნება საკმარისი), ამიტომ პერსპექტივაში მთავარი აქცენტი მაინც მისთვის საჭირო საშინაო რესურსებზე უნდა იქნეს აღებული. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მაკროეკონომიკურ დონეზე გარკვეული პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად ჯერჯერობით ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით რესპუბლიკაში არ შეინიშნება წარმოების მოცულობის ზრდა. პირიქით, 1995 წლის იანვარ-ივლისში პროდუქციის წარმოების მოცულობა შესადარ ფასებში 1994 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 19,3 პროცენტით შემცირდა.

რეფორმების დღევანდელ ეტაპზე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისათვის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა – საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, მსოფლიო ბანკმა, ევრობანკმა და სხვებმა გამოუყვეს საკმაოდ დიდი რაოდენობის სესხი, რომლითაც საფუძველი ეყრება ფინანსურ სტაბილიზაციას და ეკონომიკის ვარდნის შეჩერებას. მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოსათვის დღეს გამოყოფილია ინსტიტუციური მშენებლობის, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის, რეაბილიტაციის 100 მილიონამდე ამერიკული დოლარის სესხი. აღნიშნული თანხა ძირითადად მომხმარდება სახელმწიფო ინისტიტუტების

გაძლიერებას და გარდაქმნას, ტექნიკურ აღჭურვილობას, სკოლებს, საავადმყოფოებს, საქალაქო ტრანსპორტს, მეტროს და წყალგაყვანილობის რეაბილიტაციას, ასევე სესხის დიდი ნაწილი მომხმარდება საგადასახადო ბალანსის შევსებას, მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამის დაფინანსებას. გარდა ამისა, მიმდინარეობს მოლაპარაკებები მსოფლიო ბანკთან ახალი სესხების გამოყოფის თაობაზე ტრანსპორტის, ენერგეტიკისა და სოფლის მეურნეობის რეაბილიტაციისათვის.

ევრობანკის და აღმშენებლობის საკრედიტო ორგანიზაციის (გერმანია) მიერ საქართველოსთვის გამოყოფილია 60 მილიონამდე ამერიკული დოლარის სესხი სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის კერძო სექტორის საწარმოებისათვის მანქანა-მოწყობილობის შესაძენად, თბილსრესის შესაკეთებლად, საქნერგოს საჭიროებისათვის, თბილისის აეროპორტის რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციისათვის.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დღეისათვის ჩვენს რესპუბლიკას გამოეყო კრედიტები მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამის დასაფინანსებლად, ეროვნული ბანკის რეზერვების შესავსებად 200 მილიონ დოლარზე მეტი. გარდა ამისა, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ ენერგეტიკის რეაბილიტაციისთვის (თბილსრესი მე-9 ბლოკისა და ენერგოსექტორის სამუშაოების აღდგენა) საქართველოს გამოუყო 40 მილიონი გერმანული მარკის გრძელვადიანი სესხი (40 წლის ვადით).

ყველა ზემოხსენებული სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 0,75 პროცენტს და მათი დაფარვა დაიწყება კრედიტის მიღებიდან მე-10 წელს. რესპუბლიკის ხელისუფლება ცდილობს შეზღუდოს ახალი საგარეო სავალო ვალდებულებების აღება, თუმცა ეს დღევანდელ ეტაპზე ვერ ხერხდება შექმნილი კრიზისული სოციალ-ეკონომიკური სიტუაციის გამო. ამასთან, რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ მიაღწია საქართველოს საგარეო ვალის რესტრუქტურიზაციას, რითაც მომავალში შესაძლებელი გახდება ახალი საგარეო სესხების აღება.

რეფორმების ბოლოდროინდელი ეტაპის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ხელის შემწყობი ფაქტორია რესპუბლიკის ხელისუფლების და სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის რადიკალური გააქტიურება და მკაცრი ბრძოლა მაფიის, კორუფციის, რეკეტის, ტერორიზმის, ნარკომანიის, ნარკობიზნესის და ორგანიზებულ დამნაშავეობათა წინააღმდეგ. ეს კი სტიმულს მატებს მეწარმეებს, ბიზნესმენებს, უცხოელ ინვესტორებსა და ყველას ვისაც საქმე აქვს პროდუქციის წარმოებასთან, ექსპორტ-იმპორტთან და პროდუქციის რეალიზაციასთან, გაზარდონ მათი მეურნეობრივი საქმიანობის მაჩვენებლები.

დაბოლოს, მოკლედ საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური გარდაქმნების პროგნოზებზე. პერსპექტივაში მოსალოდნელია რესპუბლიკის სოციალ-ეკონომიკური გარდაქმნების ორი ტრაექტორიით განხორციელება. პირველი — ესაა რეფორმების წარმართვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების (განსაკუთრებით საერთაშორისო სავალუტო ფონდის) მიერ შემოთავაზებული მოდელით, რომლის რეალიზაცია ძირითადად მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუარესების ხარჯზე ხდება. აღნიშნული მოდელის მოთხოვნათა ზუსტად რეალიზაცია, ჩვენი ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ, ეროვნულ, პოლიტიკურ და სხვა თავისებურებათა გათვალისწინების გარეშე, დღევანდელი სიტუაციისათვის შესაძლებელია მისაღები იყოს, მაგრამ პერსპექტიული თვალსაზრისით იგი სრულად ვერ პასუხობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოების პრინციპებს, რაც აშკარად გამოკვეთილ სახეს მიიღებს იმ შემთხვევაში, თუ რესპუბლიკამ აღებული სესხები ვერ წარმართა ასაღორძინებლად.

მეორე ვარიანტი ესაა გარდამავალი პერიოდის მოსარგები ეკონომიკური რეფომების ქართული მოდელის ფორმირება, რომელსაც საფუძვლად უნდა დაედოს ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ მიმართულებათა მართვასა და რეგულირებაში სახელმწიფოს როლის გაძლიერება და მოსახლეობის სოციალურად დაცვა მინიმალურ დონემდე მაინც. ეს ნიშნავს არა კერძო საკუთრების უპირატესობის დამკვიდრებას, არამედ მიზნის მისაღწევად საკუთრებათა ყველა ფორმის ტოლფასოვნად გამოყენებას. ამ შემთხვევაში საბაზრო ეკონომიკის ფორმირება კი არაა მიზანი, არამედ იგი საშუალებაა მიზნის მისაღწევად, ხოლო მიზნის ფუნქციას წარმოადგენს ეროვნული სიმდიდრის შექმნა და ხალხის ცხოვრების მაღალი დონის მიღწევა. საზოგადოებისათვის სულერთია როგორი გზით მიიღებს იგი მატერიალურ და სოციალურ სიმდიდრეს — საკუთრების რომელი ფორმა შექმნის მას, მთავარია შედეგი და არა შუალედური ეტაპი, ეკონომიკური გარდაქმნების მოდელის ეფექტიანობის კრიტერიუმი უნდა იყოს სოციალური დანაკარგების მინიმიზაცია, ანუ ის მოდელია ეფექტიანი, რომელიც უფრო ნაკლებად „დააწვება" მოსახლეობას. იმას თუ რომელი მოდელი იქნება საბოლოოდ არჩეული საქართველოს მიერ მეურნეობრივი საქმიანობისა დრო გადაწყვეტს და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ქვეყანაში უთუოდ შეიქმნება ისეთი პოლიტიკური და სოციალური გარემო, რომელიც უპირატესობას მიანიჭებს საქართველოს მოსახლეობის მენტალიტეტის შესატყვისი ეკონომიკური მოწყობის ქართულ ეროვნულ გზას.

Яков Месхия, Мириан Мурджикнели

ЭКОНОМИЧЕСКАЯ РЕФОРМА В ГРУЗИИ (АНАЛИЗ, НАПРАВЛЕНИЯ, ПРОБЛЕМЫ)

Р е з ю м е

В книге изучено социально-экономическое положение дореформенного периода в Грузии и обоснована объективная необходимость экономических преобразований. Проанализирована динамика и структура макроэкономических параметров Республики Грузия в 1980-1990 годах и показано, что еще в условиях коммунистического режима были заложены основы экономического спада, ослабления бюджета, роста цен, снижения уровня жизни населения и т. д.

После восстановления государственной независимости Грузии и распада Советского Союза началось независимое ведение экономики страны. Возникла необходимость разрушения планового хозяйства и перехода на рыночную экономику. К сожалению, с этого периода в Грузии началась война за сохранение территориальной целостности страны, вслед за этим последовали гражданская война и внутренние беспорядки, вследствие чего притормозились темпы экономических преобразований.

В Грузии с самого начала в основу экономических реформ была положена использованная в посткоммунистических странах и особенно в России модель рыночной экономики, которая, со своей стороны, основывалась на монетаристском подходе и предусматривала либерализацию цен, жесткую денежно-кредитную и налогово-бюджетную политику. К сожалению, в Грузии переход на рыночные отношения начался неподготовленно, без заранее составленных концепций и программ. К этому прибавилось еще и то, что грузинские реформаторы выбрали либеральную денежно-кредитную политику еще в тот период, когда республика находилась в рублевой зоне и не имела собственной валюты. Выдача кредитов с "воздуха", без наличия кредитных ресурсов, создала

угрозу русскому рублю, поэтому, а также из политических соображений Россия прекратила подачу денег Грузии. Правительство Грузии было вынуждено без какой-либо подготовки в срочном порядке ввести грузинский купон. С этого периода в Грузии резко возросла инфляция и к концу 1993 года она переросла в гиперинфляцию.

В книге проанализированы мероприятия по проведению экономических реформ и показано, что с 1991 года до второй половины 1994 года принятые в республике экономические решения были популистско-лозунгового характера, вследствие чего еще более углубился экономический кризис, сам процесс реформ начался самым простым путем – либерализацией цен, что было совершенно неоправданно до проведения приватизации и антимонопольной политики. Затем последовала приватизация земли и жилья, что было лишено всякого научного обоснования и аргументации. Затянулось проведение малой приватизации, что помешало развитию бизнеса.

Социально-экономические последствия первого этапа экономических реформ были очень тяжелыми. Положение ухудшилось почти во всех сферах экономики. Резко упал объем валового внутреннего продукта и произведенного дохода. Вследствие дефицита энергоносителей, сырья и материалов были парализованы промышленность и другие сферы материального производства, полностью прекратился инвестиционный процесс. Зарплата потеряла стимулирующую роль, резко возросла безработица, более 90 процентов населения обнищало. Вследствие всего этого упала рождаемость и соответственно – темпы воспроизводства населения.

В книге исследованы объективные и субъективные факторы неудачи первого этапа экономических реформ и показано, что особенно негативную роль сыграли такие факторы, как: неоправданное разрушение традиционных экономических связей; неправильная (либеральная) денежно-кредитная и налогово-бюджетная политика; полное игнорирование роли государства в управлении и регулировании экономики; криминализация экономики; расшатывание системы учета, контроля и статистической отчетности и т.д.

В книге изучены апробированные в мировой практике модели рыночной экономики, особенное внимание уделено кейнсианской и монетаристским концепциям хозяйствования. Высказано сообра-

жение, что для посткоммунистической Грузии, где удельный вес государственной собственности был очень высокий, а стартовый экономический уровень был относительно низок, сравнительно лучший экономический эффект могло бы дать использование социально ориентированной модели рыночной экономики. Вместе с тем обосновано, что совершенно недопустима замена начатой рыночной модели другой моделью, и она должна быть доведена до конца с использованием выбранного варианта.

В книге особое внимание заострено на проблемах либерализации цен и инфляции. Обосновано, что в Грузии либерализация цен была произведена поспешно. Как показывает практика, она тогда приносит положительные результаты, когда сформированы смешанные формы собственности, создан определенный запас продукции и создана конкурентная среда. К сожалению, из этих трех факторов ни один не имел место в Грузии во время проведения либерализации цен, что способствовало углублению инфляционных процессов и невиданной денежной эмиссии. Поспешная либерализация цен ускорила разрушение системы денежного обращения и финансов, отрицательно действовала на развитие научно-технического прогресса, увеличила безработицу, исказила структуру потребительской корзины населения и т.д.

Проводимая на первом этапе реформ в Грузии налогово-бюджетная политика показала, что в этот период имели место необоснованная трата бюджетных средств и соответственно рост темпов инфляции. Неаргументированными преференциями происходила выдача средств предприятиям топливно-энергетического и агропромышленного комплекса и не был установлен надлежащий контроль над их целенаправленным использованием. Вместе с тем, имело место в обход закона распределение бюджетных средств на привилегированные компании и влиятельные физические лица. После всего этого дефицит бюджета постепенно увеличивался. Этому обстоятельству способствовала также проводимая на этом этапе мягкая налоговая политика, критерием которой было принято стимулирование производственной активности. Но реально к этому периоду, из-за действия сложных эзогенных и эндогенных факторов и условий, производственный сектор был почти парализован и бюджетные поступления формировались в основном платежами, собранными из непроизводственно-торговой сферы.

В денежно-кредитной политике на первом этапе реформ была допущена самая тяжелая ошибка. Бесконтрольная выдача необоснованных, необеспеченных и почти беспроцентных кредитов полностью разрушила денежное обращение и дала толчок инфляционным и гиперинфляционным процессам.

Необоснованно и поспешно начался в Грузии процесс приватизации, в основу которого легла с большими недостатками составленная государственная программа приватизации. Она изначально была истолкована как одноразовый акт и были попытки ее реализации одним махом. Главным критерием была принята замена собственника, а не повышение эффективности производства и качества продукции. Процесс приватизации не был обеспечен законодательными и нормативными актами, население не было подготовлено ни психологически, ни морально к этому процессу, вследствие чего не удалось привлечь инвестиции и возродить производство. Впоследствии в республике коренным образом изменилась идеология приватизации и она приняла прогрессивный характер, удалось раздать населению приватизационные чеки, создать соответствующие фондовые биржи и ускорить процесс акционирования.

В книге большое место уделено проблемам трансформации плановой, статистической и контрольно-аудиторской деятельности, обосновано, что в условиях рыночной экономики и особенно в переходном периоде необходимо создание индикативного плана. Изучены актуальные проблемы теории и практики индикативного планирования и выработаны конкретные предложения и рекомендации по направлению совершенствования указанной формы планирования.

Система бухгалтерского учета в дореформенной Грузии основывалась на требованиях централизованно управляемой экономики и плановой системе. В Грузии очень медленными темпами началась трансформация системы учета в соответствии с требованиями рыночной экономики. Правда, был создан новый план бухгалтерских счетов, но он пока далек от требований международных стандартов учета. Не принят закон о бухгалтерском учете, а в Законе о предпринимательской деятельности вопросы учета представлены весьма туманно и неквалифицированно. В книге обосновано, что в соответствии с требованиями рыночных отношений в Грузии должно произойти разделение финансовой и

управленческой бухгалтерии. В книге даны конкретные предложения и рекомендации по совершенствованию бухгалтерского учета в Грузии.

В переходном периоде на рыночную экономику перед статистической службой республики встала задача о необходимости ее радикальной трансформации. Проведенные в этом направлении работы на первом этапе реформ неудовлетворительны, функции статистики ослаблены, не произошло необходимого изменения в методологии статистики, хотя определенные прогрессивные сдвиги все же наблюдаются. По мнению авторов, с целью совершенствования методологии и практики учета и статистики особый акцент должен быть перенесен на создание системы национальных счетов. В книге по этому направлению выработаны конкретные предложения и рекомендации.

В труде большое место уделено вопросам внедрения аудиторского обслуживания. Авторы по этому направлению, на основе обобщения мировой практики, руководящим органам страны предлагают конкретные предложения и рекомендации.

В книге отмечается, что со второй половины 1994 года в Грузии начинается новый академический этап экономических реформ, который основывается на модели, предложенной международными финансовыми институтами. В числе последних самым значительным событием было принятие новой конституции Грузии, которая представляет основу для строительства правового и демократического государства. Конституция ориентирована на формирование свободного гражданского общества и социально ориентированной рыночной экономики. Новой конституцией отрегулированы системы формирования государственных финансов и бюджета и контроля за их использованием, также определены законодательные основы налоговых и денежно-кредитных механизмов, что будет способствовать практической реализации программы макроэкономической стабилизации и структурных реформ в Грузии.

Одним из самых важных достижений новой конституции надо считать введение в стране президентского правления и присвоение президенту Грузии одновременно функции главы государственной и исполнительной власти. Все это сделает систему государственного регулирования простой, гибкой и экономичной.

Выборы президента и парламента страны, формирование нового состава правительства будут способствовать строительству демократического государства, более эффективному и целенаправленному проведению экономических реформ.

После двухгодичной паузы бюджет на 1995 год был утвержден парламентом страны. С целью упорядочения бюджетно-налоговой политики со второй половины 1994 года прекратились бюджетные субсидии на производство и потребление природного газа и электроэнергии, на государственным централизованным путем приобретенные товары, коммунальное обслуживание. Также резко сократились субсидии на производство и потребление хлеба, на услуги городского транспорта (в том числе и метро). Осуществилась либерализация (государственное регулирование) цен на хлеб. Кроме того, были упразднены все виды субсидий и трансфертов предприятиям, ограничилось использование банковских кредитов на нужды правительства республики, местными органами власти было запрещено брать банковские кредиты. Выросли налоговые ставки на добавленную стоимость с 14% до 20%, банковские сборы с 2% до 12%, акцизный таможенный сбор на бензин с 10% до 15% и т.д., на 20-30 процентов уменьшилось финансирование бюджетных организаций, по линии министерства здравоохранения начались реформы – переход на платное обслуживание и систему медицинского страхования. На этом этапе хотя бы наполовину должен высвободиться бюджет от выделения средств для этой отрасли.

За последний период наблюдается тенденция роста поступлений в бюджет. За 9 месяцев 1995 года доходы республиканского бюджета по сравнению с поступлениями аналогичного периода 1994 года возросли в семь раз и превысили прогнозный показатель на 14-15 процентов. В этот же период план местного бюджета был выполнен на сто процентов. Следует отметить, что обозначилось выполнение прогнозных показателей бюджета почти по всем показателям налоговых поступлений. Вместе с тем следует отметить, что пока еще в республике большое место занимает теневая экономика и формирование плановых показателей доходной части бюджета далеко от научной обоснованности. Оно заметно отстает от реальных возможностей экономики. Вместе с тем, подорванная учетная и отчетная дисциплина не дает возможности определить реальные доходные показатели экономики. В

этом направлении для радикального изменения положения следует провести большую организационно-методическую работу.

Серьезные изменения претерпела денежно-кредитная система республики. Государственные коммерческие банки преобразовались в акционерные общества, восстановилась система безналичного расчета, сняпись ограничения на получение наличности, отменена практика кредитования путем овердрафта, внедряется правило формирования процентных ставок на аукционах, вырос уставной капитал организаций, занимающихся банковскими операциями, расширился рынок ценных бумаг и т.д. После всего этого было достигнуто укрепление курса купона.

Определенная прогрессивная тенденция наблюдается по направлению структурных и системных реформ. Коллективам дано право лично выкупать приватизационные объекты и контрольные пакеты акций. Идет процесс выдачи ваучеров гражданам Грузии, создаются благоприятные условия для привлечения иностранных инвестиций, начался процесс реорганизации и ликвидации экономически бесперспективных предприятий, более целенаправленно привлекаются иностранные целевые кредиты, приоритетно обеспечиваются энергоносителями ведущие объекты промышленности, агрокомплекса, транспорта и связи.

Были проведены определенные мероприятия по социальной защите населения. Осуществлено увеличение заработной платы работникам бюджетной сферы, появились новые рабочие места, оказывается помощь пенсионерам, матерям-одиночкам, безработным, инвалидам. Хотя надо отметить, что в конце 1995 года доходы ниже черты бедности были у 80 процентов опрошенных.

Во второй половине 1995 года в Грузии была введена национальная валюта – лари, чем страна приобрела один из важнейших атрибутов государственности. Введение лари предшествовали определенные методические и организационные работы.. Вследствие денежной реформы изъятые купоны (примерно 15-16 триллионов) указывают на то, что в республике более трех четвертей товарооборота не подлежало учету и налоговым платежам. Лари почти безболезненно было введено в республике, но его введение определенным образом вызвало повышение цен на товары и услуги. Это было обусловлено в основном поначалу недоверием к лари со стороны населения, вследствие чего в товары и услуги было вложено "инфляционное ожидание" Вместе с тем, правительство и

национальный банк добились фиксации (упрочения) обменного курса лари к иностранным валютам на основе использования кредитов от Международного Валютного Фонда. Хотя эта мера все равно не смогла стабилизировать цены и ныне имеет место тенденция к их росту, что является ни чем иным, как инфляционным ростом, остановка и регулирование которого возможны только ростом объема продукции материального производства. Стабилизация обменного курса лари на иностранную валюту возможна только на определенном этапе времени (пока ссуды будут достаточны), поэтому в перспективе акцент нужно брать на внутренние ресурсы. Вместе с тем, следует отметить, что несмотря на определенные позитивные изменения на макроэкономическом уровне, пока что по данным официальной статистики в республике не отмечается рост объема производства. Напротив, в январе-июле 1995 года объем производства продукции в сопоставимых ценах по сравнению с аналогичным периодом 1994 года снизился на 19,3 процента.

На сегодняшнем этапе реформ для правительства республики международные финансовые институты – Международный Валютный Фонд, Всемирный Банк, Евробанк выделили большое количество средств, на основе которого должна обеспечиваться финансовая стабилизация и остановка экономического спада. Указанная сумма в основном будет использоваться для укрепления государственных институтов, технического оснащения школ, больниц, городского транспорта, метро и водопровода, большая часть ссуды также будет использована на заполнение платежного баланса, финансирование программы макроэкономической стабилизации. Кроме того, идут переговоры со Всемирным Банком о выделении новых ссуд на реабилитацию транспорта, энергетики и сельского хозяйства.

Евробанком и кредитной Организацией Реконструкции (Германия) Грузии выделена ссуда до 60 миллионов американских долларов для частного сектора сельского хозяйства и пищевой промышленности, для приобретения машин и оборудований, для нужд Грузэнерго, а также для реконструкции и модернизации тбилисского аэропорта.

Международным Валютным Фондом на сегодня для республики выделены кредиты на финансирование программы макроэкономической стабилизации, для пополнения резервов Националь-

ного Банка на общую сумму свыше 200 миллионов долларов. Кроме того, Германия на реабилитацию энергетики (восстановление 9-го блока Тбилгрэса, восстановление работы энергосектора) Грузии выделила долгосрочную ссуду (на 40 лет) в размере 40 миллионов немецких марок.

Ежегодная процентная ставка всех вышеперечисленных ссуд составляет 0,75 процентов и их покрытие начнется на 10-ый год с получения кредита. Руководство республики старается ограничить получение новых внешних долговых обязательств, хотя на нынешнем этапе это трудно достижимо из-за созданной в республике кризисной социально-экономической ситуации. Вместе с тем, руководство республики добилось реструктуризации внешнего долга, что дает возможность получения новых кредитов.

Одним из благоприятных факторов реформ второго этапа следует назвать радикальную активизацию работы республиканских властей и правоохранительных органов и бескомпромиссную борьбу с мафией, коррупцией, рэкетом, терроризмом, наркоманией, наркобизнесом и организованной преступностью. Постепенно исчезает "человек с ружьем", что стимулирует бизнесменов и всех тех, кто имеет дело с производством и торговлей.

И, наконец, о прогнозе экономических преобразований в Грузии. В перспективе следует ожидать осуществления социально-экономических преобразований в республике по двум траекториям. Первое – это проведение реформ по модели, предложенной международными финансовыми институтами (в особенности Международным Валютным Фондом), реализация которой происходит в основном за счет ухудшения социально-экономического положения населения. Реализация требований указанной модели, без учета социально-экономических, национальных, политических и других особенностей нашей страны, возможна и приемлема для нынешней ситуации, но в перспективе она может не отвечать принципам экономической и политической безопасности нашей страны, что примет явно выраженный характер в том случае, если республика взятые ссуды не сможет направить на возрождение экономики.

Второй вариант – это формирование грузинской модели экономических реформ, в основу которой должны быть положены усиление государственной роли в управлении и регулировании важнейших стратегических направлений социально-экономичес-

кого развития страны и социальная защита населения хотя бы на минимальном уровне. Это означает не переоценку роли частной собственности, а реальное использование всех форм собственности для достижения поставленной цели. Формирование рыночной экономики не является целью, это лишь способ достижения общественной цели, суть которой заключается в создании национального богатства и достижении высокого уровня жизни населения. Для общества все равно, каким путем оно получит материальное и социальное богатство, какая из форм собственности создаст его. Главное результат, а не промежуточный этап. Критерием эффективности модели экономических преобразований должна быть минимизация социальных потерь и максимизация общественного производства. Какая модель будет выбрана в будущем для возрождения экономики Грузии – решит время и мы уверены, что в республике будет создана такая политическая и социальная среда, которая даст возможность построить демократическую, правовую и экономически мощную Грузию.

ლიტერატურა

1. ასათიანი რ., მომსახურება და საბაზრო სისტემა, თბ., თსუ, 1993.
2. ბაგრატიონი ნ., ეროვნული ფულის კონცეფციისათვის, ჟურნ. „ეკონომისტი", 1990, №8.
3. ბასარია რ., ეკონომიკა და პოლიტიკა , ჟურნ. „ეკონომიკა", 1993, №1.
4. ბასარია რ., ეკონომიკის კრიზისი და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ჟურნ. „ეკონომიკა", 1993, №5-7.
5. ბასილია თ., რეფორმები გაგრძელდება, გაზ. „რეზონანსი", 16-17 ნოემბერი, 1995.
6. განცხადება ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1994, № 187-189.
7. გამსახურდია გ., საქართველოს საფინანსო პოლიტიკის ძირითადი პრობლემები თანამედროვე ეტაპზე, თბ., „მერიდიანი", 1995.
8. გოგოხია რ., განსახელმწიფოებრიობის და პრივატიზაციის არსის გაგებისათვის, ჟურნ. „ეკონომიკა", 1992, № 5-6.
9. გულუა ბ., გუშინ, დღეს, ხვალ, თბ., 1995.
10. გუნია ა., საბაზრო ურთიერთობათა მექანიზმის ფორმირების საკითხები, თბ., „მეცნიერება", 1991.
11. ერქომაიშვილი გ., რა შეუძლია სწორ საგადასახადო პოლიტიკას, გაზ. „ბიზნეს-კურიერი", 8-15 მარტი, 1996.
12. თოდუა გ. ქართული ეკონომიკური აზრი საბაზრო ეკონომიკის თაობაზე, ჟურნ. „ეკონომიკა", 1994, № 4-5.
13. იაკობიძე დ., საქართველოს საფინანსო სისტემის სრულყოფის გადაუდებელი ამოცანები (სამეცნიერო მოხსენების თეზისები), თბ., 1993.
14. კაკულია რ., ფინანსების საფუძვლები საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ნაწ. 1, 2, თბ., 1993.
15. კაკულია რ., საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობები, თბ., 1995.
16. ლეიაშვილი პ., დიდი პრივატიზაციის „პატარა" ნიუანსები, გაზ., „7 დღე", №7, 1994.
17. მალაშხია გ., ბუნებრივი წესრიგის ფაქტორი ეკონომიკაში, ჟურნ. „ეკონომიკა", 1994, № 1.
18. მესხია ი., ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება პოსტსოციალისტურ საქართველოში, ჟურნ. „ეკონომიკა", 1995, № 1-3.
19. მესხია ი., ინდიკატიური დაგეგმვა საბაზრო ეკონომიკის სამსახურში, ჟურნ. „ეკონომიკა", 1993, № 8-9.

20. მესხია ი., ხაბურზანია ლ., კაკულია რ., საქართველოში სამეურნეო რეფორმის მიმდინარეობის ანალიზი და მისი სრულყოფის წინადადებები, თბ., 1993.
21. მურჯიკნელი მ., საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტის როლი და ამოცანები საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პერიოდში, თბ., თსუ, 1993.
22. პაპავა გ., საბაზრო ეკონომიკაზე საქართველოს გადასვლის საფუძვლები, თბ., 1991.
23. პაპავა ვ., ულუმბერაშვილი ნ., საქართველოში საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის დაძლევის პროგრამული ღონისძიებები, თბ., 1994.
24. პაპავა ვ., ეკონომიკური რეფორმის ძირითადი თავისებურებანი საქართველოში, ჟურნ. „ეკონომიკა", 1995, № 4-6.
25. პაჭკორია, საბაზრო ეკონომიკის კანონზომიერებანი, ჟურნ. „ეკონომიკა", 1992, №3-4.
26. სანთელაძე ნ., საბაზრო ეკონომიკის მოდელები, თბ., 1993.
27. საქართველოს რესპუბლიკაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამა, თბ., 1994.
28. საქართველოს რესპუბლიკაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების საშუალოვადიანი პროგრამა, თბ., 1993.
29. საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირველი ინდიკატიური გეგმა 1993-1995 წწ., ჟურნ. „ეკონომიკა", 1993, №12.
30. ჭისტაური შ., ფულის ნიშნების დეფიციტი: როგორ უნდა გადაეღახოთ იგი, ჟურნ. „ეკონომიკა", 1992, № 5-6.
31. შევარდნაძე ე., სამოქალაქო საზოგადოება, სამართლებრივი სახელმწიფო, საბაზრო ეკონომიკა, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 22.03.94.
32. შუბლაძე გ., საბაზრო ეკონომიკის ქართული მოდელი, ჟურნ. „ეკონომიკა", 1993, №1.
33. ჩანტლაძე ვ., ფინანსური მეცნიერების საფუძვლები, თბ., 1995.
34. ჩიქავა ლ., პრივატიზაციის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ, ჟურნ. „ეკონომიკა", 1994, № 9-12.
35. ძნელაძე დ., საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პრობლემები, თბ., „საქართველო", 1991.
36. ჭითანავა ნ., საბაზრო ეკონომიკის რეგულირება (ორგანიზაციული პრობლემები), თბ., 1995.
37. ხელაია გ., ინფლაცია. როგორ ვუმკურნალოთ? თბ., 1994.
38. ჯავახიშვილი ნ., რით დავძლიოთ ჰიპერინფლაცია, გაზ. „ჯორჯიან ტაიმსი", № 11, 1994.
39. **Абалкин Л. И.**, Размышления о стратегии и тактике экономической реформы. Ж. "Вопросы экономики". 1993. N2.
40. **Арская Л. П.**, Опыт государственного регулирования и стабилизации цен. Ж. "Экономические науки"; 1994.N1
41. **Бединанашвили Г.** Региональные социально-экономические системы и системный анализ государства: методологический аспект. Тб., Мецниереба, 1993.

42. **Белкин В.**, Рыночная экономика: технология перехода. – Ж. "Экономика и организация промышленного производства". 1990, N 11.
43. **Беридзе Т.А.**, Экономические основы суверенитета: новые аспекты экономики и политики. Тб.: Сихарули. 1995.
44. **Бевентер Э., фон Хаппе И.**, Основные знания по рыночной экономике в восьми лекциях, М., Республика, 1993.
45. **Бузгалин А.**, Закономерности переходной экономики: теория и методология. Ж. "Вопросы экономики" 1995. N 2.
46. **Бьюкенен Дж.**, Конституция экономической политики. Ж. "Вопросы экономики" 1994. N6.
47. **Гайдар Е.Т.**, Логика реформы. Ж. "Вопросы экономики". 1993. N2.
48. **Гелбрейт Дж.**, Экономические теории и цели общества. М.: Прогресс. – 1976.
49. **Даль Р.**, Введение в экономическую демократию. – М.: Наука. – 1991.
50. **Долан Э.Дж., Линсдей Д.**, Макроэкономика. Санкт-Петербург, 1994.
51. **Долан Э.Дж.**, и др., Деньги, банковское дело и денежно-кредитная политика. Москва-Ленинград: 1991.
52. **Дорн Дж.А.**, Переход от плана к рынку на конституционной основе. Ж. "Вопросы экономики". 1993. N6.
53. Емельянов А.М., Корректировка экономической реформы: необходимость и основные направления. Ж. "Вопросы экономики". 1993. N 2.
54. **Зайдель Х., Теммен Р.** Основы учения об экономике. – М.: – Дело ЛТД. 1994.
55. **Кейнс Дж.М.**, Общая теория занятости, процента и денег. М.: Прогресс. – 1978.
56. **Клименко А.В.**, Экономические функции государства в период рыночной реформы. – Ж. Вестник Московского университета, серия 6. – 1993. N 6.
57. **Колодко Г.**, Политика финансовой стабилизации и проблемы экономического роста. – Ж. "Вопросы экономики". 1993.
58. **Корнаи Я.**, Трансформационный спад. – Ж. "Вопросы экономики". 1994. N3.
59. **Ламперт Х.**, Социальная рыночная экономика. Германский путь. М.: Дело. – 1993.
60. **Лившиц А.**, Экономическая реформа в России и ее цели. – М.: Культура. – 1994.
61. **Львов Д.С.**, Реальный курс экономических преобразований. – Ж. "Экономика и математические методы". – 1994. N 1.

62. **Лейард Р.**, Можно ли смягчить болезненность реформ. – Ж. "Вопросы экономики" – 1993. N 2.
63. **Макконелл Р.К., Брю Л.С.** Экономикс. т. 1,2 – М.: Республика. 1992.
64. **Маршалл А.** Принципы экономической науки. – М.: Прогресс. – 1993.
65. **Мау В.**, Перестройка: теоретические и политические проблемы экономической реформы. – Ж. "Вопросы экономики" – 1995. N2.
66. **Месхия Я.Е.**, Теория и практика макроэкономического прогнозирования. – Тб.: Сабчота Сакартвело. – 1989.
67. **Милль Дж.С.**, Основы политической экономики. том I, – М.: Прогресс 1980.
68. **Мэнкью Н.Г.**, Макроэкономика. – М.: МГУ – 1994.
69. **Ойкен В.**, Основы национальной экономики (политэкономии). М.: Экономика. – 1993.
70 **Осипов Ю.М.**, Экономический романтизм с позиций сегодняшних реалий. – Ж. "Экономические науки". – 1991. N 3.
71. **Папава В.Г.**, Государство, рынок и экономика без налогов. – Тб.: Мецниереба. 1993.
72. **Петраков Н.Я.**, Кризис экономической реформы в России. – Ж. "Вопросы экономики". – 1993. – N 2.
73. **Плышевский Б.П.**, Программы реформирования экономики государств СНГ. – "Российский экономический журнал". – 1992. N 10.
74. **Попов Г.Х.**, Модель Международного валютного фонда перехода к рынку. – Ж. "Вопросы экономики". – 1993. N 2.
75. **Пщелинцев О.С.**, Стратегия реформы и уроки шоковой терапии. – Ж. "Проблемы прогнозирования". – 1995. N 2.
76. **Ракитский Б.**, Основы теории переходного периода. Через тернии. М.: Прогресс. – 1990.
77. **Савас Э.С.**, Приватизация – ключ к рынку. – М.: Дело. – 1992.
78. **Сакс Дж., Уорнер Э.** Экономическая конвергенция и экономическая политика. – Ж. "Вопросы экономики". 1995. N 5.
79. **Самуельсон П.А.**, Экономика, том 1, 2 – М.: Алгон. – 1992.
80. **Санто В.**, Инновация, как средство экономического развития. М.: Прогресс. – 1990.
81. **Ситников Т.И.**, Хозяйственный климат в переходном обществе. – М.: Интерпракс. – 1993.
82. **Смирнов А.Д.**, Переходная экономика: модель прогноза. – Ж. "Проблемы прогнозирования." – 1993. N 2.
83. **Усоскин В.М.**, "Денежный мир" Милтона Фридмена. – М.: Мысль. 1989.
84. **Фишер С.** и др. Экономика. М.: Дело. – 1993.

85. **Фридмен М.**, Капитализм и свобода (отрывки из книги). – Ж. "Эко" – 1991 – N 7.
86. **Хайек Ф.**, Дорога к рабству. – Ж. "Вопросы философии" 1990. N 10-12.
87. **Хайек Ф.**, Пагубная самонадеянность. – М.: Новости. – 1992.
88. **Харрис Л.**, Денежная теория. М.: Прогресс. – 1990.
89. **Хейлбронер Р., Туроу Л.** Экономика для всех. – Новосибирск: Экор. 1994.
90. **Хейне П**, Экономический образ мышления. – М.: Новости. – 1991.
91. **Холланд С.** Планирование и смешанная экономика. Ж. "Вопросы экономики" 1993. N1.
92. **Черников Д.А.**, Крах радикализма и эволюционистическая альтернатива. – "Российский экономический журнал" 1995, N 3.
93. **Шаталин С., Гайдар Е.** Экономическая реформа, причины, направления, проблемы. – М.: Экономика. – 1989.
94. **Шахова Г.Я.**, Макроэкономическое планирование и стабилизация финансов. Ж. "Финансы" 1992. N 6.
95. **Шмелев Н.**, О здравом смысле и морали в экономике. Ж. "Вопросы экономики" 1993. N 2.
96. **Шумпетер И.**, Теория экономического развития. М.: Прогресс, 1982.
97. **Эклунд К.**, Эффективная экономика. М Экономика. 1991.
98. **Эрнандес-ката Э.** Россия и МВФ: Проблемы стабилизации на макроуровне. Ж. "Деньги и кредит". 1995.
99. **Эрхард Л.**, Благосостояние для всех. М.: Начала-пресс. 1991.
100. **Явлинский Г.А.**, О новой политике правительства. Ж. "Вопросы экономики" 1993. N 2.
101. **Яременко Ю.В.**, и др. О путях выхода экономики России из кризиса. Ж. "Проблемы прогнозирования" 1993. N 2.
102. **Ясин Е.Г.**, Судьба экономической реформы в России. Ж. "Вопросы экономики." 1993. N 2.



იაკობ მესხია

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი. გამოქვეყნებული აქვს 170-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. არის საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საკონსულტაციო ეკონომიკური საბჭოს წევრი, ფინანსთა სამინისტროს კოლეგიის წევრი, სხვადასხვა სადისერტაციო და სამეცნიერო საბჭოს წევრი, ეკონომიკური პროფილის ჟურნალ-გაზეთების-რედკოლეგიის წევრი.



ᲛᲘᲠᲘᲐᲜ ᲛᲣᲠᲯᲘᲙᲜᲔᲚᲘ

ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე. გამოქვეყნებული აქვს 50-მდე სამეცნიერო ნაშრომი საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკისა და ეკონომიკური რეფორმების აქტუალურ საკითხებზე. მის მიერ შემუშავებული წინადადებები და რეკომენდაციები ასახულია საქართველოს ეკონომიკური რეფორმების კონცეფციებსა და პროგრამებში.

აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ეკონომიკურ ინსტიტუტებთან – საგალუტო ფონდთან, მსოფლიო ბანკთან, ევროკავშირთანებასთან და შ. ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

გამომცემლობის რედაქტორი ლ. ბახგაძე
მხატვრული რედაქტორი ი. ჩიქვინიძე
ტექნიკური რედაქტორი თ. ფირცხელანი
კორექტორი ნ. ელიზბარაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.05.95
საბეჭდი ქაღალდი 60X84 1/16
პირობითი საბეჭდი თაბახი 14,25
სააღრ.-საგამომც. თაბახი 16,64
ტირაჟი 1000 შეკვეთის № 84

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი, ჭავჭავაძის პროსპექტი, 14

გამომცემლობა "მერიდიანი", კოოპერატივი "თევი"
თბილისი, გურამიშვილის გამზ. 74

ЯКОВ МЕСХИЯ, МИРИАН МУРДЖИКНЕЛИ

ЭКОНОМИЧЕСКАЯ РЕФОРМА В ГРУЗИИ
(анализ, направления, проблемы)

(На грузинском языке)

Издательство Тбилисского университета
Тбилиси, 1996